



# მნათობი

8

საგონებო



1953



# ენათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მუშაკური  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მშენებლის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდაშვიდე



# 8

★

ა ბ ვ ი ს ტ ო

19

საბულგარეთის  
თბილისი

53

10386



## ხალხთა ლენინურ-სტალინური მემოზროვის ღრმობით



საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი თავისუფალ, თანასწორ-  
უფლებიან ხალხთა ერთ დიდ ძმურ ოჯახს წარმოადგენს. ხალხთა ეს შეკავში-  
რება ლენინურ-სტალინური მოძღვრების საფუძველზე დიდი ოქტომბრის სო-  
ციალისტური რევოლუციის მონაპოვარია. საბჭოთა ხალხები ნებაყოფლობით  
არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ  
ურთიერთდახმარების საფუძველზე.

ისტორიაში ჯერ არნახული ასეთი შეკავშირება საბჭოთა ხალხებისა ჩვენს  
ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების მოსპობის, სოციალისტური საზოგა-  
დობის აგების შედეგია. ამიტომ წარმოადგენს ხალხთა ლენინურ-სტალინური  
ურღვევი მემოზრობა საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველს. ხალხთა  
ლენინურ-სტალინური მემოზრობა საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი ძირი-  
თადი მამოძრავებელი ძალაა კომუნიზმის დიადი მშენებლობის გზაზე.

ამიტომ უფრთხილდებიან თვალისჩინივით საბჭოთა ხალხები თავიანთ მე-  
გობრულ ცხოვრებას და მტკიცე კავშირს ერთმანეთთან. არავითარ ძალას მსოფ-  
ლიოში არ ძალუძს შეარყიოს საბჭოთა ხალხების ეს დიადი მემოზრობა და ძმური  
კავშირი, რომელსაც სათავეში უდგას დიდი რუსი ხალხი.

თავისუფალ ხალხთა ეს ნებაყოფლობითი შეკავშირება წარმოადგენს  
სოციალისტური ერების ყოველმხრივი განვითარებისა და შეუფერხებელი წინ-  
სვლის მტკიცე საფუძველს. ეს გარემოება მრავალგზის დადასტურდა საბჭოთა  
ხალხების ეკონომიური და კულტურული განვითარების მთელი ისტორიული  
გზით; ეს გარემოება ერთხელ კიდევ თვალნათლივ დადასტურდა დიდი სამა-  
მულო ომის დროს, როცა საბჭოთა ხალხები, მტკიცედ დარაზმულნი, დიდი  
რუსი ხალხის მეთაურობით გამირულად იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ და  
მოიპოვეს მასზე ბრწყინვალე გამარჯვება; ამ გარემოების ნათელი დადასტურე-  
ბაა მთელი ჩვენი ცხოვრება დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როცა  
საბჭოთა ხალხები თავდადებით იბრძვიან მშვიდობისათვის, მშვიდობიანი შე-  
მოქმედებითი შრომის ზეიმისათვის, ხალხთა ცხოვრების შემდგომი მშვიდობიანი  
განვითარებისა და ამაღლებისათვის.

მოწინავე რუსული კულტურის ცხოველყოფელი ვაელებით შეუწელებ-  
ლად ვითარდება და მადლდება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის — იმათიც კი,  
ვისაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საკუთარი დამწერ-

ლობაც არ ჰქონდათ, ეროვნული ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურის ყველა დარგი. ეს უდიდესი მსოფლიო ისტორიულ-მნიშვნელობის მონაპოვარია, რაც შესაძლებელი გახდა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის შედეგად. ვითარდება და შეუწელებელ აღმავლობას განიცდის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა კულტურა. საბჭოთა ხალხებს შორის კულტურული ცხოვრების გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება კიდევ უფრო ამდიდრებს თითოეული სოციალისტური ერის სულიერ სამყაროს, კიდევ უფრო ამდიდრებს და საინტერესოს ხდის მათი კულტურის საგანძურს.

საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა. იგი ასახავს კომუნიზმის მშენებელ ეპოქას მთელი თავისი გრანდიოზულობით, საბჭოთა ადამიანების მაღალ მორალურ თვისებებს, სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ სომხეთსა და საქართველოს.

სომეხი და ქართველი საბჭოთა მწერლები მძლავრი პოეტური შთაგონებით ქმნიან მხატვრულ ტილოებს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე, ხალხთა შორის ლენინურ-სტალინურ მეგობრობაზე, ინტერნაციონალიზმის, ჰუმანიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ ძალაზე.

დიდი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვით სომხური ლიტერატურის საუკეთესო წინამძღვრების ქართულად თარგმნის საქმეში მოწინავე ქართველ პოეტებს. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც მხატვრული ოსტატობით თარგმნა ოვანეს თუმანიანის შემოქმედების დიდი ნაწილი, და ბევრი სხვა სომეხი მწერლის თვალსაჩინო ნაწარმოებნი.

სომეხი ხალხის შესანიშნავი გმირული ეპოსი „დავიდ სასუნცი“ უდიდესი სიყვარულით და გულმოდგინებით თარგმნეს მოწინავე ქართველმა საბჭოთა პოეტებმა.

სომხეთზე გულთბილი ლექსები შექმნა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა. მისი „აშენ თუმანიანს“, „ერევნის ქუჩები“, „კოლმეურნე ქალი ნაზანი“ მკაფიო გამოხატულებათა ქართველ და სომეხ ხალხთა განუყრელი ძმური მეგობრობისა.

სომეხ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობას საკმაოდ ხანგრძლივი დროის ისტორია აქვს. რომ არაფერი ვთქვათ შორეულ წარსულზე, საქმარისია დავასახელოთ ის მჭიდრო ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა, რომლის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ როგორც სომეხი, ისე ქართველი მწერლები და სახელმწიფო მოღვაწენი. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, გაბრიელ სუნდუკიანცის, ოვანეს თუმანიანის, აკოპ აკოპიანის ნათელი სახელები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1907 წელს ოვანეს თუმანიანმა თარგმნა ილია ჭავჭავაძის ლექსები „გაზაფხული“ და „ელეგია“.

„საქართველოს შესახებ, — წერდა ო. თუმანიანი 1910 წელს ერთ ქართველ პოეტს, — როგორც წინათ, ახლაც დიდი აზრისა ვიყავი და ვარ... ეს სიყვარული და ნატვრა აგრეთვე დარჩება შეურყეველი... იმისათვის, რომ ეს კარგი

გრძნობები დაფუძნებულია ჩვენი ძველ, მოძმე და ერთ ბედში მყოფი ქართველი ხალხის კეთილ, ბრწყინვალესა და თავისუფლების მოტრფიალ სულზე. უკან მართ შემთხვევებს და წარმავალ უბედურ მოვლენებს, ან ამა თუ იმ ნაკლოვანებას არ შეუძლია დამინგრეოს ეს ღრმა რწმენა და სიყვარული“.

ასეთივე უანგარო სიყვარულითა და პატივისცემით იყენებ მუდამ გამსჭვალული ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, მთელი პროგრესული ელემენტები სომეხი ხალხის მიმართ. დიდი ქართველი კლასიკოსი ილია ჭავჭავაძე კავკასიის მიმართ ნატერის სახით ამბობდა:

როდისღა ვნახე მშვენიერსა ამ ქვეყანასა...  
რომ ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,  
ეხლა გავრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?  
რომ იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასიისა  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?

ფრთები შეისხა დიდი პოეტისა და მოაზროვნის ოცნებამ. ხალხთა შორის მეგობრობა და სიყვარული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მტკიცე და საიმედო საფუძველია. ეს ბედნიერება საბჭოთა ხალხებს მოუტანა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მტრის ვერაფერითა მზაკვრული გამოხდომანი ვერ შეძლებენ ხალხთა შორის ლენინურ-სტალინური მეგობრობის უცვლადი იდეის შერყევას. ამ იდეის განხორციელებისათვის იბრძოდა დიდი სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი, როცა მიმართავდა საქართველოს პოეტებს:

კავკასიონის ჰაღარა ერებს  
ჩვენ მოვეწოდებთ საერთო ლხინზე,  
ჩემი ქამანაყ ტბილად იმღერებს  
თქვენი მგოსნების შემოძახილზე.  
დავრჩეთ, ქერუშნო, მშად და მეგობრად,  
შექმნათ ოჯახი ამხანაგური,  
და ხელოვნების ტაძრისთვის მწუხრად  
ყველამ მივზიდეთ თითო აგური!

ოვანეს თუმანიანის ეს მოწოდებაც დღეს საბოლოოდ არის განხორციელებული. ხალხთა შორის მტკიცე ლენინურ-სტალინური მეგობრობით არის გაცისკროვნებული ამჟამად მოძმე ერების ბედნიერი ცხოვრება. თითოეული მოპოვებული წარმატება, თითოეული წინგადადგმული ნაბიჯი ამა თუ იმ რესპუბლიკის მიერ უსაზღვრო აღფრთოვანებას იწვევს მეზობელი რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მოქალაქის, საბჭოთა პოეტის, მოაზროვნისა და შემოქმედის გულში. ამიტომ ეღერს ასე გულწრფელად ქართველი საბჭოთა პოეტის ალექსანდრე აბაშელის ლექსის სტრიქონები:

ტბილი ოვანეს, შენი სახელი  
 ქართულ სალამურს ზედ აწერია.  
 შენ ჩვენი გრძნობის ხარ ამსახველი,  
 შენი სიმღერა ჩვენც გვიმღერია.  
 ნეტაე ზედავდე, როგორ აყვავდა,  
 რაც ძმთა შორის შენს პოეზიას  
 აზრი ნათელი, წმინდა ზრახვა და  
 კეთილი გრძნობა დაუთესია.

ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

მომე სომეხ ხალხთან, სომეხ მწერლებთან ერთად კომუნიზმის საბოლოო აშენებისათვის შემოქმედებითს მშვიდობიან შრომაში, უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, მხარიმხარ იღწვიან ქართველი ხალხიც, ქართველი მწერლებიც. ომის ახალ გამჩაღებელთა ზრახვებს საბჭოთა ხალხები ერთსულ-ლოვნად უპირისპირებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას — იბრძოლონ მშვიდობისათვის, თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის დასაცავად, ხალხთა შორის ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობის დასაცავად მთელი შესაძ-ლებლობით — ყოველდღიური საქმეებითა და მხატვრული სიტყვის ძალით.



ავანიზი ისააკიანი

ჩემს პატარა ბიჭობაში, ჩემს ტოლებთან ერთად,  
ჩვენი სოფლის შარაგზებზე, სოფლის კალოებთან,  
ჯოხის ცხენებს ვაჭენებდით, ვითომ ზღაპრულ რაშებს  
და ოცნება შორს, შორს, სადღაც მიგვაფრენდა ბავშვებს.  
მიფერინავდით ზღაპრულ მზარეს ყიფინით და ლხენით...  
მე ის მზარე ჯადოსნური გიჟურ აღმაფრენით  
ბევრჯერ, ბევრჯერ მომივლია ჩემი ჯოხის ცხენით.

გავიზარდე, სად არ ვიყავ მატარებლით, გემით,  
მთლად მსოფლიო მოვიარე, მისი ზღვა და ხმელი.  
ახალ-ახალ ქვეყნის ხილვით ვალაღებდი თვალებს,  
თვალუწვდენელ დედამიწის სივრცეები ვთვალე;  
ვნახე დიდი ქალაქები და ქვეყნები ვრცელი.  
ათსუს, ველარ მივალწიე იმ ჯადოსნურ მზარეს,  
ყრმობის ეამს რომ მომივლია ჩემი ჯოხის ცხენით.

## გამარჯვების ღე



მორჩა, ჩავაგეთ ხმალი ქარქაშში,  
დიდ გამარჯვების დღეა საღვინო.  
მტერი დამარცხდა; შშობელ მთა-ბარში  
უხვად გამოაქვთ პური და ღვინო.

ყველა შენობა, ქუჩა, კალაქი  
გადაქცეულა ტაშის გრიხლად;  
აგერ, სახლის წინ დგას მოქალაქე,  
ხელში უპყრია სავსე ფიალა.

— ძმებო, მიირთვიეთ, ძმებო ასწიეთ,  
ჩემი ვაჟკაცის თქვით სადღეგრძელო.



გმირი შვილი მყავს; მტერი დაეძლიეთ,  
კვლავ აფთარივით ვერ დაგვეძგეროს.

სვამენ, იღბენენ... ერთმანეთისთვის  
ყველა ძმა არის და მეგობარი...  
აგერ მოხუცი ამბობს მკრთალი ხმით:  
—სთქვით ჩემი შვილის შესანდობარიც

ჩემად ეტყვიან ვაჟკაცს მაღლობას,  
მჯილს დაიცემენ ერთად გულზედა,  
სვამენ მეომრის ძმურ შესანდობარს  
და აწვეთებენ ღვინოს პურზედა.

## შენს ყელზე სხედან მარგალიტები



შენს ყელზე სხედან მარგალიტები,  
უნაზესნი და ფერმიზილები,  
შენს ლამაზ ყელზე მარგალიტების  
მოფანტულია მკრთალი სხივები.

ეს ჩემი ტრფობის ცრემლები არი,  
შენ ყველა ერთად აგისხამს სრულად,  
გულისტკივილის ცრემლები ჩემი  
მარგალიტებად რომ ანთებულა.

## მონაშენი ბელალს



ელვარე კვარცხლბეკზე ქალაქის მშვენიებად  
დგას დიდი სტალინის დიდი ქანდაკება,  
ამშვენიებს მის თვალწინ გადაშლილ ერევანს  
საბჭოთა ეპოქის მზით მოვარაყება.

დგას, როგორც მშვიდობის დიდი განთიადი,  
ნათელს ჰფენს მშობლიურ სოფლებს და ქალაქებს,  
ის, ჩვენი ფიქრი და ოცნება დიადი,  
სომხეთის აწმყოს და მომავალს ანათებს.

მასში ჩვენი გული, ჩვენი ალტაცება,  
ჩვენი სურვილები არის გამოთქმული.  
დგას მაღალ კვარცხლბეკზე მისი ქანდაკება,  
ჩვენი მერკუროვის ხელით ჩამოსხმული.

მშობლიურ აზრით და გრძნობით ანთებული,  
ხალხის სურვილები რომ გამოეკვეთა, —  
ფიქრობდა მძერწავი — ოსტატი ქებული;  
სომეხთა ქვეყანამ მისცა მას შეკვეთა.

და, აჰა, მოსკოვი!.. დგას კრემლის კედელი,  
დგას დედაქალაქის ცა გაბრწყინებული,  
და სახელოსნოში, ხელში საჭრეთელით  
მხკოვანი ოსტატიც დგას შთაგონებული.

ის ჩვენი ლეიძლია! იგონებს ბავშვობას,  
ხედავს ართაჩაის მჩქეფარე ნაპირებს...  
გრძნობს, ვიღაც ჭაღარა მას მიუახლოვდა,  
თითქოს-და ოსტატთან საუბარს აპირებს.

ისმინე, მძერწავო, ეგებ ეს ჭაღარა  
მე ვიყო, დღეს შენთან კრძალვით რომ მოვედი!  
ახალმა სომხეთმა სიტყვა დამაბარა  
და ხალხის გულსთქმას გადმოგცემ პოეტი.

ჩვენ ხალხი ვიყავით ტანჯული, ლტოლვილი,  
არ გვქონდა სამშობლო, გზა გვქონდა ტიალი,  
ჩვენ — მრავალ გრიგალში, ცეცხლში გამოვლილი,  
ნაცემი, დევნილი და მოხეტიალე.

მაგრამ გვამხნევებდა ჩვენი სიმღერები,  
 ოცნება მდიდარი და გული კეთილი,  
 ჩვენი მართანე უმძაფრეს ფერებით  
 გმირულ აღმაფრენით ქვებზე აღბეჭდილი.

უფსკრულის ნაპირზე მიგვრეკა წყვილიადმა,  
 რამდენი სისხლისღვრა და ტანჯვა რამდენი!..  
 მაგრამ ხმამ სტალინის, ვით მცნებამ დიადმა,  
 ჩვენს გულში ანათო სიცოცხლის კანდელი.

ისმინე, ოსტატო, პოეტის გულისთქმა,  
 აწ ბნელს გაჰყოლია სუსხი და ზამთარი,  
 მაშ, შენ გამოჰკვეთე დღე გაზაფხულისა,  
 ბედნიერ სომეხთა გრძნობებით გამობარი.

მძერწავსაც ამ გრძნობის ფრთებშესხმა ეწადა,  
 ფიქრში იშლებოდა ტალღათა რხევანი,  
 ოცნების მონუმენტს ძერწავდა, ძერწავდა,  
 შხუოდა ზანგუ და ელავდა სევანი.

ფიქრში იშლებოდა ხმები ჩანჩქერების,  
 ზეცა, ვარსკვლავებით უხვად მონაჭედი,  
 ისმოდა სიმღერა აქ ბედნიერების,  
 იდგნენ შენობები ლამაზად ნაკეთი.

ბოლავდნენ ქარხნების მაღალი მიღები,  
 სოფლებს ანათებდა ჰიდროელსადგური,  
 გლეხები უცქერდნენ მუშებს გაღიმებით,  
 გულს ბედნიერების სხივებდანაპკური.

ისმინე, ოსტატო! გრიგალთა ქროლვაში  
 ჩვენ ძალას ვგმატებდა სტალინის სახელი,  
 იგი წინ გვიძლოდა შრომაში, ბრძოლაში,  
 ვაშენეთ ბალები, გაგვყავდა არხები.

მისით სინამდვილემ ოცნებას გაასწრო,  
 მისით სინამდვილედ ვაქციეთ ზღაპარი.  
 ამ დიად ამბებზე არასდროს, არასდროს  
 არც კი ოცნებობდნენ აქ მამა-პაპანი.

ჩვენ მისი სახელი, ვით დროშა, გაეშალეთ,  
 მისი მზრუნველობა ქვეყანას დაშვენდა,  
 მრავალ მდინარეზე ავაგეთ კაშხალი,  
 მრავალი ახალი ქალაქი აშენდა.





გახსოვს იუბილე — თარიღი ნათელი,  
რომელსაც შრომაში საქვეყნოდ განთქმულნი,  
არა სამოცდაათ მეუტავი სანთელით, —  
შევხვდით სამოცდაათ ჰიდროელსადგურით.

ისმინე, ოსტატო, პოეტის გულისთქმა,  
მადლიერ სომეხთა გრძნობებით გამთბარი:  
მოდი, გამოჰყვეთ დღე გაზაფხულისა,  
უკვდავ მონუმენტად ჩვენს ბაღში დამდგარი.

ოსტატსაც ამ გრძნობის ფრთებშესხმა ეწადა.  
ბაღში უკვდავების ჰქუხდა შადრევანი,  
ოცნების მონუმენტს ძერწავდა, ძერწავდა,  
შხუოდა ზანგუ და ელავდა სევანი.

უცებ მოგონება: კავი და გუთანი,  
ფერდებჩაცვენილი, ძვალტყავა ხარები...  
მძერწავო, წასულა ძველი დრო მუხთალი,  
მშობლიურ ველ-მინდვრებს ხნავენ მანქანები.

გუგუნებს ტრაქტორი, ბრუნავს კომბაინი,  
გაცოცხლდა ველები შრომის სიმღერებით;  
ვენახის ბარაქა და ეშხი აივნის —  
— სოფელი, ნახატი ნათელი ფერებით.

ისმინე, მძერწავო, დღეს ჩვენი გულისთქმა,  
ეს — მან აგვიმაღლა ოცნების თაღები,  
ეს — მან მოგვიტანა მზე გაზაფხულისა,  
უღაბნო შეცვალა მან ბაღჩა-ბაღებით.

ჩვენ შრომის არნახულ ფერხულში ჩავებით;  
გულს შრომის ნაყოფი ახარებს ბავშვივით:  
ყანა, დატვირთული ოქროს თავთავებით,  
ბამბა, ვრცელ მინდვრებზე თეთრად გადაშლილი.

აივსო მარნები უხვი მოსავალით,  
შრომაში წინ გვიძღვის სიბრძნე და სიმართლე,  
აშენდა სკოლები, კლუბები მრავალი,  
შიგ ჩადგა სტალინის გონების სინათლე.

მითხარ, ამ სოფლებში ვის ახსოვს ამგვარი  
სახლები, ვარდისფერ ქვისაგან ნაგები,  
სახლებში შეიჭრა შუქის ნიაღვარი,  
საქვეყნოდ განთქმული, საქვეყნოდ ნაქები.

ისმინე, ოსტატო, პოეტის გულისთქმა,  
 მადლიერ სომეხთა გრძნობებით გამთბარი;  
 უნდა გამოჰკვეთო დღე გაზაფხულისა,  
 უკვდავ მონუმენტად ჩვენს ბაღში დამდგარი.

ოსტატსაც ამ გრძნობის ფრთებშესხმა ეწადა.  
 ბაღში უკვდავების ჰქუხდა შადრევანი,  
 ოცნების მონუმენტს ძერწავდა, ძერწავდა...  
 შხუოდა. ზანგუ და ელაედა სევანი.

უცებ წარმოუდგა მას ბავშვთა სამყარო,  
 სპეტაკი, ანკარა ზღვა ბედნიერების...  
 და ჰგავდა სიცოცხლის უმანკო სამკაულს  
 მზეში დარხეული ხმა პიონერების.

ჰგავდა კლდის ჩანჩქერთა ხმას მათი ძახილი,  
 ჰგავდა ოკეანის ტალღათა მოქცევას,  
 ისმენდა ოსტატი, ოდნავ თავდახრილი  
 და შორს გაეტაცა უსაზღვრო ოცნებას.

აი, გადიჭროლეს ოცნების მერცხლებმა,  
 შორს, შორს, ცის ლაევარდში ისმის ყრიაშული,  
 აზრი გაანათა გრძნობის ნაპერწკლებმა:  
 „სტალინმა შეგვიქმნა ეს დღე საამური.

ჩვენ, მკვირცხლი ბიჭები, მკვირცხლი გოგონები,  
 ჩვენი სიმღერებით და ჩვენი ლექსებით,  
 სულ მისკენ მივფრინავეთ ყვავილთა კონებით,  
 მასთან ვართ, შევხარით და ვეალერსებით.

და ისიც გვიცქერის მშვიდი გაღიმებით,  
 გვათბობს და გვანათებს, ვით მზე გაზაფხულის,  
 მის სხივქვეშ ვიზრდებით ნორჩი ყვავილები,  
 ჩვენ გვზრდის მშობლიური ზრუნვა არნახული.

ჩვენ ვართ სტალინური ჯანსაღი თაობა,  
 ჯანსაღ სიმღერებით წინ მივეჩქარებით.  
 გვაწრთობს თავდადება და გამბედაობა,  
 სტალინმა გაგვიღო ჩვენ სკოლის კარები.

ისმინე, ოსტატო, ხმა, ცადატანილი,  
 სომეხი ბავშვების სურვილი დიადი:  
 უნდა გამოჰკვეთო ქანდაკი სტალინის, —  
 — სიმბოლო ახალი ქვეყნის განთიადის!“



და, აბა, მშობლიურ ქალაქის მშენებელ  
 დგას დიდი სტალინის დიდი ქანდაკება!  
 ამშენებს მის თვალწინ გადამლილ ერევანს  
 საბჭოთა ეპოქის მზით მოვარაყება.

დგას, როგორც მშვიდობის დიდი განთიადი,  
 გასცქერის თვალუწვდენ სოფლებს და ქალაქებს,  
 ის, ჩვენი ფიჭვი და ოცნება დიადი,  
 აწმყოს და მომავლის ფართო გზებს ანათებს.

იდიდე! ხალხებმა ბელადად დაგსახეს,  
 როგორც ხალხის გული, ძალა და სიმართლე,  
 შენ, სომეხ მშრომელთა მადლობით აღსავსე,  
 ელვარე კვარცხლბეკზე. ცამდის აღიმართე.

ოვანეს შირაზი

## იხინიან ჩვენი მთავი

იხინიან ჩვენი მთავი,  
მარად თოვლით დაფარული,  
ზანგუს წყალით სხივნაშხედი,  
ჩანჩქერებით დაღარული.

თითქო შევებით მომდინარე  
სიხარულის ცრემლებია.  
ჩქეფს სევანით შუქის ღვარი,  
გულშიც სხივთა ქსელებია.

შენ, არაქსო, სიდან მოხვალ  
ასე ძლიერ ამღვრეული?  
ვისი გულის დარდი მოგყვა  
მწარე ცრემლად დაფრქვეული?

როდის შეწყვეტ ატირებას,  
გულს დაიწმენდ საიმედოდ,  
რათა შენმა ნაპირებმაც  
ძმობის კოცნა გაიმეტონ?

## 3 3 0 3 3



კვლარ გავუძელ, დავტოვე ღამით,  
ტანჯვა გამიჯდა რბილსა და ძვალში,  
წამება იყო ყოველი წამი  
ამ ამერკომის თავშესაფარში.

გამოვირბინე ქალაქი ფეხით,  
შინდოდა დედის ალერსი თბილი,  
ენახე მარტოკა ობოლი ვერხვი,  
ღანგრეულ ქოხის კედლების ჩრდილი.

მოთქვამდა ვერხვი ჯერ კიდევ მწარედ  
და ნანგრევებიც ამბობდნენ ამას,  
თუ ასკერებმა როგორ აწამეს,  
როგორ დამარხეს ცოცხალი მამა.

სად იყო დედა, დედა — ვერ ენახე,  
მოჰკლეს, თუ სადღაც განდევნეს

ძალად,  
საბრალო დედის ტანჯული სახე  
ცხარე ცრემლებში მოჩანდა მკრთალად.

მოგონებები გულს ეხვევიან  
მემოწმებიან წარსულზე ჩუმად,

უპატრონო ბავშვს როგორც სწვევია,  
ბაზრად ვეძებდი პატრონს და გუმანს.

ერთხელ შემომხვდა მოხუცი ქალი,  
ხელში ეჭირა ნატეხი პურის,  
მშვიერ-მწყურვალნი და შესაბრალონი,  
შინ ბრუნდებოდა თავჩაქინდარული.

მივევარდი, მსურდა წამერთვა პური.  
გავმტეულიყავი, გავცლოდი უმალ,  
შემობრუნდა და გაოცებულნი  
შედგა და დიდხანს მიცქერდა ჩუმად.

და უცბად ძახილს ამოჰყვა გული,  
ტუჩებზე ჩემი სახელი თართოდა,  
ჰაერში ვიყავ ატაცებული,  
მეხუტებოდა, მაგრად მეკვროდა.

თავზე მისვამდა დაჩონჩხილ ხელებს,  
დატანჯულ მკერდზე მიკრავდა

თბილად,  
ცრემლით დაღმობილ და დანასველებს,  
გამურულ თვალებს ჰკოცნიდა  
ფრთხილად.



იმეორებდა: „ბიჭო, შენა ხარ“,  
ეკიდა თვალზე ცრემლი რთვილივით,  
ხალხი შეგროვდა, სურდა ენახა  
ჩვენი ალერსი დედაშვილური.

მაგრამ ეს გული, წლობით ნატრული  
დედის ალერსს და დედის  
სიყვარულს—  
აღტაცებული, სულგანაბული  
ისე წაეღო ამ დიდ სიხარულს,

ვერ მიმხვდარიყო—ვინ იყო ქალი,  
ობოლს რომ მისცა თბილი ნუგეში,

მაგრამ გაეგო, ჰმატებდა ჩაღრმს,  
რომ ბუდე ნახა მის თბილ უბეში.

მისმა ალერსმა გამითბო გული  
და ჩემმა სულმაც შეისხა ფრთები,  
და თითქოს მთელი ამ ქვეყნის პურის  
დახვავდა ჩემს წინ გორები, მთები.

მაგრამ მას პური დავიწყებოდა,  
პკერდზე მიკრავდა ისევე ჩვილივით,  
თურმე დაკარგულ დედას ვხვდებოდი,  
დაკარგული და ობოლი შვილი.

...გავიდნენ წლები, წლები წყველი,  
მოგონებები შემომჩა ბოლოს—  
ქვის ბალიშებად გადაქცეული  
თავქვეშ მიწყვია ლოდებად მხოლოდ.

ისევე სურთ ბოროტ ადამიანებს,  
დედის ალერსი მოაკლდეს ბავშვებს,

ალარ ხედავდნენ დღეებს მზიანებს.  
სიცოცხლითა და სითბოთი სავსეს.

...მაგრამ მშვიდობის მტკიცე სურვილი.  
დედათა, შვილთა გარჯა მხნეობა,  
სპეტაკ გრძნობებით ღრმად  
აღჭურვილი,  
დაამხობს ყველა ძალმომრეობას.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

## საბჭოთა საქართველოს



ორი მდინარე — ორი და  
ერთად მოდიან შორიდან.  
იტყვარს ჩაჩხვევია არაქსი,  
მოდიან ერთი შარაგზით.

ღრუბლებში თეთრად მჩინარი —  
არარაბს გასცქერს მყინვარი.  
მზეა თუ ქარი უბერავს,  
მთა მთას მოუხმობს ბუმბერავს.

და ორ ხალხს ძმობა უცვლელი  
ყოველთვის ჰქონდა გულწრფელი.  
მაგრამ დღეს რომ აქვთ, ასეთის  
მომსწრე არ არის არც ერთი.

დგას საქართველო ახალი,  
თვითონ მყინვარზეც მაღალი.  
აყუევებია მთა-ბარი,  
აკრავს მტკვრის ვერცხლის ქამარი.

ამაყი, სახენათელი  
დგას ბედნიერი ქართველი,

დგას საქართველო ახალი,  
სიტყვით და საქმით მართალი.

აშენებს, აწყობს აგურებს,  
კოლხიდა რუსთავს გაპყურებს.  
ჭესების შუქით ელვარებს,  
წინ მიდის, იპყრობს მწვერვლებს.

ბრწყინავს თბილისი ქალაქი,  
მხარე ქცეულა ბაღნარად,  
ხარაჩოები ამშვენებს,  
ისიც კომუნისტს ამშენებს.

ერთად დგას ორი ძმობილი,  
ხელიხელ გადაკდობილი.  
სომხეთსაც, საქართველოსაც  
დღეს საბჭოეთის მზე მოსავთ.

ერთიმეორის დიდება  
ამ ორ ძმას არ მოწყინდება.  
ეს ლექსიც ხალხის ქართველის  
სულ წინსვლის არის მნატვრელი.

## სიბღერა ძმობაზე



ერთს თმა ჰქონდა ოქროსფერი და თვალები — ლურჯი  
მეორეს კი — გიშერივით შავი...  
მიდიოდნენ, სიხარული უღვივოდათ გულში,  
და ბედნიერთ ზე ეჭირათ თავი.

მოიტოვეს ბანაენი,  
მიელოდათ გიუმშეგესის სკოლა,  
სწავლის ორი ფალავანი  
მიდიოდა ტოლად და სწორად.



ენძელები ტანთ იცვამდნენ კოხტა კაბებს,  
 ბუნებასაც ბავშვივით რომ უხარია...  
 თაფლა ბიჭის მამა არის მეგვირაბე,  
 შავგვრემანის — ხელგანთქმული ღურგალით.

და მამებზე საუბრობენ მეგობრები:  
 — დღედაღამე მუშაობენ დამკლავებით,  
 რომ სომხეთის მთა-გორები, ველ-მინდვრები  
 გააჩაღონ ჩაუმქრალი ვარსკვლავებით.

პატარების ლაპარაკმა გააოცათ  
 და ერთმანეთს გადაჰხედეს მისისებმა: <sup>1</sup>  
 „ჰე, დიდები რას იზამენ, მაშინ როცა  
 დიდ საქმესთან პატარამაც იცის შებმა“...

ამბობს ბიჭი შავგვრემანი  
 „შორიაო სომხეთიდან. თქვენი ორიოლი...  
 უკვირს თაფლას,  
 — რატომ შორი,  
 როცა ერთად მივაბიჯებთ მეგობარი ორი.

— მართალი ხარ! — სიყვარულით  
 ილიმება შეთვალება ბიჭი;  
 მიდიან და მათი გული  
 მეგობრობის წმინდა გრძნობით იწვის.

რა ექნა, მე არ გამიზომავს გზა — მანძილი, —  
 რომ აშორებს ორიოლს და სევანს,  
 მაგრამ ვიცი, დიდი რუსი ხალხის შვილი,  
 თაფლა ბიჭის მამა,  
 ომშიაც და შრომაშიაც ჩვენი მეგობარი,  
 ჩვენი ღვიძლი, უფროსი ძმა ჩამოვიდა სომხეთს,  
 რომ ანკარა სევანიდან მოსკლდეს შუქის ღვარი.

მე მშაშს მისი წრფელი გული, სიყვარული მისი,  
 მას სევანიც ისე უყვარს როგორც ორიოლი,  
 შავ ბიჭსა და ოქროსთმიანს შევეყურებ და ვიცი, —  
 ერთ დიდ გზაზე მუდამ ივლის მეგობარი ორი.

ჩვენი ხალხი დატანჯული  
 სიკვდილისგან დიდ რუს ხალხმა იხსნა,  
 მტერს და ღუშმანს ათას ჯურის  
 ოქროსთმიან ბიჭის პაპაც თავს დაატყდა რისხვად;

<sup>1</sup> მისისები — დიდი და პატარა არარატი.



10386

ოქტომბერმა დაგვიბრუნა სიჭაბუკე  
და სიცოცხლეც სომხეთისა ოქტომბერმა იხსნა

პატარებო, რომ მიღიხართ მზიან დილით,  
დილასავით გაცინება გშეენით,  
თქვენთვის ჯერ ხომ ისტორიის გაკვეთილის  
არ დამდგარა კლასში სწავლის ჯერიც.

მაგრამ თქვენ ხართ ყვავილები იმ დიდ გზისა,  
დიდ ხალხმა რომ დღეის დღემდე მოიყვანა,  
სხივები ხართ ხალხთა მშობის უკვდავ მზისა  
და მომავლის შნო და ძალა.  
მომავლისკენ მუდამ გველოთ ასე მხარდამხარა,  
თქვენს თვალებში კომუნიზმის განთიადი ელავს.

შენ, სომხეთო, ბედნიერო, ხარ უკვდავი მარად,  
რადგან ძმა გყავს უძლეველი, ვისიც მუდამ გჯერა.  
ჰა, გაჰხედე ამ ორ ბიჭის გზას ნათელს და დიადს,  
ალმა მიდის, არასოდეს არც იქნება მრუდე,  
მას სტალინურ მშობისა და სიცოცხლის გზა ჰქვია  
... და იხდიან მისისები ქულებს.

ჰა, შეჰხედე, სიცოცხლის ამ ულამაზეს სურათს:  
შავთვალა და თაფლა ბიჭი დახატულნი მზითა,  
რომ ქცეულან ერთ სიმღერად, ერთ გულად და სულად,  
მხნედ მიდიან დიად მშობის მარადიულ გზითა.

28201



## ს ა ხ ლ ი



ართინი კილიციის ერთ-ერთ სოფელ ქილისში ცხოვრობდა. ის გაიურდა-ლის მკვიდრი იყო, მაგრამ მთავრობამ ქილისში გადაასახლა. განდევნეს ეს ოჯახი საუკუნოვანი წარსულის მქონე მამა-ბაბათა სოფლიდან. კლდეში ჩაქრული უზარმაზარი ლოდივით იდგა მასი სახლი, მაგრამ ერთი ხელის დაკვრით ჩამოჰკვეთეს იგი და ხევში გადაუძახეს. ართინი მოწყვეტეს იმ კერას, სადაც დაიბადნენ და გარდაიცვალნენ მისი წინაპრები. ის იძულებული გახდა სხვა ადგილზე აეშენებინა სახლი.

ართინის მამა ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა. მთებში მოპრილ ხეებს დაბლობისაკენ მდინარის ტალღებზე მოაძვრებდა. ეს იყო ძნელი საქმე: თან მეჭრთამე მოხელების სიხარბეს აკმაყოფილებდა, თანაც შეტაკებები უხდებოდა იარაღით ხელში.

ართინის მამა თავისი ასაკის ხალხთან ერთად, მაშინდელი გაგებით, სიმამაცედ თვლიდა ასეთი საშუალებით ხე-ტყის შოვნას. მას ხიფათით აღსავსე ცხოვრებასთან თამაში უფრო იზიდავდა, ვიდრე ხე-ტყის მოპოვების ინტერესი. უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა მას მოხელების გაცურება, მათ წინააღმდეგ წასვლა. ართინის მამას არ ავიწყებოდა მისი გადმოსახლება გაიურდალიდან... სოფლის მოხელებმა ართინის მამას ქილისშიც დაუწყეს დევნა და შევიწროება. მოუსვენარმა და დაუდევარმა მისთვის კარგად ნაცნობ მთებში, ერთ ვაკე ადგილას, მიგდებული წყარო ნახა. ირგვლივ ყველაფერი დაათვალიერა და გადაწყვიტა, რომ ეს მიდამო მშვენიერი ადგილი იქნებოდა სოფლის გასაშენებლად. ოღონდ წყარო უნდა აღდგენილიყო.

ახალი საქმეების წამოწყების მოყვარულმა ადამიანმა მეზობლებიც აიყოლია და ზათთან ერთად სოფელი გააშენა. ის-ის იყო ახალ სახლში უნდა გადასულიყო, რომ შურით აღვსილმა მეზობელმა ქურთმა აღამ თვალი დაადგა ამ სოფელს. შეისყიდა ნაძირალები, ართინის მამა მოაკვლევინა და სოფელი ძალით ჩაიგდო ხელში.

ღარჩა ართინი ხელცარიელი, მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების გრძნობით გულში. კიდევ კარგი, თავს დედა დასტრიალებდა. ის მაშინვე მიხვდა, რომ მისი შვილი სისხლის ალებით ვერაფერს მიაღწევდა და ართინი ხელოსანს მიაბარა. ართინმა მეჩვეწმეობა ისწავლა. მალე ჯარში გაწვევის დროც მოუვიდა და ართინის ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართა. ჯარში წასვლამდე ართინს ცოლი შერთეს, რომ მის ოჯახში ყერა არ ჩამქრალიყო, მტკიცედ მდგარიყო მათი სახლის საძირკველი, ცხოვრების სითბო დატრიალებულიყო შიგ, ღრმად გაედგა ფესვები, ეთქვათ — დაძველდა ოჯახიო.

და, აი, 1914 წელს ართინი ჯარში გაიწვიეს.

თუ რას ფიქრობდა ართინი ჯარში, რა თვალთ უყურებდა სამხედრო საქმეს, ალბათ ეს მისთვისაც ნათელი არ იყო. ერთ ამბავს ხელი რომ არ შეეშალა, მას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა მამის მკვლელობა.

როგორ შეიძლებაოდა ამის დაეწყება? \*

ართინმა გადაწყვიტა ზეითუნში გაქცეულიყო, რომ მამის მშველელზე შერი ეძია. ეს გადაწყვეტილება ბიძებს გაუზიარა. ბიძებმა არ მოუწონეს. დაარწმუნეს კიდევ, რომ ამის გამო ართინს ოჯახს აუწიოკებდნენ.

მართლაც, სულ სხვანაირად წავიდა საქმე.

ის ნაწილი, სადაც ართინი ჯარისკაცად ირიცხებოდა, ინგლისელების წინააღმდეგ გალიპოლში იდგა.

არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, ერთ დღეს ართინი ესტუმრა თავის მოგვარე ახალგაზრდა მეპურეს. ის-ის იყო სუფრას უნდა შემოსხლომოდნენ, რომ მეპურემ ართინს უთხრა, შენს სახელზე სახლიდან წერილი მივიღეო. წერილი დიდი ხნის გამოგზავნილი იყო და, რადგანაც მეპურემ წერა-კითხვა არ იცოდა, ვერ წაეკითხა, არც კი იცოდა თუ რამდენად საჭირო და საჩქარო იყო ეს წერილი. ართინს, რომელსაც ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, კარგად შეეძლო წერილის კითხვა, ის კი გულგრილად და დინჯად იქცეოდა. რუსეთის ფრონტიდან შორს იყო კილიკია. ისეთი არაჩვეულებრივი რა უნდა მომხდარიყო სახლში? წყნარად, აუღელვებლად გახსნა წერილი და გადაიკითხა. მეპურეც აუღელვებლად ელოდა წერილის კითხვის დამთავრებას, რომ ესაღიღნათ. უცებ მან ართინს აღშფოთება შეატყო სახეზე..

— ართინ, რა მოხდა?

— განა საკითხავია? მთელი სოფელი აუწიოკებით და სადღაც უდაბნოში გადაუსახლებიათ!

— აწიოკება და გადასახლება ქვეყნის შიგნით რად უნდა მომხდარიყო? — განცვიფრდა მეპურე ამ ამბის გაგონებაზე.

— როგორ თუ რად უნდა მომხდარიყო, აი, მოხდა და ეს არის! ჩემი სახლი, მთელი ჩემი კარ-მიდამო დედამიწის პირიდან აღუგვიათ.

მეპურე ატირდა. ამ ამბავმა შემზარავად იმოქმედა მასზე. საკმელ-სასმელი ჰურჭლიანად გარეთ გადაისროლა.

— ჩვენზე პურის ჭამა არამია!

ართინმა თავდაპირველად და ხმაამოუღებლივ გადაწყვიტა, რომ იმავე წამს იმავე ადგილიდან პირდაპირ შინ წასულიყო.

— ეგ, მე წავედი! — უთხრა მან მეპურეს, — ბოლო უნდა მოელოს თურქეთისათვის სამსახურს!

და მართლაც, იმავე წამს ნაწილიდან გაიქცა ართინი და თავისი სახლის გზას დაადგა. ადვილი სათქმელია, გალიპოლიდან კილიკიაში მანძილის გავლა, იქიდან კიდევ უდაბნოს გზით კვალდაკვალ დადევნება!

უდაბური, უგზო-უკვლო ადგილები, ქარაფოვანი მთები, გაუვალი ხეხეები, ეკალ-ბარდები, ორმოები და უფსკრულები. ბნელ ღამეებში ყოველ ნაბიჯზე ხიფათი ელოდა, შეეყრებოდა „ზაფთიას“<sup>1</sup> მოლაღატეს და მტერს. ლუკმაპურისთვის სოფლებისაკენ მიუწევდა გული, მაგრამ მოსალოდნელი ხიფათის გამო გვერდს უბვევდა სოფლებს. შიმშილი აიძულებდა საკუთარი სიცოცხლის ფასად ერთი თხა თუ ერთი ცხვარი მოეტაცა, ან რამე ბალახი მოეძებნა.

<sup>1</sup> ზაფთია — თურქი ჯარისკაცი.

კუქის ამოსავსებად. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მთლად შემოეხია, შემოაცვდა. გზადგზა გამოქვაბულებში იძალავებოდა, დაბინდებას ელოდა, რომ ბნელში ეარა. ხშირად ხედებოდა სახრჩობელებს, გვამებს, პატიმრებს, რამდენიმეც დასასჯელად მიჰყავდათ. რამდენადაც უახლოვდებოდა ართინი თავის მშობლიურ კუთხეს, იმდენად ქვეყანა უკაცრიელი ხდებოდა, იმდენად თვალს ეცემოდა ქალაქებისა და სოფლების სომეხთა გავერანებული უბნები სულ უფროდაუფრო ფართოდ შლიდა თავის შავბნელ, საზარელ სახეს.

მიდიოდა ართინი მთებით, ხევებით, ღამდამობით უახლოვდებოდა სოფლებს, ხედავდა ბოროტმოქმედთა ნამოქმედარს და იტანჯებოდა. ნუთუ სულ ცოტა ხნის წინათ თვითონ არ იცავდა ოსმალეთის „ეთანს“<sup>1</sup>. რა ამბავი დატრიალდა, ეს როგორ მოხდა, რომ მთავრობის წინაშე ყველა უკლებლივ დამნაშავე აღმოჩნდა? ნუთუ მათ შორის ერთი ადამიანი მაინც არ იყო მართალი? არა, აქ რალაც სხვა ამბავია, ძალიან ძველი ამბავი! ართინის მამა, ართინის პაპა... გიაურდალიდან ქილისში გადასახლება... ქურთი აღას ცბიერი ხანჯლის მსხვერპლად გამხდარი მამამისი...

„არა, ამ ქვეყანაში არც კანონია, არც სამართალი,“ ასე უთქვამთ ძველებს, ასე ამბობენ დღესაც. არა, აქ სომეხი ხალხი კანონს გარეშეა გამოცხადებული.

დაბოლოს, ერთ ბნელ ღამეს, საკმაოდ გვიან, ართინი ქილისში შევიდა. სომხურ უბნებში დანგრეულ-გადამწვარი სახლების ჩაშავებული კედლები საზარლად გამოიყურებოდნენ. ართინი ჩუმად, ქურდულად მიუახლოვდა თავის სახლ-კარს. ყველაფერი მიწასთან იყო გასწორებული, ნაცარტუტად იყო გადაქცეული. ხეხილიც კი გადაეწვათ.

ბოროტი მღუმარება ჩამოწოლილიყო ამ ნანგრევებზე. აეწიოკებინათ და ჩაეკლათ მისი ბავშვობა, სიკბუტე, მთელი ოჯახის სიცოცხლე თავისი მრავალფეროვანი ამბებით, მშობლიური ადამიანების ცოცხალი და მეტად საყვარელი სახეებით. რამდენი მოგონება, რამდენი გაცნადა, — ყველაფერი ჩაეხშოთ, მოესპოთ, გაენადგურებინათ და ყველაფერზე შავი ლუქი დაედოთ. მორჩა, აღარ არსებობს მშობლიური სახლი, ის სახლი, ის ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადასაცვლებული სახლი, რომელიც იზიდავდა მისი წინაპრების სულსა და გულს, რომლის ოთახების კუთხეებშიც თითქოს ფუსფუსებდნენ ართინის მამა-პაპანი და ჰყვებოდნენ წარსული ცხოვრების ამბებს. აღარ გაისმის ბავშვების ტირილი, მომავალი ცხოვრების საიმედო ძახილი... ეს კი სიცოცხლის დასასრულია.

არაფრად ჩააგდო ყოველგვარი საფრთხე, დააეიწყა დაღლილობა. აღარაფერს გრძნობდა, გაბოროტებული იდგა სახლის წინ. ვერ ურიგდებოდა იმ სინამდვილეს რომ მათ სახლში ჩამქრალიყო კერა. გულდაწყვეტილი, სასომიხილი მწყურვალედ მიეკრო შენობას, ეს იყო მისი სიცოცხლის წარმოშობის ადგილი. აქ დაიწყო მისი ცხოვრება. ეს არ იყო მხოლოდ ქვიტკირის პატარა ნაგებობა, ეს იყო ართინის სიცოცხლის გაგრძელება. მისი ცხოვრების მომავალიც აქ იყო ჩასახული, ეს იყო ცხოვრების კანონი, მტკიცე ბუნება, უსას-

<sup>1</sup> ეთანი — სომხობა.

რულო, გადაულახავი, ბუნება მთელი მსოფლიოს სიცოცხლისა. მის შემდეგაც: აქ უნდა დაბადებულიყვნენ და ეცხოვრათ მისი გვარის მომაველი თაობებს... და აი, ეს სახლი დაუნგრევიათ, ამ სახლიდან გაასახლეს მისი მშობლიური ადამიანები. უდაბნოში გარეკეს მიწასთან გასასწორებლად.

იმ წამს მან პირველად იგრძნო რომ მათი სახლი დასანგრევი იყო. არ ჰქონდა საფუძველი უცხო ქვეყანაში და დანგრეულა კიდევ.

ღიახ, ეს იყო დასასრული...

მაგრამ ცხოვრების ინსტიქტმა ართინი აიძულა თავშესაფარი მოენახა, თავშესაფარი, სადაც შეიძლებოდა მოეფიქრებინა, თუ როგორ მოქცეულიყო. სახლი განადგურებული იყო. ართინს უნდა მიეგნო იმ ჰერისათვის, სადაც სუნთქავდა მისი ოჯახი. უნდა მიეგნო მისი კვალისათვის. ართინი გაეშურა ბიძამისის სახლისაკენ. სახლი ნახევრად დანგრეული იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა შიგ ცხოვრება, დამალვა. კარი დაკეტილი დახვდა. შეხედა კარს. ხელით შეეხო. მიტოვებული და მიგდებული იყო ეს სახლი. ნეტავი თუ არის შიგ ადამიანი? ვინ არიან, სომხები თუ თურქები?

არ შეეძლო დიდხანს უიმედოდ ყოფნა. ეს სიჩუმე და უმოქმედობა დიდხანს ვერ გასტანდა. სოფელს თვალყურის მდევნელი ეყოლებოდა. მდევრები გამოჰყვებოდნენ, ღამის გუშაგებს წააწყდებოდა...

კარის დაკაკუნება გადაწყვიტა. შიგ მოსაუბრეთა ხმაზე, ან გარეთ გამოხეღელთა რაიმე ნიშანზე მიხედებოდა, მტერი ბუდობდა შიგ თუ მოყვარე?!

კარი დააკაკუნა.

არავითარი პასუხი.

უფრო მაგრად დააკაკუნა ხელმეორედ.

კვლავ არავითარი პასუხი.

ან არავინ იყო შიგნით, ან ეშინოდათ და ხმას არ იღებდნენ. შეიძლება ფრთხილად უახლოვდებოდნენ კარს, რომ დაეჭირათ კარზე მომდგარი?

ვიდრე რამეს მოახერხებდა, სრულიად მოულოდნელად, ბალის ჩამონანგრევიდან გადმოვიდნენ შავი აჩრდილები და ბარბაცით გაეშურნენ ართინისაკენ.

ართინი ინსტიქტურად ჩამოჯდა, ზურგით კარს მიეყრდნო, მიაწვა. ინსტიქტი ზოგჯერ უფრო გონიერია, ვიდრე ფხიზელი აზრიც კი. კარი წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ ართინი მთელი თავისი ძალ-ღონით მიაწვა კარს. კარი გაიღო. ართინი შიგ შევარდა და სწრაფად გამოიხურა კარი. შიდა ოთახებშიც ვერავინ ნახა. ბალიდან გამოსულებმა ჩურჩულით დაიწყეს ლაპარაკი.

— ნუთუ შიგ ვინმე შევიდა?

— კი, მაგრამ, კარი როგორ გააღო?

— კარის გაღების ხმა არ ყოფილა, სხვა რაღაც მოხდა.

— ასე სწრაფად? ქაჯი ხომ არ იყო!

ცოტა ხანს გაჩუმდნენ. მერე ერთმა თქვა:

— ქაჯი კი არა, ვინმე გამოქცეული იქნება.

— შევიდეთ!

მერყობდნენ, ისევე გაჩუმდნენ. შემდეგ ადგილი გადაინაცვლეს, ბანზე ავიდნენ. კვლავ დაბლა ჩამოვიდნენ. პატარა ფანჯარაში, რომლის მინაც ჩამტვრეული იყო, ერთმა მათგანმა თავის გაყოფა გახედა. კისერი წითრებოდა. დაათვალიერა. ართინს შეეშინდა, ასანთი არ აენთოთ და კუთხეში ფიცრებს ამოეთარა. ცოტა ხნის შემდეგ ხმები მიწყდა, თითქოს წავიდნენო. მაგრამ

არა, ბალიდან შრიალი მოესმა, ამცნო მათი იქ ყოფნა. ართინისათვის ერთი რამ ნათელი გახდა, ოთახში არავინ იყო, და თუ ვინმე იქნებოდა, უსათუოდ სომეხი.

დიდხანს არ გაგრძელებულა ძებნა. ისინი ძალიან ფრთხილად იქცეოდნენ. კარის შემტვრევით არ ისურვეს ოთახში შესვლა. სიციცხლის საფრთხეში ჩადგებას მოერიდნენ, იმ სიციცხლისა, რომელიც შეინარჩუნეს სომეხების გადასახლების შემდეგ. ახლა ბევრად უფრო ძვირად უღირდათ თავიანთი სიციცხლე. ამ გარემოებამ აიძულა, ფრთხილად ყოფილიყვნენ. დიდხანს გაუნძრევლად ფეხზე დგომის შემდეგ ართინი გამოვიდა კუთხიდან და სცადა მისთვის ნაცნობი გასასვლელებით სხვა რომელიმე ოთახში შესულიყო. ბარბაცით სიარულმა გასცა ის. მშვერავები დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ვიღაც იყო შიგ შესული, ისიც გამოქცეული და უსათუოდ სომეხი. ართინისაკენ გაეშურნენ და აღმოჩნდა, რომ თავისიანები იყვნენ — ბიძა თავისი ოჯახით.

ისინი ბედ-იღბალს მინდობოდნენ, დამალულიყვნენ. დღეს ახლომახლო შენობებში ატარებდნენ, ღამით კი შინ ბრუნდებოდნენ.

გადაეხვიენენ ერთმანეთს, გადაკოცნეს ერთმანეთის მშურვალედ მონატრულებმა, დიდი სევდით, ცრემლებით ნალვლიან თვალებზე. ერთიმეორეს გულში ჩაწვდნენ. შევიდნენ ოთახში, ჩამოსხდნენ:

სათქმელი არაფერი ჰქონდათ.

ხშირად ისმოდა: ოოპ და ააპ, ღმირთო და ღმერთო!

უამბეს ართინს როდის გარეკეს, საით გარეკეს და რა ამბავი მოვიდა მათგან.

სახეში შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— ახლა რა გავაკეთოთ?

ამას მოსდევდა უილაჯობის გამომხატველი გულშემზარავი სიტყვა:

— რა შეგვიძლია?

და მართლაც, რის გაკეთება შეიძლებოდა იმ დიდი, საშინელი უბედურების წინააღმდეგ, რომელიც ასე მიწისძვრასავით, ქარტახილივით, შავი ჭირივით თავს დასტყდომოდათ?! რას წარმოადგენდა ერთი ან რამდენიმე კაცის ძალა მის წინაშე? ართინის ოჯახი უსათუოდ უდაბნოს გზაზე იქნებოდა დამდგარი, ხიფათსა და ტანჯვა-წვალებასი ალბათ დაილუბებოდა კიდევ. ვერც ბიძამისი აიტანდა დიდხანს მალულ ცხოვრებას, — ისიც დალუბების გზაზე იდგა. ზაფანგში ჩაეარდებოდა ხვალ, ზეგ, ერთ მშვენიერ დღეს. ყველაფერი დალუბების გზაზე იყო მისული. აი, სინამდვილე!

მაგრამ ართინის გულში ისახებოდა რაღაც სხვა აზრიც. შინაგანი ძალა მოუწოდებდა, ებოვა ხსნა, მიეგნო ოჯახისათვის, ეციცხლა!

ართინმა თავისი გულის ფიჭი ბიძას გაუზიარა.

— წადი იქნება რაზე შეძლო!

ართინმა არ ისურვა ქილისში დიდხანს დარჩენა, თუმცა გატანჯული იყო მთებში სიარულით, მაგრამ ძალა ჯერ არ გამოლეოდა. ამ გადაწყვეტილებამ ახალი ენერჯია შემატა მას. ის მხოლოდ ერთ დღეს დარჩა ბიძის სახლში. შეორე დღეს გარიერაზე სახლს ალყა შემოარტყეს. თავს დაესხნენ. ეტყობოდა, მღევრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ეს „ამოცანა“ დიდი ძალებით შეესრულებინათ. რა უნდა ექნა ართინს? ბრძოლა შეიძლებოდა მაგრამ ბიძის ოჯახს საფრთხე მოელოდა. ყველა დაილუბებოდა. ართინმა მეზობელ სახლში გადასვლა სცადა. და როდესაც ეს მან შეძლო, საფრთხე თავიდან აცილებულად ჩათ-

ვალა, მაგრამ სწორედ იქ აღმოჩნდა მღევრების ადგილსამყოფელი. სამი კაცი წამოადგა თავზე და დაიჭირეს. ბორკილები დაადეს.

ართინი წაიყვანეს. მან ვერ გაიგო, თუ რა მოხდა ბიძის ოჯახში. შეუთითხნეს ართინს დიდი საქმე, რომ ის სამშობლოს მტერია, ავაზაკია. ბოროტმოქმედი და ალუბოში გაგზავნეს. არ არის საქმით დავუმატოთ, რომ „სასიკვდილოდ“, ეს თავისთავად გასაგებია.

მიდიოდა ართინი თავდახრილი და ფიჭობდა, თუ რამდენი ხალხი იყო მასზე უარეს დღეში. რამდენიმე დღის წინათ ის აუტანელ მდგომარეობაში იყო მთებში, უფრო მწარე განცდებში იმყოფებოდა თავის სახლ-კართან, ხოლო ახლა მისმა მდგომარეობამ ყველაფერს გადააქარბა.

მიდიოდა ართინი და უკვირდებოდა მის გამყოლ პოლიციელს. პოლიციელი ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. ართინი ღამით გაექცა მას. პოლიციელმა ესროლა, მაგრამ ააცდინა ტყვია.

და ახლა კვლავ მარტო მიდის ართინი. ღამის ქურდივით მიიპარება. მიდის ბოროტებით აღსავსე უცხო ქვეყანაში, არავინ და არაფერი არ ვადაჩენილა მის საყვარელ სამშობლოში მთეარისა და ნაცნობი ვარსკვლავების მეტი. კვლავ მთები, კვლავ თავსაფრები, სადაც იმალებოდა, ქვა და ეკალ-ბარდები, მცენარე და წყალი, ისევ მზეცებისა და მტრის საფრთხე. მიუხედავად ამისა, ის ზაინც უფრო მეტი მონდომებით მიდიოდა, უფრო მეტი ძალ-ღონის დამბავით. მიდიოდა თავისი ოჯახის კვლადკვალ რომ მიეგნო მისთვის, ეპოვა. მაგრამ ეს არ იყო სიარული, ეს არც მოგზაურობა იყო, არც სიძნელის გადალახვა, ეს იყო ტანჯვა-წვალება, ნამდვილი ბრძოლა წვეტიან ქვებსა და ეკალ-ბარდებზე გადასასვლელად, ბრძოლა: ცეცხლოვანი მზის სხივებთან, გულმუცლის ამრევ შიშობთან, ყოველ წუთში სიბოროტით სავსე მტრის შეხვედრის მოლოდინში. და, როგორც ჩანს შეუძლებელი არაფერი ყოფილა ქვეყანაზე. ართინმა მიაგნო თავის ოჯახს.

ნახა სასოწარკვეთილი დედა შემოძენძილ, დამტვერიანებულ ტანსაცმელში, ცოლი ძაფივით დაწერილებული, ძმა აჩრდილივით მიმჭრალი, ღონემიხდილი. ყველა ამათ მიაგნო ახეზში, ერთი თანასოფელელის ოჯახში ლუქმაურის მონატრულებს. შეხვედრის პირველ წუთშივე ერთმანეთის პიჩისპიჩი ხმაპოულებლივ გაჩერდნენ. სიტყვის თქმა ვერ მოახერხეს. მხოლოდ ართინის ძმას ძლივსძლივობით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღმოხდა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ისიც მაშინვე გაქუშდა. სევდა ძალიან დიდი იყო. რომ ლაპარაკით შესძლებოდათ მისი გამოთქმა. უკანასკნელი გროშებით ერთი ქოხი დაიჭირავეს და განაგრძეს ცხოვრება.

ართინისა და მისი ძმის დაჭერა ვერ შეძლეს, ვერ დახოცეს, მუხთალმა ზედმაც კი შეიკოდა ისინი.

საფრანგეთის ჯარები შევიდნენ კილიკიაში. სამშობლოში დაბრუნების იმედმა აღანთო კილიკიის სომხები. საფრანგეთის მთავრობამ მართლაც აიძულა სომხობა კილიკიაში დაბრუნებულიყო. განადგურებას ვადაჩენილი კილიკიელი სომხები ცხოვრების ხელახლა დაწყების იმედით დაბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარში. ართინიც გაემგზავრა თავისი ოჯახით და, ო, სასწაულო, ბიძამისის ნახვერად დანგრეული სახლი ვადაჩენილიყო. ბიძა თავისი ოჯახით არსად ჩანდა. ართინმა დაიკავა ბიძის სახლი. გრძნობდა მშობლიურ ქერსა და კერას. აი, ართინი პაპამისის აშენებულ სახლში შედის და გამოდის, ჯდება და იძი-

ნებს... რა უბედური, რა დამაქცევარი იყო ის შებენელი ღამე, როდესაც ართინი მოვიდა აქ და მთავრობის ლუქი დაინახა კარზე.

მაგრამ ეს სასწაულიც ხანმოკლე აღმოჩნდა. საფრანგეთის ჯარებმა უცებ დატოვეს კილიკია და სომხები მტრებთან პირისპირ მიატოვეს. ბედმა მხოლოდ ერთ რამეში გაუღიმა ართინს: ის არ მოკლეს; მოაქციეს გადასახლებულთა დიდ ქარავანში და ხელახლა გააძევეს ქილისიდან.

ისევ გადასახლება, ისევ გზა, ისევ უღაბრო...

ამ დროს მას დედა მოუყვდა—გადასახლების უსასრულო გზაზე ძალ-ღონე შემოეღია. ეს მწუხარება მის გულში ჯერ მორჩენილი არც კი იყო, როდესაც სახადით ძმა მოუყვდა. დარჩნენ ორნი — თვითონ და მისი ცოლი.

ბეი იყო თუ უბედურება, ართინს შვილი ეყოლა ამ ხიფათით აღსავსე ქვეყანაში. ეს მისთვის დიდი სიხარულიც იყო და დიდი სადარღებელიც.

ცხოვრება მაინც საჭირო იყო... და ართინიც ცხოვრობდა. აი სომხები გარეყენ შუამდინარის უღაბურ მხარეში, პირდაპირ სასიკვდილოდ. მაგრამ მათ თავისი ხელობით იქ ცხოვრება გარდაქმნეს. თავიდან დაიწყეს სიცოცხლე, ხელახლა შეუდგნენ მუშაობას თავიანთი მტანჯველების საცხოვრებლად, რადგან მათი შრომით სარგებლობდნენ ისინი.

ართინი მისმა ხელობამ — მეჩექმეობამ გადაარჩინა. მოსახლეობისათვის მეტად საჭირო საქმე იყო ეს. ამღვედნენ სამუშაოს, ხშირად გასამრჯელოს არ უხდიდნენ. რაც მთავარი იყო, ეხმარებოდნენ, რომ პოლიციას ხელი არ ეხლო მისთვის, ართინი საჭირო კაცი გახდა. რამდენიმე წელიწადს ასე იცხოვრა. როგორც უცხომ და როგორც „თავისიანმა“. სამუშაო ხან ბევრი ჰქონდა, ფულსაც ბევრს ლებულობდა, ხან არა. ზოგჯერ ქურდავდნენ კიდეც. ხანდახან ციხეშიც სვამდნენ, რომ შემდეგ ქრთამით გამოეშვათ.

ართინი მეორე ბავშვის მამა გახდა.

სითბო დატრიალდა ოჯახში.

ამდენი ხიფათისაგან გადარჩენის შემდეგ ეს ნამდვილი სიკეთე იყო. არ სჩიოდა ართინი, მაგრამ თანდათან მოუსვენრობა დაეტყო, დასევდიანდა.

ცოლი ვერ ხვდებოდა მისი მოუსვენრობის მიზეზს. ერთ უცნაურ რამეს კი ამჩნევდა: თავისთავს ელაპარაკებოდა, ლამაზობით არ ეძინებოდა, ოხრავდა, ღვებოდა, ფანჯარასთან ჯდებოდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს, გარეთ იტყირებოდა.

თავდაპირველად ცოლს ეგონა, რომ ართინს მტრისა ეშინოდა, თავდასხმას ან დაჭერას მოელოდა.

— რა გაწუხებს, ლეთისნიერო, მოთხარი, გამაგებინე, რას ჩურჩულებ? — შეეკითხა ერთ ღამეს ცოლი, — ცუდი ამბავი ზომ არ გაიგე?

ართინმა არ უპასუხა. თუთონის წივას და ფანჯარიდან ცქერას განაგრძობდა.

— სახლი არა მაქვს, — უპასუხა ბოლოს ართინმა, — სახლი, გესმის?

ცოლიც გრძნობდა ამ ნაკლს, მაგრამ განა შეიძლება ასე ავადმყოფურად ჭირ-ვარამის გულში ტარება?!

— სახლი არა მაქვს! — გაიმეორა თავის ქნევით ართინმა, — განა უსახლოდ ცხოვრება შეიძლება?

— არ შეიძლება, ეს მართალია, მაგრამ ამას დიდ უბედურებად ნუ გადააქცევ.

ართინისათვის უსახლობა დიდი დარდი იყო, უფრო დიდი, ვიდრე აღამიანს შეუძლია წარმოიდგინოს. ეს არ იყო მშვიერი კაცისთვის პური, ტანსაცმელი



თუ რაიმე ნივთიერი საჭიროება. სახლი ართინისათვის სულეერად მწვავე საჭიროებას წარმოადგენდა. ოჯახი რომ დაენგრა, მის ირგვლივ ყველაფერი გაუღებურდა. ახლა სახლის აშენების აზრი აეკვიცა. ის გრძნობდა, რომ მხოლოდ სახლს შეეძლო დაეწყინარებინა, გაეხალისებინა, აღედგინა დანაკარგი. სახლს შეეძლო თავი მოეყარა დაკარგულთათვის, ეოცნება, რომ ისინი კვლავ მოსულიყვნენ, კვლავ დაბრუნებულყვნენ. სახლი იყო საჭირო, რომ ხელახლა დამკვიდრებულყვნენ, ავსილიყვნენ ახალი ცხოვრებით, შემდეგ მოძველებულიყო ეს ცხოვრება, გაღრმავებულყო. ოცნებობდა ართინი, რომ სახლი შეერთებოდა მიწას, ჩაკირულიყო მასში, შესისხლხორცებულყო.

სახლთან ზს ბევრ რამეს აკავშირებდა.

ართინი ვერ მშვიდდებოდა.

ერთ დღეს ცოლი გაუწყრა.

— გაგიღებები, კაცო, გეყოფა!

— შენ ეს არ გესმის, მარიამ! — ამოიოხრა ართინმა.

ცოლი ყოველთვის ყველაფერში განგებ ეკამათებოდა ქმარს, რომ მისთვის სევდა გაქაჩრებინა, მაგრამ ახლა გაჩუშდა, ართინის წინ ხმაამოუღებლად გაჩერდა, ქანდაკებასავით გაქვედა.

ცოლიც ძილის წინ ნატვრით წვეებოდა, მისი ნატვრაც ბევრ რამესთან იყო დაკავშირებული, — ნათესავეებთან, განვლილი დღეების ათას ძვირფას მოგონებასთან. მაგრამ მტკიცედ ეჭირა თავი, ბანს არ აძლევდა ართინს არც ერთი ოხვრით, მხოლოდ უბრალოდ და გულთბილად ეუბნებოდა:

— ეეჰ, თუ შეგიძლია, აიშენე სახლი!

— უნდა ავაშენო, აუცილებლად უნდა ავაშენო! — გადაწყვიტა ართინმა.

სახლზე ფიქრმა იმდენად შეიპყრო ართინი, რომ, როდესაც საქმე საკმაოდ კარგად წაუვიდა, სახლის აშენებას შეუღდა. ბოლოსდაბოლოს ააშენა ერთი უბრალო სახლი და ჩასახლდა.

ცოლს ეგონა, რომ ამით გათავდა ართინის სევდაო. მაგრამ ცოლს კარგა ხანს ახსოვდა ართინის სიტყვა, როდესაც ისინი ოთახში პირველად დასხდნენ, როგორც სახლის პატრონები. მაშინ ართინმა თქვა:

— ეს სახლი ჩვენი არ არის!

მართლაც, სახლი მათი არ იყო. მათი სახლი ქილისში დარჩა. ასე გაიფიქრა ცოლმა და აღარ დაუბრუნდა ქმრის ნათქვამს. მხოლოდ ერთი რამ თვალში მოხვდა მარიამს: სახლს კარი არ ჰქონდა. ართინი ფიცრებს მიაწყობდა და ასე ხურავდა ხერვლს. ცოლს ეგონა, რომ ეს შემთხვევითი ამბავი იყო, რომ ართინი მალე კარსაც გააკეთებდა, მაგრამ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ართინი კი კარს არ აკეთებდა, — თუ რა მიზეზით, ამას ვერავინ მიმხვდარიყო.

ჯერ ეგონათ, კარის გაკეთებას იმიტომ აყოვნებდა, რომ ხისა და რკინის შესაფერ მასალას ეძებდა, მაგრამ გავიდა ერთი თვე, გავიდა ორი, სამი თვეც... ერთ დღეს ცოლი შეეკითხა:

— კარს რატომ არ აკეთებ?

ართინს შუბლი შეეკმუხნა.

— კარი საჭირო არ არის! — თქვა მან და პირქუშად დააცქერდა მიწას.

— სახლი უკაროდ ვის გაუგია?!

— ზე დავწვები ღია კართან, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ართინმა,

— რა საჭიროა ასე დაწოლა? — შეშფოთდა ცოლი. მოდი და გაუკეთე კარი. სახლს შნო მიეცემა!





— ეს სახლი ჩვენი არ არის! — წარმოთქვა ართინმა.

— ეჰ, ვიცი, რომ ჩვენი არ არის, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს მაინც სახლია!

— არ არის სახლი. მაგას არც კარი სჭირდება.

— ეეჰ, შენ მამაშენის სახლი გინდა? ის წავიდა, გაქრა!

— წავიდა, გაქრა. ეჰ, ესე ფგი, მე სახლი არა მქონია. — ხმას აუწია ართინმა და უფრო ნათლად და გარკვევით თქვა: — ამ სახლს არ შეიძლება რომ კარი ჰქონდეს!

— სახლი გაქვს, კარიც გაუკეთე! — უიმედოდ უპასუხა ცოლმა.

— სახლი მაქვს! ნუთუ სახლია საქმე? აი, გქონდა სახლი — მშობლიური, ხაყვარელი. თითქოს მიწაზეც მტკიცედ იდგა, მაგრამ დაინგრა, წავიდა, გაქრა. ძნელი იყო ახეზში ცხოვრება. წვალბა — დიდი, შრომის საზღაური კი — მცირე. არც დევნას უჩანდა ბოლო.

თვითნებობა, თავგასულობა, შიმშილი ხომ იყო და იყო. სიცოცხლეს ფასად აქარგა. კაცმა რომ თქვას, არც ჰქონია მას ფასი!

სულ მალე ართინი საფრთხეში ჩავარდა. პოლიციელი ჩააცივდა მას. უკანონო მოთხოვნებს უყენებდა. ახალ-ახალ ფეხსაცმელებს აკერინებდა, ფულს კი არ აძლევდა. ართინი იძულებული იყო თავისი ფულით ეყიდა ტყავი და პოლიციელისათვის კი შეეკერა ფეხსაცმელები. და ბოლოს გაჯავრდა. უარი უთხრა. ამას შედეგად ის მოყვა, რომ პოლიციელმა დაასმინა, რომ ის გამოქცეული ასკერიყო. დაიწყეს ართინის დევნა.

ართინი ალემოში გააქცა, ოჯახიც თან წაიყვანა. სახლი უპატრონოდ დარჩა.

— ხომ გითხარი, რომ სახლი ჩვენი არ არის-მეთქი, — თქვა ართინმა.

დასახლდა ალემოში, მაგრამ რას წარმოადგენდა ეს დასახლება? საშინელ ბინაში მოთავსდა. ერთიმეორისათვის უცნობი სამი ოჯახი მამასისხლის ფასად დაჭირავებულ ერთ ოთახში ცხოვრობდა. სხვა გამოსავალი არ იყო. საჭირო იყო მოთმინება და ალემოში დარჩენა. აქ თითქოს მდგომარეობა გაუმჯობესდა. შეიღებოც წამოეზარდნენ. გატყდა ცხოვრების სუსხი. დაიწყეს ცხოვრება კარგად, ცუდად, და კარგად...

ართინს კვლავ ტანჯავდა სახლის დარდი. საკუთარი სახლი რომ არ გააჩნდა, მოუსვენრობდა. სახლი უნდა ჰქონოდა, სახლი, უსახლოდ არ შეიძლებოდა. მაგრამ მას უკვე ჰქონდა ერთი სახლი და იწვინა მისი სიმწარე. ნოთუ კვლავ გაბედავს იქონიოს სახლი? ვინ იცის? შეიძლება ახლა გული დაუმშვიდდეს. ეგებ შეძლოს ახლა მაინც, ამჯერად, მოატყუოს საკუთარი თავი და დამშვიდდეს!

გადაწყვიტა — კიდევ ერთხელ ეცადა. საძირკველი ჩაუყარა დიდ, ნამდვილ სახლს. თვითონაც მუშაობდა კალატოზებთან და ღურგლებთან ერთად. ესეც მოთავდა და აი, ართინი ცოლ-შვილთან ერთად იჯდა საკუთარ სახლში.

სახლი ორსართულიანი იყო. არ იყო მდიდრული, მაგრამ სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. ქვა, ხე-ტყე თუ რკინა თავის ადგილას იყო ჩასმული. ზედა სართულზე საწოლი ოთახი ჰქონდა მოწყობილი, ქვედაში სასადილო და სამზარეულო. სახლის წინ გადაიფურჩქნა ყვავილოვანი ბაღი-ბაღი. მეტი აღარაფრის დამატება არ შეიძლებოდა.

მაგრამ ართინი მაინც ნაღვლობდა. დადიოდა ჩუმად, გულჩათხრობილი. შეიღებოც იმდენად წამოეზარდნენ, რომ მათთან უკვე სჯობდასიც შეიძლებოდა. ესაუბრებოდა კიდევ. უყვებოდა თავისი ცხოვრების შესახებ, მამა-პაპათა ამბებს, ძველსა და ახალს. ესაუბრებოდა ყველაფერზე, მაგრამ სახლის შესახებ

სდუმდა. უხერხულად გრძნობდა თავს. ეწინოდა, ვაითუ ვერ მიმიხედნენ და იდარდონო, უკმაყოფილება გამოსთქვან — „როგორ, ამდენი წვალუბრით სახელი ააშენა და კმაყოფილი არ არის?“.

მაგრამ ისევ იგივე ამბავი — სახლის მთავარი შესასვლელი კარი ცვლავ და უმთავრებელი დატოვა.

— არც ამ სახლის კარს აკეთებ? — შეეკითხა ცოლი ერთ დღეს.

— არც ამ სახლს ექნება კარი.

ართინის გონებაში მტკიცედ იყო ჩამჯდარი ეს აზრი.

— სამშობლო უნდა გქონდეს, რომ სახლი გქონდეს, სახლს კიდევ კარი ჰქონდეს! — ჯიუტად დაასკვნა ართინმა.

ხოლო სამშობლო როგორ, სად? ამის შესახებ არაფერი ჰკითხა ცოლმა.

— სამშობლო არა გვაქვს და რის სახლი, რის კარი?

— სამშობლო... ის აღარ არის, წავიდა, გაქრა. — თქვა ცოლმა მწარედ, — წადი და ეძებე სამშობლო, იპოვე.

მაგრამ ართინი არა ხუმრობდა, არც მაცდურ სიზმრებს ხედავდა. ის ბევრს ფიქრობდა სამშობლოს შესახებ. მას უნდოდა ჰქონოდა სამშობლო. მუდამ სამშობლოზე ფიქრი იტაცებდა, მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში.

ის ხომ სამშობლოა? ის ხომ არსებობს? თავისი მიწაც აქვს, ხალხიც ჰყავს. სახელმწიფოა, მთავრობაც გააჩნია. იქ სხვა წყობილებაა, სხვა ადამიანებია. ბევრი რამ არ გაეგებოდა ართინს, ბევრი რამ უჩვეულო იყო მისთვის. ათას ამბებს ჰყვებოდა იმ ქვეყნის შესახებ, მაგრამ ერთს კი ყველა მტკიცედ გაიძახის, რომ ის ქვეყანა ხალხის ქვეყანაა და რომ იქ სამართლიანობაა!

ხალხის ქვეყანაა, სამართლიანობაა! ეს საკმარისია.

იქ ცხოვრება შეიძლება. იქ წასვლაა საჭირო.

— არა, უნდა წავიდეთ. ჩვენი ბოლო იქ არის! — თქვა ერთ დღეს ართინმა მტკიცედ.

— სად უნდა წავიდეთ? — შეეკითხა ცოლი.

შვილები საკმაოდ მოზრდილები იყვნენ, ისინი სმენად გადაიქცნენ.

— სად, მამა?

— სომხეთში უნდა წავიდეთ.

— რომელ სომხეთში ღვთისნიერო? — ვერ მიხვდა ცოლი.

— არსებობს ერთი სომხეთი. ის სომხეთი, რომლის პატრონიც სომეხია, ქვეყანა, რომელიც თავისუფალია, — საბჭოთა სომხეთი.

— ეეჰ, ძალიან შორს მიდისხარ!

— ჩვენი ბოლო იქ არის, იქ არის ჩემი სახლი და სამშობლო! უნდა წავიდეთ საბჭოთა სომხეთში! — მტკიცედ დაასკვნა ართინმა.

შვილებს გაეხარათ.

და ამის შემდეგ დაიწყეს ყოველდღიური საუბარი საბჭოთა სომხეთზე.

— რას წერენ, რა ამბავი ისმის სამშობლოს შესახებ? — ეკითხებოდა ის ყოველდღე თავის შვილებს, რომლებიც გაზრტყებულნი კითხულობდნენ.

ართინი ისე ცხოვრობდა სამშობლოზე ფიქრით, რომ თავის შვილებში და ცოლშიც წარმოშვა რწმენა, რომ სამშობლო იპოვა და რომ ბოლოსდაბოლოს უნდა წავიდნენ სამშობლოში.

— სამშობლოში უნდა წავიდეთ! — ცვლავ გადაჭრით თქვა ართინმა.

ჰქონდა თუ არა წაკითხული ან გაგებული რამე ამ ნამდვილ სამშობლოს შესახებ, თუ ინსტიქტი ლაპარაკობდა მასში, ძნელი გასაგები იყო.

ცოტა უფრო გვიან შეიღებოდა უკვე სამშობლოს შესახებ საუბრობდნენ. ისინი კარგა ზოზრდილები იყვნენ. ყველაზე უფროსი ბეირუთა გაემგზავრა სასწავლებლად. დანარჩენები დარჩნენ ალუბოში, სადაც პირველდაწყებითი განათლება მიიღეს.

ცხოვრება ძალიან შეიცვალა. აღარ იყო ძველებური სასტიკი დევნა და მკვლელობა. სირიაში ახალ დამკვიდრებულ სომხებს ვაი-ვაგლახით იტანდნენ. რასაკვირველია, იგრძნობოდა უცხოური სიცივე, ზემოდან ქედმაღლური გადმოსხედვა.

ართინის უფროსი ვაჟი სერობი, რომელიც ბეირუთის სკოლაში სწავლობდა, ზაფხულობით ჩამოდიოდა ალუბოში, მოჰქონდა ამბები გაფიცებისა და დაპყრების შესახებ, სომეხ ყმაწვილებს ციხეში ჰყრიდნენ არაბ ყმაწვილებთან ერთად. რას ნიშნავდა ეს? ართინი მიანიცადამაინც ყურადღებას არ აქცევდა ამას, არც ერთხელ არ გამოხმაურებია ამ მოვლენას. უკვე სომხებმაც დაიწყეს არაბებივით ცხოვრება. მათ საქმეში ერეოდნენ. გასაგებია, რომ უბედურებასაც ერთნაირს შეხვდებოდნენ.

სერობი მრავალ ამბავს უყვებოდა თავის უმცროს ძმებს ბეირუთის, იქაური არაბი და სომეხი ამხანაგების შესახებ. უამბობდა, რომ ისინი იბრძვიან მდიდარ არაბთა წინააღმდეგ, რომ ისინი მუშები არიან და არა ცნობენ ეროვნულ განსხვავებას თავიანთ საქმეში.

ამ ამბებმა ჰაბუკი ძმების გონება გამოაფხიზლა. უფრო ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს იმ სამშობლოსადმი, რომელიც ართინის ნეტარებას წარმოადგენდა, სატრფიალო საგანი იყო, — მათაც დაიწყეს საუბარი სამშობლოში წასვლის შესახებ, გაემგზავრონ, იქ იცხოვრონ, მონაწილეობა მიიღონ სამშობლოს აღორძინების საქმეში. მათაც იცხოვრონ ფართო სოციალისტური ცხოვრებით. ბოლოსდაბოლოს ნახონ, სინამდვილეში როგორია სოციალიზმი.

ართინს ძალიან მოეწონა თავისი ვაჟების მაღალი სულიერი მღელვარება და ისე შეუღდა მზადებას, თითქოს ერთი კვირის შემდეგ სამშობლოში წავიდოდა.

— წავიდეთ სომხეთში. ავაშენოთ ჩვენი სახლი! — თქვა ერთ დღეს ერთმა ვაჟმა.

— აი, შენ კი იცოცხლე, მხოლოდ ახლა ვაივო, რომ ეს ჩვენი სახლი არ არის. ჩვენი სახლი იქ არის, იქ! — გაეზარდა ართინს.

ამასობაში დაიწყო ომიც. მეორე მსოფლიო ომი...

ფაშისტურმა გერმანიამ წალეკა რა მთელი ევროპა, ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. და რა მოხდა ბოლოს, რა შეემთხვა მის სამშობლოს ამ მსოფლიო წგრევის ქარიშხალში?

— სტალინი გაიმარჯვებს! — ამბობდა ართინი.

საათობით იდგა სტალინის პორტრეტთან და დიდხანს, დიდხანს შესცქეროდა, იხსენებდა ყველა თავის ნაფიქრს, ყველა ოცნებას.

მისი ვაჟები შეეჩვივნენ ართინის ასეთ მოქმედებას. იცოდნენ, რომ პორტრეტის ხანგრძლივ ცქერას მოჰყვებოდა ართინის მსჯელობაც.

ლაპარაკობდა აფორიზმებით.

— სტალინი დიდი ადამიანია. სახეც კი მეტყველებს ამას!

შემდეგ, პორტრეტიდან მიღებული შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, ისევ ხსნიდა და განმარტავდა:

— ლეონტი, მტკიცე, მშვიდი, ყოვლისშემძლე. აი, ადამიანი ასეთი უნდა!

და ისევ:

— ის რომ ერთხელ დაგვიბრდა მიღებას, მიგვიღებს კიდევ! — და ელოდა ნატვრით. ელოდა თავისი სახლის დაუმთავრებელი კარით. უგულოდ კერავდა ფეხსაცმელებს, გული საგულეში არ უჩერდებოდა. რალაცის გაგების მოლოდინში ყური გამახვილებული ჰქონდა. და როდესაც სირიაში სამშობლოში დაბრუნების შესახებ ხმა გავარდა, ართინი გამოცოცხლდა, მზადებას შეუდგა, საქმეები შეამკირა, ანგარიშები დაამთავრა. როდესაც გამოკითხვა დაიწყო, თუ ვის სურს სამშობლოში დაბრუნება, ართინი პირველთაგანი იყო, რომელიც მთელი ოჯახით ჩაეწერა წამსვლელთა სიაში.

„როსია“ გოლიათივით შემოტრიალდა ტალღები აიშლვრა. ნაპირება აჩრდილივით შეირხნენ. ბეირუთთან ერთად ამოძრავდნენ და გემმა თავისი მახვილი გულ-მკერდი გაუსწორა ხმელთაშუაზღვას.

წამის განმავლობაში ქვეყანა შეიცვალა. ათასობით ადამიანის თვალწინ არაბეთის ნაპირებზე და მათ უკან გაშლილ უდაბნოებში დარჩა გულის ვამპირები, ჯოჯოხეთური ისტორია — დერ-ზორი, ქვიშიანი ველები, ადამიანთა თავის ქალანი და ძვლები, პოლიციელთა მათრახები და გატლუტილი მემბოხენი და, ბოლოს, უცხოური მწარე პური.

„როსია“ დიადად, მძიმედ, ოდნავი რბევით გაუდგა შორ გზას.

მიცურავს ართინიც თავის ოჯახთან და ათასობით ხალხთან ერთად სამშობლოსაკენ.

ის ახლა სამოცი წლისაა. აცვია ევროპული მოყვანილობის პიჯაკი, განიერი შარვალი, ფეხები ქოშებში აქვს ჩაყოფილი, თავზე ყაბალახი ახვევია. სერიოზულად და ამაყად ზის გემის ერდოზე და გასცქერის სიერცეს. ის ჩაფიქრებულია. წმიდათაწმიდა საქმეს ასრულებს. ზეიმობს, მოძრაობები, რაღაც საეკლესიო წესების შესრულებას მიუგავს. მიუახლოვდა თუ არა თურქეთის ნაპირებს, მოიღუშა. აი, გალიპოლი, სადაც ის იბრძოდა. აი, მათი სანგრები...

შემდეგ გავიდნენ დარდანელში, ბოსფორში და შევიდნენ დიდი სამშობლოს წყლებში.

„როსია“ ბათუმის ნავსადგურში გაჩერდა. ართინმა თავის ოჯახთან ერთად კიბეს ფეხი დაადგა, რომ ძირს ჩამოსულიყო. პირველად გული აუკანკალდა, თითქოს შეშფოთდა. ირგვლივ ყველაფერი მოძრაობაშია. არაფერი არ ჩერდება წამითაც კი, რომ დაინახოს ართინმა, რომ კარგად გააჩინოს, — ეს რა არის, ვინ არიან, რას აკეთებენ?.. ყველაფერი წყალივით მიედინებოდა, შრილებდა და ტალღებად მიღელავდა. ნაპირიდან, გემებიდან გაისმოდა „ვაშა“, მუსიკის ხმები. აფრიალებდნენ ცხვირსაბოცებს, აწვდიდნენ თაიგულებს და ართინმა ნავსადგურზე ფეხი დადგა. ლუბათ იგრძნო, რომ სისუსტის გამო ჩენის დრო არ იყო, უნდა შეენარჩუნებინა სიმტკიცე.

„ეს მიწა ჩემი სამშობლოა“, — გაიფიქრა ართინმა. თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოუვარდა მხრებიდან, მსუბუქად იგრძნო თავი. მხოლოდ ახლა გაიგო, თუ რამდენად უფრო მძიმე ყოფილა. მისი, სულიერი ტვირთი, რომელსაც აქამდე ვერ ამჩნევდა.

ახლა ართინს ყოველივეს მიღწევა ადვილ საქმედ მიაჩნდა. ისრულბდა ყველა მისწრაფებას, ყველა ოცნებას. აქ ყოფილა სტალინგრადი, რომლის ამბავიც ჯერ კიდევ სირიაში გაიგო და, როგორც ძველმა ჯარისკაცმა სტალინგრადთან ბრძოლას თავისი შეფასება მისცა. ამ ქვეყანაში ხალხის ხელისუფლება ყოფილა. აქ არის სტალინი და მისი სამართალი!

და, აი, აქ არის, ამ ვეებერთელა ქვეყანაში, მისი საკუთარი ხალხის სამშობლო — სომხეთი. როდესაც ერევნის გზას შეუდგნენ თანამგზავრები რამდენჯერმე გააფრთხილა, რომ, თუ სომხეთის მიწასთან მიხლოვების წუთებში ჩაეძინებოდა, მაშინვე გაელვძებინათ. ეს სურვილი პირნათლად შეუსრულეს.

და როდესაც მატარებელი გაჩერდა, ართინი ძირს ჩამოვიდა და ერთ წაპს მიდამოს ხარბად დააცქერდა.

სწორედ ის არის, სომხეთი, ის...

ბნელოდა. პირქუში გორაკები შესცქეროდნენ მას, როგორც ახლობლები, და, ამავე დროს, როგორც უცხონი. ლიანდაგიდან რამდენიმე ნაბიჯის იქით მაღალი ბალახი და ყვავილები მოჩანდა. ართინი გაიქცა იქით. დაიჩოჭა და დიდხანს სახით მიეკრო მიწას. მოჭლიჯა ერთი ბლუჯა ბალახი და ყვავილები. გულზე მიიკრა. შემდეგ წყალი მოითხოვა და შეიღებმა მაშინვე მიურბენინეს. ართინმა წყალი დალია და კვლავ მატარებელში ჩაჯდა.

მატარებელი დაიძრა. მალე მარცხენა მხრიდან მდინარე დებედი შეეგება. შემდეგ, როდესაც ლორის ხეობაში შეიჭრნენ, კლდის თავზე პატრუქივით აენთო მთვარე. მერე ის თანდათანობით დამრგვალდა და გულსაესედ ამოვიდა.

მარჯვნივ და მარცხნივ წყვილიაღში გამოჩნდნენ კოშკები, გოლიათური ციხე-სიმაგრეები. ორთქლმავალი გაჰკივოდა. ამ ხმის გამოძახილი უფსკრულებში იჩეხებოდა, თანდათან ილეოდა და დნებოდა. ხოლო როდესაც მატარებელი ჩერდებოდა, გაისმოდა მდინარის ერთხელ, ოდესღაც დაწყებული და შეუწყვეტელი უსასრულო ჩხრიალი.

გამოჩნდა სინათლე, კვამლი, ქარხანა, შენობები და ალავერდის სპილენძის საბადოები.

ართინი იცქირებოდა ვაგონის ფანჯრიდან, ყურს უგდებდა ორთქლმავალს, და ასე, ხან მთელუმარე, ხან მღვიძარე გასცდნენ კიროვაკანს, ლენინაკანს, შემდეგ კი გადაიშალა არაბატის ვრცელი ველი.

ერევანში შევიდნენ.

არა ეს სიზმარი არ არის... სომხეთი სიზმარი არ არის!..

ართინი გადავიდა მისთვის განკუთვნილ ბინაში. პირველი ადამიანი, რომელსაც ართინი დაელაპარაკა, ეს ერთი ახალგაზრდა იყო. შეეკითხა:

— არ იცი, სად არის ამ უბნის ლუთროსის სახლი?

ახალგაზრდამ, რომელსაც ავტომანქანის ლანჩა ილლიაში ამოჩრილი ჰქონდა, და ეტყობოდა, რაღაცაზე გაბრაზებული იყო, ნახევრად უხამსად, ნახევრად ხუმრობით მიუგო:

— ამდენი რამე რომ ვიცოდე, დავებრდებოდი, პაპაჯან!

ამ დროს მისი ვაჟები ესაუბრებოდნენ ერთ სტუდენტს.

— აქ მოდი, მამა, ჩვენ ყველაფერი გავიგეთ.

მეზობელმა ქალმა ვეებერთელა ჩაიდანი მოიტანა ცხელი წყლით, ხოლო მისმა შვილიშვილმა ჭიქები და შაქარი.



— მობრძანდით, ისიამოვნეთ!

ბი — გმადლობთ! — უთხრა ართინმა, — ჩვენც გავხდით სომხეთის შვილ-  
გინგლონიძეებს

— ეს ძალიან კარგია, აბა, რა?

— ჩვენი ოთახი ცოტა... წამოიწყო ართინის ცოლმა.

— სახლიც გექნებათ და კარიც. — გაიცინა მოხუცმა ქალმა, — ჩვენ აივნის ქვეშ ვცხოვრობდით. ახლა კი, უყურეთ, როგორი ბინა გვაქვს.

დაანახა თავიანთი ბინა მეორე საართულზე.

— ჩემი შვილი ქარხანაში საამქროს ოსტატია.

ართინმა და მისმა ცოლმა თავი გააჭნიეს.

მათთვის ეს გაუგებარი იყო, მაგრამ მაინც ისე გაიგეს, რომ მოხუცმა რა-  
ღაცა კარგი თქვა.

პირველი საქმე სახლის აშენება იყო. თავის ვაყებთან ერთად უნდა შესდ-  
გომოდა სახლის აგებას. სესხი, მიწის ფართობას მიღება, საშენი მასალის შოფ-  
ნა. ამოცანა იმით რთულდებოდა, რომ ართინს ორსართულიანი, მრავალთაბი-  
ანი სახლის აშენება სურდა. თავისთვის და ცოლისთვის, ყველა ვაყისათვის, მა-  
თი მომავალი ცოლებისა და შვილებისათვის.

მეორე დღეს ქალაქში გავიდა. გაეშურა გადმოსახლების კომიტეტისაკენ,  
სადაც უნდა მოეგვარებინა თავიანთი სახლის საქმე და უნდა გაეგო, თუ ვის-  
თვის მიემართათ ყველა საჭირო საკითხისათვის.

ართინმა, რამდენადაც შეეძლო, სწორად წელში გამართულად დაიწყო სი-  
არული. ის სომხეთის დედაქალაქის დათვალეირებას შეუდგა.

დაუცხრომელი სურვილი, შეუნელებელი მისწრაფება აღნთო გულში არ-  
თინს რათა შეჭრილიყო ქალაქში, უცბათ შემოეველო, ყველაფერი ერთბაშად  
ენახა, მაგრამ, იმავე დროს, სხვა ვნებებიც წვაგდა მას, კომიტეტისაკენ მიეჩქა-  
რებოდა. სახლი... სახლი უნდა ააშენოს. იქ, ოცი წლის განმავლობაში, სიზმარი  
იყო. ახლა მას სურდა ენახა თავისი მომავალი სახლის ადგილი, მიწა...

ქუჩა, რომელზედაც მიდიოდა, მთლიანად დანგრეული იყო, ძველი შენო-  
ბების ნანგრევებზე ახალი მრავალსართულიანი სახლები შენდებოდა. ხუროების  
ჩაქუჩების ხმა, სატვირთო მანქანათა გუგუნო, კალატოზების გადაძახილები ზე-  
მოდან, ქვემოდან — ყველაფერი ეს აცოცლებდა იქაურობას.

ქალაქი გუგუნებდა ათასობით მანქანის, ტრამვაისა და აღამიანთა ხმაური-  
საგან.

ართინმა პირველსავე კვირადღეს შვილები ქალაქის დასათვალეირებლად  
გამოიყვანა. როდესაც სტალინის პროსპექტზე გამოვიდნენ, მან ხელი ასწია.

— ერთი წამით გაჩერდით!

ის ამყად შეტრიალდა, ჯერ ზევით აიხედა, თვალთ მოზომა, მერე ქვევით  
გაიხედა, ჩაფიქრდა თითქოს რაღაც გადაწყვიტა და განაგრძო გზა.

ცოტაოდენი მანძილის გავლის შემდეგ მის წინ მარჯვენა მხარეს დიდი  
სიღინჯით გადაიშალა ერთი დიდებული შენობა.

ასეთი შენობა მთელ სირიაში არ ენახა, არც ქილისში. ართინს მოეწონა  
შენობის მკვრივი და მძიმე, მკაცრი და ამყი შესახედაობა, თითქოს თვითონ დი-  
დება მოსულიყო სიკეთის სახით და მოედანზე გადაშლილიყო.

შვილებმა მაშინვე გაიგეს, რა შენობაც იყო იგი. ეს იყო ოპერის თეატრი.  
აუხსნეს ართინს. კარგად ვერ გაიგო, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის

იყო, რომ მისი მშობლიური სახელმწიფო იმდენად მდიდარი იყო, რომ ასეთ მარადიულ შენობებს აგებდა.

მიიწვედა წინ ართინი და ღელავდა. აღფრთოვანებული იყვნენ ვიღაც ვიღაცე-  
 თონაც მონაწილეობდა ამ შენობათა აგებაში. ეს ყველაფერი მისი სამშობლო  
 იყო. გაიარეს ბაღები, ზევით ავიდნენ, — აგერ მრგვალი ქუჩა. შემდეგ აბოვიან-  
 ნის ქუჩით უფრო მაღლა ავიდნენ. აქ ტუფის ერთი შენობის წინ ახალგაზრდებს  
 თავი მოეყარათ.

— მამა, ეს ჩემი უნივერსიტეტია. — წარმოთქვა სერობმა.

— კარგია. ღირსი იყავი ამისი, შეილო! — ოხერით შეანელა ართინმა თავისი მღელვარება.

— მამა, ქვეითად სიარულით ჩვენ შორს ვერ წავალთ... ტრამვაიში ჩავსხ-  
 დეთ. — თქვა არამმა.

ტრამვაიში ჩასხდნენ და ორჯონიკიძის პროსპექტისაკენ გაემართნენ.

ეს უზარმაზარი ქალაქი სავსე იყო ხალხით.

ართინი უკვე ვეღარ იხსომებდა, რა ქუჩები გაიარეს, რა შენობების სახელები  
 გაისმა. ქარხნების უბანში შევიდნენ. ასობით ქარხანა იკვამლებოდა და ამ  
 კვამლით ფარავდა არაბატს. ართინს გულზე მძიმედ აწვებოდა შენობების ეს  
 დიდი მასა და ის ძლევამოსილება, რომლითაც ისინი შენდებოდნენ და მრავ-  
 ლდებოდნენ. ყოველივე ამაში მან იგრძნო რაღაც ცუცხლი, სიჩქარე. ელვისგ-  
 ბური სისწრაფით დაჰქროდნენ მანქანები. ქშენით აჩქარებულად, ერთიმეორეს  
 გასწორებით დადიოდნენ ადამიანები, ხმაურობდნენ ჩაქუჩები.

ქალაქს ეჩქარებოდა, მშენებლობის დაუღეგარი ნებით აღჭურვილი წინ  
 მიჰქროდა.

ართინის გული ძლიერებით აღივსო. იგრძნო სახელმწიფოს უდიდესი  
 ზრუნვა — მშენებლობა შეუჩერებელი, დაუსრულებელი მშენებლობა.

— ასე გამოდის, ყველაფერი გვერინია! — დასკვნა ართინმა. ამ მდიდარ-  
 მა შთაბეჭდილებებმა ძალზე იმოქმედეს ართინზე. ის იმასაც მიხვდა, რომ  
 ერთი შემოვლით ვერ შეძლებდა მთელი ქალაქის გაცნობას. გადაწყვიტა, შემ-  
 დეგ შემოეარა ქალაქი და საფუძვლიანად გაცნობოდა ყველაფერს.

შინაგანად მას ერთი რამ აღელვებდა, — სახლის აშენების წადილი. არ-  
 თინმა ჩააბარა განცხადება ქალაქის გარეუბანში მიწის ფართობის მისაღე-  
 ბად. ართინს გამოუყვეს მიწის ნაკვეთი. როდესაც ის ვაყებთან და მიწის მშო-  
 მელთან ერთად ამ ნაკვეთის სანახავად და მისაღებად წავიდა, ართინმა დიდხანს  
 ათვალიერა ეს მიწა.

— კარგია, კარგი, ყველაფერი კარგად მოგვარდება. — აღფრთოვანა მან  
 შეილები.

ართინმა მიდამო შემოიარა. გამხმარ, ჩაყვითლებულ ბალახებსა და ქვებ-  
 ზე მის წინ ხელიკმა გადაირბინა. ართინი ნაკვეთს კარგა ხანს ათვალიერებდა.  
 გრძნობდა, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო, ეს იყო მისი მომავალი სახ-  
 ლის ადგილი.

დაიხარა, ერთი მუჭა მიწა აიღო, თითებით გასინჯა, დაფშვნა, ძირს  
 დაყარა და შეილებს მიმართა:

— აჰა, მოვედი სახლში. მე ვნახე ჩემს სახლს, სამოთხედ უნდა გადავაქ-  
 ციო აქაურობა.

მეორე დღეს, როგორც ბრძოლაში გასულები, დიდი მონღომებით შეუდ-  
 გნენ ნაკვეთის გასუფთავებას. ოსტატებთან ერთად დაიწყეს მუშაობა. საძირ-

კველი ჩაუყარეს ექვსოთხიან ორსართულიან სახლს. საყარმიდამო ნაკვეთიც მოუზომეს. წყალიც გამოიყვანეს და დაამუშავეს მიწა, ბოსტანიც გააშენეს. თავდაპირველად ყველაფერი ძნელი და მძიმე იყო. მაგრამ ვერაფერმა შეაფერხა ის. საშენი მასალა, მუშა ხელი, არაფერი არ ზღუდავდა მას. ართინ-სათვის შეუძლებელი არაფერი არ იყო. ის მტკიცედ, ჯიუტად, თავდავიწყებული შრომით აგებდა სახლს.

დიდიდან ის უკვე სახლის მშენებლობაზე გადიოდა.

ერთ დღეს ართინი არაჩვეულებრივ განწყობილებაზე იყო. პირველი სართულის კედლები დამთავრებინა და თავის თავს ელაპარაკებოდა. შვილები უცქეროდნენ მას. ერთმანეთს თვალთ ანიშნეს. ართინმა სახლს ირგვლივ შემოიღარა, ყოველი მხრიდან ათვალერებდა, ხან ახლოდან, ხან შორიდან. თვალთ მოზომა სახლის ერთ კუთხეში ჩამჯდარი ვეებერთელა ქვა. დიდხანს, დიდხანს უყურა და ბოლოს თქვა:

— ეს ქვა ლიუტფი-ბეიზე დასადები ქვა არის! მე მან გამომასახლა ჩემი სახლიდან, მან გაანადგურა ჩემი კერა, ის კი, მეორე, — და მან მიუთითა მეორე კუთხეში ჩასმულ ქვაზე, — შერიფ-ბეიზე დასადები ქვა არის. მან ბორკილები დამადო, სასიკვდილოდ გამგზავნა. ეს პირველი სართული ჩემს მტრებზე არის ამოყვანილი. აი, შეხედეთ, ამ ქვების წყებას. მათ ქვეშ ალუპოში დარჩენილი ჩემი ცხოვრებაა. ამ წყების ქვეშ აზუზია. საერთოდ კი, ყველაფერი ამის ქვეშ დაეასამარე, კლდოვანი და ნარეკლიანი გზა, გალიბოლიდან ქილისამდე განვილილი. ეს სახლი ჩემი შურისძიების სახლია!

მამის უცნაურ სიტყვას შვილები ლიბლით უსმენდნენ. ტანში ყრუანტე-ლი იგრძნეს. ართინის თვალები ნაპერწყლებს ყრიდა, დანაოკებული სახე მოლუშული და პირქვეში ჰქონდა. ართინი თავის სულში დაგროვილ ბრახს ანთხევდა, წყველიდა მზაკერული წარსულის ისტორიას.

— დააწყეთ ქვები, დაე ქვეშ დარჩეს, რაც განვიცადეთ და გადავიტანეთ! — დიდმნიშვნელოვნად წარმოთქვა მან.

ამ დღეს ჩუმად და გულჩათხრობილად მუშაობდნენ. ართინის სიტყვებმა იმოქმედეს მის შვილებზე.

გავიდა დღეები და სახლი საკმაოდ ამალდა. ერთი ოთახი სასწრაფოდ დაამზადეს და ოჯახი მაშინვე შესახლდა. ეს იყო მრავალი ავეჯით გადატვირთული, მაგრამ კარგად მოწყობილი ოთახი. მისი ფანჯრები გადასცქეროდნენ არარატს. ამ ფანჯრებიდან ართინი ველ-მინდორს გასცქეროდა და ოცნებობდა. გულში უკვე განაწილებული ჰქონდა ოთახები, დერეფნები, სარდაფისა და სამზარეულოს კუთხეები შვილების და მათი მომავალი ოჯახებისათვის.

სახლის სრულ დამთავრებას ჯერ ბევრი რამ აკლდა. მისი ოცნებით წარმოდგენილი სახლი ჯერ მზად არ იყო. და ართინი მღელვარედ განაგრძობდა შენებას. მაგრამ ამ შეუწყვეტელი მუშაობის დროს ართინის შვილები — სერობი, არამი, ატომი თავიანთ საქმეს შეუდგნენ. სერობი უნივერსიტეტში შევიდა, არამი — ადგილობრივ საფეიქრო ფაბრიკაში, ატომი სკოლაში მასწავლებლად მოეწყო. შინ დარჩა მხოლოდ უმცროსი შვილი, მაგრამ ისიც სადილობამდე შინ არ იყო ხოლმე. სახლის დამთავრებას საფრთხე მოელოდა, რადგან მანამდე კალატოზებთან ერთად ყველა მუშაობდა, ახლა კი მხოლოდ თავისუფალ დროს შეეძლოთ მუშაობა, ართინის შვილები კი თავდავიწყებით მიეცნენ თავიანთ საქმიანობას. დრო აღარ რჩებოდათ, რომ სახლის მშენებლობაზე



ემუშავათ. და, აი, ერთ დღეს, ახალი ამბავი გაიგო ართინმა. სერობმა განაცხადა, რომ მას უნივერსიტეტში ასე შორიდან სიარული არ შეუძლია, განცხადება შეიტანა, რომ საერთო საცხოვრებელში მოაწყონ.

ართინს ეწყინა, გაუკვირდა კიდევ.

— სადა გაქვს ჭკუა. სახლი არა გაქვს თუ? დავამთავროთ და ნახე რა სახლი გვექნება!

— ხანდახან მაგვიანდება, მამა! — გაიმართლა თავი სერობმა.

— დროებით გამოდი უნივერსიტეტიდან. დავამთავროთ სახლი და მერე განაგრძე სწავლა.

— არა, მამა, არ შემიძლია. — მიუგო სერობმა.

— ექ, რამდენ წელიწადს უნდა დარჩე იქ?

— ხუთ წელიწადს.

— ბარემ ისა თქვი, შენს სახლში სულ არ ვიცხოვრებო!

— ეგ აღარ ვიცი, მამა, უნივერსიტეტს კი ვერ მივატოვებ, გესმის?

— ეს როგორ შელაპარაკება?

ართინმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მას უნდოდა შეიღსაც ესწავლა, ეს ხომ მისი ძველი ოცნება იყო, და სახლიც აეშენებინა.

დაეთანხმა ართინი ვაქს, მაგრამ დარღმა შეიპყრო. მისი სახლის ბურჯი „გარეთ“ მიდიოდა. ის ასე არ ვარაუდობდა.

სერობი ქალაქში გადასახლდა, საერთო საცხოვრებელში მიიღო თავისი კუთხე. მხოლოდ კვირადღეობით მიდიოდა შინ, ხანდახან ვერც ამას ახერხებდა.

ართინს ერთი მუშახელი დააკლდა. სახლის მშენებლობის საქმე, ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა, — არც ამან გასტანა დიდხანს.

ერთ დღეს არამი და ატომი გვიან დაბრუნდნენ შინ. ართინი მთელი თავისი არსებით ჩაფლული იყო სახლის მშენებლობის საქმეში. მუშაობისაგან დღემუდამ მტკერში და ტალახში ამოსვრილი იყო. ამავე დროს, ძალიან დელადა, ბრანობდა კიდევ შეილებზე, რადგან ისინი, თუნდაც დაღლილნი, იმის ნაცვლად, რომ მისულიყვნენ მამასთან, ეციობნათ საქმის ვითარება, დახმარებოდნენ, წაემუშავნათ მასთან ერთად, ერთმანეთს ეკამათებოდნენ ვილაც კანდიდატის შესახებ, რომელიც მათი რაიონის მიერ იყო დასახელებული. იმდენად შეპყრობილნი იყვნენ თავიანთი საკამათო საგნით, რომ მთლად მივიწყებოდნენ სახლი.

— ველარ დაამთავრეთ კამათი? შეუდექით საქმეს.

— მამა, ვისადილებთ თუ არა, მაშინვე საქმეზე უნდა წავიდეთ.

ართინს გაუკვირდა. ისე ღრმად შეუპყვრია ისინი ახალი ცხოვრების ფიქრებს, რომ მთლად დაივიწყეს სახლი.

— სხვა დროს წახვალთ. საქმე არსად გაგქცევთ! — მიმართა შეშფოთებულმა ართინმა.

— აუცილებლად უნდა წავიდე, დღეს გაკვეთილი გვაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, — უპასუხა ატომმა.

— ესე იგი, სახლი მივაგდოთ?!

— არა, მამა, არ მივაგდებთ, მხოლოდ... იცი, მამა, რომ არ წავიდე, არ შეიძლება, მოვალეობაა! — აუხსნა ატომმა და სერობს მიმართა, — გაკვეთილის შემდეგ კრებაა. მე შეჩქარება.

— ასეა, მამა, დრო არა გვაქვს!

დრო არა გვაქვს...

ართინს ისე ეგონა, თითქოს ვიღაცას ხელი ჩაუვლია მისი. შეტყობისათვის და სადღაც მიჰყავს. სულ ახლახანს, ამ ქალაქის საქმეებთან ჩემი ვაჟები არაფრით არ იყვნენ დაკავშირებული, არც მისი ცხოვრების მონაწილენი ყოფილან. არც მოვალენი მის წინაშე, ერთადერთი ფიქრი გააჩნდათ მხოლოდ, სახლის აშენება. ეს იყო მათი მთავარი მიზანი. ახლა კი სულ სხვა საქმეებს შესდგომიან, სახლის დამთავრებაზე აღარ ზრუნავენ. ფიქრობდა ართინი.

მაგრამ შეილებს არ უნდოდათ მამისთვის ეწყენინებინათ, რაც მთავარია, ეწინააღმდეგებოდნენ არა მხოლოდ მამის აზრს, არამედ მის აზრს ახერხებდნენ დახმარებოდნენ მას სახლის დამთავრებაში.

ართინი იძულებული შეიქნა შეტყუებოდა ახალ გარემოებას. სახლიც მთავრდებოდა — სართულები აყვანილი იყო, მხოლოდ ხე-ტყე არ იყო მთლიანად მოზიდული.

ართინი დილაადრიან შეუდგებოდა საქმეს, გულში ღიღინებდა, თავის-თავს ელაპარაკებოდა. განგრძობდა ერთ რომელიმე ქვის წინ, დაფინებით და-აკეჩრდებოდა და მერე იტყოდა ხოლმე:

— ქვაო, რამდენი ათასი წელიწადი უნდა დარჩე ასე?

ანდა კარის კამარას შესცქეროდა და ეკითხებოდა:

— შენი კამარის ქვეშ რამდენმა თაობამ უნდა გაიაროს?

შეილები იცინოდნენ, მაგრამ უხაროდათ კი მამის ბედნიერება.

როდესაც კვირაობით მთელი ოჯახი ერთად მოიყრიდა თავს, თავისებურ ცხოვრებას იწყებდა თავისი გარდამავალი ადამიანებისა და ჩვეულებებით. ოცნებობდნენ და საუბრობდნენ მომავალზე, მომავალი კი ართინისათვის საყვარელი თემა იყო. ის არ მალავდა თავის გულის ფიქრს, თავისი ვაჟების დაქორწინებას, ცალ-ცალკე ოთახებში მოწყობას და ერთ დიდ ოჯახად შეერთებულ ცხოვრებას.

ეს იყო ართინისათვის ერთადერთი, როგორც მას ჰქონდა წარმოდგენილი და თამამად შესასრულებელი, ცხოვრების ფორმა, რაშიც მას არავითარი ეჭვი არ ებარებოდა. ამ ნეტარების წუთებში ის ვერ ამჩნევდა თავის შეილებში წარმოსობილ ცვლილებებს. პირველ ყოვლისა ართინი ვერ ხვდებოდა იმ დამილის მნიშვნელობას, რომლითაც ერთმანეთს თავიანთ აზრს გადასცემდნენ ხოლმე შეილები. როდესაც მათი მამა ლაპარაკობდა სახლის, მომავალი რძლების, შეილიშვილებისა და ერთიანი ოჯახის შესახებ, შეილებს არც მამის წყენინება უნდოდათ რამე შენიშვნის მიცემით იმ ახალი ცხოვრების შესახებ, რომელშიც შეიქრნენ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

და მართლაც, მათი ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა. დღის მეტ ნაწილს ოჯახის გარეთ ატარებდნენ. ყველანი შეპყრობილი იყვნენ ახალი საქმეებით, ახალი ფიქრებით. გრძობდნენ და ესმოდან, რომ ახალი სამშობლოს დედაქალაქში, მის გარეუბნებში, მათ დიდ სამშობლოში ვრცელ ზღვაავით უსასრულო გამზდარიყო დიდი ცხოვრება, რომლის შესახებაც, დღემუდამ ლაპარაკობდნენ.

ართინი ავებდა თავის სახლს ხალისიანად და დამშვიდებულად. არ ერეოდა თავისი შეილების საქმიანობაში. ის ელოდა შეილების დაგეგმვას. სულ მალე ისინი შრომას უნდა შესდგომოდნენ, კაცად გამზდარიყვნენ. ეს სრულდებოდა, მაშასადამე, ყველაფერი რიგზე მიდიოდა. მასაც შეეძლო მიეხედა სახლისათვის, მეთაურობა გაეწია.

სახლისადმი ასეთ თავყვანისცემას, რაც შეილები სათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ სირიაში ყოფნის დროს, რაღაც დიდი დარბაისლური მნიშვნელობა ჰქონდა, ეს მათაც იპყრობდა. უცხო მხარეში სახლი თითქოს ის ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა განმარტობა, შემოზღუდვა, ყველასაგან მოწყვეტით ცხოვრება. სახლი თითქოს ის ციხე-სიმაგრე იყო, სადაც შეეძლო თავი დაეცვა ამდენი მტრისაგან. სახლი ისეთ ადგილს წარმოადგენდა, სადაც ყველაზე უფრო თავისუფალი იყო გარემო სამყაროსაგან ყველა თავისი ჭეჭირთასესი და საყვარელი საგნებით. ბოლოსდაბოლოს, სახლი მისი ერთადერთი საკუთრება იყო, მისი სახელმწიფო, სადაც თავისუფლად შეეძლო ფიქრი, დამოუკიდებლად ცხოვრება.

იქ სახლს სხვა შინაარსი ჰქონდა, სხვა იყო მისი დანიშნულება.

მაგრამ აი, როცა მოვიდნენ ერევანში და ეს სახლი ააშენეს როგორღაც სივიწროვე იგრძნეს.

პირველ ხანებში ართინი თავის მეზობლების კარ-მიდამოდან თითქმის შორს არსად გასულა, მაგრამ უკანასკნელ ხანს დაიწყო მეზობელ უბნებში და ქალაქში გასვლა. ის აკვირდებოდა, ხედავდა ახალ ადამიანებს, „თავისი სომხეთის“ მცხოვრებლებს. ყველა მოვლენა მისთვის ახალი იყო, საქმიანობა — საინტერესო.

ერთხელ ის ესტუმრა თავის ნათესავს, რომელსაც სახლი მიეღო შარავნაზე გაშენებულ უბანში. ამ მშვენიერ სახლთან ერთად მიეღო აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთიც პატარა ბაღით. ტკბილად საუბრობდნენ ისინი. და, აი, მის წინ ჩაიარა ჯარის ნაწილმა. ისინი შეეგერეშნენ, შეთვალწარბა კაბუყები იყვნენ. მიიძღვროდნენ, მიდიოდნენ სავარჯიშოდ.

ართინს თვალები გაუბრწყინდა, გაშტერდა. მოეწონა ჯარისკაცთა მხედრული შემართულება, განწყობილება.

თვალები ცრემლით ავესო, ცრემლთა წვეთებში გადატეხილი ჯარისკაცთა ნელი რხევა, ფეხის დარტყმის ხმა, სილალე და არაფრად ჩაგდება ყველა სიძნელისა თუ წინააღმდეგობისა, ძალა, ის მშვენიერი ძალა, რომელმაც გაანადგურა მტერი და კვლავაც გაანადგურებს, სინამდვილეში დაინახა ართინმა. ეს თავის დიდ სამშობლოში ხდებოდა.

ბევრი რამ უამბო ართინს ნათესავმა, რომელსაც მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ახალი ცხოვრების დანახვისა.

— უნდა გითხრა, აქ ყველაფერი ხალხს ეკუთვნის, — თქვა ართინის ნათესავმა და ღიმილით საუბე თვალებით მიაჩერდა. — რას იტყვი?..

კარგა ხანს ერთმანეთს ასე უცქეროდნენ, უცბად ორივეს გაელიმა.

— გაუგონარი რამეები ენახეთ, მაშ!

— ხალხის ნებაა. როგორც ხალხს მოესურვება, ისე უნდა ვიცხოვროთ.

ერთხელ, კვირა დღეს, სადილობის დროს, როდესაც ართინი და მისი შვილები, როგორც მუდამ, მხიარულ გუნებაზე იყვნენ, ართინმა თქვა:

— აშენდა ჩვენი ოჯახი, სახლი დაედგით!

ამ სიტყვებმა ღიმილი გამოიწვიეს ართინის შვილების სახეზე. მათ ერთმანეთს დიდმნიშვნელოვნად გადახედეს და გაჩუმდნენ. ართინმა იგრძნო, რომ რაღაც აზრმა გადაირბინა მათ გონებაში.

სათითაოდ დააცქერდა თვალებში და გაილიმა.

— დამცინით, არა? არა უშავს-რა!

— გეიხარია, მამა! — ატომმა სცადა დაეფარა ეს დაცინვა.

— სახლი დავიდგით! — ხაზგასმით გაიმეორა ართინმა თავის ქნევით და მღუმარედ დააცქერდა იატაკს. — სახლი! — გაიმეორა მან ცოტა ხნის შემდეგ. თითქოს ამით თავის თავს გამოეხმაურაო. — ნეტავი თქვენ, რომ ჩემსუკე შეტყაანხუნდა იცხოვროთ ამ სახლში! — დაუმატა ნატვრით.

— მაგას ნუ იტყვი, მამა, — უპასუხა სერობმა, — ამ სახლში ჩვენზე მეტხანს შენ უნდა იცხოვრო!

— რატომ? — გაუკვირდა ართინს.

— იმიტომ რომ ჩვენ აქ სტუმრები ვართ. დღეს აქა ვართ, ხვალ ვინ იცის, სად ვიქნებით!

— ხვალ სად უნდა წახვიდეთ? — წყნარად, მაგრამ შინაგანი მღელვარებით შეეკითხა ართინი.

ეს საუბარი ხუმრობად რომ ჩაეთვალათ, ატომმაც და არამმაც გაიციინეს. მათ ამით უნდოდათ სერობის ნათქვამის პირდაპირობა შეენელებინათ. რადგან გრძნობდნენ, რაც მოჰყვებოდა ამას.

— სერიოზულად ილაპარაკეთ, გამაგებინეთ რამე. რას ხარხარებთ? — შემფოთდა ართინი.

— ეს შენი სახლია, მამა, — თქვა სერობმა. მას კეთილი ღიმილი არ შორდებოდა სახიდან, რომ განწყობილება არ გაეფუჭებინა.

— აქ შენ იცხოვრებ, ხოლო ჩვენ, ვინ იცის, სად ვიცხოვრებთ! მე მასწავლებელი ვიქნები, — სადაც გამგზავნიან, მოვალე ვარ, წავიდე, ესენიც ასე!

ართინს თითქოს ღრმა ძილისაგან გაეღვიძაო. გადახედა სერობს, თავი გაიქნია, ხმა არ ამოუღია. ჩუმად შეექცეოდა სადილს.

მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მისი შეილება სულ სხვა სიციცხლით სუნთქავდნენ, რომ ისინი შეპყრობილი იყვნენ უფრო დიდი და აზრიანი ცხოვრებით, რაც დულდა მათ უბანში, მეზობელ უბნებში, შორეულ სოფლებში, ქალაქებში, მთელ ქვეყანაზე.

მოიწყინა ართინმა, რამდენს ნატვრობდა საკუთარი სახლის აშენებას, როგორ მოისწრაფოდა, ჰქონოდა იგი, ბოლოსდაბოლოს მიაღწია მიზანს, და აი, ეს სახლი უკვე კარგავდა თავის მნიშვნელობას.

მამ რა გამოდის, სახლი მხოლოდ თავისთვის აიშენა? კი, მაგრამ მან ხომ ეს სახლი შეიღებინათვის ააშენა, რომ ყველას განუყრელად ერთად ეცხოვრათ, გამრავლებულიყვნენ და განეგრძოთ თავიანთი გვარი შორეულ მომავალშიც?!

ერთ დღეს, როდესაც მისი შეილება უკლებლივ შინ იყვნენ, ართინმა შეამჩნია, რომ ისინი რატომღაც განცალკევდნენ. თვითონ ბოსტანს ბარავდა, შეილება კი, ოთახში იყვნენ. არამმა განაცხადა თავისი გადაწყვეტილება, ლენინაკანში გამგზავრებულებო და საფეიქრო ფაბრიკაში შესულიყო.

— სულ ერთი არ არის აქაც ხომ არის საფეიქრო ფაბრიკა? — შეეკითხა ართინი.

— აქაც არის, მაგრამ აქაური მანქანები ჩემს გამოგონებას ვერ უპასუხებენ. — განმარტა არამმა. — ჩვენმა ინჟინერმა გამაცნო ლენინაკანის მანქანა — იარაღების სისტემა. იქ შემიძილა დავამთავრო კიდევ ჩემი გამოგონება!

— ნუ გაუშვებ, სად უნდა წავიდეს. უცხო ადგილი თუ უნდოდა, ხომ ვიყავით უცხოეთში! — თქვა დედამ.

— ლენინაკანი უცხო არ არის, დედა, — ღიმილით მიუგო სერობმა.

— ასეა! — მწარედ თუ სინანულით თქვა ართინმა. — ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ეს კი აზრად არ მომსვლია. ასეა, ასე, უნდა წავიდეს ცოლი განერვიულდა.

— გენაცვალეთ, ეს რა ხდება. სახლი ჯერ დაუმთავრებელია, ესენი კი უკვე სხვა სახლებში იფანტებიან!

— ასეა, ასე! — განაგრძო თავისი აზრი ართინმა. მას არც კი ესმოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „ასეა“: კარგს თუ ცუდს.

სერობი, რომელმაც შემრიგებლის როლი იკისრა, მასწავლებელივით დარიგებით უხსნიდა:

— მამა, ჩვენ აქ საქმისათვის მოვედით და არა შინ დასაჯდომად. აქ ჩვენი სამშობლოა. საქმე ბევრია. განუწყვეტლივ უნდა ვიმოქმედოთ, რომ რამე მოვასწროთ, ჩვენ იმას ვაკეთებთ, რასაც გვასწავლიან ლენინი და სტალინი!

— ლენინი? სტალინი? — წაიჩურჩულა ართინმა, თითქოს რამე შეცდომა ჰქონდა დაშვებული თავისი სურვილის წინააღმდეგ, და მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა და მიხედაო, — თქვენი ნებაა, თქვენ მართალი ხართ!

და რწმენით, სასიკეთით, თითქოს წყდებოდა მისი ცხოვრების მთავარი ამოცანა, თქვა:

— ძალიან კარგი, შეილებო, წადით და, რასაც გვასწავლიან ლენინი და სტალინი, ის აკეთეთ.

სერობმა ოდნავ გაიღიმა, მერე მივიარდა მამას და გადაეხვია.

— ასეა, ასე მამა. — გულთბილად მიუჯო სერობმა, — სახლი სამშობლოა და არა ეს! — და მან მიუთითა თავიანთ სახლზე.

არამი, რომელსაც აქამდე უღვაწებში ეღიმიებოდა, წინ წამოდგა.

— მამა, მე არ ვმორიდები ჩვენს სახლს. მე მივდივარ, მაგრამ მაინც შინ ვრჩები!

— აგრეა, აგრე — ოდნავ მოტეხილად თქვა ართინმა, — ქვეყანა ახალია, უნდა გავყვეთ ახალს!

— ეეჰ. მე თქვენთვის ავაშენე ეს სახლი და თქვენც ჩემთვის ააშენეთ ნამდვილი სახლი. იცოცხლეთ, თქვენებურად იყოს, სახლი — სამშობლოა!

და ართინმა იგრძნო, რომ სახლი, ის სახლი, რომლისათვისაც ის სამშობლოში მოვიდა, და ააშენა, მის თვალში შოიკვალა, სულ სხვა რამედ გადაიქცა. ღფრო სწორად რომ ვთქვათ, ღრმა შინაარსი მიეცა, ის დიდ სამშობლოს შეუერთდა.

ამ გარეუბნის მალღობებში თუ ავიხედავთ, შეგვიძლია ართინის სახლის დანახვა. არავითარი გარეგანი სამკაულები, არავითარი ბრწყინვალეობა, ის სადაა, წითელი ტუფით აშინებული სახლია. შეიძლება ვერც კი შეამჩნიოთ და გვერდში ჩაუბროთ, მაგრამ ეს ართინისათვის, ართინისავე ხელით დაწერილი ერთგვარი ისტორიაა. ართინს მასში ჩაწერილი აქვს მთელი თავისი ცხოვრების სურათები. ქვის წყებები სტრუქტურებია, იეროგლიფები, ართინისათვის დაუვიწყარი. სდებდა თვითუღლ ქვას და ართინი აღნიშნავდა ზოლმე რისთვის და ვისი მოგონების დასაფარავად, დასამარხად სდებდა მას, როდესაც იწყებდა ახალსა და ფართო ცხოვრებას.

ეს მისი გამარჯვების სახლი იყო.

სილვა კახეიძის

# ს ა ა თ ი

ციკლიდან „კახოვას მშობრავთა“



დღეს მორიგის მაგიდაზე  
და ტიკტიკებს ეს საათი,  
ვესტიბულში რომ შემოვალ,  
მზიბლავს მისი მასლაათი.

მე უმაღვე მას შევხედავ,  
საათია თუმცა სადა,  
„ერევანი“ აწერია,  
ერევანმა დაამზადა.

მეგობრები აღარ ჩანან,  
ქრიაპული მიწყდა მათი,  
ვერც მორიგეს ვხედავ თითქოს,  
დავრჩით მე და ის საათი.

— მეც შენსავით, ერევნელო,  
მე შენი ხმა შემიყვარდა,  
მშენებელთა ამ უბანში  
არვინ არის დღეს ჩვენს გარდა.

სიჩუმეა, სიწყნარეა,  
მარტო ჩვენ ვართ ერევნიდან,  
მოდ, ერთად ვისაუბროთ,  
სომხურად ვთქვა სიტყვა მინდა.

ჩემო თანამემამულევე,  
ასე შორს რამ მოგიყვანა,  
შენთვის ბევრი მაქვს სათქმელი  
ჩემი გულის სიღრმიდანა.

ყოველ დილას, უთენია  
შენ წყარუნებ გასასვლელთან,  
ხალხს აღვიძებ და შენს ხმაზე  
წყება მიდის მშენებელთა.

როცა ვუსმენ კრემლის ზარებს,  
როცა დაჰკრავს თორმეტგერა,  
შე შორიდან შიშით გიცქერ,  
მესმის შენი გულისძგერა.

მეშინია, არ ჩამორჩეს  
კრემლის ზარებს შენი ზარიც, —  
და არ მინდა შეარცხვინო  
საყვარელი ერევანი.

თავმოყვარე თვალთ გიცქერ  
ისე, როგორც საკუთარ ლექსს,  
ორივეს გესურს ვემსახუროთ —  
კომუნისმის დიად საქმეს.

აქ მოვსულვართ სიხარულით  
მშობლიური ერევნიდან  
და ორივეს ერთად გვინდა  
მოვიხადოთ ვალი წმინდა.

არ დავზოგოთ ჩვენი ძალა,  
ჩვენი ხმა და გულისძგერა,  
დიად საქმეს ვანაცვალოთ  
შენ — შენი ხმა,  
მე — სიმღერა.

მე სომხეთის ასული ვარ,  
შენ ერევანს დაიბადე,  
ჩვენ ორივე ერთად ვეტრფით  
ჩვენი ქვეყნის სიდიადეს.

მაგრამ, თუმცა, სულ ერთია,  
სადაც უნდა დაიბადო,  
სომხურადაც, სხვა ენაზეც,  
ერთზე უნდა წერო მარტო.

სულ ერთია, სადაც ვიყო,  
მუდამ ისე უნდა ვწერდე,  
მუდამ ისე უნდა ძგერდე,  
რომ ჩემი ხმა, შენი ძგერა  
კრემლის ზარებს შეუერთდეს.



რომ არ აცდეს წამი — წამსა,  
არ ჩამორჩე ამ დიად დროს,  
რომ პოეტის ყველა სიტყვამ,  
რა ენაზეც არ ითარგმნოს,

მხოლოდ ერთი დაამტკიცოს,  
მხოლოდ ერთი აზრით ეღერდეს:  
წინ იღწვოდეს მომავლისკენ  
და სიმართლეს მსახურებდეს.

გვიანია, ყველას სძინავს  
და მორიგის ჩურჩულს ვესმენ  
თორმეტია. კრემლი რეკავს  
ეს საათიც რეკავს ისევ.

ეუცქერ საათს კმაყოფილი,  
საათია ერევენისა,  
— სულ სიმართლეს მსახურებდე,  
ახლა ღამე მშვიდობისა!..

## მამ, რაგომ არის?



თუ არ მიყვარხარ, მამ რატომ არის  
ეს გაზაფხული ჩემთვის ზამთარიც.  
მამ რად მსურს მთვარის სხივებს  
ეუშვირი..

ან რატომაა ზეცა უძირო,  
თუ არ მიყვარხარ, მამ, რატომ არის?

თუ არ გიყვარვარ, რატომ მხედებინ  
ასე ტკბილად და ალერსიანად,

გზაში რატომ არ მელობებიან  
თოვლი, სახლი და ადამიანი..  
თუ არ გიყვარვარ, მამ, რატომ არის?

თუ ერთმანეთი არ გვიყვარს, მართლაც,  
რა უნდა ცაზე უამრავ ვარსკვლავს,  
ღამიდან ღლეში გადაზრდილს ხიდად,  
სად არის ასე სამყარო მშვიდად,  
თუ ერთმანეთი არ გვიყვარს მართლაც?!



## ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი

ყოველდღე  
 მთელი ქვეყანა გისმენს,  
 ყოველდღე  
 შენი ძახილი გვესმის...  
 შენ დასაუღლები  
 გღვენიან ისევ,  
 აკრძალეს შენი მშვიდობის ლექსი.  
 ჩვენთან  
 ასეთი ხმაც კი მოვიდა  
 სასურველი  
 და სიმართლის მსგავსი,  
 რომ არაგონთან  
 ერთად პაროზში  
 შენ წინ მიგყავდა  
 მუშათა კლასი.  
 შენ თურმე კიდევ  
 ბეკინში ჰქუხდი,  
 მშვიდობა ქუხდა  
 შენს ძლიერ ხმაში,  
 მთელი ჩინეთი  
 იმეორებდა,  
 წინ მიდიოდა  
 „მარცხენა მარშით“.  
 ამბობენ, კიდევ  
 ნიუ-იორკს გნახეს  
 „თავისუფლების  
 ქანდაკის“ წინა,  
 რომელსაც თურმე  
 „თავისუფლება“  
 დაუკარგია დიდხნის წინათ.

და ქანდაკებამ ვედრებით გითხრა:  
 — მიხსენ, ნათელი გადმეჭეა ბინდად...  
 შენ უპასუხე:  
 — მოიცა ცოტაც...  
 ეჭვსას მილიონს მშვიდობა გვინდა  
 გუშინ, გავიგე,  
 შენ კრემლში გნახეს,  
 სადაც მშვიდობის  
 დროშა ანთია,  
 შენ კომუნისტებზე  
 ამბობდი ლექსებს  
 და შენ გისმენდა  
 მთელი პარტია!  
 ყოველდღე მოაქვს,  
 ყოველი მხრიდან  
 შენი ამბავი  
 რადიოს ტალღებს  
 და ქვეყნად ვისაც მშვიდობა უნდა,  
 იმეორებენ  
 შენს ძვირფას სახელს.  
 მხოლოდ ერთი რამ  
 არავის სჯერა,  
 სიმართლეს არ ჰგავს...  
 ხმა რომ დაირხა...  
 შენ თითქოს პოეტს  
 ოცი წლის წინათ...  
 რა საკიროა?  
 შენ ცოცხალი ხარ!

## ბალადა მეთევზეზე



კენჭული კაპრი  
 განთქმულია ზღაპრულ ბუნებით,  
 თვალს ხიბლავს მისი მწვანე მდელო,  
 ზღვის ზვირთთა ნანა!  
 მაგრამ ლეეონას,  
 გულგატეხილს უბედურებით,

მისი მშვენივრით დასატკბობად  
 სცალოდა განა?  
 ვარსკვლავთა ციმციმს  
 შეუძლია მოხიბლოს ცხენი,  
 რომელიც ტვირთქვეშ მილასლასებს  
 წელმოწყვეტილი?



...როცა მოხუც ქალს იხილავდა  
მეთევზე ჩვენი,  
აგონდებოდა საკუთარი  
ღელა კეთილი;

როცა ღელვის დროს  
ტალა ზღვისა აგონდებოდა,  
მას მაშინათვე  
ვანის ტალა აგონდებოდა;  
როცა დაისი იღვებდა  
მეწამულ ცაზე,  
ჩემი სოფელი ცეცხლშიაო —  
ფიქრობდა ასე.

ვარდებს უმზიროს?

ერთ ღამეს, როცა  
დროს დარდიან სიმღერით ჰკლავდა  
(განა სიმღერა,  
კენესა იყო მისი ძახილი),  
ვღაც უცნობი სენიორი  
მოვიდა ზღვასთან,  
ჩანდა, რომ იგი  
მეტისმეტად იყო დაღლილი.  
იმ ტანმორჩილ კაცს  
შუბლი ჰქონდა ვეებერთელა,  
და აბიჯებდა  
ისე ფრთხილად, რიდით და ღელვით,  
თითქოს შიშობდა,  
რომ შემთხვევით არ გაეთელა  
დარდსგაყოლილი მებადურის  
სიმღერა მწველი.

და წეროს ფრთებით  
დაფრინავდა სიმღერა დიდხანს,  
მებადური კი ბუზღუნებდა  
გულამოსკენილი:  
— ნუთუ ეს არის სამართალი,  
რომ ბნელში ზიხარ,  
რომ შენთვის ფიქრობ  
და... არ გაცლის ვიღაც მოცილილი.  
თავს დაგადგება,  
ვით აჩრდილი საბედისწერო,

და რა უყოს ამ ტიალ დარდებს?  
თუმცა ყოველდღე ძალმისდელი  
იდგა ზღვისპირად,  
თუმცა ყოველდღე  
გამწარებით ისროდა ბადეს, —  
ბედნიერების ოქროს თევზი  
ვერ დაიჭირა.

და ღლინებდა მებადური  
მწუხარე სახით,  
პოი, რამდენჯერ ცრემლი ღვარეს  
მისმა თვალებმა,  
თევზივით ცივი იყო მისთვის  
ქვეყანაც, ხალხიც,  
და... ეპყრა ხელში შავი გროში,  
ვით მოწყალემა...

და აღარ გიშვებს,  
შენი დარდი ჩუმად იმღერო!  
უსმენს შენს ტირილს,  
ამ ტირილში ხედავს სიამეს,  
მერე დაცინვით  
გაღმოგიგდებს შაურიანებს.

ჯერ გაჩუმდება,  
შემდეგ ისევ ბუტბუტებს აგრე:  
— „დავტოვე ჩემი მამული და  
წამოველ აქეთ...“  
ღუმს სენიორი,  
სახეს შუქი გადაჰფენია,  
ლურჯი თვალები იმ დალოცვილს  
თუმცა სველი აქვს...

— მღერა?  
— ჰო, ვმღერა,  
— საიდან ხარ?  
— სევანის მხრიდან.  
— შენ ლტოლვილი ხარ?  
— დიახ, მაგრამ ეს რისთვის გინდა? —  
ჯავრობს ლევონა  
და ჯიუტობს რატომღაც დიდხანს,  
მაგრამ რა უყოს  
უცხო კაცის მეგობრულ კითხვას!  
— ბევრი დახოცეს?  
— ბევრი.

— მათში იყენენ თქვენებიც?  
 — ჩემი ძმა იყო.  
 — სად გაიქცნენ დანარჩენები?  
 — აბა, რა ვიცი;  
 დედამიწა ფართოა, ვრცელი,  
 და ბედი ყველა ლტოლვილისა —  
 მძიმე და ძნელი.

უცნობის თვალში  
 სიბრაღის ცრემლები კრთიან.  
 — თქვენ, ამხანაგო, რას გიზმობენ?  
 — ლევონა შქვიან.  
 — გავეცნოთ ერთურთს.  
 ლენინია სახელი ჩემი.  
 სომეხო ძმაო,  
 სულიერად ნუ დაეცემი;

ნუ მღერი ასე,  
 უიმედოდ და ნაღვლიანად...

ჩვენ შენთან ერთად  
 ამ ცხოვრებას  
 შევეცვლით მოლიანად...  
 აღარ იქნება:  
 სენიორი,  
 ნუღლი,  
 თარეში,  
 შენც სხვებთან ერთად  
 დაბრუნდები მშობელ მხარეში.

შენს ახალ სახლში გესტუმრები  
 უთუოდ იმ დროს...  
 თქვა და წავიდა.  
 იმედის ხმამ გააპო ბნელი.  
 უბრალოდ ნათქვამ ამ სიტყვებზე  
 განათდა თითქოს  
 კუნძული კაპრი,  
 იტალია,  
 ქვეყანა მთელი..

როგორც ლტოლვილი კაცის ვული,  
 ღელავს სევანი,  
 ლტოლვილი კაცის, —  
 რომ დაბრუნდა მშვიდობით შინა!  
 მშობელ მიწაზე ცხოვრობს უკვე  
 ჩვენი ლევონა  
 და სახე დიდი ლენინისა  
 მის სახლშიც ბრწყინავს.

ვინ დაივიწყოს  
 მზერა მისი დაუცხრომელი?  
 ვინ დაივიწყებს  
 მის ტიტანურ ბრძოლას და ამბავს?  
 როგორც ლევონა,  
 დედამიწის ყველა მშრომელი  
 ლენინს უწოდებს —  
 იმედს ხსნიას,  
 მხსნელსა და მამას!..

## ორი მოთხრობა

### I. შვილის დაბრუნება

...ფირუზისფერ პორიზონტზე გამოჩნდა ნაცნობი ეკლესიის გუმბათი. ტანკის მეთაურს თვალწინ წარმოუდგა თავისი ბავშვობა, ტკბილი და დაუვიწყარი სურათები, ყოველივე წვრილმანი, შემოდგომის დილით მზის სხივებქვეშ მოლაპლაპე მინდვრები... მოაგონდა ამ გუმბათზე თვითონ რომ აღიოღა ხოლმე მოსახმობად მტრედებისა, რომლებიც ლალად დაფრინავდნენ მის თავზე და თავიანთ ლურჯ ბუმბულს პაერში ფანტავდნენ. ფრთები ნაზად ეხებოდნენ მის სახეს და შორდებოდნენ, რომ მის დაძახილზე ისევ მიფრენილიყვნენ მასთან. მას შემდეგ ათმა წელმა გაწვლო, მაგრამ თითქოს გუშინ ყოფილიყო ყოველივე ეს.

ერთხელ, საზაფხულო გამოცდების დამთავრების შემდეგ, საოლქო ცენტრიდან შინ დაბრუნებისას, ნაცნობ მინდვრებზე რომ მიიბიჯებდა მოუთმენლად და სიყვარულით ავიდა ერთ გორაკზე, რათა იქიდან დაენახა თავისი მშობლიური დაბა, მაშინაც პირველად თვალში ისევ ის გუმბათი მოხვდა, რომელიც იენისის მზის სხივებში თვალის მომკრეხლად ბრწყინავდა.

გარეუბანი გახვეული იყო ცეცხლში. რუხი ფერის ბოლი გადაფარებოდა იქაურობას. ზოგჯერ შენობების სახლების ფანჯრებიდან ენას გამოყოფდა ხოლმე ცაცხლი და ფანტავდა შეკუმშულ ბოლს. მეთაურს ეგონა, თითქოს იწვოდა მთელი მისი ბავშვობა, ტკბილი და ლამაზი, მოგონებებთან ერთად. არასოდეს მშობლიური ქალაქი ასე ახლობელად არ მოსჩვენებია, როგორც დღეს. მან იქ გაატარა თავისი სიცოცხლის ნახევარზე მეტი, იქ დატოვა მოხუცი მშობლები, რომელთა საყვარელი დანაოჭებული სახეები, მისი წარმოდგენით, ახლა გახვეული იყო შავ ბოლში. მოაგონდა ძვირფასი მეგობარი ქალი, რომელიც ცოცხლად იწვოდა ამ ცეცხლის აღში. ტანკისტი შემიზნე ყოველივე ამის გამო თავს დამნაშავედ თვლიდა, თითქოს ის ყოფილიყო მიზეზი მტრის ხელში მახლობელი ადამიანების მწარე ტანჯვისა.

ტანკი თავშესაფარში იდგა, საარტილერიო ცეცხლი ჯერ ისევ გრძელდებოდა. ცა და დედამიწა ზანზარებდა. ისმოდა საშინელი ხმაური, რომლის გამოძახილი შორს, დიდხანს და დაუმთავრებლად მეორდებოდა. მაგრამ მას არაფერი ესმოდა. სალოკო თითით წარბებს იფშენებდა, შუბლზე იშვინდდა ოფლს, რომელიც თვალელებზე ჩამოსდიოდა და გამოხედვას უშლიდა. სუნთქვა თანდათან უძნელდებოდა მიუხედავად იმისა, რომ საკინძი გადაეხსნა.

— როდის შეწყდება საარტილერიო სროლა? რატომ ასე დიდხანს გაგრძელდა? — ლაპარაკობდა ის ნერვული და აცახცახებული ხმით. ამხანაგებმა იცოდნენ მისი ალელვების მიზეზი და დღეს განსაკუთრებით თავაზიანად ეპყრობოდნენ მას.

მებრძოლმა მეტყვიამფრქვევემ დამშვიდება დაუწყო:

— ამხანაგო მეთაურო, ნუ ლელავთ, დამშვიდდით, ჩვენი რიგიც მოვა. განვლო ორმა საათმა, მძიმე და სულშემხუთავმა დრომ. ამ ხნის განმავ-

ლობაში იგი ცეცხლის აღში გახვეულ მშობლიურ ქალაქს უმზერდა, გბილებს აკრატუნებდა. მოუთმენლად მოძრაობდა. თვალწინ ედგა საშენებელი ხეობები, რომელსაც ხედავდა მისი მშობლიური ქალაქის თვითივე სახელმწიფო-ქუჩებისა.

მისცეს ნიშანი. შუშხუნებმა თვალის მომპრელი სინათლე მოაფრქვეეს არემარეს. ტანკები ვეფხვებივით აღმუცდნენ, გამოცვივდნენ ბუნკებიდან, წინ გაემურნენ. აფეთქდა პირველი ნაღმები: ტანკის წინ მტრის ტანკსაწინააღმდეგო იარაღის ტყვიებმა გაიზუზუნეს.

— წინ, პირდაპირ თხრილებზე, — უბრძანა მან მანქანის მძღოლს. ტანკი შებრუნდა და მიმართულება აიღო ფაშისტთა თხრილებისაკენ. მანძილი თვალის თვითივე დახამამებში მცირდებოდა. საფარებიდან რამდენიმე ფაშისტი გამოძვრა. კოშკის მეტყვიამფრქვევის მიერ გასროლილი ტყვიით ისინი ისე დაეცნენ მიწაზე, როგორც ეცემა მთიბავის მოქნეული ცელით სარეველა ბალახი. ტანკი შემოტრიალდა ადგილზე და გასრისა მტრის ჯარისკაცები, ერთმანეთში აირია ხორცი, სისხლი, მიწა და ძვლები. ტანკი ისევ გასრიალდა წინ. აი ქალაქის პირველი ცეცხლწაქიდებული სახლები. ქვემეხის მემიზნის თვალწინ ოპტიკურ სამიზნეში გამოჩნდნენ კვამლისაგან გაშავებული კედლები, დამტრეული აგურები, დაფერფლილი საწოლები, მწყობრიდან გამოსული ტანკები შავი სვასტიკის ნიშნით, ორმოები, თხრილები. მოქმედების სისწრაფე მას მოფიქრების საშუალებას არ აძლევდა. ტანკი ზოგჯერ მხოლოდ ერთ წამს შეჩერდებოდა, მეთაური ქვემეხის ცეცხლს უშენდა მტერს, რომელიც ჯგუფ-ჯგუფად გარბოდა.

— სწრაფად, სწრაფად — უბრძანებდა ნაღმმტყორცნელს.

შემდეგ მძღოლს მიმართავდა:

— პირდაპირ! წინ!

ყოველი მხრიდან მოჰყვებოდნენ სხვა ტანკები. მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლი თანდათან ძლიირდებოდა. ნაღმები ჯგუფ-ჯგუფად ფეთქდებოდა, ტანკზე ცვივოდა ქვა და მიწა.

აგერ ქუჩის დასაწყისი. ისმის რადისტის ხმა:

— ქუჩის შესასვლელი დანალმულია.

— შეაბრუნე მარცხენა მხარეს, — უბრძანებს ტანკის მეთაური, — იქიდან არის ამ ქუჩაზე გამოსასვლელი.

ტანკი შეტრიალდა პირდაპირ ეკლესიის მიმართულებით, რადისტის განაგრძობს:

— ეკლესიის გუმბათიდან ტყვიამფრქვევები თავიანთი ცეცხლით წინ არ უშვებენ ჩვენი ჯარის ქვეითა ნაწილს.

— ეკლესიიდან? — ეკითხება უფროსი და უბრძანებს:

— შეჩერდი ამ კედელთან!

ტანკი შეჩერდა. ქვემეხი უმიზნობს გუმბათს. პირველი ორი გასროლა უშედეგო აღმოჩნდა. გომბათი ირწყევა მის თვალში, ქანაობს და ისევ რჩება აღმართული. კვლავ გაისმის მისი ხმა:

— რა მცდარივით მოქმედობ? — მიმართავს ის ქვემეხის მსროლელს. შორეული სიზმარივით აგონდება გუმბათი, რომლის ვიწრო ფანჯრებში ქვებს ისროდა, იქ, სადაც მტრედები ჩამოსხდებოდნენ ხოლმე. აგონდება დედამისის საყვედურები ამ ცელქობის გამო.

— რატომ არ დაასვენებ მაგ უდანაშაულო ფრინველებს? შე ონავარო, შენა! — ეტყოდა ხოლმე დედა. მაგრამ ახლა ამ მოგონების დრო არ იყო. უდა-

ნაშაულო ფრინველების ადგილზე დღეს შესკვებულიყო მტერი, რომელიც მშობლიურ ქალაქებს და სოფლებს ცეცხლით ანადგურებდა, ფერფლად აქცევდა, — დატენთ, — ყვირის მეთაური, — ისროლეთ იმავე მიზანში. ჩვენც ტანკი არ გვიღალატებს, აბა, მალე!

მესამეჯერ ამოვარდა ალი ტანკის ქვემეხის ლულიდან და მთელი გუმბათი უცებ გადატრიალდა, ყვითელი კვამლით და მტვერით დაიფარა იქაურობა.

მაგრამ ცეცხლი მაინც კვლავ გრძელდება. ნაღმები აქა-იქ ფეთქდება დანგრეული შენობის გარშემო.

— არც ერთი არ გადარჩებით, არ გადარჩებით-მეთქი! — ისმის ხმები. მთავარი კარებიდან გამოვბიან კვამლსა და მტვერში გახვეულნი, წელში მოხრილი ჯარისკაცები.

მტერია, დიან აშკარად მტერია.

— მეტყვიამფრქვევე, ცეცხლი ქვეწარმავალთ, ხანგრძლივი ცეცხლი! კაიანებს კოშკის ტყვიამფრქვევი; ეცემიან ათამიანები, ზოგნი გარბიან მთავარი ქუჩებისაკენ, მათ სხვა ტანკები ედევნებიან.

— წინ, მარცხნისაკენ, შევიდეთ მთავარ ქუჩაში...

მანქანის მძლავრი სწრაფად ასრულებს ბრძანებას.

აი, მთავარი ქუჩაც. დანგრეულია და განადგურებული.

უპოქცეულ მტერს მანქანა დაეწეა. ის გარბის. მაგრამ მარჯვენა მხრიდან მაინც ისერიან ხელყუმბარებს, რომლებიც იქვე ფეთქდებიან ტანკთან ახლოს, ქვაფენილებზე და ირგვლივ იფანტება ყუმბარის ნამსხვრევები. ავტომატის ტყვიები ხედებიან ტანკის ჯავშანს და იქვე მიწაზე ცვივიან. ტყვიამფრქვევის ლულა შებრუნებული იქნა მარჯვნივ და კაიანით უპასუხა მტერს. შენობების ფანჯრების ჩარჩოებზე და აგურებზე მოჩანან წითელი წერტილები. დამფრთხალი და პანიკით შეპყრობილი გერმანელები მიძვრებიან, ავტომატებს ჰყრიან ქუჩაში და გარბიან.

გვამებით დაიფარა ქვაფენილები და გზები, ნაცნობი ქუჩა, ნაცნობი, ახლობელი ქვაფენილები. როგორ წარმოიდგენდა ტანკისტი, რომ ოდესმე მტრის სისხლით მოირწყებოდა ის ქუჩები და ქვაფენილები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ გაუვლია მთვარიან ღამეს სატრფიალო სიმღერის სტვენით. როგორ იფიქრებდა, რომ თავისი ხელით მტრის გვამებით დაფარავდა იმ ნაძვის ხის მიდამოს, სადაც საყვარელ მარიასთან ერთად ისე დიდხანს იდგა ხოლმე, მის პატარა და ნაზ ხელებს თავის ხელებში მოიქცევდა მაშინ, როდესაც სიტყვას ვეღარ პოულობდა სათქმელად და როდესაც სინამდვილე იხე სასიამოვნოა და სავსეა ხოლმე წმინდა გრძნობით. ახლა სად არის იგი, მარია? იქნებ მას შესცქერის რომელიმე ქვედა საართულის პატარა ფანჯრიდან, ელის მას, ან იცის, რომ ქალაქში შემოჭრილი პირველი განმათავისუფლებელი ტანკის მეთაური სტოპაა?..

ტანკი თავის ირგვლივ ცეცხლის ფრქვევით წინ მიიწედა და წმინდად ქუჩას. უცებ ამ საბედისწერო წუთებში გზაზე გამოჩნდა ერთი ქაბუცი და ხელები მაღლა აღმართა.

— შეჩერდით! — შეჰყვირა მეთაურმა და ადგილზე შეტოვდა.

ქაბუცმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა.

ძალზე ალღევებულმა და სუნთქვაში არღულმა ერთი მაგრად შეჰკივლა. თმაგაწიწილი ერთ ადგილას გაქვავდა. სახეზე შიში ჰქონდა აღბეჭდილი. მან დაძლივს წარმოთქვა:

— ქუჩის ბოლოს, მარჯვენა მხარეს, მდებარე სახლში ტანკსაწინააღმდეგო ქვეშები დგას.

მეთაურმა მაჯით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ქაბუჯი ვასილეების სახლში, მიტყა?

— ვასილეების სახლში, მიტყა? ქაბუჯმა მოულოდნელობის გამო თვალეები დააქციტა და გაოცდა. ის ვერც კი ხედავს, თუ ვინ ელაპარაკება. გარიზნებულა, უკვირს, რომ აქ ნაქნობი აღმოუჩნდა.

ტანკი გრიალით წინ გასრიალდა და უკან დატოვა მტვერი და ხმაური.

— შებრუნდით მარჯვენა და ქუჩის ბოლოს გაჩერდით. იქიდან ვასილეების სახლი კარგადა სჩანს!— გაისმა ბრძანება.

ვასილეების სახლი... აი ის უკვე მოჩანს ოპტიკურ სამიზნეში. ტანკის პირადი შემადგენლობა ვერც კი ხვდება იმას, რომ ეს სახლი თავიანთი ლეიტენანტის სტეპან ვასილევის სახლია, თავიანთი ტანკის მეთაურის სახლი.

ამ სახლიდან კი მტერი უკვე ცეცხლს უშენდა ჩვენს ქვეითებს.

ამხანაგებმა შენიშნეს, რომ მას ხელები უკანკალბდა, რომ თვალეებიც ისე დაწითლებოდა, თითქოს ლამობდნენ ბუდიდან გადმოეარდნას. სახლები თითქოს ისე ირწეოდნენ, როგორც ზღვაში ლეღვის დროს დუზაჩაშვებული დიდრონი გემები. ამხანაგებმა ვერ შენიშნეს აგრეთვე ცრემლები, რომლებიც მეთაურს თვალეებიდან გადმოსცივდა და შეუერთდა მტერიან ოფლს. გაისმა პირველი, მეორე, მესამე გასროლის ხმა და მტერი დადუმდა. ჩამოწვა, დაინგრა ის სახლი, სადაც ბავშვობა გაატარა მან.

— წინ!— უბრძანა ლეიტენანტმა ძალზე მისუსტებული ხმით.

დანგრეულ სახლს ტანკმა რამდენჯერმე შემოუარა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოცელა ყველა წინააღმდეგობა და გაიჭრა მთავარ ქუჩაზე. იქვე გამოჩნდნენ დანარჩენი ტანკებიც, რომელთაც უკან მოჰყვებოდნენ ქვეითების მეავტომატენი.

— ქალაქი, უკვე ჩვენია...

მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა ის დიდი უბედურება, რომლის ამბავმა ქალაქის მცხოვრებთ გული აუცახცახა. მისი გაგონებაც კი თვალეებზე ცრემლებს მოწყვეტს ომის ქარცეცხლში გაკაფებულ მებრძოლებს, რომლებიც არაერთხელ შეხვედრიან სიკვდილს პირისპირ. როდესაც იმას იგონებს ადამიანი, ძარღვებში სისხლი თათქოს ეყინება.

დაიღმულია შორიდან მტრის შორსმსროლელმა ქვეშეშმა და ნალმი ზუზუნით უდაბნოს გველივით დაგრეხილი, შხამით აღსავსე გასკდა ტანკის კოშკზე. მანქანა ნახევრად შეტრიალდა ადგილზე და გაჩერდა. ყველაფერი ერთ წამს დადუმდა. ქვედა სართულებიდან რამდენიმე მოხუცი ქალი, გოგო და ბავშვი გამოვიდა. ტანკს შემოეხეივნენ ქვეითი ნაწილები. ერთი წელში მოხრილი მოხუცი, დასუსტებული და გაყვითლებული, ხელის ჰაერში ქნევით იძახოდა:

— მოქალაქენო, კითილო ადამიანებო, ისინი პირველი შემოვიდნენ ქალაქში, პირველნი... ტანკიდან გამოიტანეს დაღუპული გმირების გვამები. მეტყვიამფრქვევე რადისტის ივან სოროკინი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. მან თვალეები გაახილა, ირგვლივ მიმოიხედა და წაილულულა:

— ვინ იცნობს სტეპან ვასილევს, ის ამ ქალაქიდან არის, ჩვენი ლეიტენანტი...

მოხუცი იქვე ჩაიკეცა მანქანის ახლოს.

— რა თქვით, რა?

ყველაფერი ნათელი იყო. უჩვენეს მას ლეიტენანტის ცხედარი. მიუახ-

ლოცდა, უცრემლოდ ეამბორა შეიღს შებლზე, მერე როცა შენიშნა, რომ დედაბერიც მოაბიჯებდა შეგროვილი ხალხისაკენ წავიდა და წინ შეეძვრა ხელი მოხვია, უკან დააბრუნა და უთხრა:

— კლავდია, ძვირფასო, უკან დაებრუნდეთ, რა საჭიროა, რომ დაღუბულების გვამები ნახო, დაებრუნდეთ...

როდესაც მოხუცი ლევ ვასილის-ძე ვასილევს ხელახლა მოვიდა დაღუბული შეიღის ცხედართან, მოხუცების, ქალების, ბავშვების და ყველა ჯარისკაცისა და ოფიცრის თვალებზე ცრემლები შენიშნა. მოცახცახ ხელი ჰაერში აღმართა მან და შესძახა:

— ცრემლები საჭირო არ არის, მოქალაქენო, კეთილო ადამიანებო. იგი მოკვდა იმისათვის, რომ იცოცხლოს რუსეთმა. და მოკუმშული ხელი უკანასკნელად ჰაერში გააქნია და ნერვულად წარმოთქვა:

— ჩემი შეიღი შინ დაბრუნდა, როგორც ნამდვილი გმირი.

მის შიშველ მკლავებზე მოჩანდა ლურჯი ძარღვები. მოხუცი მრისხანე ძეგლს წააგავდა. ის შურისძიების ცეცხლით იყო ანთებული.

გმირი სამხედრო წესით დაკრძალეს. ლეიტენანტის კუბოს ამკობდნენ შემოდგომის ყვავილები. გმირი შეიღის გვერდით იდგნენ ლევ და კლავდია ვასილევები, ღრმა მწუხარებაში მყოფნი, მაგრამ თავი ამაყად ეჭირათ, ამაყობდნენ შეიღით, რომელიც შეეწირა სამშობლოს. ტანკი კი უძრავად დარჩა ქალაქის მთავარი ქუჩის თავში.

შორეული სოფლებიდან, დაბებიდან და სამხედრო ნაწილებიდან ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ იმის სანახავად და ყვავილებით ამკობდნენ მხედრის საფლავს.

## II. ძმათა სისხლი

ყოველ წამში იცვლება ფერები. მრავალსართულიანი შენობების ფანჯრებში შეანათებს წითელი ფერი. თვალში გეცემათ ისფერი, ლურჯი სხივები და მზეც ამოდის, დიადი და კეთილი მზე ამ ძველ ქალაქზე.

ბუნებაში არაფერია იმაზე დიადი, მძლე და ლამაზი, როგორც მზის ამოსვლის ეს წუთები. ღამის წყვიდადით შეპყრობილი მღუმარე ქუჩები ივსებიან სინათლით. სამუშაოზე მიმავალი ადამიანი უერთდება სხვებს და სულ მალე ადამიანთა ჯგუფები ავსებენ ქალაქის ქუჩებს. ქალაქი იღვიძებს უცებ, ღელავს, იწყება ყოველდღიური ცხოვრება ამ ძველ და განანლებულ ქალაქში.

თითქოს მძიმე წლებს არ გადაევიდეს ამ ქალაქზე, ისეთი მსუბუქი და ლალია დღე, ისეა იგი სავსე მჩქეფარე სიცოცხლით.

ღრო ამსუბუქებს ადამიანის სულს, უმთელებს იარებს. ძალასა და ენერჯიას ჰმატებს, მაგრამ იგი ადამიანის გონებიდან ვერ შლის წარსულს. რამდენჯერ ამოსულა მზე ასე დიადად, მძლედ და ლამაზად, თავისი სინათლით გაუნათებია მინდორ-ველი, ტყეები, სოფლები და ქალაქები.

მაშინაც ამოვიდა მზე ასე ლამაზად. ჰორიზონტი დაფარული იყო შავი კვამლით, მიწა გმინავდა მწარე ტკივილებისაგან, როდესაც განთიადის სხივები ეფინებოდა მას. ღამე მძიმედ და ზანტად მიდიოდა. იგი აღსავსე იყო განგაშითა და მომავლის იმედით, ფიქრებითა და სურვილებით იმ წმინდა არსებისადმი, რომლებიც თვალწინ წარმოგიდგებიან მაშინ, როდესაც სიყვდილი ასე ახლავს.

ადამიანის გონება და აზროვნება ისე სწორედ და შეუფერხებლად არასოდეს არ მუშაობს, როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის ერთმანეთთან ბრძოლის წუთებში, იმ დროს, როდესაც ეს ბრძოლა შენს ირგვლივაც არის და შენშიც.

მე თითქოს ვხედავ მათ სახეებს, რომელთა შესახებაც უნდა ვილაპარაკო. მათი გული დიდი ხანია შეჩერდა. ასე ამბობენ დაღუპულთა შესახებ, მაგრამ არა, ეს ასე როდია. მე ახლაც მესმის მათი გულის ძგერა, ვგრძნობ მათი ანთებული თვალების სიცოცხლეს. ისინი კვლავ ცოცხლობენ, კვლავაც ეგებებიან ამ დიად განთიადს და ჩვენთან ერთად ტყებთან მისი სიმშვენიერით.

აგერ მიწურში შემოდის გერმანი მიქაბერიძე. წყნარად და აურჩქარებლად გაწვა იგი მიწაზე დაღებულ ფიცრებზე, თავისი მეგობრის გვერდით, რომელიც ტყავშია გახვეული.

— დიდი ხანია ისვენებს კომისარი? — ჰკითხა მან ღუმელთან ჩამომჯდარ ჯარისკაცს და დაავალა:

— ერთი საათის შემდეგ ორივე გაგვალვიძე. პოლკის მეთაურმა კი ჯერ იძინოს.

და თავისთავად ეხუტება თვალები. ჯარისკაცი ღუმელში შეშას უმატებს, რომ მეთაურებს არ შესცივდეთ, გარეთ კი ქუხილია, მიწურის ირგვლივ წამდაწუმებულ სკდებიან ნაღმები. ჰერის ნეღლი კოქების ქუქრუტანებიდან მიწაცვივა მძინარე ადამიანებზე. სულ ახლოს იფეთქა ფუგასრუმა ყუმბარამ. დედამიწა შეტორტმანდა, ოთახში ჩაქრა ტრაქი, ჯარისკაცმა ღუმელიდან ცეცხლი გამოიღო, რომ ტრაქს მოუცილოს.

— თვითმფრინავი დაფრინავს? — იკითხა ახლად გამოღვიძებულმა კომისარმა.

— დიახ, — მიუგო ჯარისკაცმა და თან ტრაქს ანთებს.

— ჩვენი შეშინება სურს, — უბასუხებს კომისარი და ფრთხილად ახურავს მაზარას მიქაბერიძეს. ფრთხილობს არ გააღვიძოს იგი.

— ვერ შეიამჩნიე, რომ კაპიტანს მაზარა გადახდია, ხომ გაცივდება?

კაპიტანიც წამოჯდა.

— მე მეგონა გძინავს, მიქაბერიძე! — ეუბნება კომისარი.

— არა, ძილი არ მეკარება... ის დაწყველილი კი ასე უმიზნოდ თავს გვევლება. რომელი საათია ახლა? სამი? ნახევარ საათსაც დავისვენებდით. შეტევის საათი იგივეა? ფაშისტებმა ალბათ არაფერი იციან. ძილი არ მეკარება. დავხუჭავ თვალებს, ძილი მინდა, მაგრამ ფიქრები მოსვენებას არ მაძლევენ, სულ ერთი წუთით ჩავთვლიმე და სიზმარში ვენახე ჩემი პატარა გოგონა. აფეთქებამ ხელი შემიშალა, რომ კარგად მენახა. სადღაც მწეანე მინდორზე სასეირნოდ მიმყავდა. ისე მარდად დარბოდა, რომ მეშინოდა ხევში არ გადაიჩეხოს-მეთქი.

— მე კი დიდი ხანია სიზმარი არ მინახავს, — თქვა კომისარმა, — რამდენიმე თვის წინათ სიზმარში დედაჩემი ვნახე. იგი დიდი ხანია გარდაიცვალა, მაგრამ მე ვნახე ისე, როგორც ცოცხალი თავისი მოლიმარი სახით. შევედით ოთახში, ვადაშეხვია, მაკოცა და მითხრა: ნაპაეტ, რატომ წვერს არ იბარსავ, გოგოები არ მოგიწონებენო. მეც სროლის ხმამ გამომალვიძა და სიზმარიც დაუმთავრებელი დამრჩა. რას ამბობს პოლკის მეთაური, დილით თვითმფრინავებს მოგვაშველებენ თუ არა?

— არა მეგონია, არ შეჰპირებიან, როგორც ეტყობა, სხვა ადგილიდან სურთ მთავარი დარტყმის მოწყობა. ჩვენ კი მტრის ყურადღება უნდა მივიპყროთ.



— ადელი არ იქნება, — თქვა კომისარმა, — მაგრამ რას იზამ, უნდა ვიბრძოლოთ. დღე მოწმენდილი იქნება. კარგია, რომ შეტევა განთავსების დაუნიშნავთ, რამდენ გრადუსს აღწევს ახლა სიცივე?

— ალბათ ოცდაათს აღწევს... ჩვენთან კი, კავკასიაში — უკვე თბილი დღეები დაიწყებოდა.

— როგორ არა, წეროებიც მოფრინდებოდნენ. შოშიებიც. მარტის პირველ დღეებში წერო უკვე მოდის. კარგი ფრინველია, უყვარს ადამიანი და ენდობა მას.

— მერე იცი, როგორ უყვართ მათ ერთმანეთი ცხუნკურში? ჩვენი სახლის პირდაპირ, წყვილ წეროს ბუდე გაეყეთებინა. მამალ წეროსათვის ნადირობის დროს გველს ეკბინა. დედალი წერო რამდენიმე დღეს არ შორდებოდა მკვდარ ამხანაგს. ფრთებით ჰფარავდა მის სხეულს, ეალერსებოდა. თვალბშიც კი ეტყობოდა დარდი და მოწყენილობა, როდესაც დავმარბეთ მკვდარი წერო, დედალი წერო დიდხანს იჯდა მოწყენილი ბუდეში მარტო, სანადიროდ აღარ მიდიოდა და სულ მალე ისიც სევდისაგან მოკვდა.

დუმელიდან ცეცხლი ლამაზ შუქს ჰფენდა ოთახს და სასიამოვნო სითბოს აფრქვევდა ირგვლივ. პოლკის მეთაურმაც გამოიღვიძა, ისე როგორც ზღაპრული გოლიათი გამოიღვიძებს ხოლმე შვიდი დღე-ღამის ძილის შემდეგ. მაღალი ტანის, განიერმხარბეკიანი და ბრგე ვაეკაცია მეთაური. ყური დაუგლო სროლის ხმას და ჩაილაპარაკა:

— ისვრიან, რომ არ ჩაეძინოთ.

— ასეთი ჩვეულება აქვთ, — თქვა კომისარმა.

— ტყვიებსა და შუშუნებს ამოად აფუჭებენ, — დაუმატა მიქაბერიძემ. მეთაურმა საათს დახედა.

— წავიდეთ ნაწილებში. შეტევის წინ მებრძოლებთან უნდა ვიყოთ, რკინიგზის გადალახვა აუცილებელია. ამოცანა ყველამ იცის... თუ ცოცხლები დავბრუნდებით, ბრძოლის შემდეგ მე თქვენ მტრედების სიყვარულის შესახებ მოვითხრობთ პატარა ამბავს, რომელიც ბავშვობისას უფროსი ძმისაგან გამიგონია, ამაღლელებელი ამბავია. მე მეღვიძა, როდესაც თქვენ წეროების შესახებ საუბრობდით... ნახვამდის, შეტევის დამთავრებამდე, თავს გაუფრთხილდით, რისკზე უმიზნოდ არ წახვიდეთ.

ღამეს დღე თანდათან ეპარებოდა, როდესაც შეტევაზე გადავედით. და როცა მზე ამოვიდა, რკინიგზის პატარა სადგურიდან ზურგისაკენ დაიძრა ერთი მარხილი. მარხილზე საუკუნო ძილით განისვენებდა ორი ერთგული მეგობარი... ამ დროს კი ტელეფონით მოხსენებას აკეთებდა პოლკის მეთაური.

— ამოცანა შესრულებულია, ოღონდ ამ ბრძოლებში გმირთა სიკვდილით დაიღუპნენ კომისარი ნაჰაპეტ ანტონიანი და პარტიბუროს მდივანი გერმანე მიქაბერიძე. მძიმე წუთებში მათ პირველი ქვეგანაყოფი შეტევაზე გადაიყვანეს. მიღწიეს რკინიგზას და ორივენი ერთი და იმავე ნაღმისაგან დაეცნენ.

მარხილი მიიზღაზნებოდა დინჯად და აუჩქარებლად. თოვლით მოფენილი უდაბნო მზის სხივებით ათასფრად ბრწყყვილებდა. მარხილზე იწვენიე ქვიმე დღეების ერთგული მეგობრები, რომელთაც შუბლზე სისხლი შეჰყინოდათ. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე ისმოდა ჩვენი ზებრძოლი რაზმების ყიყინი. მოწმენდილ ჰაერში ცხენებს ნესტოებიდან ორთქლი ბუღივით სდიოდა და ჰაერში იყინებოდა. ამ დროს კი შორს, სამხრეთში, საქართველოსა და სომხეთში, იქ სადაც ეს ორი ვაჟკაცი დაიბადა, უკვე გაზაფხული იშლებოდა, შოშიები გალობდნენ თავიანთ ბუდეებში, ერთმანეთს ეალერსებოდნენ დედამამალი წეროები.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. თითქოს არ გაუვლია მძიმე ბრძოლების წლებს. დღე, საათი და წუთი სავსეა სიცოცხლით, ჩვენი ქვეყნის ქალაქებზე და სოფლებზე იშლებიან დიადი განთიადები და დღე უფრო ნათელი და მომხიბვლელი ხდება, სიცოცხლე უფრო ძვირფასი. მზის ამოსვლა უფრო ლამაზია და შთამაგონებელი, რადგან მის ფერებში ჩაქსოვილია დიადი სხივები, რომლებიც ნათელს გვფენენ მძიმე და ბნელი ღამეების დროს. ამ ფერებში ნაჰაპეტ ანტონიანისა და გერმანე მიქაბერიძის ცეცხლოვანი სულის სხივებიც არის ჩაქსოვილი.

## მოსკოვში წავალ

☆

— მოსკოვში წავალ, რომ გაიზრდები! —  
იმღერის ღედა, თან არწევს აკვანს.  
ჭაბუკი სწავლობს დაიმედებით:  
— დავასრულებ და მოსკოვში წავალ!  
— მოსკოვსა ვნახავთ! — კოლმეურნენი  
ბჭობენ, ხვავი რომ მოაჭეთ მინდვრიდან.  
ჩვილი ბავშვები სახლს მოირბენენ:  
— დიდი ვარ, უკვე მოსკოვს მივდივარ!  
ვუსმენ მეცნიერს თმებჩამოთოვლილს,  
ან მხცოვანს, განთქმულს თავის მგოსნობით,  
ნატვრად აქვს მრავალ ქვეყანამოვლილს:  
— ერთხელაც კიდევ ვნახო მოსკოვი.  
კოლონიები შორით მოგელტვის:  
— გავიმარჯვებ და მოსკოვში წავალ.  
ტვირთს ჩამოიხსნის მხრიდან დოკერი;  
— მოსკოვისაკენ გავიგნებ სავალს!  
როგორც სინათლის და მზის წყურვილი,  
შენზე ოცნებას ყველა აღიღებს.  
მესმის ძახილი, მესმის სურვილი:  
მოსკოვს წავიდე, მოსკოვს წავიდე!  
მაგრამ შენ იცი, მთელი სამყარო  
ვერ დაგეწიოს, ვერ მოგეახლოს,  
შენ თვითონ მოხვალ სინათლის წყაროდ  
მოგვეფინები ახლოს, სულ ახლოს.  
აღავსებ ჩვენს სახლს, სიცოცხლეს ჩვენსას,  
თავს დასტრიალებ თვითეულ კერას;  
გადახსნი ზეცას, ახარებ ქერსაც  
ისმენ უთვალავ გულების ძგერას.  
შემოქმედების გზებს საოცნებოს  
თვალწინ გადამლის ეგ ძლიერება,  
ბრწყინვალე შუქით ნახივოსნებო,  
მოხვალ და მოგაქვს ბედნიერება.

## უჩრები ჯარისკაცზე



უწინდელი დრო გამახსენდება,  
ბავშვს მაშინებდნენ: — სალდათი მოდის!  
გამაყუჩებდა მისი ხსენება,  
სულგანაბული შიშითა ვთრთოდი.

დამეცემოდა უმაღლესი თავზარი  
და ჯარისკაცის სახით მაშინვე  
წარმოვიდგენდი ჩექმით, მაზარით  
გულქვას, უსახურს, ვილაც საშინელს.

წამოვიზარდე, შემდეგ ვიცანი, —  
ჩვილს რომ აღურსით შემოსცინებენ, —  
ყოფილან ჩვენი მამა-ბიძანი  
ჩექმით, მაზარით შემოსილები.

შემდეგ დაექალდი, ძმობის მაგალითს  
მრავალს ვერწმუნე ერთი ხანია;  
მძიმე ჩექმით და რუხი მაზარით  
ჩვენი ძვირფასი ძმები არიან.

გზების სიძნელე გვიხმობდა მკაცრი,  
რომ იარაღი უნდა ვატაროთ,  
რომ ჩვენ ყველანი ვართ ჯარისკაცი,  
ოღონდ უჩექმოდ და უმაზაროდ.



პატარა გოგო ვიყავი,  
დღეს სიზმარივით ვიხსენებ,  
მსურდა დღედაღამ მეფიქრა  
შავთვალა ბიჭზე, ვინმეზე.

შემდეგ კი გულით ვნატრობდი  
იმ ყმაწვილს ვისზე, ჩემხელას  
ყველაზე უკეთ ვიცავა,  
ყველაზე უკეთ ვმღერა.

შემდეგ კი უკვე იმისი  
კარგი ნიშნები მერჩია  
ტოლებში, ამხანაგებში  
თავი რომ გამოერჩია.

ვშიშობდი, ორებს თუ იღებს,  
სწავლას გაურბის ეგება,  
მეწადა, ყველგან მესმინა  
ჩემი რჩეულის შექება.

შემდეგ კი მსურდა, სიკარგით  
მას მოეხიბლა ქალები,  
აბა, მეგობარ ქალების  
ენას სად დაემალები!

ჩემს დედ-მამასაც, ამ საქმის  
უკვე გამოცდილ ოსტატებს,  
არ ეთქვათ: „ერთად არ გნახოთ,  
უარი უთხარ მოსვლანზე“...

მოხუცდნენ მასწავლებლები,  
ახლა აღარ მყავს მშობლები,  
ყმაწვილქალობის ოცნებებმა  
ასე ნელინელ ვშორდები.

თვალსწრაფი, ენაკვიმატი  
შემომეფანტნენ ქალები, *ეროვნული*  
ყველამ საკუთრად შეადგინოთ *საქართველო*  
თავისი ბედის კარები.

ახლა რაღა მსურს? ჩვეულმა  
შესცვალა ყველა ისინი,  
დაუსრულებელ წადილზე  
ისევ მე თვითონ ვიციანი.

გულმართალს, შრომისმოყვარეს  
ეს გული ვისაც ეღირსა,  
ახლა მსურს, მეგულებოდეს  
მხეწნებად მთელი ქვეყნისა!

## ბარათი სახალხო მასშაველისადმი



დღეს ჩემთვის მართლა დიდი ღვინია.—  
სახლში დავბრუნდი სადარაჯოდან,  
უმალვე ახალ გაზეთებს მივწვდი,  
ყველა გაზეთის ყველა სტრიქონი,  
როგორც ფურცელი სიმართლის წიგნის,  
ახალ ამბებზე ლაპარაკობდა.

გაზეთში მრავალ სახელთა შორის  
ვცან ვარსკვლავივით ჩაუქრობელი  
ერთი ძვირფასი ტკბილი სახელი  
ჩემი გამზრდელის და ახლობელის.

პარტიისა და ხალხის სურვილით  
ჩემს სამშობლოში სახელგანთქმული  
ჯილდოს იღებდა მასწავლებელი,  
სიყრმით ვინცა მყავს გულს დახატული.

მრავალთა შორის, ძვირფასთა შორის  
ვინც დაჯილდოვდა ხალხის ნებიითა,  
თქვენ გამილიმეთ, მასწავლებლო,  
გაზეთის წერილი სტრიქონებიდან.

თქვენ გამილიმეთ, თქვენ გამახსენდით,  
მოგონებათა წიგნს არ ვხურავდი,  
ხანმოკლე წარსულს გაჰყვა ფიქრები,  
თვალწინ დამიდგა მთელი სურათი:

კლასი დიდი და განათებული,  
მრავლის მომსწრე და მრავლის მზილველი,  
კარზე უბრალოდ დამაგრებული  
ის ერთადერთი ციფრი პირველი.

ო, მოგონებავ და ოქროს ყრმობავ,  
ჩვენ კლასში ჩუმად და უხმოდ ვსხედვართ,  
თქვენ კი ჯადოსნურ ლამაზ თითებით  
დაფაზე „ა“-ს წერთ, ძვირფასო დედა.

შემდეგ სულ ახალ ასოებს ვხედავთ,  
თითქოს შავ ხეზე გულთეთრა ჩიტებს,  
თვალს არ ვაშორებთ გაოცებულნი  
თქვენს გამხდარ, მაგრამ ჯადოსნურ თითებს.



ჩვენ ვიმეორებთ თვითველ ასოს,  
გალიმებულნი შევეცქერით დაფას,  
ხელი კი მარტო დაფას კი არა,  
ჩვენს სულის წიგნში ასობს ხატავს.

მერე ის — ძვირფას ასოთა მწყრივი —  
სახელმძღვანელოს ფურცლებზე ენახეთ:  
და ვკითხულობდით დინჯად და ნელა  
ასობისგან შედგენილ სახელს.

ეს ყველაფერი გულს აღებეჭდა  
წყნარი და ჩუმი ის გაკვეთილი,  
თქვენი პირველი ოქროს ღიმილი,  
აღერსიანი სახე კეთილი.

რამ დამავიწყოს ის გაკვეთილი,  
ჩემი პირველი ამხანაგები,  
ხელში მი.გვეცით დიდი ცხოვრების  
ღიალი წიგნი და გასაღები,

რომლითაც ბევრი იღუმალება  
გახდა ნათელი და გასაგები,  
ჩვენც შევიცანით ვარსკვლავთ ზღაპარი  
და სასწაულთა მთელი ამბები.

გავხსენით სული ისტორიისა...  
დრო გავიდა და დავიზარდენით...  
დიდი ცხოვრების კარი გავხსენით  
თქვენ რომ მოგვეცით, იმ გასაღებით...

გავიდა დრო და დავიზარდენით,  
არ გადავუხვიეთ ცხოვრების გზიდან,  
ახლა, ძვირფასო და საყვარელო,  
ჩემი ამბავი ვიამბოთ მინდა!

თუ თავმდაბლობას მე ვარ ჩვეული,  
თქვენ ამისთვისაც ხართ დამნაშავე,  
რადგან სიღინჯე თქვენ შთამინერგეთ  
და თავმდაბლობა თქვენ შემასწავლეთ.

მინდა მოგწეროთ — უკვე გმირი ვარ,  
კრემლმა მიბოძა მე ეს წოდება,  
სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის  
რაც შთამინერგეთ, ის შაგონდება.

მე გმირი გავხდი მხოლოდ იმიტომ,  
რომ თქვენგან მჭონდა გულს დახატული,



ხალხის, სამშობლოს, ვრცელი მამულის  
თავისუფლების ტრფობა ხალხური.

მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი სიტყვით  
მე შევიყვარე ორი სახელი,  
ლენინ-სტალინის პარტიის წიგნით  
ბედნიერების გავხდი მნახელი.

მე გმირი გავხდი მხოლოდ იმიტომ,  
ჩემი სამშობლოს საზღვარს ვიცავდი,  
ჩვენი ბავშვების საბედნიეროდ  
ლენინ-სტალინის დიდ საქმისათვის!..

დღეს ვიცი, ბევრი შემოვა თქვენთან,  
შეეზებთან თქვენს გამხდარ ხელებს,  
მოხუჭავ თვალებს და მოიგონებ  
შენთვის საყვარელ, ძვირფას სახელებს.

იმ ხელს გავუწვდი ჩამოსართმევად,  
როცა შემოვლენ ამხანაგები,  
რომლითაც მოგვეც დიდი ცხოვრების  
დიადი წიგნი და გასაღები.

მე ვიცი, ბევრი აღზრდილი მოვა:  
მუშა, ექიმი და ხელოვანი,  
ბევრი გმირიც და სახელგანთქმულიც,  
ბევრიც შრომაში სახელოვანი.

ამით მე იმის თქმა მინდა მხოლოდ,  
თქვენ მოგილოცავთ მთელი არმია,  
მასწავლებელი დიდ ასპარეზზე  
მართლაც ნამდვილი გენერალია.

მაგრამ, ძვირფასო და საყვარელო,  
მე მაგონდებით განსაკუთრებით,  
ახლა თქვენს ირგვლივ ბევრი ხალხია,  
თავს გახვევიან, როგორც ფუტურები.

საზღვრიდან მინდა ჩემი ხმაც მოგწოდეს,  
თვალწინ დაგიდგეთ აღზრდილის სახე,  
ის, ვინც არასდროს შეარცხვენს, იცი,  
ძვირფას აღზრდელის საყვარელ სახელს.

მიიღე ჩემი გულწრფელი სიტყვა,  
ჩემი კეთილი, ტკბილი სალამი.  
გწერთ მარად თქვენით მხნე და ამაყი  
ლეიტენანტი თქვენი არამი.





## ხ რ ა ხ ნ ი



ჯანმრთელ და გოლიათ სხეულზე მანქანას  
 მოარგო ხრახნი უკანასკნელი,  
 ოფლი რომ ჩამოსდის, ამაყად დამდგარა  
 და მუშა თავის ღვაწლს ღიმილით დასცქერის.

ფოლადის გოლიათს ხელით რა ეშველოს, —  
 დიდი ამწითაც ძლივსლა აწიეს;  
 კუიბიშევისკენ მიმავალ ეშელოს  
 მუშა კეთილი თვალით აცილებს.

გზა განვლო და ბოლოს მივიდა მანქანა,  
 სადაც უხმობდა საქმე საქვეყნო,  
 ის დიდი შენების ფერხულში ჩამდგარა,  
 ერთი დღის შრომაც ეყოს საკვებნად.

მიტომაც დგანდგარებს მანქანა ამაყად,  
 ბრდღვინავს და ბორგავს დაფეთებული,  
 მაგრამ ამ საზღაპრო შრომაში არა ჩანს  
 საქმე, ხრახნისგან გაკეთებული.

მანქანის მკერდზე კი მარკას ერევისას  
 ციმციმა ყელი მოუღერია,  
 კუიბიშეველი, ძმად რომ შეეფიცა,  
 ღიმილით ამბობს:

— მშენიერია!

და როგორც ის ხრახნი, მცირე და საჭირო,  
 ეს მუშაც, ძალას რომ ჰმატებს ლითონს,  
 შრომობს, რომ სიცოცხლის აფრები დაჭიმოს,  
 თუმცაღა ხშირად არა ჩანს თვითონ!

ერთვის მისი წვეთიც შრომის დიდ მდინარეს,  
 კომუნისმისკენ მძლავრად მიმავალს,  
 უკვე ჩანს ხვალის დღე, ლალი და მცინარე,  
 დიდ გზას მივღევთ და ვიცით, ვინა ვართ.

მივდივართ, გზაზე ჩვენ არ ვიცით დაცემა,  
 ვქმნით, ვშრომობთ, ყველგან გამრჯე ხელია,  
 ჩვენს ღვაწლს რომ შეხედონ მომავლის კაცებმა,  
 აღტაცებით თქვან:

— მშენიერია!

ჩვენ ყველას გვახარებს — მუშა მძლავრ ხელებით  
 მომავლის დღეთა ნათელს რომ ქარგავს, **მარცხენა**  
 დე, დარჩნენ უცნობად ჩვენი სახელები, — **ბიზლიროთეკა**  
 ბრწყინაედეს ჩვენი თაობის მარჯა!

## მუზარაღი



ზაფხულის მზეში  
 ნეტარების ნექტარით სავსე  
 მინდორში ვიყავ, ჩვენს სიმდიდრეს ვუწერდი ოდას;  
 გადაშლილიყო მოზიბინე ყანა ზღვასავეთ,  
 სავსე თავთავეებს  
 სიმშვიდეში ჩასძინებოდათ...  
 ვუმღერდი ჯილა თავთავეებს და  
 გლეხკაცის შრომას...  
 მაგრამ სიმშვიდეს ფრთას შეაკრის  
 უცებ ნახული:  
 ყანაში, სწორედ მარცვალსავსე  
 თავთავეებს შორის  
 მუქად იელვებს მუზარაღი შემონახული...  
 ვისია იგი?  
 მომასმინა მისი ღალადი...  
 მტრების ტყვიისგან  
 მზექაბუცი დაუცავს მტკიცედ!  
 აქ დაცემულა მეპატრონე  
 და მუზარაღი  
 ახალ თავთავეთა მყუდროებას  
 დარაჯობს ისევ...  
 მთესველს სახეში მოანათა  
 შუქი ნათელი  
 და დაუტოვა  
 მან მუზარაღს  
 ეს მყუდრო ბინა, —  
 და არ შელახა  
 იმ უცნობი გმირის სახელი,  
 სიცოცხლის ფასად  
 ვინც ეს ყანა ააბიბინა.  
 სამშობლოსათვის  
 არ დაზოგა ძალა და სისხლიც,  
 აღარ უკრთოდა



მტერზე მისვლას, მტერზე ძგერებას,  
 და ახლა დილის გარიყრაეში  
 სიმღერად ისმის,  
 რომ მან მშვიდობა მოუტანა ქვეყნიერებას...  
 მაგრამ მე ვიცი —  
 ჩემი ქვეყნის საზღვრების მიღმა  
 ნატრობს ურჩხული  
 ახალ ომებს,  
 სისხლს და მოგებას...  
 მათ ფეხქვეშ  
 გმირთა დაცემული სხეული გმინავს,  
 ძველ მუზარადებს  
 კვლავ აღნობენ  
 ახალ ბომბებად!  
 ჯერ კიდევ გუშინ  
 ფარისევლურ ალერსით, ოხვრით,  
 როგორ აქებდნენ მეომართა  
 მრისხანე ძალას:  
 გამარჯვებულებს ჰპირდებოდნენ  
 ქვეყნად სამოთხეს,  
 ომში დაცემულთ —  
 მარმარილოს ძეგლს და აკლდამას...  
 ისევ ვუმღერი  
 ამწვანებულ მინდვრებს და ქედებს,  
 ზაფხულის ფერთა უცნაური მხიბლავს თამაში;  
 პოეტი ვუწერ  
 ამ მუზარადს ქებათაქებას,  
 ხოლო მთესველი  
 ადგილს უთმობს პურის ყანაში.  
 ეს მარცვალსავსე  
 თავთავები მწიფდება უკვე;  
 შრიალებს ყანა,  
 ეფინება სიმღერა მთა-ბარს, —  
 მუზარადს  
 კრძალვით წავეუკითხავ  
 დიდების ფურცელს  
 ხალხის მაღლობით,  
 სიყვარულით,  
 ალერსით გამთბარს...

## ბენიამინ კარაგინი

★

I

მე მას შევხვდი რაიონული გაზეთის რედაქციაში, რედაქტორს გაცხოველებით ეკამათებოდა. ორმოცდაათ წელს გადაცილებული ახოვანი, წვერმოპარსული, ფართო სახის კაცი იყო. ლაპარაკობდა მკვახედ, ჩახლეჩილი ხმით, თითქოს ყელში რალაცა ჰქონდა გაჩხირული. ყოველი სიტყვის წარმოთქმისას თავის მოკლე თითებს ჰაერში ათამაშებდა, ხოლო პატარა, ფერმკრთალ თვალებს წამდაუწუმ ახამხამებდა.

— ჩემი ოცი წლის ავტორიტეტი და სახელი შებღალეთ, ამხანაგო მუშელიან, — ამბობდა იგი ბრაზისაგან სულშეხუთული, — თქვენ ახლად მოსული ხართ ჩვენს რაიონში და არ მიცნობთ... მე, ბენიამინ კარაგინს, მთელი რესპუბლიკა მიცნობს!..

მე რომ დამინახა, მაშინვე სიტყვა შეწყვიტა. რედაქტორი კი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გავიცანი, ფეხზე წამოდგა და ღიმილით მომესალმა.

— სალაში, ხომ კარგად გაატარეთ დრო წალკავანში? — შემეკითხა ის და ჩემგან პასუხის მიღებამდე თვითონვე განაგრძო: — გთხოვთ გაიცნოთ სოფელ გეტაფის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბენიამინ კარაგინი, — შემდეგ მას მიუბრუნდა და დაბალი ხმით უთხრა: — ერევნელია, გაზეთ „სოვეტკან ჰაისტანის“ რედაქციის მუშაკი.

ბენიამინ კარაგინი მოლუშული სახით მიყურებდა, უკმაყოფილო იყო უდროოდ დროს რომ შევედი და კამათი ყველაზე გაცხარებულ მომენტში შევაწყვეტინე. მაგრამ გაზეთის სახელწოდება რომ გაიგონა, უცებ შეიცვალა, საამოდ გაიღიმა, და ამ დროს პატარა თვალები სრულიად მიემალნენ ქუთუთოებში; მან მოკრძალებით ხელი გამომიწოდა.

— ძალიან მოხარული ვარ, ძალიან მოხარული, სწორედ მეც თქვენი ნახვა მინდოდა, — წარმოთქვა მან და მაგრად მომიჭირა ხელი, — გავიგე, რომ წალკავანში იყავით; დავაპირე თქვენთან წამოსვლა, მინდოდა თქვენი მოწვევა, ეხ, რა გაეწყობა, — ღრმა ამოხვნეშით და მხრების აჩეჩვით წარმოთქვა მან. წინათ ცენტრიდან კაცი ჩამოვიდოდა თუ არა, მაშინვე ჩვენს სოფელში აგზავნიდნენ. ოღე ისე არ გაივლიდა, რომ რამდენიმე კორესპონდენტი და მხატვარი არ ჩამოსულიყო ჩვენთან. რაიონის თვალი ვიყავით, ყველა ჩვენ გვაქებდა. ახლა კი რამდენი ხანია ჟურნალისტი თვალთ არ მინახავს, ეს არ გვაკმაობს და ახლა კიდევ ამან შემოგვიტია, — და ჰაერში ნერვულად ააფრიალა რაიონული გაზეთი. — მაგრამ, არაფერია, მე მაინც ბენიამინ კარაგინი ვარ და მთელი რესპუბლიკა მიცნობს. ზედავთ ამ მოტეხილ ხელს, — და მან წინ წამოსწია მსუქანი, მოკლეთითებიანი მარჯვენა ხელი, — თვითონ კალინინმა ჩამომართვა ხელი, ორდენი გადმომცა და მითხრა: „ყოჩაღ, ამხანაგო კარაგინ, ყოჩაღ“. სიხარულისაგან კინალამ ბავშვივით ავტოზღი. ახლა კი ჩამოვრჩი... კიდევ კარგი,

რომ თქვენ შეგხვდით, — მაშინვე კილო შეცვალა და გამხიარულდა, ხელიდან აღარ გაგიშვებთ. ჩვენთან უნდა წაგიყვანოთ. თქვენ თვითონ ნახეთ კარგად რომას მიცემული კოლმეურნეობა“, — დაუმატა მან. ის თვითვე სიტყვას ხაზგასმით ამბობდა და თან ირონიულად იცინოდა.

სოფელ გეტაფის კოლმეურნეობისა და მისი თავმჯდომარის შესახებ აქ ყოფნის დროს ბევრი რამ გავიგე. რაიონული გაზეთის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო დიდი სტატია ამ კოლმეურნეობის შესახებ, ხელიდან ხელში გადადიოდა და დიდ კამათს იწვევდა. ბუერისათვის მოულოდნელი იყო ასეთი კრიტიკა.

— პირადი ინტერესია და მეტი არაფერი, აი, ნახათ, თუ ასე არ იქნება! — ამბობდა კამათის მონაწილე რაიონული ცენტრის კლუბის თანამშრომელი ზაფენ ერციანი, რომელიც სოფელ გეტაფიდან იყო და თავის კოლმეურნეობაზე ცუდს არავის ათქმევინებდა, — ადვილი როდია ბენიამინ კარაგინისთანა ავტორიტეტის აღამიანის სახელის გატეხა!

— არავითარი პირადი ინტერესი აქ არ არის, — მკვახედ უბასუხა მას ახალგაზრდა კოლმეურნემ, — ბენიამინ კარაგინი საზღვარს გადასცდა...

— კარგად კი დაუწერიათ — „თავის თავზე შეყვარებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეო“, — ამბობდა მესამე.

ყველაზე უფრო კი მე ვიყავი გაკვირებული. ჯერ კიდევ ქალაქში ყოფნის დროს, როდესაც ვემზადებოდი ზანგეზურის ამ შორეულ რაიონში წამოსასვლელად, რადიკალის სოფლის მეურნეობის განყოფილების ერთ-ერთი მუშაკი აღტაცებით ლაპარაკობდა სოფელ გეტაფის კოლმეურნეობის შესახებ. მან მირჩია, უსათუოდ წავსულიყავი გეტაფში.

— ათი წლის მდიდარი გამოცდილება აქვს ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, — ამბობდა ის აღფრთოვანებით. ახლა კი, აი, რა ირკვევა!

დიდხანს არ მიფიქრია, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მაშინვე დავეთანხმე მასთან ერთად გეტაფში წასვლაზე.

— კარგი იქნება, — თავის მხრივ მირჩია რედაქტორმაც, — ორი დღის შემდეგ გეტაფის კოლმეურნეობის გამგეობის გადარჩევებია. თქვენც მიიღებთ მონაწილეობას და თქვენივე ყურით გაიგებთ ყველაფერს, მოუსმინეთ კოლმეურნეებს.

— დიახ, დიახ, მოუსმენს, — დაცივით შეაწყვეტინა სიტყვა რედაქტორს კარაგინმა, — დე მათაც დასდონ მსჯავრი მიღწევებით გაბრუებულ, განცხრომას მიცემულ თავმჯდომარეს.

მუშელანს გამოვემშვიდობეთ, გამოვედით და ჩავსხდით ბენიამინ კარაგინის გახუნებულ, ხანგრძლივი ხმარებისაგან ვაცვეთილ „მოსკვიჩში“. გზა პარალელურად მიჰყვებოდა ამღვრულ მდინარის ნაპირს, რომელიც ზოგან უჩვეულოდ იყო დაკლანილი. მივდიოდით წალკავანის პირდაპირი გზით სამხრეთით, ეს ადგილი შედარებით ვაკეს წარმოადგენს. გაზაფხული აქ უფრო გაბედულად შემოპრილიყო და თავისი-ღამაში ფერები უხვად მოეფრქვია ყველგან. მდინარის გასწვრივ ჩამწყობებული ნორჩი ხეები უკვე აყვავებულიყვნენ. საშემოდგომო ნათესები ბიბინებდნენ. აქა-იქ მოჩანდნენ საგაზაფხულო სამუშაოებზე გამოსული ტრაქტორისტთა ბრიგადები.

მანქანის გუგუნის ახშობდა მოქიცივე ფრინველთა ხმას.

მთელი გზის მანძილზე ლაპარაკობდა ბენიამინ კარაგინი და თავისი თავი ყველაფერში მთავარ მოქმედ პირად გამოჰყავდა.

— ...ოცდათექვსმეტ წელს ჩაეყარა საფუძველი ჩვენს კოლმეურნეობაში თამბაქოს კულტურას. პირველმა მე დაესვი საკითხი რაიონულ კონტრაქტში და ჩემმა ბრიგადამ დაიწყო თამბაქოს პირველი თესვა. არავის არ სჯეროდა, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდოდა. „ტყუილად აცდენ მიწას და შრომადღეებს ხარჯავ, ბენიაშინ“, — მარწმუნებდნენ ისინი, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავდი და პირველივე მოსავალი ისეთი ჭხვი მივიღე, რომ მთელი რესპუბლიკა აღაპარაკდა. მე გამომიძახეს ერევანში მეთამბაქოეთა შეკრებაზე, რომელთა ტაშის გრიალი საშუალებას არ მაძლევდა, სიტყვა დამეწყო... — აღფრთოვანებით მიაშობდა კარაგიანი და თან ქშინავდა.

მწვანე მთების ხვეულიდან, სადაც გზა ოდნავ სცილდება მდინარეს, ჩვენ გავედით ფართოდ გაშლილ ველზე, რომელიც შიშველ მთაგრეხილს უერთდებოდა.

— ესეც ჩემი რესპუბლიკა! — სიხარულით წამოიძახა ბენიაშინ კარაგიანი და ხელი გაიშვირა, — აქედან იწყება გეტაფის მინდვრები. აბა, ერთი თვალი გადაავლეთ, როგორ არის დამუშავებული და გასუფთავებული მიწები, შეხედეთ, როგორ ზღვასავით ღელავენ ნათესები, — გაჰყვიროდა იგი აღფრთოვანებული.

მართლაც წარმტაცი სურათი იყო. საშემოდგომო ნათესები ზღვასავით ტოკავდნენ, თვალუწვდენელი მინდვრები ბიბინებდნენ. ნათესებს ორივე მხრიდან ქარსაცავი ტყეები ჰქონდა გარშემორტყმული. გაზაფხული დიდი ოსტატის ხელით დახატულ სურათს მოგაგონებდათ. შორს, მთის კალთაზე, შზის სხივების ქვეშ, რალაც ვერცხლისფრად ლაპლაპებდა. ძლივს მივხვდი, რომ ის დაუღწივარი თოვლის ფენა იყო. ამ დროს აღფრთოვანებული შოფერი მომიბრუნდა, ხელი მანქანიდან გარეთ გაიშვირა და მითხრა:

— აი ის ჩვენი წყალსაცავია, მთის კალთაზე. კომკავშირის ორგანიზაციამ გააკეთა გასულ შემოდგომაზე...

— მაშ, — შეაწყვეტინა სიტყვა ბენიაშინ კარაგიანმა, — ჩვენი გეტაფის ზღვაა, ჩემი გეგმითაა გაკეთებული. ყოველ ზაფხულს ას ჰექტარ მიწასა რწყავს.

შოფერმა შეანელა სვლა. ბენიაშინ კარაგიანი დაწვრილებით მაცნობდა, თუ თავის თავმჯდომარეობის წლებში — 1940 წლიდან დღემდე — რა ცვლილებები იყო მომხდარი გეტაფის მინდვრებზე. მისი ინიციატივით აეღოთ ახო, გავტეხათ ყამირი, რის შედეგად ორმოცდაათი ჰექტარი სახნავე მიწა შემატეხბოდა კოლმეურნეობას. ასოცი ჰექტარი ახალი მიწები აუთესებიათ. აგრწესების დანერგვის საფუძველზე თესლბრუნვა შემოიღო, არხები გაუყვანია.

— ხედავ იმ მწვანე სარტყელს? — მიმითითა ქარსაფარ ტყეზე. — ჩემი ხელით შემოკაველე ეს სარტყელი ჩვენს ველებს. ზომ უხდება? — და კმაყოფილებით გაიღიმა.

შოფერს რომ მიეუახლოვდით, თავმჯდომარემ. შოფერს უბრძანა, თამბაქოს სათბურებისაკენ წასულიყო.

— ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი მეურნეობა მოვაწყვე, — მთელ რესპუბლიკაში პირველია, — მიჩვენებდა წესიერად მოვლილ, ლალად გახარებულ ჩითილებს სათბურებში, ახლად აგებულ დიდ საშრობს.

შოფლის ცენტრში მანქანა შეჩერდა წყაროსთან, რომლის ორი მილიდან ბარაქიანად გადმოჩქვფდა ანკარა წყალი.

— 1945 წელს გამოვიყვანეთ ეს წყალი. გამარჯვების დღეს, 9 მაისს, წყალს მივეცი სოფელს. მთელი რაიონის მოსახლეობამ აქ მოიყარა თავი. გაზეთ „სოვეტკიან ჰაიასტანში“ ჩემი სურათიც მოათავსეს, მე წყაროსთან ვიდექი, — ამბობდა თავმჯდომარე.

— სოფელში „ბენიამინის ხილს“ უწოდებენ, — მიმითითა მან ქვის, უკვე ხავსმოკიდებულ ხილზე, რომელიც სოფლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს აერთებდა, — ეს ხიდი ოცდათერთმეტ წელს ავაგე, მაშინ მე სოფლის საბჭოს სამშენებლო სექციის თავმჯდომარე ვიყავი.

## II

შუადღე გადასული იყო, როცა მანქანა ახლადგაშენებული ორსართულიანი სახლის წინ შეჩერდა.

— ესეც ჩემი სასახლე, — ქაბუკური იერით გაიღიმა ბენიამინ კარაბიანმა და მანქანიდან გადმოვიდა, — მობრძანდით, ცოტა შევიცვნოთ. ჯერ ბევრი რამ გვაქვს სანახავი.

მანქანიდან გადმოვედი და თავმჯდომარეს გავყევი. ეზოში სხვადასხვა ასაკის ხუთი-ექვსი ბავშვი თამაშობდა.

— საკუთარი საბავშვო ბაღიცა მაქვს, — კვლავ გაიღიმა და მიმითითა ბავშვებზე, მალე რვა მეყოლება, — გაიხუმრა ბენიამინ კარაბიანმა.

თლილი ქვის კიბეებით ავედით სახლის მეორე სართულზე, იქიდან კი — აივანზე. აივანიდან ხელისგულივით ჩანდა მთელი სოფელი. სახლებთან ახლოს, საკარმიდამო ბოსტნებსა და მწვანედ გადაშლილ მინდვრებში მიიკლავებოდა მდინარე გეტაფი, რომლის სახელიც დაერქვათ სოფლისათვის.

— სოფელს აღარ ჰგავს, ქალაქად ვაქციეთ, ძმაო, — ორივე ხელი წინ გაიშვირა ისე, როგორც მიტინგზე იცის ხოლმე ზოგიერთმა ორატორმა. — ერთი შეხედვით, რა ქუჩები მოვაწყეთ, რა შენობები ავაგეთ! ის მთავარი მოედანია. ოცდაათ წელს, როდესაც კოლმეურნეობას ვაყალიბებდით, მე საკითხი დაესვი სოფლის დაგვემის შესახებ. „ახალი ცხოვრება ახალ სოფელში დავიწყოთ-მეთქი, ამხანაგებო“, ვთქვი. თვითონ შევადგინე გეგმა, რომელიც ქალაქში წავიღე და დავამტკიცებინე.

აივანზე გამოჩნდა შუახნის, ფერმკრთალი სახის ქალი, რომელსაც ფართო შალი ჰქონდა წამოსხმული მხრებზე. ძნელი არ იყო ამოცნობა, რომ ის უნდა ყოფილიყო დისახლისი, ეზოში მოთამაშე ბავშვების დედა.

— ესეც ჩემი ქალბატონი, — მარდად წარმოთქვა კარაბიანმა.

ქალი მომიახლოვდა და გამომიწოდა თავისი პატარა, გამხდარი ხელი.

— სათიკ, — წარმოთქვა დაბალი ხმით და მაშინვე ქმარს მიუბრუნდა, — სტუმარი მოგიყვანია და იმის ნაცვლად, რომ სახლში შეიპატოეო, აქ გავიჩერებია და რაღაც ისტორიას უამბობ.

— მართალი ხარ, სათიკეან, ვიღებ შენს კრიტიკას, — გაიღიმა კარაბიანმა. მერე უცებ მომიბრუნდა და განაგრძო:

— ესეც ნაკლები კრიტიკოსი როდი მყავს, — მიმითითა ცოლზე, — ისე თავგამოდებით იცავს გაზეთში — „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის“ — გამოქვეყნებულ სტატიას, თითქოს თვითონ დაეწეროს.

ცოლმა მწყურალად გადახედა ქმარს.

— შენც დრო იშოვე, რაღა, ბენიამინ, — საყვედურის კილოთი უთხრა ცოლმა, — ამხანაგი დაღლილი იქნება შინ შეიპატიე.

— მართალი ხარ, სათიჯჯან, აბა, რით გაგვიმასპინძლებდებოდა რაგვიანმა და წინ გამიძღვა.

— ცეცხლი იყო, ნამდვილი ცეცხლი, — თქვა კარაგვიანმა ცოლის მისამართით, როდესაც ოთახში შევედით, — ოცდაათ წელში ასი წევრისაგან შემდგარ კომკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, მთელ რესპუბლიკაში პქუხდა მისი სახელი. ერთად ჩამოვყალიბეთ ჩვენი კოლმეურნობა. ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე გაგვიტეუნებია ბანდიტებთან ბრძოლაში! სწორედ იმ დღეებში შეგხვდით ერთმანეთს და შევეუღლით კიდევ ვუყვარდი. მაგრამ ძალიან ანჩხლი იყო, — დღე ისე არ დაღამდებოდა, რამდენჯერმე არ გვეჩხუბა. ხშირად წერილსაც წერდა ჩემს საწინააღმდეგოდ. სოფელში არავის სჯეროდა, რომ ჩვენ ერთმანეთს არ დაეშორებოდით, მაგრამ, აი, ხედავთ, ოცმა წელმა განვლო და ისე მგონია, ახალი შეყვარებულები ვიყოთ.

ოთახი, რომელშიც შევედით, ბენიამინის კაბინეტი იყო. მისი ორი ფანჯარა მთავარ ქუჩას გასცქეროდა. ოთახი მორთული იყო სოფლის დაწესებულების სტილზე და გემოვნებით. კედელზე დიდი სურათები იყო ჩამოკიდებული, იქვე იყო ფერადი პლაკატები, ლოზუნგები, სხვადასხვა დიაგრამები გაზეთებიდან ამოჭრილი სურათებით და სხვა. ახალ საწერ მაგიდაზე ელაგა რამდენიმე პოლიტიკური წიგნი, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გადაშლილი იყო რომელიღაც თავზე. კაკლის ხისაგან გაკეთებულ კარადაში ეწყობო ღამაზუდინი ახლად გამოცემული წიგნები, რომელთაც, როგორც ჩანდა, იშვიათად ეხებოდა ადამიანის ხელი. გამოტენის ელფერი ედო აქ ყველაფერს.

ორი ფანჯრის შუა კედელზე დიდ მუყაოზე გაკრული იყო სხვადასხვა ზომის ფოტოსურათები, რომელთა შორის თავის პოზით, მოხამხამე თვალების გამომეტყველებით ყურადღებას იპყრობდა თვითონ ბენიამინ კარაგვიანის სურათი.

— ეს ოცდათერთმეტ წელს გადაღებული სურათია, — მიჩვენა შუაში მოთავსებული ყველაზე დიდი ჯგუფური სურათი კარაგვიანმა, — გადავიღეთ დამკვრელ კოლმეურნეთა რაიონული შეკრების დღეს, ჩემს გვრდით შის რაიონის მდივანი ამხანაგი ქაცახიანი. კარგი ხელმძღვანელი იყო. ძალიან ვუყვარდი. სამამულო ომში დაიღუპა. მეორე სურათი ერევანში გადავიღეთ კურსანტებთან ერთად. პირველი მოსწავლე ვიყავი, თვე ისე არ გაივლიდა, ჩემი სახელი და გვარი კედლის გაზეთში არ მოეხსენებინათ. ესეც ჩვენი ახალი წყაროა. როგორც ხედავთ, წყაროსთან ვდგავარ.

როდესაც ყველა სურათი სათითაოდ მიჩვენა, მთხოვა დამეჯღაროყავო საწერ მაგიდასთან, რომლის უჯრიდან დიდი საქაღალდე ამოიღო და წინ დამიდო.

— ეს ჩემი საკუთარი არქივია. ერთი ნახეთ, რა კაცი ყოფილა ბენიამინ კარაგვიანი, — თქვა და გაიღიმა.

საქაღალდე საგსე იყო გაზეთებიდან ამოჭრილი, ფერწასული, გაყვითლებული სტატიებით, სურათებით, სხვადასხვა მომართებებით, ცნობებით, სიგელებით. დიდი და პატარა წიგნაკებით, კონცერტების პროგრამებით, მოსაწვევი ბარათებით.

კარაგვიანი მაცნობდა ოცდახუთ წელს გაზეთებში მის შესახებ დაბეჭდილ ქებების წერილებს, სურათებს და მის მიერ დაწერილ კორესპონდენციებს.



ერთი მათგანი საკმაოდ მოზრდილი წერილი იყო და მიძულა, თავიდან-ბოლომდე წამეკითხა. წერილი მიმართული იყო კულაყ თათოს მამაკაცების წინააღმდეგ, წერილს ფსევდონიმი ჰქონდა მოწერილი — „მოკლავს“.

— დიდი აურზაური ატყდა ამ წერილის გამო, — ამბობდა წარსულის მოგონებებით გატაცებული კარაგინი, — თათოსამ ხელფასი შემიწყვიტა, მას სურდა შუა ზამთარში სახლიდან შიშველ-ტიტველი გავევადე. მის ქალიშვილზე თვალი მევირა, სიტყვა გექონდა მიცემული — ერთმანეთისათვის არ გველა-ლატა, მაგრამ სხვაზე გაათხოვა, გული დამიკოდა. ბოლოს მაინც გავიმარჯვე. მთელი რესპუბლიკის მოკლამაგირეები ჩემს დასაცავად გამოვიდნენ.

არქივში ბლომად იყო კარიკატურებით დაშვენებული კორესპონდენციები, ლოთობის, ცრუმორწმუნეობის, საკოლმეურნეო მოძრაობის დროს ნებაყოფლობითი პრინციპის დამრღვევ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისა, „კოლმეურნეობიდან თავისამრიდებელ ორი კომუნისტის შესახებ“ და სხვა მრავალ საკითხებზე. კარაგინი აღელვებული უყურებდა ამ გაყვითლებულ, ზოგან გაცვეთილ და პაპიროსის ქალაღვით დაწებებულ გაზეთში დაბეჭდილ მასალებს, ისე როგორც ნამდვილი შემოქმედი გადაათვალიერებს ხოლმე წლების მანძილზე დაწერილ თავის ტომებს და სწრაფად ორი სიტყვით აცნობს მსმენელს თავისი გმირების საბოლოო ბედს. „აღკომოლივი სერგო ჰამბარიანი“, განაგრძობდა ის, ახლა მანქანა-ტრაქტორების სადგურის მერვე ბრიგადას ხელმძღვანელობს, „ნებაყოფლობითი პრინციპის დამრღვევი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე“ ოცდათერთმეტ წელს ჩადგა წითელი არმიის რიგებში, მაიორის ხარისხი დაიმსახურა და სამამულო ომის წლებში ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. კარაგინმა მიჩვენა დიდ მუყაოზე გაკრული, ორმოცდასამ წელს მისგან მიღებული ფოტოსურათი: „კოლმეურნეობიდან თავის ამრიდებელი ორი კომუნისტი“. ერთი მათგანი ახლა მუშაობს კოლმეურნეობის ეტაჟინად. რაიონულ გაზეთში ჩემს წინააღმდეგ დაბეჭდილი კორესპონდენციის ავტორი სწორედ ისა ბრძანდება...

— მაშ შური იძია, არა, სამაგიერო გადაგიხადა, ამხანაგო კარაგინ? ხუმრობით ვუთხარი მე.

— არა, შური არაფერ შუაშია, — უცებ მიპასუხა თავმჯდომარემ. — ეს ძველი, დავიწყებული ამბავია, ერთმანეთთან ძმებივით ვიყავით. ორი წელია, კურსებიდან დაბრუნდა და მეკამათება, ყველაფერში მეწინააღმდეგება. კურსებზე რაც კი გაიგონა, ხალას ამბად მიიჩნია, არ ითვალისწინებს ჩვენს პირობებს და სურს, ჯიშინი მეცხოველეობის ფერმის წესები ჩვენს ფერმაში დანერგოს. მე ხომ ჰქუა პურისათვის არ ჩამიტანებია, რომ იმას ყველაფრის ნება დავრთო, ათი წლის გამოცდილება მაქვს, ხუმრობა ხომ არ არის. სანამ ამ მეურნეობის ხელმძღვანელი ბენიამინ კარაგინია, ისე უნდა მოიქცეს, როგორც მე მსურს, თუნდაც აკადემია დაამთავროს, მაინც მე უნდა დამიჯეროს... იყო დრო, როდესაც უჩემოდ ლუქმას არ გასტეხდა. ახლა კი ყველაფერზე მედავება, ავტორიტეტს მილახავს. ომის დროს მთელ რესპუბლიკაში ჰქუხდა სოფელ გეტაფის კოლმეურნეობის სახელი! მერე ვისი წყალობით! ჩემი, ბენიამინ კარაგინის, მეოხებით. პურის დამზადების გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ვასრულებდი, სახელმწიფოს ყოველ წელიწადს გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ვასრულებდი. ეს ყველაფერი დავიწყა, უყურადღებოდ დატოვა, თითქოს ბენიამინ კარაგინი აღარ არსებობდეს და მდიდარი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი აღარ იყოს. ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა, ყველა-

ფერი გამოიცვალა მის თვალში. აი ერთი მაგალითი. ორმოცდახუთ წელთან შედარებით მეცხოველეობის პროდუქციულობა წელს თხუთმეტე კაროცენტით გაიზარდა, ის კი ყველგან გაჰყვირის — მერე რა დიდი მიღწევებია! ან კიდევ შარშან — ჰექტარზე თერამეტი ცენტნერი ხორბლის მოსავალი მივიღე, რაიონის საშუალო მოსავალი კი თხუთმეტ ცენტნერს არ აღემატებოდა. ეს ზომ უდავო გამარჯვებაა? ის მაინც უკმაყოფილოა და მოსავლის დღესასწაულის საზეიმო კრებაზე განაცხადა, რომ ჩვენ შეგვეძლო ჰექტარიდან ოცდა ხუთი ცენტნერი მოსავლის მიღებაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენს კოლმეურნეობას მეცნიერების მიღწევები არა სწამს, ცხოვრებას ჩამორჩაო... განა ეს სოფელი ჩამორჩენილია, ძმაო? კიდევ კარგი, რომ თქვენი თვალით ნახეთ ყველაფერი...

კარაგაიანმა გაიღიმა, ღრმად ამოისუნთქა და გაჩუმდა. თითქოს ამით საშუალება მომცა, რომ გადამეწყვიტა, მართლა ჩამორჩენილია მათი სოფელი, თუ არა. მერე რაღაც გაახსენდა და უფრო აღფრთოვანებულმა განაგრძო:

— შარშან გაზაფხულზე ჩვენს კოლმეურნეობას შემოუერთეს სოფელ ძორალანჯის და ქარაკერტის კოლმეურნეობები. გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს; სამივე სოფლის კოლმეურნეებმა ერთხმად მომცეს ხმა. მათ კარგად იცოდნენ, ვის ირჩევდნენ თავიანთი დიდი მეურნეობის ხელმძღვანელად... მართალია, კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ მუშაობა ცოტა გართულდა და გაძნელდა, ფერმებში კარგად ვერ არის დაყენებული საქმე, პირუტყვის საკვები დააკლდა, მაგრამ მე, კარაგაიანმა, შევძელი ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა. ჩემს ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, აი, აქამდე ჩაიფლებოდა, — და მან თავისი მსხვილი თათი მიიღო ყელზე. ქების ნაცვლად მაგინებენ, ამბობენ, თითქოს ბენიამინ კარაგაიანს არ შეუძლია უხელმძღვანელოს დიდი მასშტაბის მეურნეობასო... კრიტიკოსები გამრავლდნენ. ჩვენი პარტიულროს ახლადდარჩეულმა მდივანმაც — აშოტ სალიანმა — ერთი წლის წინათ დამთავრა ინსტიტუტი, და ჯერ კიდევ სტუდენტური სიფიცხე ვერ მოუცილებია, ყველა კრიტიკოსს უსმენს, ათამამებს, აქეზებს, ამათაც კრებაზე გაკრიტიკება როდი იკმარეს, ახლა საქმე რაიონულ გაზეთამდე მივიდა. როგორც უნდათ, ისე მოიქცენენ, მე არაფრის არ მეშინია, — უცებ ხმა იიზოლა კარაგაიანმა და სიბრაზისაგან ქვედა ტუჩი აუცახცახდა — მე მთელი რესპუბლიკა მიცნობს, საუკეთესო პირადი თვისებები მაქვს, ჩემო ძმაო... ჩემი სახელი მოსკოვშიც განთქმულია.

### III

კოლმეურნეობის გამგეობის საგადარჩევო კრება ტარდებოდა ელექტროშუქით ვაჩირაღდებული კლუბის დიდ დარბაზში. გაზაფხულის გრილი საღამო იყო. მინდვრიდან ბრუნდებოდნენ მემინდვრეები და კლუბის კარებთან გროვდებოდნენ. ეზოში იდგა რამდენიმე ფურგუნი და სატვირთო ავტომანქანა, რომლებითაც კრებაზე მოსულიყვნენ მეზობელი სოფლების კოლმეურნეები.

დარბაზი ხალხით იყო სავსე... წინა რიგებში მეტწილად ისხდნენ ქალები, რომელთაც ხელში ძუძუმწოვარა ბავშვები ეჭირათ. ხანდახან გაისმოდა ყრუ და საერთო ხმაური. სცენაზე პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ: რაიკომის წარმომადგენელი, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი და უფროსი აგრონომი აშოტ სალიანი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე სონიკ არაქელიანი, რომელსაც „გმირი დედის“ ორდენი ჰქონდა მკერდზე, საშუალო სკოლის

დირექტორი სურენ აიუნცი, ორდენებით და მედლებით დაჯილდოებული ბრიგადირები, მეთამბაქოები, მეცხოველეობის მუშაკები, — ყველაფერს დადესასწაულო ტანსაცმელში იყენენ გამოწყობილი. ბევრი მათგანი ტუკენი გაფიცვანი ამ ორი დღის განმავლობაში. ვიცოდი მათი გვარი და სახელი და ბლოკნოტი სავსე მქონდა ცნობებით მათი საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებით კმაყოფილი ვიყავი ახლადგაცნობილი თვარამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკით, რომელიც ახლა გვერდზე მეჯდა ლოჯაში. ეს იყო ბენიამინ კარაგიანის უფროსი შვილი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის მოსწავლე ბაბკენ კარაგიანი, ლამაზი ტანის, სახის ჭკვიანი გამომეტყველებით. ის მამის ნამდვილი საწინააღმდეგო ტიპი იყო: თავის თავზე არასოდეს არ ლამაზობდა. სხვებისაგან გავიგე, რომ ტექნიკუმის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი იყო, ფრიალოსანი მოსწავლე, სოფელშიც ყველას უყვარდა იგი.

ჩემსკენ გადმოხრილი ბაბკენი მომიტხრობდა თავისი ამხანაგებისა და თანასოფლელთა შესახებ. „ის დევგმარი გალუსტ აიუნცია, ჩვენი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან დღემდე აღმადგინებელი ბრიგადირია და ყოველწლიურად ყველაზე მეტ მოსავალს იღებს. შეხედეთ იმ წყვილს, მეთამბაქოების მერგოლურები არიან. ორივემ ამ რამდენიმე დღის წინ ლენინის ორდენი მიიღო. ამხანაგმა აშოტ სალიანმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა ინსტიტუტი და ახლა დისერტაციას წერს ჩვენი კოლმეურნეობის შესახებ. კარგი თემაა, არა?.. აი, თუ იმას ავირჩევდით თავმჯდომარედ...“ ამბობდა იგი ახალგაზრდული გულწრფელობით.

კრების თავმჯდომარე აშოტ სალიანმა დიდხანს ვერ დააწყნარა დარბაზი, რომელიც თანდათან უფრო ივსებოდა ხალხით. ის ნერვულად აწყარუნებდა გაბზარულ ზარს. მალე მას წესრიგის დამყარებაში დახმარება აღმოუჩინეს კოლმეურნეებმა და დარბაზი თანდათანობით დაშვიდდა. როდესაც სალიანმა კრების დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა მისცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბენიამინ კარაგიანს, დარბაზში ბუნის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით.

კარაგიანი ადგილიდან თითქმის წამოხტა და მსუბუქი ნაბიჯით მიუახლოვდა ტრიბუნას. მას ეცვა კოვერკოტის ყავისფერი სადღესასწაულო ტანსაცმელი. მკერდზე ჩამწკრივებული ჰქონდა ხუთი-ექვსი ორდენი და მედალი, ფერადი ჰალსტუხი გაეკეთებინა და ჭაბუკივით მარჯვნივ გადაეყარცხნა ჰალარაშერული თმა, სახეზე თვითკმაყოფილება და საზეიბო იერი უთამაშებდა. ჩემდაუნებურად მაშინვე მიუღებრუნდი ბაბკენს, ის სცენისაკენ არ იყურებოდა, თავი ჩაქეინდრა და ყურებადმდე გაწითლებულიყო, ალბათ ცხვენოდა.

მოხსენება დაიწყო ხმამაღლა და ამიტომ ხმა მაშინვე ჩაეხლიჩა. კარაგიანი თავის მოკლე თითებს ჰაერში ათამაშებდა, მთელი სხეულით ირწყოდა. მისი სიტყვა წარმოდგენდა ძველი და ახალი მიღწევების ჩამოთვლას, თავდაუქერლად გაისმოდა ჩემთვის ცნობილი ბენიამინ კარაგიანის ფრაზები: „მე გამგეობის წინაშე საკითხი დავსვი, რომ რაღაც უნდა დაგვეჯდომოდა, აგვეთვისებინა ძორატაფის თიხნარი მიწები... ჩემი განკარგულებით, ბრიგადებმა გამარგლეს საშემოდგომო ნათესები... მე და ამხანაგმა აშოტ სალიანმა მოვიტხოვეთ...“ და სხვა. მომხსენებელი დაწვრილებით მოუთხორობდა, ჰყვებოდა, თუ სამამულო ომის წლებში და მას შემდეგ კოლმეურნეობა რამდენჯერ იქნა წარმოდგენილი რაიონის წითელ დაფაზე, რამდენჯერ მიიღო გარდამავალი დროშა და ჯილდო, რამდენი კოლმეურნე იქნა დაჯილდოებული ორდენითა და მედლით. მოხსე-

ნების ამ ნაწილში იგი ძალზე აენტო. კარაგინი რომელიმე ორდენოსანს გვარის დასახელების დროს ხელს პერში აქნევდა და დარბაზშიც აქვეყნდებოდა ტაში. ამოტ საღიანი იძულებული იყო, დაეწყინებინა დარბაზშიც.

— ეს საზეიმო სხდომა როდია, ამხანაგებო, — მტკიცედ თქვა მან. შემდეგ, მიუბრუნდა რა მომხსენებელს, დაუმატა: — უკეთესი იქნება, ილაპარაკო გამგეობის მუშაობის ნაკლზე, ამხანაგო კარაგინ!

კარაგინმა იწყინა ეს შენიშვნა, მაგრამ არ გამოამჟღავნა, ღიმილით გადახედა თავმჯდომარეს, ერთი ყლუბა წყალი შესვა, ფურცელი გადააბრუნა და განაგრძო:

— ამხანაგი სტალინი გვასწავლიდა, რომ კრიტიკის და თვითკრიტიკის გარეშე ჩვენ წინ ვერ წავალთ. ამ გამოცდილი მეთოდით მე მსურს გამოვამჟღავნო და მოვითხროთ ჩვენი ნაკლი და შეცდომები. მე ყოველთვის მოუწოდებდი გამგეობის წევრებს არ შეშინებოდით კრიტიკისა და ყოველდღიურად მოხერხებულად გამოუყენებინათ ეს ბასრი იარაღი.

შემდეგ ჩამოთვალა რამდენიმე ნაკლი, რაც, თავმჯდომარის მტკიცებით, კოლმეურნეობათა შეერთებით იყო გამოწვეული და რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ცუდი დახმარების შედეგს წარმოადგენდა.

ორსაათიანი მოხსენება ასე დაამთავრა:

— ამხანაგებო, ზოგი ცდილობს ისარგებლოს კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად გამოწვეული სიძნელეებით და ამით სახელი გაუტეხოს კოლმეურნეობის გამგეობას და მის თავმჯდომარეს. მაგრამ ამას ისინი ვერ შეძლებენ. პარტიის რაიონული კომიტეტი და მისი გამოცდილი ხელმძღვანელი, ამხანაგი ასატურიანი, ძალიან კარგად იცნობენ ბენიამინ კარაგინს. უკვე ათი წელია, რაც იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, და რაც ძალ-ღონე და ენერჯია აქვს, არ ზოგავს კოლმეურნეობისათვის. ან რატომ უნდა დაზოგოს, როდესაც მისთვის კოლმეურნეობის გარეშე სხვა მიზანი არ არსებობს. ჩემი კარგი მუშაობის შედეგია, რომ სოფელმა ასე გაითქვა სახელი მთელ რესპუბლიკაში. ნამოჯამაგირები კაცი, ოცდაათ წლიდან დაწყებული, სოფლის საქმეებში ჩავები და მუდამ ქებას ვიშასაზურებ. ერთი წელია, რაც ვხელმძღვანელობ გამსხვილებულ კოლმეურნეობას, რომელშიც ხუთასი კომლია გაერთიანებული და ყოველივე ამის შემდეგ თქვენ იცით, თუ რა წერია რაიონულ გაზეთში ჩემს შესახებ? — მომხსენებელს ხმა აუკანკალდა, — თუ ჩვენი პარტიეციკული კოლმეურნეობი, რომელთაც ერთი წლის წინათ ასეთი დიდი მეურნეობის მართვის საქმე მიახდეს ბენიამინ კარაგინს, დარწმუნებული არიან, რომ ის ამ თანამდებობისათვის უღირსია, დე, თქვან. მე, ბენიამინ კარაგინს, კრიტიკის არ მეშინია. იგი დაკარგული კაცი როდია... მას მთელი რესპუბლიკა იცნობს... მე დავამთავრე!

ტრიბუნაზე გაფანტული ქალაღები აკრიფა, დინჯი ნაბიჯით გაემართა თავისი ადგილისაკენ. დარბაზში დუმილი გამეფდა. კარაგინის თვითკმყოფილებით აღსავსე სიტყვამ, როგორც ეტყობა, დააბნია დამსწრენი. სიჩუმე გრძელდებოდა თავმჯდომარის მიერ ზარის რამდენჯერმე დაწყარუნების შემდეგ კი იგი მოითხოვდა, მონაწილეობა მიეღო კამათში. არავის არ სურდა პირველი გამოსულიყო, პირველს ელაპარაკა, თითქოს ამ პირველ სიტყვას შეეძლო გადაეწყვიტა ბენიამინ კარაგინის ბედ-იღბალი.

ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ შუა

რიგებიდან ვილაცას არ აღემაართა უზარმაზრი ხელი. ეს იყო გალუსტი აიუნცი, რომელიც სიტყვას თხოულობდა. და სანამ იგი ძლიეს გაარღვევდა რიგებს და ეს წარმოსადგევი გლეხი ტრიბუნას მიუახლოვდებოდა, დარბანს ერთველი შეება იგრძნო.

მიადწია რა ტრიბუნას, გალუსტი აიუნცმა, იმ ბრიგადირმა, რომლის შესახებაც ასე ალტაცებით ლაპარაკობდა ბაბკენი, წარბეზის ქვემოდან თვალი გადაავლო დარბანს, უღვაშებქვეშ თითქოს ვილაცას გაუღიმა, მხრები აიჩეჩა, ჩაახველა, ხელისგული ფართო შუბლზე მოისვა, შემდეგ ორივე ხელი მაგრად ჩასქიდა ტრიბუნის კიდევებს და ისე ლაღად, თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი, გეგონებოდათ, თავის სახლში თავისიანებს ესაუბრებოთ.

— მე იმას ვიტყვი, ამხანაგებო, რომ გაზეთში სწორედ და სამართლიანად დაუწერიათ ჩვენს შესახებ. ეს ამხანაგ ბენიამინს ნუ ეწყინება. ჩვენ წარმატებებით ბევრს ეტრახახობთ. ვერ წარმოგვიდგენია, ჩვენისთანა კოლმეურნეობა თუ სადმე სხვაგან კიდევ არსებობს. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. მაგალითად, ბარძრავეანის კოლმეურნეობა ჩვენ გვისწრებს, მათმა ფერმ 3 გარდამავალი დროშა გამოგვტაცა ხელიდან. რატომ, ამხანაგო თავმჯდომარე? — მან თავის ხმას მეტი სიმტკიცე მისცა და პირდაპირ გადახედა კარაგიანს, — ეს იმიტომ, რომ ჩვენ მუდამ გავყვირით, ვხმაურობთ, ისინი კი წყნარად, ზედმეტი ხმაურობის გარეშე თავიანთ საქმეს აკეთებენ. ასე თუ გაგრძელდა, ერთი წლის შემდეგ ალბათ ყველა დროშას ჩამოგვართმევენ. ამხანაგმა მომხსენებელმა თქვა, რომ შარშანდელი უხვი მოსავალი ჩვენი კოლმეურნეობის დიდი გამარჯვება იყო, და შეადარა რაიონის საშუალო მოსავალს. ეს კი სუსტი და ჩამორჩენილი კაცის თავისმართლებაა მხოლოდ. ღონიერი მხოლოდ ღონიერს შეედრება, ჩვენი მეზობელი სოფელ სარნაღბიურის კოლმეურნეობამ, ბაგრატ კარპინის ხალმძღვანელობით რომ მუშაობს, ჰექტარზე 22 ცენტნერი ხორბალი აიღო, ხოლო სოფელ შატიკის კოლმეურნეობამ — 22,5 ცენტნერი. რატომ მათ არ უნდა შევადაროთ ჩვენი მიღწევები, ამხანაგო თავმჯდომარე, შენ უკან იხედები და ორმოცდა ხუთი წლის მოსავალს იხსენებ. უკეთესია, წინ იყურო, ბენიამინ! — იგი შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, ერთხელ კიდევ მოისვა ხელი ფართო შუბლზე და განაგრძო, ხმა უფრო აიმაღლა, — ისიც უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ჩვენი გამგეობის თავმჯდომარე ბენიამინ კარაგიანი ერთ დროს, საქმეს თავს ართმევდა, ახლა კი ვეღარ ართმევს... ღონე აღარ ყოფნის, წინათ აბა რა გეჭონდა? ცოტა რამ რომ შემოგვქონდა სოფელში, სიხარული-საგან არ ვიცოდით რა გეჭენა. მახსოვს, როდესაც პირველად ბენიამინმა თესლ-საწმენდი მანქანა ჩამოიტანა სოფელში, გახარებულები ცეკვა-სიმღერით გარშემოვხვებით. ახლა კომბაინები გუგუნებენ მინდორებზე, რადიოთი ერთმანეთს ველაპარაკებით და აღარ გვიკვირს, ასე გვგონია, თითქოს ეს დასაბამიდანვე ასე მოძინარეობს... ერთი მხრივ კოლმეურნეობაც გაიზარდა, სამი სოფელი გაერთიანებულია ერთ მსხვილ კოლმეურნეობაში, ეს ხუმრობა საქმე ხომ არ არის! საქმე გამწვანდა, ჩვენი თავმჯდომარე კი ძველი მიღწევებით ტრახახობს. ერთი სიტყვით, როდესაც კოლმეურნეობა პატარა იყო და ურბით მიმოჩავდა, კარაგიანი ფეხით მიჰყვებოდა მას და უსწრებდა კიდევ. ყველა კმაყოფილი იყო მისი და ორდენიც დაიმსახურა. ახლა კი დრო შეიცვალა, ტრაქტორს და კომბაინს ვეღარ მიჰყვება ფეხდაფეხ ჩვენი თავმჯდომარე. ამით იმის თქმა მსურს, ამხანაგებო, რომ ჩვენ გვეჭირდება ისეთი თავმჯდომარე, რომელიც ტრაქტორს და კომბაინს დაეწევა და გაუსწრებს... ამხანაგ კარაგიანმა კი დროა, დაისვენოს.

კარგად ჩაუფიქრდეს თავის საქციელს და საქმეებს.

ისეთი მკაცრი და მოულოდნელი იყო გალუსტ აიუნციის დასჯენა, რომელიც წამს დარბაზი გაქვავდა. ეზოდან მკაფიოდ მოისმოდა წყაროს ჩუნჩუნის, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ასეთი სიჩუმე. უცებ მთელი დარბაზი ახმაურდა. აქა იქ ჯგუფად გაიყვნენ, კამათობდნენ, მოკლე რეპლიკებს ისვროდნენ. თავმჯდომარე იძულებული იყო ფეხზე წამომდგარიყო, იგი უკვე პაერში აქნევდა პატარა ზარს და გვარების დასახელებით შენიშვნას აძლევდა წესრიგის დამრღვევთ. ყველაზე ძლიერად გაისმოდა ერთი ხანში შესული ქალის ხმა. ამოტ სალიანმა სწორედ მასვე მიმართა.

— დეიდა ანუშ, — ღიმილით უთხრა მან ქალს, რომელიც ადგილის უქონლობის გამო კარებში იდგა, — კრებას თავისი წესი აქვს, კამათში გამოსულები სცენიდან ლაპარაკობენ და არა ადგილებიდან.

— სწორედ მეც სცენიდან მინდა ვილაპარაკო. — სწრაფად მიუგო ქალმა, სცენისაკენ გაეშურა და გზაშივე დაიწყო თავისი სიტყვა.

ისე სწრაფად და აღელვებით ლაპარაკობდა დეიდა ანუში, რომ პირველად მისი ნათქვამიდან არაფერი შესმოდა. შემდეგ კი, ხმაური რომ შეწყდა, ძლივს გაეარკვია მისი ფრაზები:

— აგერ, ერთი წელი იქნება, აბანოს ვაშენებთ, მაგრამ ვერ მოვათავებთ. საბავშვო ბაღის შესახებ ხომ არავე არ ზრუნავს. კვირაში ერთხელ სინათლის მავთულები ზიანდება და სოფელი უსინათლოდ რჩება. რადიოკვანძი მშვენიერი რამ იყო. მაგრამ ახლა კი დუმს. ჩვენ რითი ვართ სხვა სოფლებზე ნაკლები, ამხანაგო თავმჯდომარე?

— იმას რატომ აღარ ამბობ, დეიდა ანუშ, თუ სოფელმა რადიო და სინათლე ვისი წყალობით მიიღო? — უცებ გაისმა ვილაცის მკვახე ხმა.

ყველამ პირი იბრუნა იქით, საიდანაც ხმა მოისმა, დარბაზში ატყდა ჩოჩქოლი და მალე მიწყნარდა. ბენიამინ კარაგიანმა მხიარულად გაიღიმა და რაღაც ჩასჩურჩულა რაიკომის წარმომადგენელს. ეს უკანასკნელიც უხალისოდ უღიზოდა და თანაც თავს უქნევდა.

დეიდა ანუში კი აღუდგებლად, მჭევრმეტყველურად განაგრძობდა თავის სიტყვას და არავის ყურადღებას არ აქცევდა.

— ამ ათი წლის მანძილზე ამხანაგმა კარაგიანმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა, ჩვენ ამას როდი ვივიწყებთ. მაგრამ ეს ხომ მართო მას არ გაუკეთებია, მას მხარში პარტორგანიზაცია ედგა. კარაგიანი არ იქნებოდა, სხვა იქნებოდა, ვისაც ხალხი აირჩევდა და ენდობოდა. მაშ, როგორ, რომელ ქვეყანაში ეცხოვრობთ, რომ რადიო და ელექტრომუქი არა გქონდეს. რომელ სოფელს არა აქვს ის ახლა? ამხანაგმა თავმჯდომარემ კი ყველაფერი თავის გაკეთებულად არ უნდა ჩათვალოს.

— სწორია, სწორი! — ერთხმად გამოეხმაურა დარბაზი.

#### IV

შემდეგ სცენაზე აღიოდნენ მეთამბაქოეები, ფერმის მუშაკები, სიტყვები წარმოთქვეს: სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ — სონიკ არაქელიანმა, სკოლის დირექტორმა სურენ აიუნცმა, გალუსტ აიუნციის ძმისწულმა, ვეტერინარმა სარჭის მანუკიანმა, ბუნხალტერმა არმენ პარონიკიანმა, ტრაქტორისტმა ერვანდ თოვმასიანმა. კრიტიკა თანდათან ძლიერდებოდა. სულ ახალ-ახალი ამბები ირკვე-

ვოდა. ერთმა კომკავშირელმა კრებას უამბო, თუ როგორი წინააღმდეგი იყო ბენიამინ კარაგინი ხელოვნური წყალსაცავის აგებისა. „მე ბავშვური საქმეებისათვის არა მცალიათ“, — უთქვამს მას. მაგრამ, როდესაც რადკომის ჩარევის შემდეგ საქმე მოგვარებულა, წყალსაცავი აუფიათ, ახლა კარაგინი ყველგან ტრამპობს, რომ წყალსაცავი მე გავეკეთეო. თათულ პარონიკიანმა ამხილა, რომ კარაგინმა თავის დროზე არ იზრუნა თამბაქოს სათბურების მოწესრიგებისათვის, რის შედეგად ჩითილების გამოყვანა დაგვიანდაო.

დარბაზში განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია კლუბის გამგის ნშან დულანის გამოსვლამ. მან განაცხადა, რომ დასვენების პარკის გაფორმების დროს ბენიამინ კარაგინს სიტყვა ჩამოუგდია თავისი სურათის პარკში ჩამოკიდების შესახებ... „ამდენი საქმე გავაკეთე სოფლისათვის და პარკში სურათის ჩამოკიდების ღირსიც არა ვარო“, უთქვამს კარაგინს.

— ტყუილია, — უცბად წამოიძახა ბენიამინმა და მთლად გაწითლდა. დარბაზში გაისმოდა შეძახილები:

— იგონებ, დულანი!..

— მართალს ამბობს...

— კარაგინისაგან ყველაფერი მოსალოდნელია!

— სირცხვილია, სირცხვილი!

— სიჩუმე, ხელს ნუ გვიშლით!

კრებაზე რაღაც სწრაფად იცვლებოდა, იჭრებოდნენ ახალი საკითხები, რომელთა შესახებ თითქოს წინათ არც კი უფიქრიათ. ზოგიერთს უძნელდებოდა ხანგრძლივი მუნაობის შემდეგ მოესმინა ბენიამინის საქმიანობის გაკრიტიკება, მაგრამ როცა გალუსტ აიუნცმა თავისი სიტყვის დასასრულს მკაცრი დასკვნებო გააკეთა, ყველა დარწმუნდა, რომ კრიტიკა სამართლიანი იყო...

\*\*\*

ბენიამინ კარაგინს ერთხელ კიდევ შეეხვდი ამ შემოდგომაზე ქალაქში. ალერსიანად მომესალმა და ხელი ძლივს გამოვგლიჯე ხელიდან.

— რა კარგია... მე თქვენთან უნდა შემოვსულიყავი რედაქციაში, მინდოდა მენახეთ, — მეუბნებოდა კარაგინი.

— ალბათ ისვენებ ახლა, ამხანაგო კარაგინ? — ღიმილით შევეკითხე.

— რას ამბობთ, კარაგინს განა შეუძლია დასვენება? თქვენ ალბათ გალუსტ აიუნცის სიტყვა გაგახსენდათ. — მან ხელი ჩაიქნია და გაიცინა, — რა კრება იყო, როგორ დაუზოგავად შემომიტიეს, არა? კარგი გაკვეთილი იყო, იცით? ჩემს სიცოცხლეში არ დამავეიწყებდა. — კარაგინი ჩურჩულით ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა, რომ გამვლელებს არ გაეგონათ. — თავი გაბრუებული მჩონდა, მაღლობელი ვარ, ჩვენები დამეხმარნენ. ახლა უკვე სხვა ამბავია. ჩემს ენას ნუ მოაქცევთ ყურადღებას, ძნელად იცვლება. ერთი სიტყვით, მან ხმა ისევ აიმაღლა, — დაუფიწყარი დღე იყო... გახსოვს დეიდა ანუში? ყველაზე ძალიან მისი სიტყვები მომხვდა გულში. თქვენ ხომ არ იცით, თუ რა ჩაიღინა მან, როდესაც სინათლისა და რადიოს გამოყვანა გადაწყვიტეთ? პირველი მოწინააღმდეგე იყო. „არაფერი გამოგივათო, — ამბობდა, — ტყუილად ხარჯავთ ფულს, უელექტრონოდაც შეგვიძლია ცხოვრებო, უკეთესია, შრომადღებზე კუთვნილი ხორბალი უკლებლივ მოგვეცეთო... წერილიც კი დაწერა და გაგზავნა, მოვიდნენ, შეამოწმეს. ახლა კი კრებაზე წამოდგა, რადიო და სინათლე მოითხოვა.. მე



თქვენ ერთ რამეს გეტყვით და არ გაგიკვირდეთ. კრების შემდეგ მე უნდა აღიბნას ანუ დეიდასა და მის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ შეფიქრობდი. ჩემს თავს ვეუბნებოდი: ხედავ, ბენიამინ, დეიდა ანუ შიშის რამესთან სინათლისა და რადიოს სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა, ახლა სადამდე მისულა, როგორ გარბის წინ და გასწრებასაც კი ლაშობს. — მან გაიცინა და მსხვილი, გაყვითლებული კბილები გამოაჩინა. მერე რაღაც მოაგონდა და განაგრძო: — პო, თქვენ შემეკითხეთ, ხომ არ ვისვენებ? მართალია, ერთი ორი თვე დავისვენე. თავმჯდომარეობის კურსებზე გამაგზავნეს. შემდეგ კი ამირჩიეს სოფელ წაკლკაპოვტის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. პატარა კოლმეურნეობაა, მაგრამ საქმე ბევრია. ტრაქტორსაც ვამუშავებთ, კომბაინსაც, მაგრამ არაფერია, ორივეს ვასწრებ ფეხით და არასოდეს არ ჩამოვრჩები. — კარაგიანმა გაიღიმა, — გვაქვს საუკეთესო მეფრინველეობის ფერმა, რომლის მსგავსი მთელ რესპუბლიკაში არ მოიპოვება. დეიდა ანუ შიშის კი ფერმის გამგედ მუშაობს. კარგად იცის ინკუბატორის საქმე. ერთი წლის განმავლობაში მთელ ქვეყანას ჩვენი ფრინველით ავავსებთ. მე კი ჩამოვედი საბავშვო ბაღისათვის ნივთების წასაღებად, მაგრამ არ იძლევიან, სანამ მინისტრთა საბჭოსაგან ნებართვას არ მივიღებ. ვფიქრობ არ დაებრუნდები ხელცარიელი. — იქ მე მიცნობენ და უარს არ მეტყვიან... — ამბობდა ბენიამინ კარაგიანი მტკიცედ და დამაჯერებელი კილოთი.



## მთავრობის სახლი

★

მე ამ სასახლით ვარ მოხიბლული,  
 თვით უკვდავება მიცქერის ქვიდან  
 და მესმის, როგორ სცემს ჩემი გული,  
 ზღვა სახარულს რომ მოუცავს დიდად.

შევყურებ მე ცად აღმართულ სვეტებს,  
 მზით განათებულ მშვენიერ თაღებს,  
 დიდებულ დღეთა ვარ მოიშველე  
 და ნეტარება გულის კარს აღებს.

მადლობა ხალხთა ძმურ ერთგულებას,  
 ჩვენს დიად კავშირს, უძლეველ  
 მხარეს! —  
 გენიის ცეცხლით ანთებულგვმა  
 მძლე საძირკველი სახლს ჩაეუყარეთ.

და დაკარგული ბედნიერება  
 ამ შენობაში გაცოცხლდა კვალად,  
 როგორც უკვდავი მშვენიერება,  
 დგას, ადასტურებს ჩვენს დიად ძალას.

ტუფის კედლები შეურყეველი,  
 ვაზის ჩუქურთმას რომ დაუფარავს, —  
 განვლენ წლები და... ეამთა მძლეველი  
 მშობლიურ ცის ქვეშ იდგება მარად.

სახლი — ახალი სომხეთის გული  
 მკვიდრია, როგორც ქვეყანა ჩვენი,  
 ძალმომს შეეწირო მას გაზაფხული —  
 ჩემი სიცოცხლის ნეტარი დღენი.

ის სამსჯავროა სომეხი ხალხის,  
 მე ავირჩიე ყველა იქ მჯდარი,  
 მიტომ არიან ჩემს სულთან ახლოს,  
 მე მათი ძმა ვარ და მეგობარი.

ამიტომ ასე ლალი, ძლიერი  
 ავდივარ სახლში კიბეთა ზედა,  
 ამიტომ მიყვარს მე ბედნიერი  
 ჩემი სომხეთი — მშობელი დედა.

## ჩემო ყრმობავ!

★

ჩემო ყრმობავ, ნაზო ყრმობავ,  
 მე შენ როგორ დაგივიწყო?  
 შენ ამივსე სევდით სული,  
 მე შენ როგორ დაგივიწყო?  
 აღრე დაჰკნი, აღრე გაჰჭრი,  
 ვით ობოლი ბავშვი ჩვილი,  
 სიხარულის ცეცხლს ნატრული, —  
 მე შენ როგორ დაგივიწყო?  
 არც გართობა, არც თამაში,  
 არც პეპელა, არც ყვავილი,  
 გუგულივით გაფრენილი, —  
 მე შენ როგორ დაგივიწყო?  
 ნატრული რომ მუდამ დარჩი



მოლიმარი თვალებისა,  
 დედის თბილი აღერისისა, —  
 მე შენ როგორ დაგივიწყო?  
 გრიგალმა რომ გადაგქელა,  
 აღარ იყო ხსნა და შეველა,  
 დაგკრეს, დაგქრეს სევდის ხმლითა, —  
 მე შენ როგორ დაგივიწყო?  
 და როს ვუცქერ მობრწყინვალე  
 ჩემი ბავშვის ლამაზ თვალებს,  
 წინ მიდგებარ ყოველთვისა,  
 მე შენ როგორ დაგივიწყო?  
 მინდა სადმე შეგეყარო,  
 სიხარულის ცრემლი ვღვარო  
 რომ შენც ამ მზეს გაზიარო, —  
 აბა, როგორ დაგივიწყო?  
 მინდა... მაგრამ ვით მოხდება...  
 ვინც გაქრება, ვინც მოკვდება,  
 უკან აღარ დაბრუნდება, —  
 აფსუს! — როგორ დაგივიწყო?

## ძველი წყარო

### I

კვირადღე არის მზიანი,  
 ბაღში სეირნობს ქალ-ვაჟი  
 და გაზაფხულის ციალი  
 მოჩანს მწვანე ზღვის ტალღაში.

აქ სწრაფად დადის, სრიალებს  
 მატარებელი საბავშვო,  
 ბაღეს ესერიან მდინარეს  
 და წყლის შხეფები თამაშობს.

ქვევით ხევია ლამაზი,  
 ვთამაშობთ გატაცებული;

პრანდანი — შმაგი, კაპასი  
 წინ მირბის აქაფებული.

წრე შემოავლეს ჩვენს ირგვლივ,  
 ეშხით ივსება თვალები,  
 თამაშს უცქერენ ხალისით  
 ჩვენი ნაცნობი ქალები.

ამ წრიდან არუსიაკა  
 არამს შესცქერის მღელვარედ,  
 არამის თვალებს — კრიალას  
 შუქი ედება ეღვარე.

### II

ემდეგ ოცნებამ წაგვიღო...  
 ბალახმა თავი დახარა,  
 ჩვენი ხმა გულმა გაიგო,  
 შორს წყარო მოჩქეფს ანკარა.

ვისაც სწყურია წყალიო, —  
 გელამი დინჯად ამბობდა:  
 — წავიდეთ, წყალი დავლიოთ  
 არამის მამის წყაროდან!

წვედით სწრაფად, ხალისით  
და წინ გაგვიძღვა გელამი, —  
ცივი წყლით პეშვი ავივსეთ,  
შევსვით და წყაროს შევხართ.

წყარო — ძეგლია გმირისა,  
პრაზდანი გმირით ამყოფს,  
ძეგლი გმირთაგმირ შვილისა  
სომეხმა ხალხმა ააგო.

გრანიტისაგან ნათალი  
ძეგლი ამშვენებს ვაჟაკსა,  
თალის ქვეშ ალალ-მართალი  
ოქროს წარწერა კაშკაშებს.

შვილის გულს არ ასვენებდა  
წყაროსთან მისელის სურვილი,  
ბოლოს მივიდა, შეჩერდა,  
მოიკლა გულის წყურვილი.

მან თავი დაბლა დახარა,  
შუბლი შეეკრა დაღვრემილს.  
არამს, მხიარულ ამხანაგს,  
გული ევსება ნაღველით.

არ ვიცი, რა გაახსენდა  
არამს, მეგობარს საყვარელს...  
გული კი დარდმა დასერა,  
ცრემლებმა გული დაღარეს.

ან მამის სურათს, ან დედას,  
ალბათ, იხსენებს არამი  
და არ სურს ვისმეს მიანდოს  
თავისი გულის ვარამი.

სომხეთის მზიან მიწაზე  
ძეგლი დგას ცად აღმართული,

მივეხლოვდი გმირის შვილს,  
ის კი წასულა ფიქრებში,  
ლელავს და არის მწუხარე.  
ძმური სიტყვები ვუთხარი,

აგერ მოდიან ქალ-ვაენი,  
ირგვლივ სიმღერის ხმებია...  
ბუნებას, ტურფად გადაშლილს,  
მაისი დამშვენებია.

უცბად ყველას ხმა ატოკდა,  
ხმას ყველა არამს აწვდიდა:  
— არამ, რატომ ხარ მარტოკა,  
ქამოდი ძეგლთან რა გინდა?!

მას ეძახიან ხელახლა,  
ირგვლივ ღიმილი მზის არი.  
არამს კი თითქოს ენახა  
მწველი და მძიმე სიზმარი.

უცბად დასძახა არამმა:  
— ბიჭებო, დაგვაგვიანდა!  
ლამაზ სადგურის გადღმა  
წაივდეთ, გაეყვეთ ლიანდაგს!

მიქრის, სად ტყე და ბაღია,  
საბავშვო მატარებელი,  
აჭ ყველა მეგობარია  
და გულის გამხარებელი.

ამღერებულა მინდვრები,  
ყვავილნიც ამღერებულა,  
კაცის და ქალის სიმღერის  
ზანგები შეერთებულა.

იგი ჩუბჩუხა, ძვირფასი  
წყაროა, სახილგანთქმული.

## საღღერძელო



ბაღს დაჰფრქვევია ნათელი მთვარის,  
 ეალერსება ნიაფი ნელი  
 და ზორბლისფერი ქართველი ქალი  
 სტუმრებს გვადღევეებს ხმით მომხიბვლელით.  
 თასებში მოსჩქეტს ქართული ღვინო.  
 სიმღერისა და მოღბენის დროა,  
 ხოლო ფანჯრიდან რადიომიმღებს  
 უკანასკნელი ამბები მოაქვს:  
 „წყალგაღმა შფოთავს დოღარის მეფე,  
 მოუსვენარი და მუხანათი,  
 ამზადებს ახალ ომის ქარიშხალს,  
 სურს საბჭოეთზე აღმართოს თათი“.  
 დადუმდა უცებ ხმა სიმღერისა,  
 შეჩერდა წამით სიცილი, ტაში.  
 ფეხზე წამოდგა მასპინძელი და  
 ეს საღღერძელო წარმოთქვა მაშინ:  
 — რუსთაველივით მკერმეტყველი და  
 ბრძნადმოუბარი გახლავართ როდი,  
 მაგრამ ამჟამად რაც სათქმელი მაქვს,  
 პირდაპირ ჩემი გულიდან მოდის.  
 საღამო, ჩემო სომეხო ძმებო,  
 კეთილი იყოს ჩამოსვლა თქვენი!  
 ხშირად გვრგებია ჩვენ ერთად ტანჯვა  
 და სიხარულიც სიამის მფენი.  
 ერთად ეცხოვრობდით ასეულ წლობით,  
 უღრეკ მთებზევით მხარდამხარ მღგარი,  
 ღია გვექონია ერთმანეთისთვის  
 ყოველთვის ჩვენი ოჯახის კარი.  
 მტრებთან ბრძოლაში დაღვრილი სისხლი  
 იქცა საწინდრად მეგობრობისა,  
 მრავალ ქარცეცხლში გამოიჭედა  
 ბაჯალლო ოქრო ჩვენი ძმობისა.  
 დიახ, ჩვენ ვიცით ამ ძმობის ძალა,  
 ხელთ რომ ხმალივით გვიპყრია მტკიცედ...  
 და ახლა მარტო ორნი ვართ განა? —  
 თქვესმეტნი ერთუტრთს ძმად შევეფიცეთ.



ჩვენ ზურგს გვიმაგრებს მოსკოვი დიდი,  
 რუსეთი — გმირი შეუდრეკელი,  
 ამიტომ დარჩა მტკიცე და მშვიდი  
 ყველა სვეტი და ყველა კედელი.  
 ამ ჰურის მადლმა,

ამ ლენინის მადლმა,

რითაც ვართ უხვი და ბედნიერი,  
 არა არის—რა მთელ ქვეყანაზე  
 ხალხთა ძმობაზე უფრო ძლიერი.  
 დადუმდა იგი...

გაისმა უცებ

აღტაცებული ტაშის გრიალი  
 და ამ ხმას თითქოს ყოველგან უსმენს  
 ჩვენი სამშობლო ნათელმზიანი.  
 მერე დამშვიდდა მყის ყველაფერი,  
 გვეფინა მთვარის ნათელი მკრთალი,  
 და კვლავ გვატკობდა მომხიბლავ მღერით  
 თვალმეჭყუენა ქართველი ქალი.

## გამოსალმება



მოსაჩუღ დილით, ნათელი გზებით  
 მატარებელი მიჰქრის სამხრეთით;  
 უკან დავტოვე ბალნარი, მთები  
 და მშობლიური ჩემი კახეთი.

გემშვიდობები, ქართლო, კახეთო  
 და მოდუდუნე ანკარა მტკვარო;  
 თქვენს მიდამოებს კვლავ მსურს გავხედო,  
 რომ ნეტარების ცრემლები ვღვარო!

მიეპრი, თან მიმაქვს გულში ჩადგმული  
 მე სიყვარული პატარა სახლის;  
 მახსოვს ბელადის კერა განთქმული  
 გორი — დიდება ქართველი ხალხის.

მიეპრი, მიმყვება ხმაური ზღვისა  
 და აფხაზური ლამეთა თევა,  
 ქართველ ქალების სახება მზისა,  
 მათი ლერწმური ტანების რხევა.

მიმაქვს სალამი დანაბარები,  
 მშრომელი ხალხის პირით ნამღერი,  
 და მთიულური ცეკვის ქარები,  
 სიმღერა — მთების გადამლახველი.

მიმაქვს სიუხვე ბალის, ხეების  
 და შარიშური მთების ნიაფთა,  
 პოეტ ტაბიძის განცდილ დღეების  
 სალამი მიმაქვს ისააკიანთან.

მატარებელი მიჰქრის ფრთა მალი,  
 გზაში ჩრდილების თეთრი ბინდია;  
 უკან დავტოვეთ მთა და ტრამალი,  
 წინ მეგობრობის ოქროს ხილია.



სსსრ კავშირის  
 გამომცემლობა

\*

## გაქოლუაში



მოდინ დინჯად, ისე ვით ვოლგის  
ტალლა ტალლაში გადახლართული,  
და ჩენი ასე ჩუმად რომ მოდის —  
იგი ფიქრებში არის გართული.

მან ბაგე გახსნა

და დიდი რიდით  
წარმოთქვა ბგერა კბილების ჩენით,  
და ჩენის გვერდით ჩეხი რომ მიდის,  
იმ ჩეხს არ ესმის, რას ამბობს ჩენი,  
და ერთი სიტყვა...

აზრსა და გრძნობას  
რა უცნაურად გახდის ზილულად!  
ეს ერთი სიტყვა დუმილის დროსაც  
ფიქრებისათვის გზად გახიდულა.  
ლენინი!

ამბობს ხმადაბლა, ჩენი,  
მერე სხვა სიტყვებს წარმოთქვამს რიდით,  
და სიხარულის თვალებით მჩენი  
ხალხის ტალლაში ხალხისით მიდის.  
ლენინი!

ჩენი გზები ერთია,  
შენი გულისხმა ქვეყნებს მოედვა!  
და ყველა ქვეყნის გზები ერთიან  
მოსკოვის გულში —

წითელ მოედანს...  
ლენინი. —

ხალხთა ერთობის სვეტი,  
ლენინი ებრძვის ბოროტს, მუხანათს...  
მან გეპოვნინა ჩვენ ერთმანეთი  
და ძმობის ფიციტ შეგვადულაბა.  
ლენინი —

ხალხთა მშვიდობის მცველი  
და ყველა ბოროტ ძალთა მომსპობი  
ეს სიტყვა — ლენინ!

ღრმა და ვრცელი,

როგორც რუსეთი,  
როგორც მოსკოვი  
ეს ერთი სიტყვა...

ეს გულისძგერა  
ანათებს ხევეს, დაბლობს, მთიანებს, —  
და მადლმოსილი ეს ხუთი ბგერა  
ხუთივე სფეროს აერთიანებს!..  
ლენინი —  
წყვდიადს ნათელით გაჰხვეს,  
გზას გამოივლის ძნელს და ეკლიანს, —  
ხუთი ათასი წლის სიბრძნე ხალხებს  
ამ ხუთ ბგერაში აღუბეჭდია.  
დროშა იგი და სხივებს გვაფენს,  
არ დაიხრება არც ერთი წუთით —  
და ერებს დიად მომავლისაყენ  
გზას მიუნათებს ლენინის შუქი!

მოდინ დინჯად,

მოჰყავთ ბავშვებიც...  
იმძლავრა ყინვამ,  
სუსხია,  
თოშავს...  
და ხედავს ჩქენი კრემლის თალებში  
როგორ ეღვარებს ლენინის დროშა!  
მავზოლეუმი!

გრძნობები წმინდა!  
აგერ ლენინის უკვდავი სახე...  
ლაქვარდში სძინავს არწივს გულმშვიდად  
და სადაც არის თვალებს გაახელს...  
უთქმელი სიტყვა დაჰკვრია ბავს,  
მის ნათელ სახეს

დუმილიც ჰშვენის, —  
და თითქოს იგი არ სუნთქავს განგებ,  
რომ გულისძგერა ისმინოს ჩვენი  
ის მხოლოდ აქ წევს...  
წყვდიად ლამეშიც  
მის შუქს უსაზღვრო ველებში ველით...  
კრემლი ციალებს  
ჩეხის თვალებში,  
ჩინელის თვალშიც  
ციალებს კრემლი  
ტოვებენ ლენინს!  
ძმა ძმას მიჰყვება,  
მათ ისაუბრეს ლენინის გულთან!







და ერთმანეთის ესმით სიტყვებით,  
 რაც ჯერ არ უთქვამთ.  
 გაჰყენენ მოედანს სხივებით სავსეს,  
 მშობლიურია მოსკოვი დიდი!  
 ჩინელის ხელი

ჩემს მხარზე ადევს,  
 ჩეხი ჩინელის მხარდამხარ მიდის.  
 ლენინ და სტალინი!

ამბობენ ლხენით  
 და უგზავნიან კრემლის ცას ღიმილს...  
 ხელ დილით მოსკოვს დატოვებს ჩენი  
 და ჩეხიც წავა შინისკენ დილით;  
 აქ შეიყვარეს მათ ერთმანეთი,  
 მხარიმხარ მიდის ორი ძმობილი:  
 აღმოსავლეთი და დასავლეთი —  
 მოსკოვის გულთან გადაქდობილი.

## ამ გუმბათოვან გალაგნის ძირას



ეს მოშრიალე,  
 ეს ლამაზი ნაძვების რიგი  
 მე ტყბილ სიზმარშიც სხივმოსილი მინახავს ხშირად.  
 და როს შევეყურებ,  
 ვფიქრობ, ნეტავ ამ ცის ქვეშეთში  
 რას ოცნებობენ ამ დიდებულ გალაგნის ძირას.

აი, მე ვხედავ  
 აქ მარადის, —

წვიმაშიც,  
 ქარშიც,  
 ეს ვარსკვლავები რარვ ახლოს ბრწყინავენ მწყკრევიად,  
 და კვლავ ვოცნებობ ნაძვების ქვეშ,  
 არა ზღაპარში,  
 არამედ ამ დიდ განათებულ გალაგნის ძირას.

შევეყურებ ნაძვებს,  
 მინდა მათი ეშხით ვიწვოდე,  
 და ვგრძნობ, ჩემს გულშიც სიყვარულის ტალღა დიიძრა,  
 მე არ მიგრძენია ჯერ ასეთი დიდი სიციცხლე,  
 როგორც აქ დღეს, ამ იღუმალ გალაგნის ძირას.

აი, შევეყურებ  
 ნაძვებს შორის,



აგერ, ფიქრებით,  
 ვით უკვდავებას დღის ნათელში, დიდ ლენინს სძინავს,  
 და მწამს, ამაყობს ისტორია მისი დიდებით  
 ამ გუმბათოვან  
 ამ ასწლოვან გალავნის ძირას.

სძინავთ

აქ, სძინავთ,  
 ვინც ბრძოლაში  
 ცეცხლით, მახვილით  
 სამშობლოსათვის მტკიცე რწმენით თავი გასწირა.  
 და მწამს, კვლავ ესმით მათ მშობელი ხალხის ძახილი  
 ამ გუმბათოვან,

და როს შევეყრებ კრემლის კედელს აღტაცებული,  
 მე ვგრძნობ:  
 აქ ჩვენი დიდი ხალხის დიდ წარსულს სძინავს.  
 და თვალწინ მიდგას  
 მე სამშობლო განათებული  
 ამ გუმბათოვან, ცად აზიდულ გალავნის ძირას.

შევეყრებ ნაძვებს...

და ნაძვივით შრიალებს ფიქრიც,  
 ეხედავ, ჩემს გულშიც სიყვარულის ტალღა დაიძრა.  
 და მინდა მარად ამ ნაძვებთან მე ვიდგე რიდით  
 ამ განათებულ,  
 ამ დიდებულ გალავნის ძირას.

ნაირი ზარიანი

## მსროვ კარსუიანი

კომედია ოთხ მოქმედებად და ექვს სურათად



მოქმედნი პირნი

მსროვ ტიგრანისძე კარსეციანი — საბჭოთა მეურნეობის საცდელი ნაკვეთის გამგე.

რუზანა არშაკის ასული პალაბიანი — სელექციონერი, საცდელი ნაკვეთის მეცნიერი მეშაქი.

კორიუნ არამისძე ზარიფიანი — საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი და პარტორგანიზაციის მდივანი.

ნუან სეირანიძე გარნაქერიანი — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

მარგო — გარნაქერიანის მეუღლე, რუზანას და.

ბალაბეკი — საბჭოთა მეურნეობის საცდელი ნაკვეთის ბრიგადირი.

ჯუღიეტა — ბალაბეკის ცოლი.

მაქრუპი — მეშაქალი.

მერუჯანი — საცდელი ნაკვეთის მეცნიერი მეშაქი, მაქრუპის შვილი.

არტაშესი — გამწვანების ბრიგადირი.

ქნარიკი — არტაშესის ცოლი. მეშაქალი.

ნექტარი — გარნაქერიანის შინამოსამსახურე.

ფორა — ტრაქტორისტი.

მუშები და მუშაქალები.

## მოქმედება პირველი

სურათი პირველი

გარნაქერიანის ახალი სახლი. წინ ლამაზი ბაღი. ზაფხულის მზიანი დღეა. მარჯვნივ მოზანს ვერანდა, სადაც დგას ფართო სასაძილო მაგიდა. მარცხნივ დიდი კაკლის ხეა, რომლის წრდილქვეშ მოჩანს თეთრუფრაგადაფარებული მრგვალი მაგიდა. მაგიდაზე ამრეშუმის ყლიანი აღბოპა დევს. მაგიდასთან ახლოს თავთუხისფერი სახის, შეთვალეზიანი, კონტად თმადავარცხნილი რუზანა წიგნს კითხულობს, მარგო კი გრძელტარტიან სარკვეში ისწორებს წარბებს და ზუპუპ თმებს ივარცხნის. ლამაზი, მაღალი და მოყვანილი ტანისაა.

მარგო — რუზან, უკვე ოცდაათი წლისა ხარ, მომისმინე და გთხოვ. დამეთანხმო...

რუზანა — მარგო, მე ყოველთვის გისმენ ხოლმე, როდესაც ქუდის ყიდვა მსურს და შენი რჩევა მესაჰირობა.

მარგო — რასა ბრძანებთ, ქუდი! გინდა ხელახლა მოაწონო თავი კორიუნ ზარიფიანს. დაგაიწყდა, რა გატაცებით გიყვარდა?

რუზანა — არა, არ დამეიწყებია, მარგო, არ მამეიწყებია ის ზაფხულიც, როდესაც პიონერთა ბანაკიდან ერთი დღით ჩამოვედი მის სანახავად. შოფერის გვერდით ვიჯექი. როცა ქალაქში შემოვედი, მანქანის ძლიერ შექშე საშინელი სურათი გადამეშალა თვალწინ: მაგ საძაგელ კორიუნს ქიმის ფაკულტე-

ტის სტუდენტ ლარისასთვის მაგრად გაეყარა მკლავი მკლავში და მიამბიჯებდნენ „გამარჯვების“ ბალისაკენ.

მ ა რ გ ო — ოი, ოი... მერე შენ რა ჰქენი?

რ უ ზ ა ნ ა — მე?... მე დილაადრიან დავბრუნდი უკან ბანაკში და...

მ ა რ გ ო — ის?

რ უ ზ ა ნ ა — ის იმ შემოდგომას გაემგზავრა მოსკოვს და ლარისაც დაივიწყა.

მ ა რ გ ო — მაგრამ კორიუნი მოსკოვში ძალიან გამოცვლილა, ძალიან. იგი საბჭოთა მეურნეობის შთაეარ აგრონომად დაუნიშნავთ და პარტორგანიზაციის მდივანდაც უნდა აირჩიონ.

რ უ ზ ა ნ ა — მერე, მერე?

მ ა რ გ ო — რუზან, შენ მას უყვარხარ... ამის შესახებ მას ნუახისათვის უთქვამს...

რ უ ზ ა ნ ა — ვიცი, ეგ ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამს.

მ ა რ გ ო — მამ სხვა რაღა გინდა?!

რ უ ზ ა ნ ა — ან არაფერი, ან ყველაფერი.

მ ა რ გ ო — ეგ „ყველაფერი“ შენთვის ალბათ მესრობ კარსეციანია. არა?

რ უ ზ ა ნ ა — კარსეციანი?...

მ ა რ გ ო — რატომ იცინი?

რ უ ზ ა ნ ა — კარსეციანი ძალზე გადატირთულია. ის თავის გარშემო საზამთროების მეტს ვერაფერს ხედავს. „ლამაზი კაბა გაცევიათ, რუზანა არშაკოვნა“, მეუბნებოდა ამასწინათ და თანაც დაუმატა: მელიტოპოლის საზამთროს დამსჯავსებიხართ“.

მ ა რ გ ო — ოი... ოი...

რ უ ზ ა ნ ა — ის ჩემში მხოლოდ სელექციონერს ხედავს და სხვას არაფერს. როცა კარგ შედეგებს მივაღწეე ხოლმე, გახარებული მეუბნება: „ვაშა, რუზანა არშაკოვნა“, თუ რაიმე შეცდომა დაუეშვი ანგარიშებში, მიყვირის, თვალებს მიბრიალებს, მიყვირის ისე, როგორც არითმეტიკის მასწავლებელი თავის მოსწავლეს.

მ ა რ გ ო — არა, რუზანა, ჩემი აზრით შენ მტკიცე სიტყვა უნდა მისცე კორიუნს. დღესვე ჩვენთან, სადილზე შევსვამთ თქვენი ბედ-იღბლის სადღეგრძელს. ოჰ... რა კარგი იქნება, რუზან, რა კარგი... დამიჯერე, დაეთანხმე-მეთქი...

რ უ ზ ა ნ ა — არასოდეს.

მ ა რ გ ო — რა ჯიუტი ქალი ხარ, რუზან. არაეინ არ მოგწონს. მე შენი უფროსი და ვარ და ჩემგან მაინც აილე მაგალითი. შენც ხომ არ უარპყოფ, რომ უნივერსიტეტში მე ყველაზე ლამაზი ქალიშვილი ვიყავი? ხომ გახსოვს, როგორ მოეწონდი სედრაკ მიხაილიჩს, ამას პირდაპირ მოურიდებლად მეუბნებოდა ხოლმე. ბოლოს მე გაეოხოდა ჩემი: ვარსკარაანზე, რომელიც მაშინ უბრალო ინსტრუქტორი იყო. მასში მე ვხედავდი ნიქსა და პატიოსნებას.

რ უ ზ ა ნ ა — მამ, ბედნიერი ყოფილხარ.

მ ა რ გ ო — დიახ, მე შეგნებულად შევეწირე ჩემს ქმარს, რომლის გამო უნივერსიტეტიც კი მივატოვე. მე ახლაც არ ვნანობ ამას.

რ უ ზ ა ნ ა — ნუთუ არ ნანობ იმას, რომ დაქვარე შენი დამოუკიდებლობა და გადაიქციე ქმრის ხელში მხოლოდ დიასახლისად.

მ ა რ გ ო — რასა ბრძანებ, „დიასახლისათო“, მერედა, დიასახლისობა განა ბატარა საქმეა? მე ბავშვს ვზრდი, ვზრდი ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეს. ხელს



ვუწყობ ქმარს, რომ პატიოსნად და კარგად ემსახუროს ხალხს, ეს ყველაფერი, შენი აზრით, ცოტას ნიშნავს?

რ უ ზ ა ნ ა — მერე-და, შენი გარნაკერიანი ისეთი რომ არ გამოდგეს, როგორც შენა ფიქრობ?

მ ა რ გ ო — რა გსურს, მაგით რომ თქვა?

რ უ ზ ა ნ ა — ნუ გეშინია, მას შენ უყვარხარ. ის შენი ერთგული ქმარია და ჩემი კარგი სიძეა... მაგრამ ოჯახის გარეთ, მუშაობაში ისეთი არ არის, როგორც სახლშია.

მ ა რ გ ო — გრცხვენოდეს.

რ უ ზ ა ნ ა — რისთვის? ერთ დროს მეც მომწონდა შენი გარნაკერიანი, როდესაც იგი ტრესტში მუშაობდა ინსტრუქტორად. ყველას ეგონა, რომ დიდი მეცნიერი გამოვიდოდა. მაშინ მისი სახელი პქუხდა. მაგრამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გახდა თუ არა, მეცნიერება მიიფიჭა და თავის გაცვეთილ პალტოსთან ერთად შეეწირა ბალაბეკს...

მ ა რ გ ო — ამ ბოლო დროს მან დიდი დისერტაცია დაწერა!

რ უ ზ ა ნ ა — ვიცი, ისიც ვიცი, რომ პროფესორ დადუმიანს მოსწონებია შენი ქმარის დისერტაცია.

მ ა რ გ ო — დიახ, მართალია. „მარგარიტა არშაკოვნა, ეს პირდაპირ თქვენი გამარჯვებაა“, მითხრა პროფესორმა. გესმის? ის გარნაკერიანის დისერტაციას ჩემ გამარჯვებადაც თვლის, შენ კი გგონია, რომ მე მართო დიასახლისი ვარ და სხვა არაფერი...

რ უ ზ ა ნ ა — მარგო, რაც გინდა ის თქვი და შენი როლი მაინც ძალზე მოსაწყენია.

მ ა რ გ ო — ნექტარი!

(შემოდის ნექტარი, შეთვალემა, წითელოყვება მსუქანი, მთიელი ქალი).

ნ ე ქ ტ ა რ ი — აქ გახლავარ!

მ ა რ გ ო — რატომ არ გამოცვალე მაგიდაზე ყვავილები?

ნ ე ქ ტ ა რ ი — ყვავილები უკვე გამოცვალე, დაო მარგარიტ.

მ ა რ გ ო — „დაო მარგარიტ“... შენთვის რამდენჯერ მითქვამს, რომ ბროლის ვაზა არასოდეს არ დადგა კუთხეში. ის ყოველთვის უნდა იდგეს თვალსაჩინო ადგილას, მარჯვენა მხარეს.

ნ ე ქ ტ ა რ ი — ჩამოვარდება, გატყდება... აფსუსია.

მ ა რ გ ო — ეგ შენი საქმე არ არის. წადი და დადგი იქ, სადაც მე გეუბნები.

(ნექტარი გადის).

რ უ ზ ა ნ ა — მარგო, ამ ქალს ჭკვიანური სახე აქვს. მე იგი მომწონს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უშვევლად ავიჯანყდება (იციანის).

მ ა რ გ ო — რუზან, მე ვატყობ, რომ დღეს ძალიან გინდა მაწყენინო.

რ უ ზ ა ნ ა — რატომ, საიდან ჩანს?!

(შემოდის გარნაკერიანი, მაღალი ტანის კაცია, ჩასუქებული, ნახევრად მელიტი, ცხვარი წვეტიანი აქვს, თვალემა კი სწრაფად მოძრავი).

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — კიბზე მომესმა თქვენი ხმა. ჩანს, უკვე გაგიჩაღებიათ ატომური ომი? მერე ვინ არის ომის გამჩაღებელი?

მ ა რ გ ო — ნუან, წვირილმანებზე ლაპარაკს თავი გაანებე.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ყოვლად შეუძლებელია, რომ ისეთი ორი ძლიერი

„სახელმწიფო“, როგორც ჩემი ცოლია და ცოლის და, ერთმანეთს წერილმანებზე ეჩხუბონ.

მარგო — ნშან, ხუმრობას თავი გაანებე-მეთქი. შენ აიბანა შეტრახანს დახედე, როგორია, შეხედე, როგორი ბიჭია ჩემი ედიკა (ამოიღებს სურათს და ქმარს უჩვენებს). დღეს მივიღე სოჭიდან, დედას გამოუგზავნია.

გარნაკერიანი — ვაჰ... რა კარგი ბიჭია (კოცნის სურათს). შეხედე ერთი, რა ვაქაყური გამოხედვა აქვს. უსათუოდ აღმირალი გამოვა, ანდა მარშალი.

მარგო — შეილიკო, შენ გენაცვალე ჭკუა-გონებაში! ძალიან ცნობის-მოყვარე ბავშვია, ყველაფრის გაგება სურს. ამასწინათ მეკითხება: „დედა, რისგან ვარ გაყვებულად, რომ წაქევენი დროს არ ვიშლებიო ან არ ვიმტვრევიო?“. (სამივენი იცინიან).

გარნაკერიანი — შენ მას აღხსენი, რომ ის ძლიერი და ურღვევი სიყვარულის შედეგია (მოეხვევა მარგოს მხრებზე). ესეც შენთვის დისერტაციაა, რომელიც არავითარ დაცვას არ მოითხოვს.

მარგო — შენ ნახე სედრაკ მზახილიჩი?

გარნაკერიანი — დიახ, ვნახე.

მარგო — როდისთვის დანიშნა დაცვა?

გარნაკერიანი — ეგ დამოკიდებულია კარსეციანზე.

მარგო — კარსეციანი უეჭველად მოიწონებს შენს დისერტაციას. იგი პატიოსანი უდგომელი კაცია.

რუზანა — თუ არ შეიწყნარებ?.. მაშინ უპატიოსნოა?

მარგო — რუზან, არ გაბედო!

(მეზობლის კარსეციანი, საშუალო ტანის კაცია, ფართომხარბუკიანი, სშირი და შავი თმებით, უხეში და სწორი სახის ნაკეთები ემზნევა).

გარნაკერიანი — ო... მესროპ ტიგრანიჩი, მობრძანდით. ეს ბალი, მთელი სახლი და ჩვენი თავი თქვენთვის მომიძღვნია.

კარსეციანი — ჩემი საჩუქარი, ვგონებ, უფრო უბრალოა და კარგი. ერთი თქვენ, მეორე კი თქვენს პატივცემულ დას.

(კარსეციანი პარტფელიდან ამოიღებს ორ შეხვევას და გადასცემს ქალებს. მარგო ხსნის თავის საჩუქარს).

მარგო — კრებდენი? რა ლამაზია. რა ნაზი და თვალისმომკრელი ყვავილებია. საზღვარგარეთულია, მესროპ ტიგრანიჩი?

კარსეციანი — არა.

მარგო — ალბათ ლენინგრადისა იქნება?

კარსეციანი — არა.

მარგო — მოსკოვისა?

კარსეციანი — არა, ერევნისაა.

მარგო — რასა ბრძანებთ... ნუთუ ერევნის ნაწარმია ეს მშვენიერი კრებდენი?

კარსეციანი — დიახ, დიახ, მართალი გითხრათ, არ ვაპირებდი საჩუქრის მოტანას, მივდიოდი ქუჩაში და ვათვალისწინებდი ახლახან დამთავრებულ მშენებლობას. რა შესანიშნავი არქიტექტურაა. საუცხოოა, საუცხოო. და უცებ ამ ახალი შენობის მაღაზიის ვიტრინაში შევნიშნე ეს კრებდენი. ძალიან მომეწონა. ქალთა ერთ ჯგუფსაც ძალზე მოსწონებოდათ, მაგრამ ყიდვაზე ყოყმანობდნენ, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, რომ — ერევნის ნაწარმიაო. მე ჩა-

ვერიე მათ საუბარში და გაკვირვებით შევეკითხე: „რას ამბობთ, ნუთუ ერევანში ასეთ კარგ კრებდენის უშვებენ-მეთქი?“ „ღიახ, ახლა უშვებენო“ მიპასუხეს მათ. მე შემრცხვა, რომ აქამდე არ ვიცოდი, ცხოვრებან ჩამოვრჩენილვარ-მეთქი, გავიფიქრე და ჩემს დასასჯელად მაშინვე ვიყიდე ორი საკაბე თქვენთვის.

რ უზანა — გმადლობთ, მესრობ ტიგრანიჩ, მე ამ კრებდენის სიამოვნებით შევიკვრავ.

კარსეციანი — მე უკვე წარმოდგენილი მაქვს, ამის კაბა თქვენ მშვენიერ ტანს როგორ დაშვენდება.

მარგო — ... ადგილობრივი ნაჭერია... ქალაქში ამას ახლა ყველა ჩაიცვამს...

(შემოდის ზარიფიანი, შუატანის ლამაზი მოყვანილობის კაცი, თვალში შავი და მახვილი აქვს, გამობეჭვა სერიოზული).

ზარიფიანი — ნშან, სულით და გულით მოგილოცავ დისერტაციის დამთავრებას (ყველას ხელს ართმევს).

მარგო — ჩვენ კი თქვენს ლოდინში დავდნით... განსაკუთრებით კი რუზანა.

ზარიფიანი — (უხერხულად გრძნობს თავს, სიტყვას ბანზე აგდებს). ნშან, ტრესტის გამგეობაში აღფრთოვანებული ლაპარაკობენ შენი დისერტაციის შესახებ. „საზამთროს კულტურა მალე სომხეთის მთებში გაიხარებს“, გაბედული ჩანაფიქრია. არა, ამხანაგო კარსეციან?

კარსეციანი — უეჭველად... მაგრამ მე ძალიან მომწონს ნშანის ახალი სახლი (აღფრთოვანებული გაჰყურებს). ნამდვილად მინისტრის შესაფერისია. ბალიც მშვენიერია! ყვავილები ნაირნაირი, როგორი ლამაზი ვარდებია, აშკარად მშურს. დიახ, მშურს.

მარგო — ოთახებს არ დაათვალიერებთ, მესრობ ტიგრანიჩ?

კარსეციანი — დიდი სიამოვნებით.

მარგო — ნშან, მესრობ ტიგრანიჩს უჩვენე ჩვენი ოთახები. მე კი სადლის კეთებას შევუდგები. (უყურებს ზარიფიანს. გადის).

კარსეციანი — თქვენ არ წამოხვალთ, კორიუნ არამოვიჩ?

ზარიფიანი — მე უკვე ვნახე.

(კარსეციანს არ მოსწონს მისი პასუხი. კარსეციანი და გარნაკერიანი გადიან. პაუზა).

რუზანა — კორიუნ, შენ იცნობ ნშანის დისერტაციას?

ზარიფიანი — არა, რატომ შეკითხებით?

რუზანა — ისე (პაუზა).

ზარიფიანი — რუზან... მე შენთვის თეატრის ბილეთი მოვიტანე, დღეს „მსკარადი“ მიდის.

რუზანა — გმადლობთ, კორიუნ, ერთად წავიდეთ თეატრში.

ზარიფიანი — რუზან... მარგომ მართალი თქვა? „განსაკუთრებით რუზანაო“.

რუზანა — არა, კორიუნ, მარგოს ნათქვამზე მე პასუხისმგებელი როდი ვარ.

ზარიფიანი — რუზან, შენ მურს იძიებ (პაუზა).

რ უზანა — შეირთე ცოლი, კორიუნ, ტუყილად კარგავ წლებს. კარსე-  
ციანის ასპირანტი ლარისა არამიანი დიდი ხანია ქმარს ვაეყარა და შენ  
უწინდებურად... გიგლიორთეკა

ზარიფიანი — რუზან, მე შენთან მოვედი და შენ სხვაზე ნუ მითითებ.

რ უზანა — ჩემი სახლიდან დიდი ხანია შენივე ნებით წახვედი.

ზარიფიანი — ეგ ახალგაზრდული შეცდომა იყო.

რ უზანა — მაგრამ არის შეცდომა, რომლის გამოსწორება შეუძლებელია.

ზარიფიანი — მე გამოვასწორებ შეცდომას.

რ უზანა — გვიანლაა...

ზარიფიანი — ენახოთ... (პაუზა), მე, რუზან... მე... უშენოდ... არ შემიძლია... (პაუზა).

რ უზანა — კორიუნ... რატომ მოხსნეს სამუშაოდან პეტროსიანი?

ზარიფიანი — ენოქა? ამბობენ, კარგი მდივანიო, მაგრამ გარნაკერ-  
იანთან საერთო ენა ვერ გამოუნახავს. თურმე ჩუმ-ჩუმად მტრობდა...

რ უზანა — შენ კი მოხვედი, რომ გარნაკერიანს ავტორიტეტი აუმაღლო?

ზარიფიანი — რა გინდა მაგით თქვა?.. ის ჩემი ბავშვობის ამხანაგია.

რ უზანა — აა... აი რაში ყოფილა საქმე!

(შემოდან კარსეციანი და გარნაკერიანი).

კარსეციანი — მშვენიერია. საუცხოო სახლი ავიგია, ძვირფასო ნაშან.  
მერე როგორ შესძელი? მეც მიწოდდა ამეშენებინა სახლი, მაგრამ ვიფიქრე და  
დაერწმუნდი, რომ ეგ ჩემი საქმე არ არის.

გარნაკერიანი — მესრობ, თუ დისერტაცია წარმატებით დავიცავი,  
შენი სახლის საკითხი ჩემს კისერზე იყოს.

კარსეციანი — არა, არა, მე მაგის თავი როდი მაქვს და არც საამი-  
სო დრო.

გარნაკერიანი — მე ყველაფერს მოვაგვარებ, მოიცა, ჯერ დისერ-  
ტაცია დავიცავ!

რ უზანა — ნაშან სეირანიჩი... დროს გამონახავს. მან დისერტაცია სამ  
თვეში დაწერა.

ზარიფიანი — სამ თვეში?.. მართალს ამბობს, ნაშან?

გარნაკერიანი — რუზან, მე შენ დამცინი, რომელი სამი თვე, სამი  
წელია, რაც ღობე-ყორეს ვედები.

(შემოდის მარგო, ლანგარით საუზზე, კონიკის გრაფინი და ჭიქები მოაქვს).

მარგო — ამხანაგებო, სადილი ცოტა გვიან იქნება, ცოტათი შენაყრდით.  
(ყველანი ხელში აიღებენ ჭიქებს. მარგო ღვაძს ხის ქვეშ მღვარ მავღაღზე).

გარნაკერიანი — წინადადება შემომაქვს, ექსტრად შევსვთ ერთი  
ძვირფასი სადღეგრძელო, იმ კაცის სადღეგრძელო, რომელსაც შესწევს უნარი,  
მინისტრის თანამდებობაზე კი შეასრულოს. მაგრამ მან მაინც არჩია საბჭოთა  
მეურნეობაში წამოსულიყო სამუშაოდ, რომ დაგვეხმაროს სახელმწიფო გიგ-  
მების წარმატებით შესრულებაში, კორიუნ ძვირფასო, შენში დაუფასებელი  
ის არის, რომ გულით და სულით გიხარია შენი ამხანაგების წარმატებები. კე-  
თილი კაცი ხარ, ძმაო, კეთილი. პირველ რიგში ეგ მხარე მომწონს ადამიანში.  
მეც კეთილი ადამიანი ვარ. ჩემი გული და სული ჩემი ოჯახის სუფრა მუდამ  
გაშლილია ამხანაგებისათვის. კორიუნ, ძვირფასო, მე შენი გარნაკერიანი ვარ.



ჩემი სახლი შენი სახლია, შენი პატიოსნება ჩემი პატიოსნებაა. კორიუნ, კეთილად უხელმძღვანელებს საქმეს. სახელმწიფო და პირადი გეგმები ყოველთვის წარმატებით შეგვესრულებინოს. მე ცოტას გეუბნები, შენ ბევრს მიხვდი... ერთი სიტყვით, არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი. შენი სადღეგრძელო იყოს.

კარსეციანი — თქვენი სადღეგრძელო იყოს, კორიუნ არამიჩ. იმედი მაქვს, ჩემი საცდელი ნაკვეთი თქვენ საცდელ ნაკვეთადაც გადაიქცევა. ჩემს მარცხს საკუთარ მარცხად ჩათვლით.

რუზანა — კორიუნ, გისურვებ, რომ ჩვენს საცდელ ნაკვეთში შენ ისე გაიხარო, როგორც მიჩურინის კეთილშობილი მცენარე, როგორც...

მარგო — როგორც მელიტოპოლის საზამთრო. (იციინის).

კარსეციანი — თქვენ იციინით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის საზამთროების და ნესვების დატკობა პატარა საქმე როდია. ტუბილი საზამთრო გადაიქცევა ძალად და სილამაზედ. კომუნისმის დროს ყველაფერი ტუბილი და გემრიელი უნდა იყოს.

ზარიფიანი — თქვენ მართალი ბრძანდებით. მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენი ცოდნის დონის ადამიანები ყოველთვის უნდა მიაბიჯებდნენ მოწინავე მეცნიერების გზით.

კარსეციანი — მთავარი გზა გაკაფა მიჩურინმა. მან შეცვალა მცენარეთა მემკვიდრეობითი და ძირითადი თვისებები ისე, როგორც ჩვენ გვსურდა. მე სწორედ მაგ გზით მივდივარ. რატომ უნდა იყოს ასე, რომ, თურქმენეთის რომელი ნესვიც არ უნდა გაჭრათ, ტუბილია და გემრიელი, სომხური ნესვები კი უგემურია კარაპეტ ბარსელიანის ლექსებივით. ეგ მე ძალზე მაფიქრებს. ეგ ჩემი პირადი პრობლემაა.

ზარიფიანი — თქვენ მართალი ბრძანდებით. თქვენ კი, რუზან რა პირად პრობლემაზე მუშაობთ ამჟამად?

რუზანა — მე ვმუშაობ ერთ საკითხზე, მსურს მივიღო ერთი პიბრიდი, რომელსაც დავარქმევ „მოგვიანებით მომწიფებულ ალტაცებას“. ეს ძალიან სასარგებლო მცენარეა.

ზარიფიანი — ჰო, მაგრამ მხედველობაში მიიღე, რომ მცენარე, რომელიც გვიან მწიფდება, ხშირად თოვლი სუსხავს და ფუჭდება.

რუზანა — უდროოდ გაშლილი ყვავილები კი ნაადრევ გაზაფხულს ვერ უძლებენ და ხშირად ყინვის მსხვერპლნი ხდებიან.

მარგო — თქვენ იგავით ნუ ესაუბრებით ერთმანეთს? კორიუნ, ნუ გეშინია, შენს ყვავილებს თოვლის ქვეშ არ დავტოვებთ. თქვენი სადღეგრძელო იყოს.

ზარიფიანი — მეგობრებო! ვერ წარმოიდგენთ, რა მადლობელი ვარ თქვენი. მესრობ ტიგრანჩი, ვამაყობ, რომ თქვენთან ერთად ვიმუშავებ. ნშან, შენგან ყოველთვის დიდად დავალებული ვარ, — შენმა მშობლებმა ამიყვანეს თავიანთი მზრუნველობის ქვეშ და დამეზმარენ ადამიანი გამოვსულიყავი, კაცი გაემხდარიყავი. შენა ხარ ჩემი ბავშვობის ამხანაგი, ყრობის მეგობარი და ეს მეგობრობა და სიყვარული დღემდე გრძელდება, გმადლობთ. (სვამს).

რუზანა — „ამხანაგი“... რა ლამაზად ჟღერს ეს სიტყვა. მითხარი, კორიუნ, რას ნიშნავს სიტყვა „ამხანაგი“. ვინ არის ნამდვილი ამხანაგი?

ზარიფიანი — ნამდვილი ამხანაგი?.. ნამდვილი ამხანაგი, ჩემი აზრით, ის არის, ვინც იმავე დროს შენი მეგობარიც არის. არის ამხანაგი, რომელიც მეგობარი არ არის და არის მეგობარი, რომელიც ამხანაგი არ არის. ნამდვილი ამხანა-

ნაგი ის არის, ვინც შენს თავდადებას თავდადებითვე უპასუხებს, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო და წაქცევის არ გეშინოდეს, რომელსაც სიტყვებსაც კი ენდობი... და გულის ნაღებს გაუზიარებ.

რ უზანა — დიახ, ფიქრებს, ოცნებებს, შეცდომებს...

კარსეციანი — და დაეუმატებ კიდევ; ნამდვილი ამხანაგი ის არის, ვინც შეცდომების დაშვების დროს პატიოსანი სიმკაცრით გაგაყრიტყებს და ნებას მოგვცემს, შენც გააყრიტყო. ერთგულ ადამიანებში ადამიანი თავის თავს ნამდვილ ადამიანად თვლის. ადამიანი ადამიანისაგანვეა მაგარი და დაუმარცხებელი. ნამდვილი ამხანაგი შენ აგამალლებს და შენთან ერთად თვითონაც ამაღლებდა, კარგად უთქვამს აშუღ ჯივანის (მღერის).

„კარგი, ლამაზი, ნამდვილი ამხანაგი შექსა ჰფენს, მზესავით აკეთილშობილებს ადამიანს“...

(ყველანი ტაშს უკრავენ).

რ უზანა — რა კარგად მღერით.

მარგო — ნშან, შენც გამოთქვი აზრი ნამდვილი ამხანაგის შესახებ.

გარნაკერიანი — არ მიყვარს გრძელ-გრძელი სიტყვები, და რა ექნა! ჩემი ნამდვილი ამხანაგები აგერ აქ სხედან ჩემი მაგიდის გარშემო. ჩემი აზრით, ამხანაგობის განსაზღვრისათვის საერთო საზომი არ არსებობს.

ზარიფიანი — არსებობს, ეს არის ჩვენი საერთო საზოგადოებრივი იდეალი. ნამდვილი ამხანაგი ის არის, რომელიც შენთან ერთად ისწრაფვის ამ იდეალისაკენ. ამხანაგი ქეითსა და ლხინში კი არ უნდა გამოცადო, სადაც ზწირად მოსისხლე მტრებიც კი ერთმანეთს კოცნიან, არამედ საქმეში, შრომაში, ბრძოლაში, მძიმე გზაზე.

რ უზანა — მძიმე, კრიტიკულ წუთებში, არა, კორიუნ (გადის).

მარგო — კორიუნ, მე მინდა შენ შეგამოწმო ნარდის თამაშში. თანახმა ხარ?

ზარიფიანი — დიდი სიამოვნებით!

(ზარიფიანი და მარგო გაღიან. პაუზა. კარსეციანი პორტფელიდან იღებს ლამაზ ყლიან წიგნს).

კარსეციანი — ახლა ვისაუბროთ, ძვირფასო ნშან, შენი დისერტაციის შესახებ.

გარნაკერიანი — გაეცანი?

კარსეციანი — დიახ.

გარნაკერიანი — რას იტყვი კარგს?

კარსეციანი — ბევრს ვერაფერს — შენი დისერტაცია... უვარგისია, ძვირფასო ნშან. დიახ, უვარგისი. მაბატიე, მაგრამ ასეა.

გარნაკერიანი — ესე იგი, როგორ, რით არის უვარგისი?

კარსეციანი — შენს დისერტაციაში მეცნიერება არ არის. შენ მხოლოდ საუწყებო ცნობები შეგიგროვებია იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს გეგმებს საბჭოთა მეურნეობა. მაგრამ შენ არაფერს ამბობ იმის შესახებ თუ, რა არის საჭირო საუკეთესო ჯიშების მისაღებად, მცენარეთა მოსავლიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის! დიახ, ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შენ ამ საკითხს გვერდს უვლი. შენ გაინტერესებს მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობა და არ ფიქრობ ხვალინდელ დღეზე. შენ გეგმების შესახებ ძალზე მცდარი, არასწორი წარმოდგენა გაქვს, დიახ, მცდარი.

გარნაკერიანი — რატომ? გეგმების გადაჭარბებით შესრულებით სარგებლობას არ ვაძლევ ჩვენს სახელმწიფოს?

კარსეციანი — ხალხს კი უგემურ საზამთროებს აყიდვნივთ. შენ ხალხს ატყუებ და ფიქრობ, რომ ამით ჩვენი სახელმწიფო სარგებლობსო, ვინ მოგცა უფლება, ერთმანეთს დაუპირისპირო საბჭოთა სახელმწიფო და ხალხი?! ისინი ხომ ერთი და იგივენი არიან, განუყოფელნი. ვინც ზიანს აყენებს ხალხს, ის აზიანებს აგრეთვე სახელმწიფოს. შენ საზოგადოებას თავზე ხელს უსვამ. სინამდვილეში კი ტანზე ქურდულად პერანგსა ხდი. აი შენი გეგმა.

გარნაკერიანი — მე შენი არაფერი არ მესმის...

კარსეციანი — და მითუმეტეს ეს გეგმა ბალაბეკის საშუალებით სრულდება.

გარნაკერიანი — რომელი ბალაბეკის?

კარსეციანი — იმ ბალაბეკისა, რომელიც აქ, შენთან სახლში ცხოვრობს.

გარნაკერიანი — ჰო... ჩვენს ბრიგადირზე ამბობ? მე მას დროებით დავეუთოე ჩემს სარდაფში კუთხე. რა ვქნა, მსიაშოვნებს, როდესაც ვეხმარები ადამიანებს.

კარსეციანი — მე იგი უნდა მოვამორო საცდელ ნაკვეთს.

გარნაკერიანი — ვინ, ბალაბეკი? რას აშავეებს განა?

კარსეციანი — ყოველთვის ჩემი განკარგულების წინააღმდეგია...

გარნაკერიანი — ნუთუ?.. მე მას ვუჩვენებ, როგორ უნდა წინააღმდეგობა.

კარსეციანი — მე რომ მკითხონ, მას ერთ დღესაც არ გავაჩერებდი მეურნეობაში... მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ადამიანს მივაბრძანებდი იქიდან (პაუზა).

გარნაკერიანი — მაშ უარს აცხადებ ჩემს ოპონენტობაზე?

კარსეციანი — დიახ, ძვირფასო ნშან.

გარნაკერიანი — მისრობ, ანტონიანი შემპირდა თავის პირველ მოადგილედ დანიშნას, ამისათვის კი საჭიროა სამეცნიერო ხარისხი მქონდეს.

კარსეციანი — ხარისხი და არა ცოდნა?!

გარნაკერიანი — პირიქით, — მე არ მინდა გავწყვიტო კავშირი მეცნიერებასთან. თუ მკითხავ, თანამდებობა — ეს მყარი დასაყრდენი როდია, ერთხელაც იქნება, ფეხს წაიბოროძიკებ და გაგაგდებენ, გაცვეთილი კალოშივით გისვრიან გარეთ. ხოლო, თუ მეცნიერული ხარისხი გაქვს, მაშინ რომელიმე ინსტიტუტში მაინც გექნება ლექციები, თანაც კარგი ხელფასი და პატივისცემა.

კარსეციანი — მაშ, შენი აზრით, ყველაზე ადვილი საქმე სამეცნიერო ხარისხის მოპოვება ყოფილა!

გარნაკერიანი — კაცო, რატომ იჩენ ასეთ შეუფასებლობას. მე სერიოზულად ვიშრომე, სხვები კი სამეცნიერო ხარისხს ღებულობენ ათასგვარი შეუფერებელი საშუალებებით.

კარსეციანი — ასეთი ადამიანები კი დანაშაულს სჩადიან საზოგადოების წინაშე. მე არ მოვისურვებდი, მათ რიცხვში ჩემი მეგობარი იყოს (პაუზა).

გარნაკერიანი — არც მე ვისურვებდი. მიჩვენე ჩემი დისერტაციის ნაკლი და ხელახლა დავამუშავებ.

კარსეციანი — აქ დასამუშავებელი არაფერია, ძვირფასო ნშან. გა-

დამუშავება შეიძლება მხოლოდ ისეთი დისერტაციის, რომელსაც ნაკლი აქვს, რომელიც საერთოდ რაიმე ღირებულებას წარმოადგენს. შენს დისერტაციას ნაკლი არ ახლავს, რადგან ის არაფერს არ წარმოადგენს. როგორ შეიძლება გადაამუშავო ის, რაც არაფერს არ წარმოადგენს? ეს იქნებოდა დროს უბრალოდ და მიზანშეუწონლად დაკარგვა.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი. — კი, მაგრამ მე ჩემს დისერტაციაში შენს შეხედულებას ვიყავ.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — არა, კი არ დაგიცავს, ძვირფასო, არამედ გადაგიწერია და ისიც შეცდომებით. ჩემი ერთი შეხედულება მე შარშან დაეახუსტე და ცალკე სტატიაც დაეწერე. შენ ეს სტატია არ წაგიკითხავს და ჩემი მცდარი აზრი უცვლელად გადაგიწერია დისერტაციაში. მე შენ მხოლოდ ერთს გირჩევ. დაიბრუნე შენი დისერტაცია და შეუდექი ახალ შრომას. სამ თვეში დისერტაცია ვის დაუწერია?! ამისათვის წლებია საჭირო. აი, გამომართვი.

(დისერტაციას უბრუნებს გარნაკერიანს).

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მესრობ, მე რომ ამის შესახებ დაბეჯითებით გთხოვო?

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — არ მესმის, ეგ რას ნიშნავს?

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — წავიდეთ ჩემს კაბინეტში.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — წავიდეთ.

(გარნაკერიანი და კარსეციანი გადიან. ბაღის სიღრმეში გამოჩნდება ბალაბეკი. სქელტანიანია, მძიმედ მოძრაობს მსუქანი საბის ზოუსეფნარი თვალებით).

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — აქ სხვა ანგარიშია... სალამი და გამარჯვება.

(შემოდის მარგო).

მ ა რ გ ო — ბალაბეკ, რატომ დაიგვიანე?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — სადგურზე ვიყავი, ცოლს ველოდებოდი კურორტიდან, მაგრამ არ ჩამოვიდა. საზამთროები კი თან მოვიტანე, მარგარიტა არშაკოვნა.

მ ა რ გ ო — ო... რა დიდი საზამთროებია, მაგრამ, ტკბილია, ბალაბეკ?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — გინევეტელი ბალაბეკას ამორჩეულია. კარგად იცოდე, რომ მთელი გინევეტი ჩემს მზეს ფიცულობდა. მოვიდოდა თუ არა კოლმეურნეობაში რომელიმე განთქმული ხელმძღვანელი, მაშინვე მე გამომიძახებდა და მეტყვოდა: „ბალაბეკ, აბა, პასუხისმგებლისათვის ერთი კარგი საზამთრო შეარჩიეო“. მეც აი, ასე შორს დაედგები, გავხედავ შორიდან საზამთროს ბაღს და მაშინვე გამოვიცნობ სათითაოდ, თუ რომელი საზამთროა მინისტრის მოადგილისათვის შესაფერისი და რომელი რაიონული თეატრის მსახიობისათვის.

მ ა რ გ ო — ნექტარ, ბალაბეკს არაყი მიართვი, შენ კი, ბალაბეკ, ნექტარს მოეხმარე მწვადების შეწვაში.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ბატონი ბრძანდება. მაგრამ ამხანაგ კარსეციანის მეშინია, მარგარიტა არშაკოვნა.

მ ა რ გ ო — რატომ?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ის მაშინვე იცნობს ამ საზამთროებს.

მ ა რ გ ო — მერე რა, იცნოს!

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — თუ იცნო, მაშინვე მწვადს თავს გაანებებს და მე შემკვამს.

მ ა რ გ ო — არ მესმის.

(შემოდის რუზანა).



ბ ა ლ ა ბ ე კ ი — კარსეციანი საზამთროების დაკრეფის ნებას არ გვაძლევს, ამბობს, ესენი სათესლეებად არისო.

რ უ ზ ა ნ ა — მერე, რისთვის მოწყვიტე, თუ სათესლედ იყუნი <sup>მეტივესელი</sup> საჭირო შექმნა?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — მამ როგორ? მე ჩემი ხელმძღვანელი დირექტორის სახლში უგემური და პატარა საზამთროები მოვიტანო? მერე სად არის ჩემი პატივისცემა დირექტორისადმი.

მ ა რ გ ო — ნუთუ ასეთი ძუნწია კარსეციანი?

რ უ ზ ა ნ ა — ეს სიძუნწე როდია, მარგო, ეგ სელექციონერის მკაცრი მოთხოვნაა. სათესლე საზამთროებს მიირთმევთ და თესლსაც კი არ უბრუნებთ საცდელ ნაკვეთს. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ფულსაც არ იხდით.

მ ა რ გ ო — ნუთუ წმანი ფულს არ იხდის? ის ასეთ შემთხვევაში ძალზე მკაცრია.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — მერე—და, რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დაიქცა?

რ უ ზ ა ნ ა — რაზე იცინი?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — სად გაგონილა, რომ საბჭოთა მეურნეობის მუშაკმა შეკმულ საზამთროში ფული გადაიხადოს? თაფლში რომ ხელს ურევდე, განა თითს არ გაილოკავ?

(შემოდის ნექტარი. არაყს აძლევს ბ ა ლ ა ბ ე კ ს და გაღის.)

რ უ ზ ა ნ ა — მერე მეურნეობა განა თაფლის კასრია, ან საწველი ფერია?!

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — (არაყს დალევს). უეჭველად.

რ უ ზ ა ნ ა — ცოტა მადა უნდა შეიკვეცოთ. არ შეიძლება ასე.

(რ უ ზ ა ნ ა გაღის. თან მიუვება მ ა რ გ ო.)

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ვაჰ... ეს ხომ ჩვენებური პაიწარაა?

(შემოდის ნექტარი, შამფურებით ხელში, აღლავებულია.)

ნ ე ქ ტ ა რ ი — მარგარიტა არშაკოვანამ... დამტანჯა. ჯვარს მაცვა, აი, სუფრა კარგად არ გაგიუთოვებიაო, სტუმრებთან გაგეცინაო, დაო მარგარიტას შეჭახიო... არა, აქ შინამოსამსახურე ვერ გაძლებს, — ყოველდღე ქეიფი და ჭამასმია. ჭურჭლის რეცხვამ დამქანცა, ეს მოჭეიფენი კი ერთხელ არ იკითხვენ, საიდან მოდის ეს ყველაფერი... არა, მე ამათგ კარსეციანს ვთხოვ, რომ საცდელ ნაკვეთში მამუშაოს.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ნექტარ—ჯანი.. მოგეშველო?

ნ ე ქ ტ ა რ ი — მომშორდი თავიდან... წადი და შენს ჯულიეტას მიეხმარე.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ნექტარჯან, ჯულიეტას გავცილდები და შენ შეგირთავ, მეტი რაღა გინდა?

ნ ე ქ ტ ა რ ი — აი, მიიღე.

(შამფურს ურტყამს ბ ა ლ ა ბ ე კ ს, რომელიც ცდილობს ხელი მოხვიოს. ნ ე ქ ტ ა რ ი მიდის ბაღის სიღრმეში.)

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ვაჰ... ნექტარ, ნექტარ!..

(შემოდის ჯ უ ლ ი ე ტ ა, პატარა ტანისაა, სწრაფად მოძრაობს, კაპისია.)

ჯ უ ლ ი ე ტ ა — რატომ არ დამხვდი სადგურზე?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — მე... ვაჰ... ჯულიეტა, გენაცვა, კურორტიდან დაბრუნდი?

ჯ უ ლ ი ე ტ ა — დიახ, დავბრუნდი, მაგრამ შენ რატომ არ დამხვდი სადგურზე, მიპასუხე, რატომ არ დამხვდი?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ჯულიეტა, დატვირთული ვიყავი, გენაცვა, არ მეცალა.

ჯ უ ლ ი ე ტ ა — ვიცი, რითაც ხარ დატვირთული... ერთი კარგი წერილიც არ მოიწერე.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — როგორ არ მოგწერე, სეროქას გეფიცები, მოგწერე, ნუთუ არ მივილია?

ჯ უ ლ ი ე ტ ა — მივიღე. (ჩანთიდან ამოიღებს წერილს). ეს წერილიმ განა? ამას რასა მწერ (კითხულობს). „უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდე, რომ დეიდა მაქრუპი ენის მიმტანია, უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდე, რომ მდივანი დირექტორს ძირს უთხრის, უნდა იცოდე, რომ რუზანა ჰალაბიანი კარსეციანის საყვარელია...“ შენ ეს წერილი გგონია? ეს ზომ მამხილებელი მასალებია. მე შენი ცოლი ვარ, თუ პროკურორი? ასეთ საკითხებზე რატომ მწერდი, რატომ, მითხარი ერთი?!

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — რაც ვიცოდი, ის მოგწერე, მამ რა მომწერა, გენაცვალე, ჯუღიეტა?

ჯ უ ლ ი ე ტ ა — რატომ არ მომწერე: „ჯუღიეტა, გენაცვალე, ძალზე მომენატრე, ჯუღიეტა, შენზე ფიქრი არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ მამლევს. ნეტავ როდის იქნება ის ბედნიერი წუთები, რომ განახავ, სულ მუდამ ძილში მესიზმრები, გენაცვალე“. რატომ ასე არ მომწერე, ჰა?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — სეროქას გეფიცები, სიზმარში არ მინახავხარ, და როგორ ვკადრებ ჩემს საყვარელ და სანატრელ ცოლს, ტყუილი ამბები მივწერო?

ჯ უ ლ ი ე ტ ა — მამ ვინ ნახე სიზმარში? ნექტარი, ნექტარი ნახე, ხომ?..

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ქალო ჩუმიად, რა ვაღრიალებს... ჩუმიად, დირექტორი მოდის.

(მეზოდის ძალზე იღვლებული გარნაკერიანი. ჯ უ ლ ი ე ტ ა გადის).

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე შენ გიჩვენებ, თუ როგორი უვარგისია. გაცოფებულაო ძაღლო... (შენიშნავს ბალაბეკს). სად იყავი ამდენ ხანს?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ამხანაგო ნშან სეირანიჩ. მე შენთან კარსეციანზე დიდი და პატიოსანი საჩივარი მაქვს.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — რა საჩივარი?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ისეთი საჩივარი მაქვს, კრავმა ყური რომ მოჰკრას, მგლად გადაიქცევა.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — თქვი, გისმენ.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ამხანაგო ნშან სეირანიჩ, ექვი არ შეგებაროს, რომ მე შენი ერთგული თანაშემწე ვარ, ისეთი, ყველგან და ყველადღერში რომ გამოგადგები...

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მერე?..

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — რომ მიბრძანო, ბალაბეკ ბალაბეკიჩ, ზღვაში გადავარდო, მაშინვე გადავვარდები. მაგრამ ვაი, რომ აქ ზღვა არ არის.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — არ მიყვარს, როდესაც ადამიანები შორიდან იწყებენ, ლაყბობენ. მოკლედ თქვი, რაშია საქმე?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ამხანაგო ნშან სეირანიჩ. ამ პროფესორის საზამთრომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობა დააქცია... აფსუს, თქვენი დღევანდელი სადილი!

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — აბა, დაამტკიცე, ფაქტებით დამიმტკიცე!

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ფაქტებით გუდა საგეს მაქვს. უპირველეს ყოვლისა დავამტკიცებ, რომ კარსეციანი საცდელი ნაკვეთის საზამთროებს დიდხანს ინახავს და ისინი ყვილა დალბება. ნებას არ გვაძლევს, თავის დროზე დავკრიფოთ, რის გამო ჩვენს მშობლიურ სახელმწიფოს ზიანს აყენებს. ეს ერთი.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მერე?..

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — უპირველეს ყოვლისა დავამტკიცებ, რომ კარსეციანმა

ნება არ მოგვცა, დაგვეკრიფა საცდელ ნაკვეთზე ლობიო და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მუშები თავის პამიდორზე ემუშავებინა, სახელმწიფო მოეტყუებინა — ერთი ნახეთ, როგორი პამიდორი მომყავსო. მისი წყალობით ჩვენმა მურნეობამ ლობიოს გეგმა ვერ შეასრულა და ჩვენს მშობლიურ სახელმწიფოს მილიონის ზარალი მიაყენა. (პაუზა).

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ბალაბეკ... შენ ნუ გავიწყდება, რომ კარსეციანი მეცნიერი კაცია. მე მას პატივს ვცემ და არავის ნებას არ მივცემ, რომ მას ცილი დასწამონ... გესმის?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — მაშ განცხადება არ დავწერო, ამხანაგო ნშან სეირანიჩ? კარგი, აგრე იყოს, ბოდიში, არ დავწერ.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — როგორ თუ ბოდიში! მაშ შენ ნამდვილად ცილსა სწამებდი კარსეციანს. აი, შე მოლაყბე, შენა!..

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — არა, ცილს არ ვწამებ, სეროჯას მზეს გეფიცები, არა, მართალს ვამბობ.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მაშ თუ ცილს არ სწამებ, რატომ წერილობით არ გინდა მიმართო?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — დავწერ, დავამტკიცებ, მივუთითებ კიდეც... მაგრამ...

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — რა მაგრამ?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — საცდელ ნაკვეთზე ლობიო რომ არ ავიღეთ, ამის თანხმობა ზომ შენ მიეცი კარსეციანს.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — რა?.. არა, მე მისთვის თანხმობა არ მიმიცია. მოლაყბე ხარ, ნამდვილი მოლაყბე.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — სეროჯა მომიკვდეს, თუ ვტყუოდე. მე კარსეციანის გვერდით ვიდები ტელეფონთან, როდესაც მან დამირეკა ამის შესახებ საავადმყოფოში და შენც დაეთანხმე, რომ ლობიო არ მოეკრიფათ.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — სტყუი. მე არავითარი თანხმობა არ მიმიცია, გირჩევ, ენას კბილი დააჭირო. გესმის?

(შემოდან მარგო, რუხანა, ზარიფიანი და კარსეციანი).

მ ა რ გ ო — ნშანჩიკ, მესრობ ტიგრანიჩმა რატომღაც მოიწყინა. მოდი, ერთად გავართოთ.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — იღეთ ჭიქები. წინადადება შემომაქვს ექსტრად შევსვით ჩვენი საყვარელი მესრობ ტიგრანიჩის სადღეგრძელო. მესრობ, მე შენ მიყვარხარ არა მარტო იმისათვის, რომ შენ გაბედული მეცნიერი ხარ და ჩემი საბჭოთა მურნეობის ბრწყინვალე ვარსკვლავი, არამედ იმისთვისაც, რომ შენ მართალი ადამიანი ხარ და, როგორც შენ თვითონ ამბობ, გულწრფელი სიმკაცრით აკრიტიკებ ყოველთვის შენს უახლოეს მეგობარსაც კი. მიყვარს პატიოსანი, საქმიანი კრიტიკა, თუგინდ ის მეც მეხებოდეს. შენ, ძვირფასო მესრობ, ჩვენი მურნეობის და ხალხის სიამაყე ხარ, შენი სადღეგრძელო იყოს, გაგიმარჯოს!

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — (თავისთვის) ეპ, ამას რას ამბობს, კაცო? (ხმაშალა). გაუმარჯოს ამხანაგ კარსეციანს.

(ველანი აწევენ ჭიქებს, რომ მიუჯახუნონ კარსეციანის ჭიქას. კარსეციანი უარს აცხადებს დაღევზე. საერთო შემოფოთება. კარსეციანს სურს წახვლა).

მ ა რ გ ო — სად მიხვალთ? მესრობ ტიგრანიჩ, სუფრა მზად არის.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — შაბათიეთ, თავს ცუდად ვგრძნობ. (გაღის).

(ფარღა).

## მოქმედება გიორგი

## სურათი მეორე


 ქართველთა  
 მწერალთა კავშირი

ვარნაქერიანის კაბინეტი. მარჯვნივ დგას საწერი მაგიდა. კედლებზე საზამთროს, ნესვის და პამიდორის ფერადი ნახატებია ჩამოკიდებული, პლაკატები და დიფერანციალური გეომეტრია. კუთხეში — მრავალფეროვანი ვარდების კონა. მარცხენა ღია კარებს გავყავართ სხვა ოთახში, სადაც დგას ტყავდაკრული დიდი საფარძელი. პირდაპირ ფანჯარაში მოჩანს ხეები, შორს კი მთები. შემოდის ჯუღიეტა — ხელში თაიგული უჭირავს, ცდილობს, ვარდები შეახვიოს გაზეთში. მას მოჰყვება მაქრუპი, მაღალი ტანის, მოღუშული სახის, მოუსვენარი თვალების მქონე ქალი.

მაქრუპი — ქა, გოგო, ეგ რა გიქნია?

ჯუღიეტა — ვარდები დავკრიფე, დეიდა მაქრუპი.

მაქრუპი — მერე, ვინ მოგცა ნება?

ჯუღიეტა — ჩემმა ქმარმა ბალაბეკმა. აგერ, იქ ხის ქვეშ ისვენებს.

მაქრუპი — ქა, მიწაში დაისვენეთ შენცა და შენმა ბალაბეკმაც. შენ იცი, რა ჩავიდინე?

ჯუღიეტა — ზრდილობიანად ილაპარაკე, ქალო, თქვი, რა ჩავიდინე ასეთი?

მაქრუპი — გამოფენისათვის განკუთვნილი ვარდები დაგიკრეფთია. იცი, მაგაზე ამხანაგი კარსეციანი რა შავ დღეს დაგაყრის?

ჯუღიეტა — ეპა, შენი კარსეციანია უფროსი, თუ ამხანაგი ანტონიანი? მე ამხანაგ ანტონიანს დავუკრიფე ეს ვარდები.

მაქრუპი — განა ამხანაგ ანტონიანისათვის კანონი არ არსებობს?

ჯუღიეტა — მე რა, რომ არსებობს?

მაქრუპი — აჲ ძომეცი ეგ ვარდები.

(შემოდის ბალაბეკი).

ბალაბეკი — ეს რა ამბავია! ამხანაგო მაქრუპი-დეიდა, აქ ბრიგადირი მე ვარ, თუ შენ?

მაქრუპი — შენ ბრიგადირი კი არა, ჩვენთვის ცეცხლი და გენია ხარ. გაიგე?

ბალაბეკი — ჰო?

მაქრუპი — დიახ, შენ იქნებ გგონია, ყვავე რომ ვარდის ბუჩქზე დაჯდეს, ბულბულად იქცევა?

ბალაბეკი — ეს როგორი ქალია, ამის თვითიული სიტყვა ნამდვილი ჭყვიაა, ტყვია.

მაქრუპი — თვალისჩინივით ვინახავდი და ვუფროთხილდებოდი ამ ვარდებს, შენ კარგად იცოდი, რომ ისინი გამოფენისათვის იყო შერჩეული, რისთვის დაკრიფე, შე უსინდისო, შენა?!

ბალაბეკი — მე შენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს. წადი, დირექტორთან მიჩვილე, ამხანაგო მაქრუპი-დეიდა!

მაქრუპი — მე არც შენი ამხანაგი ვარ და არც შენი დირექტორის ხელქვეითი. ჩემი უფროსი ამხანაგი კარსეციანია.

ბალაბეკი — კარგი, ერთი მამა გიცხონდა, მაგრამ რომ შეგიბერონ, შენცა და შენი კარსეციანიც გაფრინდებით საცდელი ნაყვეთიდან, გაიგე, ქალბატონო მაქრუპი-დეიდა?



მაქრუპი — ჭა, მაგას რეებს ლაპარაკობ ამხანაგ კარსეციანზე. ამხანაგ კარსეციანი ისე მაგრად დგას თავის ადგილზე, როგორც აი იქ აღმართული ალვის ხე, როგორც არარატის ის მთა, შენ ნუ ეხუმრები ამხანაგ კარსეციანს. ამა ერთი რამე გაბედე და ნახავ, შენი დირექტორიანად როგორ გაფრინდებით აქედან.

ბალაბეკი — გესმით, ხალხნო (თავისთვის). არა, მე შენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს.

(შეშობის გარნაკერიანის).

გარნაკერიანი — რა იყო, რა მოხდა?

მაქრუპი — (აჩვენებს ვარდებს). აი ნახეთ, რა უქნიათ?

გარნაკერიანი — ვარდები? ჰო, მე ვთხოვე, რომ დაეკრიფათ.

მაქრუპი — ჰო? (თავისთვის). რა გაეწყობა, შენც ბალაბეკის კეთისა ხარ.

ბალაბეკი — გესმის, ამხანაგო ნშან სეირანიჩ?

გარნაკერიანი — რა თქვა?

ბალაბეკი — ენა არ შემორჩილება, რომ გადმოგცეთ.

გარნაკერიანი — ამხანაგო მაქრუპი, შენ მაგ სიტყვებისათვის პასუხს აგებ.

მაქრუპი — მე ახალ მდივანს მიემართავ, საკითხს პარტიულ კრებაზე განიხილავენ და მაშინ ვნახავთ, ვინ აგებს პასუხს.

(მაქრუპი გადის).

ბალაბეკი — მაგან არ იცის, რომ ახალი მდივანი შენი ძველი ამხანაგია და შენი ქვისლიც (იციანის).

გარნაკერიანი — ჯუღიეტა, ეგ ვარდები მალე წაიღე. „პობედა“ გველოდება. რატომ ტირჩ?

ჯუღიეტა — დეიდა მაქრუპიმ კაბა დამიხია.

გარნაკერიანი — არაფერია. ბალაბეკს დავეხმარები და ახალ კაბას გიყიდის. ვარდები მალე გაურბენინე.

ჯუღიეტა — გმადლობთ.

გარნაკერიანი — რა ლამაზი ვარდებია, ბალაბეკ. ელა რუბენოვნას ძალიან გაეხარდება.

(ჯუღიეტა გადის).

ბალაბეკი — ელა რუბენოვნა ვინლა? ამხანაგო ნშან სეირანიჩ.

გარნაკერიანი — ელა რუბენოვნა.. ანტონიანის ცოლია.

ბალაბეკი — ანტონიანის ჭირიმე, ნამდვილი სამინისტრო კაცია. რა სახლი აიშენა, ხელმწიფეს შეფერის, ხელმწიფეს.

გარნაკერიანი — დღეს ელა რუბენოვნას დაბადების დღეა. საზამთროები ჩააწყე „პობედაში“, ბალაბეკ?

ბალაბეკი — ათი ცალი, უზარმაზარი სათესლე საზამთრო უკვე ჩაწყობილია.

გარნაკერიანი — ყოჩაღ, ყოჩაღ, იცი, შენმა მასალებმა — სადამდე მიიღწიეს? კარსეციანის საქმე ახლა უკვე ვერ არის კარგად...

ბალაბეკი — მართლა?.. გული მისკდება, ამხანაგო ნშან სეირანიჩ... რას იტყვი, ის დარჩენილი ეგზემპლარი აღარ გავაგზავნო მოსკოვში?

(ბალაბეკი ჯიბიდან ამოიღებს მანქანაზე გადაბეჭდილ მასალებს და აძლევს გარნაკერიანს, რომელიც თავისთვის კითხულობს).

გარნაკერიანი — მერე, რატომ არ მოაწერეს ხელი (თორემმა და-  
მისმა ცოლმა?

ბალაბეკი — გაგზავნილ ეგზემპლარზე მოაწერეს.

გარნაკერიანი — ყველა ეგზემპლარზე უნდა მოაწერონ.

ბალაბეკი — ეშინიათ. ამბობენ, ერთხელაც ეყოფა ხელის მოწერაო. იმ  
ერთხელაც ძლავს მოვაწერინე.

გარნაკერიანი — ყური მიგდე, ბალაბეკ, მემანქანე ქალი როგორი  
ადამიანია?

ბალაბეკი — ჩემი ჯულიეტას ნათესავია, მეც შემაქო, დირექტორის  
შესაფერისი ხელი გაქვსო.

გარნაკერიანი — ჩემი ხელნაწერი რა უყავი? სადა გაქვს?

ბალაბეკი — დავხიე, სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და დავწვი. მაქრუპი-  
დეიდა შემეკითხა, „ქა, ეგ რა დაწვიო“, მე კი ვუპასუხე: „არაფერი, უვარგისი  
ქალაღი იყო-მეთქი“.

გარნაკერიანი — აბა შენ იცი. თვალყური აღევნე. მე კი ამ საეარ-  
ძელზე ცოტა ხანს მოვისვენებ. გათენებამდე ანტონ მინაიჩთან ერთად ნარდსა-  
ვთამაშობდით.

ბალაბეკი — დაიძინე, პატივცემულო დირექტორო. არავის არ მივცემ  
ნებას, რომ შეგაწუხოს — არც ბუზებმა და არც ქუჩანაკლებმა პროფესო-  
რებმა.

გარნაკერიანი — ბალაბეკ, ადამიანები ყოველთვის პატივისცემით  
მოიხსენიე.

ბალაბეკი — ნშან სეირანიჩ, თავი მომიკვდეს, ფუ კარსეციანს ზედა  
სართულში არ აკლდეს.

გარნაკერიანი — მერე რით დაამტკიცებ?

ბალაბეკი — მაგას რა დამტკიცება სჭირდება, მაგ სულელს ომის დროს  
ევროპიდან მხოლოდ ორი პატარა ტომარა საზამთროს თესლი წამოუღია.

გარნაკერიანი — საზამთროს თესლი?

ბალაბეკი — ატლასის, აბრეშუმის, ხავერდისა და ოქროულის ნაცვლად  
ორი ტომარა საზამთროს თესლი!

გარნაკერიანი — მერე, შენ ეგ საიდან გაიგე?

ბალაბეკი — მაქრუპი-დეიდამ მიაგზო.

გარნაკერიანი — მაგრამ ამბობენ, რომ კარსეციანი ბრძოლებში ძა-  
ლიან გაბედული და მამაცი ყოფილა. (გადის მეორე ოთახში და წამოწევა სა-  
ვარძელზე).

ბალაბეკი — არ დაიჯერო, ძმაო. მამაცი ადამიანი განა საზამთროს  
თესლს წამოიღებდა ნადავლად? (იციანის). ვაჰ, ლამის სიცილისაგან გული შე-  
მიღონდეს. საზამთროს თესლი, დირექტორო, გესმის... დაიძინა. აბა, ბალაბეკ,  
უშიშრად და გაბედულად იმოქმედე შენი მიზნის მისაღწევად.

(კარებს მიხურავს და თავისთვის მღერის).

(შემოდის კარსეციანი).

კარსეციანი — ბარბაროსებო, ეს რა ჩავიდენიათ?

ბალაბეკი — ვაჰ? ამხანაგო კარსეციან; მე ჩემთვის კულტურულად  
ვლიდინებ, შენ კი მე ბარბაროსს მიწოდებ?



კარსეციანი — თქვენ ბარბაროსებზე უარესნი ხართ.

დამნაშავენი, დიახ დამნაშავენი.

ბალაბეკი — თქვენ მე შეურაცხმყავით, ამხანაგო კარსეციანო, მესამე მწარე სიტყვებია?

კარსეციანი — სად არის ჩემი საზამთროები?

ბალაბეკი — რომელი საზამთროები?

კარსეციანი — ის საზამთროები, რომლებიც მე ამოვარჩიე, დავნიშნე და განკარგულება გავეცი, არავის დაეკრიფა. დაახლოებით სამასი ცალი იყო. ისინი საქირო იყო მოსკოველი ექსპერტებისათვის საჩვენებლად. ისინი სათეს-ლეებად იყო განკუთვნილი! მე მაგის შესახებ მრავალჯერ მითქვამს შენთვის. რატომ დაკრიფე, მითხარი, რატომ?

ბალაბეკი — ამხანაგო კარსეციანო! უპირველეს ყოვლისა, ნუ ღრიალებ. მე შენი არ მეშინია, მე ერთი უბრალო ადამიანი ვარ და მშვიდობიანობის მომხრე. ჩემმა დირექტორმა მიბრძანა და მეც დაგკრიფე.

კარსეციანი — მე რა განკარგულება მოგეცი? მითხარი, რა განკარგუ-ლება მოგეცი?

ბალაბეკი — ვაჰ! მე ჩემი ხელმძღვანელი დირექტორის განკარგულება არ შეევასრულო და შენი განკარგულება მივიღო! ეგ სადაური კანონ-სამართალია!

კარსეციანი — მაშ გარნაკერიანმა გიბრძანა?

ბალაბეკი — დიახ, თვითონ, პირადად წმან სეირანიჩმა.

კარსეციანი — სად არის ახლა წმან სეირანიჩი?

ბალაბეკი — აგერ, იქ ისვენებს.

(შემოდის გარნაკერიანი).

გარნაკერიანი — რამ აგაღელვა, მესრომ?

კარსეციანი — შენ უბრძანე, რომ საცდელი ნაკვეთის მეღიტიპო-ლის ყველა საზამთროები დაეკრიფათ?

გარნაკერიანი — ბალაბეკ, მე ასეთი განკარგულება განა ოდესმე გამიცია?

ბალაბეკი — არა, ამხანაგო წმან სეირანიჩ.

გარნაკერიანი — მაშ, რისთვის დაკრიფე?

ბალაბეკი — ამხანაგო დირექტორო, მე როგორ მოვითმენდი, რომ ჩემს მეურნეობას გეგმები, არ შეესრულებინა.

კარსეციანი — გამოდის, რომ შენ თვითნებურად დაკრიფე საზამთ-როები?

ბალაბეკი — დიახ, მე, როგორც პასუხისმგებელმა ბრიგადირმა.

კარსეციანი — რომ თქვი, დირექტორმა გასცა განკარგულებაო?

ბალაბეკი — მე ასეთი რამ არასოდეს არ მითქვამს.

კარსეციანი — ახლა არა თქვი, ერთი წუთის წინ?

ბალაბეკი — ვაჰ... ეს რა ხათაბალაში ჩავევარდი.

კარსეციანი — მაშ ისე გამოდის, რომ მე ცილსა გწამებ. ისიც არ იმარე, რომ ჩამიფუშე მთელი საქმიანობა, ახლა კიდევ დამცინი! სასამართლოს

გადაგცემ, გადაგასახლებ... კეთროვანთა კუნძულზე. (გაეშურება ბალაბეკისაკენ). მიპასუხე, რისთვის დაკრიფე სათესლე საზამთროები? ვინ მოგცა ამის ნება?!

ბალაბეკი — მიშველეთ... ჩემი მოკვლა უნდა.

გარნაკერიანი — მესრობ... მესრობ ტიგრანიჩ... დამშვიდდი.

კარსეციანი — მითხარი, ვინ მოგცა განკარგულება; ვინ?

ბალაბეკი — ვაჰ... ეს მე მომკლავს.

(გარნაკერიანი აშველებს მათ).

გარნაკერიანი — მესრობ... უხერხულია.

კარსეციანი — რა არის უხერხული?

გარნაკერიანი — ნასწავლი, მეცნიერი კაცი ხარ, არ შეგფერის ასეთი საქციელი.

კარსეციანი — რა?

ბალაბეკი — შენ როგორ ბედავ ჩემზე ხელის აღებას, მე მთელი მეურნეობის თაიგული ვარ.

კარსეციანი — სიზმარში ხართ! ვინ აღმართა თქვენზე ხელი?

გარნაკერიანი — დამშვიდდი, მესრობ, ალღევებული იყავი და აღარ გახსოვს.

კარსეციანი — თქვენ... თქვენ... გიყები ხართ, სულელები. დიახ, სულელები ხართ ორივენი, სულელები.

(ღონეზიხილი დაეშვება სავარძელში).

გარნაკერიანი — აი, ხედავ. მეურნეობის მუშას შეურაცხყოფას აყენებ, მე გიყვას და სულელს მეძახი. ოხ, მესრობ ტიგრანიჩ... მე შენი გულის წუხილი მესმის. მე შენ გაპატიებ, რადგან ფიცები კაცი ხარ. ბალაბეკი კი მუშაა. არ შეიძლება მისი შეურაცხყოფა. თქვენ ორივემ ერთმანეთთან ბოდიში უნდა მოიხადოთ, ეს არასასიამოვნო ამბავი ჩვენშივე უნდა დარჩეს. შერიგდით, ამხანაგებო. განა ღირს ასე უბრალო რამეზე ერთმანეთს შეურაცხყოფა მიაყენოთ?!

ბალაბეკი — მე, როგორც მშვიდობიანობის მომხრე, მზადა ვარ, შევეურიგდე ამხანაგ კარსეციანს.

გარნაკერიანი — ყოჩაღ, ბალაბეკ, ყოჩაღ.

კარსეციანი ფეხზე წამოდგება, ცივად შეხედავს ორივეს და სწრაფად გადის).

ბალაბეკი — აი, ხედავ? განა ღირს მაგასთან შერიგება?

გარნაკერიანი — მართლაც და შე ყაჩაღო, რატომ დაკრიფე საზამთროები?

ბალაბეკი — გეგმა გადაჭარბებით არა სრულდებოდა, ამხანაგო ღირეკტორო.

გარნაკერიანი — ახლა სასამართლოს გადაგცემს და შეიძლება ციხეშიც ამოგაყოფინოს თავი.

ბალაბეკი — როგორ გეკადრება, ამხანაგო გარნაკერიან, ჩემი ერთადერთი კეთილისმსურველი და დამცველი შენა ხარ. თუ კარსეციანმა მართლა ციხეში ჩამსვა, დავიღუპები... ეჰ, როგორ გაიხარებენ ჩემი მტრები... ჩვენ სოფელელ ყრუ სუმბათას ჩემი ჯავრი ჭირს, ახლა გულის მოიფხანს, იტყვის — ახიო.

(პაუზა).



გარნაკერიანი — ბალაბეკ!

ბალაბეკი — გისმენ.

გარნაკერიანი — რას ლაპარაკობენ მეურნეობის მუშებრი?

ბალაბეკი — ესე იგი ვის შესახებ?

გარნაკერიანი — ჩემსა და კარსეციანის შესახებ?

ბალაბეკი — ვერ დაგიმალავ და კარგს არაფერს ამბობენ.

გარნაკერიანი — მაინც, მაინც რას ამბობენ?

ბალაბეკი — რა ვქნა, ვერ ვახერხებ თქმას. ენა არ შემორჩილება.

გარნაკერიანი — არ მიყვარს, როცა რამე იცის ადამიანმა და მალავს. ილაპარაკე თავისუფლად. ნუ გერიდებია.

ბალაბეკი — მაგალითად, ენაგრძელი ადამიანები ამბობენ, რომ ყვავმა ვარდზე ბუღეც რომ გაიკეთოს, ის მაინც ბულბულად არ იქცევაო.

გარნაკერიანი — ესე იგი, რისი თქმა სურთ მაგით?

ბალაბეკი — იმის თქმა სურთ... ყვავი, შორს შენგან, ამხანაგო ნშან სეირანიჩ, ესე იგი, ვითომ ყვავი შენ იყო და ბულბული კი კარსეციანი.

გარნაკერიანი — კარგი... მერე ვინ ლაპარაკობს მაგას?

ბალაბეკი — ჩემს გარდა ყველანი...

გარნაკერიანი — როგორ თუ ყველანი? ერთი მაინც დაასახელე.

ბალაბეკი — ყველაზე მეტს ლაპარაკობს დეიდა მაქრუპი ბერბერიანი.

გარნაკერიანი — ხოო?

ბალაბეკი — ხომ იცი, თვითონ და მისი შვილიც, მერუჟანი, პარტიის წევრები არიან და შენს საწინააღმდეგო ამბებს აერცელებენ ხალხში. (პაუზა). გინდა მაგათზედაც მასალები შევაგროვო და დავწერო? გააგდე მეურნეობიდან, პარტიიდანაც გარიცხე.

(შემოდის მერუჟანი, მალაი ტანის შავკრემანი ახალგაზრდა).

მერუჟანი — ამხანაგო გარნაკერიან, მოაყენეს საზამთროს ბაღს „პობელა“, აავსეს საზამთროებით და წაიღეს.

გარნაკერიანი — ბალაბეკ, წადი შენ საქმეს მიხედე. (ბალაბეკი გადის).

მერუჟანი — ამბობენ, რომ თქვენ გაგიციათ განკარგულება... მართალია?..

გარნაკერიანი — მოიცა, ჯერ მოამბე, როგორ დამათვრდა ის საქმე?

მერუჟანი — რომელი საქმე?

გარნაკერიანი — ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კულტურების დახასიათება. რატომ არ დამათვრე ამდენ ხანს?

მერუჟანი — ვმუშაობ, ნშან სეირანიჩ, რაც შემიძლია და...

გარნაკერიანი — არადამაკმაყოფილებლად მუშაობთ. კარსეციანი არ გეხმარება?

მერუჟანი — ამხანაგი კარსეციანი როგორ არ მეხმარება, იმ სამუშაოს ზუსტად დადგენილ ვადაზე ჩავაბარებთ.

გარნაკერიანი — როგორ თუ ვადაზე? რას ამბობ?! მაგით ხომ თავს მომჭირი. მე ანტონიანს დავბირდი, ვადაზე ორი თვით აღრე უნდა ჩავაბარო.

მერუჟანი — მერე, რისთვის დაპირდით, ამხანაგო გარნაკერიან?

გარნაკერიანი — ეგ ჩემი საქმეა, მე ასე მიყვარს, ჩემი მეურნეობის ხასიათი ასეთია, შევამცირო ვადები და გადაქარბებით შევასრულე გეგმვებს.

მერუჟანი — ჩემი ხასიათი კიდევ ისეთია, რომ სამუშაო შევასრულო მაღალხარისხოვნად... მე ვადაზე ადრე მქონდა შესრულებული სამუშაო, მაგრამ საცდელ ნაკვეთზე მივიღეთ პამილორის ახალი ჯიში და ამიტომ...

გარნაკერიანი — ისევ ობიექტური მიზეზი. მე თქვენთვის მრავალჯერ მითქვამს, რომ ჩემთვის ობიექტური მიზეზები არ არსებობენ.

მერუჟანი — ამხანაგო გარნაკერიან, ეს როდია ის ობიექტური მიზეზი, რომელსაც თქვენ გულისხმობთ. ეს ნამდვილად არსებული ობიექტური მიზეზია. რუხანა ჰალაბიანის ტომატის ჯიში ობიექტურად უკვე არსებობს და ორ ჰექტარ ფართობს იკავებს. ნაყოფიც არაჩვეულებრივი მსხვილი გამოიღო. მე არ შემიძლია ამ ჯიშის დაუხასიათებლად სამუშაო ჩავაბაროთ.

გარნაკერიანი — შენ იცი. ჰო, მართლა, შენ გასურდა ექვსი თვით მიჩურინსკი წასვლა. კარსეციანი წინააღმდეგი იყო მაშინ. მე გადავწყვიტე, მაგ სამუშაოს შესრულების შემდეგ შენ მოგცე ერთწლიანი მივლინება.

მერუჟანი — მაგას სერიოზულად მეუბნებით, ამხანაგო გარნაკერიან?

გარნაკერიანი — თვითონ ანტონ მინაიჩმა წამოაყენა შენი კანდიდატურა.

მერუჟანი — მიჩურინსკი... მოსკოვსაც ვნახავ!

გარნაკერიანი — გინდა, ხვალვე გაგზავნი, ახლაც დაწერ ბრძანებას.

(მოუკლებს საწერ მაგიდას და წერს).

მერუჟანი — გმადლობთ... ერთი წლის განმავლობაში გავეცნობი და დავათვალიერებ მიჩურინსკის ცნობილ ბაღებს. ეს ხომ უდიდესი ბედნიერება იქნება!

გარნაკერიანი — აი, გამომართვი. გადაეცი გადასაბეჭდად. წადი და გაიზარე... მიყვარს, როდესაც ახალგაზრდებს ენხმარები.

(მერუჟანი გამოართმევს ბრძანებას. გადაათვალიერებს. ერთ წამს ჩაფიქრდება და უბრუნებს გარნაკერიანს).

მერუჟანი — მაგრამ არა, მე ჯერ არა მსურს მივატოვო მეურნეობა.

გარნაკერიანი — რატომ? შენ ხომ მაგაზე ოცნებობდი.

(შემოღიან ზარიფიანი და მაქრუპი. ეს უკანასკნელი უჩვენებს კუთხეში დაღებულ ვარდებს).

მაქრუპი — აი, ეს ვარდები, სულ დაუტრეფიათ, ამხანაგო ზარიფიან, ხვალ გამოფენაზე რა უნდა წავიღოთ? გულისხმობს მოხარშული მურაბები თუ?

ზარიფიანი — კარგი, ამხანაგო ბერბერიან. დღეს მადროვეთ საქმეებს გავეცნო, ხვალ კი უმკველად დავინტერესდები ვარდების და მურაბების საკითხით.

გარნაკერიანი — კორიუნჯან, უკვე დაიდგი უღელი, დაგეხვივნენ ყოველი მხრიდან?

ზარიფიანი — არა, ამხანაგო გარნაკერიან, მე უკვე შეგნებულად შევეუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას, სხვა არაფერი.

(მაქრუპი ირონიით გადახედავს გარნაკერიანს და გადის).

გარნაკერიანი. — როგორც გენებოთ.

ზარიფიანი — ამხანაგო ბერბერიან. გუშინ თქვენ ბიუროს წევრად

აგირჩიეს. დღეს სალამოს მინდა ბიუროს სხდომა მოვიწვიო, წინააღმდეგე? ხომ არა ხართ?

მერუქანი — მე ძალზე მოხარული ვარ, ამხანაგო <sup>გარსეციანი</sup> <sup>ზარდილიანი</sup> რომ თქვენთან ერთად უნდა ვიმუშაო, ერთ ორგანიზაციაში.

ზარიდიანი — თქვენ ამხანაგ მაქრუპი ბერბერიანისა რა ხართ?

მერუქანი — ერთი უღირსი შვილი.

ზარიდიანი — პირიქით, დედათქვენი მშვენიერი მუშაკია, ალბათ შვილიც მას ემგვანება.

გარნაკერიანი — ჩვენი მერუქანი? სახელგანთქმული ბიჭია.

ზარიდიანი — გთხოვთ განაგრძოთ თქვენი საუბარი, ბოდიში, შევაწყვეტინეთ.

გარნაკერიანი — მე ჩვენი მერუქანი მინდა გავაგზავნო მიჩურინსკში თავისი ცოდნის გასაღრმავებლად და, წარმოიდგინე, უარს აცხადებს.

ზარიდიანი — უარს აცხადებს? რისთვის?

მერუქანი — ეგ ჩვენი შეურნეობის საიდუმლოებაა.

გარნაკერიანი — გესმის? საიდუმლოებას უმაღავს მეურნეობის დირექტორს და პარტორგანიზაციის მდივანს.

მერუქანი — მე მაპატიეთ (გადის).

გარნაკერიანი — კარგად მომარტყა. არაფერი აღარ მეთქმის.

ზარიდიანი — ნუშან, მე აქ სრულიად ახალი ადამიანი ვარ. შენ კი მუშაობის დროს, თანამშრომელთა თანადასწრებით შინაურულად მომმართავ „კორიუნჯან“. ეს როგორ შეიძლება? მოდი და ერთმანეთს ვუძახოთ — კორიუნჯიკ, ნუშანჯიკ, ჩვენ თუ ერთმანეთს ასე მივმართავთ, ჩვენ პატივისცემას ვერ დავემსახურებთ იმ ადამიანებს შორის, ვისაც ჩვენ უნდა ვუხელმძღვანელოთ. მე შენი მოადგილე ვარ და მაპატიე ეს შენიშვნა.

გარნაკერიანი — მართალი ხარ, კორიუნ, გეტყობა, რომ მოსკოვში გატარებულ წლებს უქმად არ ჩაუვლია შენთვის. გაზრდილხარ, ძმო, გაზრდილხარ.

ზარიდიანი ჯიბიდან ამოიღებს რაღაც ქაღალდს.

ზარიდიანი — ახლა შევეუდგეთ საქმეს. ის რა ლობიო იყო, რომელიც არ მოკრიფეთ, გაათუქეთ?

გარნაკერიანი — არის ასეთი რამ. საცდელ ნაკვეთში სხვა კულტურებთან ერთად ჩვენ დავთესეთ აგრეთვე ადგილობრივი ჯიშის ლობიო. კარსეციანმა თვითნებურად გადაწყვიტა, რომ ეს ლობიო არ უნდა დათესილიყო და უბრძანა, არ აეღოთ მოსავალი. ორმოცდაათი ათასი მანეთის ზარალი მოგვცა. ტრესტში განიხილეს ეს საკითხი.

ზარიდიანი — მე ძალიან მაინტერესებს ეს საქმე.

გარნაკერიანი — მაშინ მე საავადმყოფოში ვიწვიე. კარსეციანს მიეყენებინა ტრექტორი და გადაეხნა ლობიოს მთელი ნათესი.

ზარიდიანი — შენც ბრალსა გდებენ, რომ კარსეციანს ხელს აფარებდნენ.

გარნაკერიანი — მე, სიმართლე გითხრა, მსურდა ცოტათი შეემსუბუქებინა კარსეციანის მდგომარეობა.

ზარიდიანი — რატომ?

გარნაკერიანი — მეცნიერი ვარ, კომუნისტი, მაგრამ საცდელი ნაკვეთის ბრიგადირი ბალაბეკ ხაჩიკიანი და სხვა მუშები ძალიან იყვნენ აღელვებული ამ ამბით. აიღეს და მიწერეს სამინისტროს.

ზარიფიანი — სწორადაც მოქცეულან. ასე მოიქცეოდა ყოველი საბ-  
კოთა ადამიანი. შენ კი...

გარნაკერიანი — მე კი ვფიქრობდი, რომ როგორმე <sup>სასაბარტოლო</sup> პასუხისმგებლად დამეხსნა ერთი მეცნიერი ადამიანი. მაგრამ კარსეციანმა იფიქრა, რაკი მის წინააღმდეგ განცხადება მე დაეწერე, ამიტომ ჩემი დისერტაცია უვარგისად ჩათვალა და დაიწუნა, რომელიც წინათ ძალზე მოსწონდა.

ზარიფიანი — როგორ? მან ხომ უარი განაცხადა შენს დისერტაციაზე?  
გარნაკერიანი — დიახ, უარი თქვა და ფაქტიურად ჩაშალა დაცვა-  
ზარიფიანი — მე მისგან ამას არ მოველოდი. მაშ, შენ ამბობ, რომ მან უვარგისად ჩათვალა ნაშრომი, რომელსაც თავის გულის სიღრმეში კარგ ნამუშევრად თვლის?

გარნაკერიანი — სწორედ ასე.

ზარიფიანი — მაშ სახიფათო გაიმეორა ყოფილა.

გარნაკერიანი — ძალიან, ძალიან...

ზარიფიანი — შენ კი... დაიბენი...

გარნაკერიანი — დიახ, მხოლოდ ჩემი კეთილი გულის გამო.

ზარიფიანი — შენი კეთილი გული ვერ შეგიმსუბუქებს შეცდომას. კარსეციანი მხოლოდ საცდელი ნაკვეთის გამგება, შენ კი მთელი მეურნეობის დირექტორი. შენ უნდა თავიდან აგეცილებინა ეგ ბოროტმოქმედება. მაგრამ, რაკი ის უკვე ჩადენილი იყო, მოვალე იყავი, მაშინვე გამოგეაშკარავებინა დამნაშავენი.

გარნაკერიანი — მე ვაპირებდი, მაგრამ ბალაბეკმა დამასწრო.

ზარიფიანი — ეგ ბალაბეკი ვინ არის, შეიძლება გავიცნო?

გარნაკერიანი — ამ წუთში. ის საცდელ ნაკვეთშია. (ეძახის ფანჯრიდან). ბალაბეკ, ბალაბეკ.

ზარიფიანი — როგორც ვატყობ, მებრძოლი მუშა უნდა იყოს ეგ ბალაბეკი.

გარნაკერიანი — ჩემი აღზრდილია, ჩემი მეურნეობის საუკეთესო კალრია.

(შემოდის ბალაბეკი).

ბალაბეკი — სალამი და გამარჯვება, ამხანაგო ზარიფიანო!

ზარიფიანი — (ხელს ჩამოართმევს). გამარჯობა, ამხანაგო ხაჩიკიან! თქვენ მიეცით სიგნალი მეურნეობაში ბოროტმოქმედების შესახებ?

ბალაბეკი — „ტავარიშჩ“ ზარიფიან, მე, როგორც შეგნებულმა მუშამ, მხოლოდ ჩემი მოვალეობა მოვიხადე.

ზარიფიანი — ამხანაგო ბალაბეკ! თქვენ შეგიძლიათ ამიხსნათ, თუ რა მიზეზით გასცა კარსეციანმა განკარგულება, რომ არ აეღოთ ლობიოს უხვი მოსავალი?

ბალაბეკი — იმისათვის, რომ საცდელი ნაკვეთის ყველა მუშას ემუშავა და დაეკრიფა მხოლოდ მისი საყვარელი პამიდორი. მაგრამ აქ სხვა ანგარიშს ჰქონდა ადგილი.

ზარიფიანი — რა ანგარიშს?

ბალაბეკი — იმ ანგარიშს, რომ კარსეციანს სურდა ეჩვენებინა, ამ სამეურნეო წელს პამიდორის მოსავალი უფრო უხვი იყო, ვიდრე ლობიოსი.

ზარიფიანი — მერე, კარსეციანს ლობიოზე მეტად რატომ უყვარს პამიდორი?



ბ ა ლ ა ბ ე კ ი — „ტავარიშჩი“ ზარიფიან, კარსეციანს პამიდორი კი არ უყვარს, არამედ პამიდორის ჯიშზე მომუშავე ქალი უყვარს.

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — მერე ვინ მუშაობს პამიდორის ჯიშზე?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ამხანაგო ნშან სეირანიჩი. ბოდიში. მე, როგორც შეგნებულ მუშას, ნება არა მაქვს ჩემს ხელმძღვანელ მდივანს დაეუმალო საყოფა-ცხოვრებო საიდუმლოებანიც.

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — ილაპარაკე, ამხანაგო ბალაბეკ.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — დიახ, ვილაპარაკებ რაც თვალით ვნახე. კარსეციანის საყვარელია ამხანაგი რუზანა ჰალაბიანი. ბოდიში, ამხანაგო ნშან სეირანიჩი.

(ზარიფიანი და გარნაქერიანი გაოცებული ფეხზე წამოდგებიან. პაუზა.)

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — აი, რა ყოფილა თქვენი საცდელი ნაკვეთი.

გ ა რ ნ ა ქ ე რ ი ა ნ ი — ბალაბეკ... მერე შენ მართალს ამბობ?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ჩემი ერთად-ერთი შვილი სეროჯა მომიკვდეს, თუ ვტყუოდე, ამხანაგო ნშან სეირანიჩი. ჩემი თვალით ვნახე, რომ კარსეციანმა თავისი მაგიდის ყუთიდან ამოიღო ამხანაგ ჰალაბიანის სურათი და აეოცა კიდეც.

(პაუზა. შემოდის მაქრუპი.)

მ ა ქ რ უ ჰ ი — ამხანაგო ზარიფიან, ამხანაგი კარსეციანი თქვენ დაგვძებთ.

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — წადით და უთხარით ამხანაგ კარსეციანს, ნუ ღამეძებს. მე თვითონ ვნახავ.

(სწრაფად გადის. მას მოჰყვებიან მაქრუპი და ბალაბეკი. გარნაქერიანი ჩაფიქრებული გაყურებს მათ.)

გ ა რ ნ ა ქ ე რ ი ა ნ ი — აი, მომიკვდი, ბალაბეკ... მაგრამ არ ვიცი, კარგად გამოვიდა თუ ცუდად... კორიუნმა ლომივით შებლაგვლა... დე, თვითონ დაეტაკოს გაცოფებულ დათვის. ვნახოთ, რა მოხდება. ეს ამბავი ასე იოლად არ ჩაივლის. ამ ცოშს ჯერ ბევრი საფანელი დასჭირდება...

(გ ა რ დ ა.)

## მხსნამ სურათი

სცენის მარცხენა მხარეს დგას დიდი ალვის ხე, რომლის იქით მოჩანს საზამთროები. იქვე ახლოს, ხეზე გაყრულია მსხვილი ასოებით წარწერა: „საცდელი ნაკვეთი“. მარჯვნივ ღამის დარაჯის ქობია. ქობსა და ხეს შორის დარჩენილი მანძილი დაფარულია წითელი, ყვითელი, თეთრი ვარდებით. შორს, არარატის ფონზე მოჩანან თეთრი შენობები, რომლებიც ხეებში არიან ჩაფლული. ალვის ხის ქვეშ ტახტზე ზის და ფიქრებს მისცემია კარსეციანი. ვარდების დიდი კონით ხელში შემოდის მაქრუპი.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — მაშ, ასე, ამხანაგო მაქრუპი... შეიძლება მე მართლა შეცდომა ჩავიღინე... მაგრამ მათ რატომ სურთ წამართვან საცდელი ნაკვეთი, ესე იგი ჩემი შეცდომის გამოსწორების საშუალება. შენ რა აზრისა ხარ?

მ ა ქ რ უ ჰ ი — პროფესორო, ჩემი დარიგება არა გჭირდება, შენ ჩაპკირკიტებ მაგ წიგნებს და ვერ ამჩნევ, რომ შენს ფეხქვეშ როგორი გველია დაბუღებულად.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — მერე, რა ვქნა, მაქრუპი?

მ ა ქ რ უ ჰ ი — ერთი თვალთ საქმეს რომ უყურებ, მეორე თვალთ ირგვლივ მიმოიხედე ხოლმე.

კარსეციანი — მე დრო არა მაქვს. დატვირთული ვარ. ჩემი მთელი ყურადღება, ენერგია და ძალ-ღონე მსურს ჩემს საქმეს, ჩემს ქვეყანას — შრ-ვახმარო. ქორების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დრო არ მაქვს.

მაქრუპი — მტერსაც სწორედ ეგ უნდა, რომ შენ თავის დაცვისათვის დრო არა გაქვს (პაუზა).

კარსეციანი — სავსებით მართალს ამბობ (პაუზა).

მაქრუპი — რუზანა მოდის. რა კარგი ქალიშვილია, ამხანაგო კარსეციან, ნამდვილად მომწიფებული საცოლეა.

კარსეციანი — მაქრუპი... როგორ ბედავ?

მაქრუპი — შენ თვითონ გაბედე — ხელი თამამად გაუწოდე, ნუ გეშინია. რუზანასთანა ცოლი შენთვის საჭიროა.

(მაქრუპი სიცილით გადის. შემოდის რუზანა კალათით ხელში).

რუზანა — მესრობ ტიგრანჩი, მომილოცავს გამარჯვება. (კალათას დაღებს ტახტზე).

კარსეციანი — ეს რა არის?

რუზანა — ჩვენი პამიდორია. ქარხანამ დაგვიდასტურა რომ ჩვენი პამიდორი თავისი თვისებებით უკეთესია სომხეთის ყველა სხვა ჰიბრიდებზე. ამ ლაბორატორიის მოწმობაც.

(ჩანთიდან ამოიღებს მოწმობას და გადასცემს კარსეციანს. კარსეციანი კითხულობს).

კარსეციანი — საუცხოოა, რა მშვენიერი შესახედავია. ჩვენ ამ ლამაზ ჰიბრიდს სახელად „რუზანას“ დავარქმევთ.

რუზანა — არავითარ შემთხვევაში.

კარსეციანი — ბაზარში დიასახლისები ეტყვიან გამყიდველს: „გათაყვა ერთი ორი კილოგრამი „რუზანა“ ამოწონეთ“.

რუზანა — არავითარ შემთხვევაში, მესრობ ტიგრანჩი. ამ ჰიბრიდის მიღებას მე მივალწიე თქვენი ხელმძღვანელობით. ეს უფრო თქვენ გეკუთვნით. თუ აუცილებლად გსურთ ჩემი წაქეზება, მაშინ დაე, „კარუზი“ დაერქვას.

კარსეციანი — „კარუზი“?

რუზანა — ესე იგი კარსეციანი და რუზანა.

კარსეციანი — საუცხოოა, მაგრამ არა, უკეთესია „რუზანა“ ეწოდოს.

რუზანა — არავითარ შემთხვევაში, მხოლოდდამხოლოდ „კარუზი“.

კარსეციანი — ნუთუ თქვენ ახლა ასე ძალიან გსურთ რომ თქვენი სახელი შეუერთოთ ჩემს სახელს?

რუზანა — რას ნიშნავს სიტყვა „ახლა“?

კარსეციანი — თქვენ არ იცით, განა, რომ მე საცდელი ნაკვეთიდან მხსნიან?

რუზანა — რას ამბობთ? ჩანს, ბალაბეკის ნაბღაჯს სერიოზული ყურადღება მიაქციეს.

კარსეციანი — ჩვენ, რასაკვირველია, ნაწილობრივი შეცდომა დავუშვიტ — ოფიციალური აქტის, წერილობითი თანხმობის გარეშე რომ გადავახვნივენიეთ ლობიოს ნათესი. მაგრამ ეს ჩვენ ჩავიდინეთ მხოლოდდამხოლოდ საცდელი ნაკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე. დიახ, მეცნიერების ინტერესებისათვის.



რ უზანა — მერე-და, ჩემმა პატიოსანმა სიძემ თქვენ არ დაგიცვით?

კარსეციანი — ძნელია თქმა, ვერ გავიგე, მისი სიტყვა დაცვა ნიშნავდა თუ მსჯავრის დადებას! ანტონიანმა მას ბრალი დასდო იმაში, ვითომ ის მე მფარველობდა, ის კი უცებ შეტრიალდა, შეცვალა თავისი პოზიცია და აღიარა თავისი შეცდომა:

რ უზანა — არ მოიგონა ის, რომ ლობიოს აღებაზე მას თანხმობა ჰქონდა მიცემული?

კარსეციანი — არა.

რ უზანა — მერე-და, თქვენ არ მოაგონეთ?

კარსეციანი — მე... მეც დავიწყებული მქონდა.

რ უზანა — მაგის დავიწყება განა შეიძლებოდა? ზარიფიანმა რა პოზიცია დაიჭირა?

კარსეციანი — ზარიფიანი იქ არ იყო.

რ უზანა — ეს რა ამბავი ხდება, რა უნდათ, რომ გააკეთონ ამით?

კარსეციანი — ის ხდება, რომ სურათ გამაძვეონ საცდელი ნაკვეთიდან. შეიძლება ეს მოახერხონ კიდეც. მაგრამ ჩემთვის უფრო ძნელია...

რ უზანა — რა? (ბაუსა).

კარსეციანი — მოვშორდები რა საცდელ ნაკვეთს, მე აღარ შექნება ბედნიერი შემთხვევა... მაგრამ მაპატიეთ...

რ უზანა — გთხოვთ განაგრძოთ...

კარსეციანი — რუზან... მაპატიეთ... რუზანა არ შაკოვანა...

(ჩხუბით შემოდან ჯულიეტა და ქნარიკა, ეს უკანასკნელი შუტანის, გამხდარი, შეგვრემანი ახალგაზრდა ქალია).

ქნარიკა — ამხანაგო კარსეციან...

ჯულიეტა — რა წინ გარბისარ. გინდა ცილი დანშაბო, ამირიო ცხოვრება, არა? მოიცა, ჯერ მე უნდა ვილაპარაკო.

ქნარიკა — ჰა, კარგი, შენ აურთე, შე ენაჭარტალა?

ჯულიეტა — ენაჭარტალაცა ხარ და მეტიც... ამხანაგო კარსეციან, ცოტა მკუხაზე მოიყვანეთ თქვენი ნაკვეთის ხულოგნები, თორემ ბალაბეკმა რომ გაიგოს, სისხლი დაიღვრება.

კარსეციანი — რა იყო, რა მოხდა?

ქნარიკა — ამხანაგო კარსეციან, არაფერი არ მომხდარა, ბავშვები ერთმანეთს შეეკამათნენ.

ჯულიეტა — კარგი შეკამათება! შენს სეროყას ჩემი სეროყასთვის ისე აუწყებია ყური, რომ კინაღამ მოუგლეჯია.

კარსეციანი — მერე, რისთვის, რატომ?

ქნარიკა — ვეკითხები, ბიჭო, რისთვის აუწიე სეროყას ყური-მეთქი. ის კა მეუბნება: „დედა, ამას წინათ ამხანაგმა კარსეციანმა ჩვენს სახლში თქვა: „ბავშვები, რომლებიც ხეებს აფუჭებენო, ხელში თუ ჩამივარდნენ, ყურებს ავაგლეჯო. ისიც ამბობს, ხელში ჩამივარდა და მეც ყური ავუწიეო“. ჩემი ქმარი ხის ნარგავების ბრიჯადირია, ჰოდა, შეილიც იცავს თავისი მამის შრომას. მაშ რა ქნას?

კარსეციანი — მართალია, ხის დაზიანება არ შეიძლება.

ჯულიეტა — ტყუის, ჩემი სეროყა ხეს არასოდეს არ დაზიანებს. ჩემი სეროყა ამ მეურნეობაში ყველაზე ალაღ-მართალი ბავშვია. ხე ღირექტორის ძროხას დაუზიანებია.



კარსეციანი — დირექტორის ძროხას?

ჯულიეტა — დიახ, ჩვენი რა შუაში ვართ!

ქნარიკა — ამხანაგ კარსეციანის მერიდება, თორემ ყველაფერი მერე უკლი. ქმარი, ცოლი შვილი, ყველანი დირექტორის ძროხებს ამოვებით და უვლით. დირექტორისთვის მურაბებს ხარშავთ. ანტონიანისათვის მურაბას ხარშავთ... დიახ, მეურნეობას ძარცვავთ და უფროსების გულის მოსაგებად საერთო ქონებას ანიავებთ.

ჯულიეტა — ამას რას ამბობს?

ქნარიკა — დიახ, ჩვენი ძროხები ნახირში გარეკეს, დირექტორის ძროხები კი თავისუფლად დანაფარდობენ და მეურნეობის ხარჯზე სუქდებიან. შენ და შენი ქმარი დირექტორისათვის მუშაობთ, ჯამაგირს კი მეურნეობიდან ღებულობთ. მე ამ პატიოსანი ადამიანების მერიდება და მრცხვენია, თორემ ყველაფერს ვიტყოდი...

ჯულიეტა — ამხანაგო კარსეციან, ჩააჩუმეთ ეს უსირცხვილო. გაჩუმდეს და ენა ჩაკმინდოს, თორემ ბალაბეკმა თუ გაიგო, ქვეყანას დაანგრევს.

ქნარიკა — მოთმინებიდან ნუ გამომიყვან... შენი ბალაბეკი ის არა ბრძანდება, სოფელ გინევეტიდან რომ გამოაგდეს... ამათი მერიდება, თორემ.

კარსეციანი — გესმით? რუზან...

რუზანა — მაგას რას ამბობ, ქნარიკ?

ქნარიკა — დიახ... ამათი სოფლის კოლმეურნეობიდან ერთი ქალი მოსულიყო ჩვენთან, დეიდა მაქრუპის ნაცნობი იყო, სახელად ბურასტანი ერქვა. მოსულიყო ჩვენი საცდელი ნაკვეთიდან პამილორის თესლის წასაღებად. დინახა თუ არა ბალაბეკი, გაუკვირდა: ეს ჩვენი ნესვების ქურდი ბალაბეკი არ არისო? ამას აქ როგორ აჩერებთო, მიკვირს რომ აქამდე არ დაუჭერიათო? დიახ, ახლა ბავშვების ჩხუბს იმეზუზებს. ორივე სეროყები პატარები არიან. ამათი სეროყაც ქვიანი ბიჭია და ბალაბეკს სრულებით არა ჰგავს.

ჯულიეტა — არც შენი სეროყა ჰგავს შენს ქმარს. უსირცხვილო! ვიცი, კარგად ვიცი, ეგ კორი ნექტარმა გაავრცელა, იმიტომ რომ ბალაბეკმა მე მიმეტოვოს და ის შეირთოს. იმ უსირცხვილოს სურს ერთგული ქმარი წამართვას. (ხმამალა ტირის).

კარსეციანი — დამშვიდდით, ქალბატონო ჯულიეტა. ნუ გეშინიათ. ბალაბეკისათვის შესაფერისი ხართ და თქვენს დაშორებებს არავინ არ მოისურვებს. პატარა „სეროყას“ კი, ესე იგი სარჭისას უნდა აუხსნათ ხის მნიშვნელობა. მას არ ესმის, რომ ხეს მოვლა უნდა, ხეს თუ მიწიდან მოგლეჯავ, გახმება. მას აღბათ სურდა გაეგო, თუ როგორ არის, რომ ხე მუდამ ერთ ადგილზე დგას და არ მოინათებს, შეიძლება იმ ცელქ ბიჭუნას ხის ფეხების ნახვა სურდა.

ჯულიეტა — ჩემი სეროყა მთელ ქვეყანაში ერთად ერთია, ამხანაგო კარსეციან, ჩემი სეროყა ამ მეურნეობის მიდამოებში, საუცხოო მგალობელი ბულბულია, ვარდის კოკორია. ერთადერთი...

(შემოდის ნექტარი).

რუზანა — ნექტარ? მოდი, ნუ გერიდება, აქ მოდი.

ნექტარი — დაო რუზანა, საიდუმლოდ უნდა მოგელაპარაკოთ თქვენ და ამხანაგ კარსეციანს.

ქნარიკა — აბა, ახლა წავიდეთ. ჯულიეტა, გეყოფა, რაც აქე და აღიდე შენი სეროყა.

ჯ უ ლ ი ე ტ ა — შენი სეროცა ჩემი სეროცას ფრჩხილადაც არა ღირს... ჩემი სეროცა...

(კნარცა და ჯ უ ლ ი ე ტ ა კამათი გაღიან).

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — გისმენ, ნექტარ.

ნ ე ქ ტ ა რ ი — დაო რუზან, სახლში ნუ იტყვი, რომ მე აქ ვიყავი... დღეოდან მე აღარ ზიმუშავებ თქვენებთან.

რ უ ზ ა ნ ა — რა იყო, ნექტარ, რა მოხდა, გაწყენინეს?

ნ ე ქ ტ ა რ ი — არა, ჩემთვის არაფერი არ დაუშავებიათ.

მაგარმ ისე...

რ უ ზ ა ნ ა — მაშ რატომ აღარ გსურს მათთან სამსახური?

ნ ე ქ ტ ა რ ი — საერთოდ აღარ მსურს კერძო სამსახური, ახლა მინდა სახელმწიფო სამსახურში შევიდე.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — გესმით? რუზანა არშაკოვნა.

ნ ე ქ ტ ა რ ი — ამხანაგო კარსეციან, გთხოვთ თქვენთან მიმიღოთ სამსახურში საცდელ ნაკვეთზე. თქვენთან მსურს ვიმუშაო.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — ჩემთან?

ნ ე ქ ტ ა რ ი — დიახ, თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ. დეიდა მაქრუშიმ მითხრა, რომ თქვენთან თავისუფალი ადგილია.

რ უ ზ ა ნ ა — ხვალ მოდი, ნექტარ, საცდელ ნაკვეთზე. მიგიღებთ, ლაბორატორიაში იმუშავებ.

ნ ე ქ ტ ა რ ი — მერე, ეგ ამხანაგ კარსეციანის დაწესებულება?

რ უ ზ ა ნ ა — დიახ.

ნ ე ქ ტ ა რ ი — მერე-და, თქვენი სიძე არ მომხსნის?

რ უ ზ ა ნ ა — არა.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — ხვალ მოდი, ნექტარ, ხვალ მოდი უეჭველად.

(ნექტარი გადის, პაუზა. რ უ ზ ა ნ ა ხელში აიღებს კალათას).

რ უ ზ ა ნ ა — ნახვამდის.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — არა, ნებას არ მოგცემთ... არა...

(კალათას გამოართმევს რუზანას და დამალავს ხის უკან).

რ უ ზ ა ნ ა — გისმენთ...

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — რუზან... თქვენ წარმოგიდგენიათ ადამიანი, რომელსაც დიდი სიმდიდრე აქვს? მაგრამ ეშინია გაამხილოს... ეშინია, რადგან ერთი სიტყვა შესაძლოა საკმარისი იყოს, რომ ეს სიმდიდრე არარაობად გადაიქცეს... ასეთი ადამიანი მე ვარ...

(პაუზა).

რ უ ზ ა ნ ა — კი მაგრამ, რომელია თქვენი სიმდიდრე?

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — თქვენი!..

რ უ ზ ა ნ ა — რა თქვით?

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — საშინელი რამ... მამატიეთ, რუზანა არშაკოვნა. მე გადაჭარბებული გამბედაობა გამოვიჩინე... მაგრამ ნუ გამოჯავრდებით... ნუ გიწყინებთ... როდესაც მე თქვენ გიყვიროდით, ჰიბრიდის ჯიშები კარგად არ შეგირჩევიათ, ან სამუშაოზე ზუთი წუთით რატომ დაიგვიანეთ-მეთქი... მე მაშინ მხოლოდ ჩემთვის სანატრელი, ჟრუანტელის მომგვრელი ერთი სიტყვის თქმა მსურდა... მინდოდა მეთქვა... „ჩემო რუზან“-მეთქი...

რ უ ზ ა ნ ა — არ მესმის, რას ლაპარაკობთ?..

(რუზანა ხეს მიყვარდნობა. კარსეციანი აღუღებთ აქით-იქით იხედება. უცმა მიუახლოვდება და თქვამს ხელს ნახად გადაუსვამს რუზანას). ერკონესული

კარსეციანი — რუზან... იქნებ მე გადავკარბე... არ გეგერა... თუ ჩვენ ოდესმე... ერთად ვიქნებით...

(რუზანა მკლავზე მოხვევა).

რუზანა — არა, ჩვენ ერთმანეთს ვერაფერს დაგვაშორებს.

კარსეციანი — ნუთუ ეს სინამდვილეა? რუზან, ეს ხომ მე მხოლოდ სიზმარში მინახავს...

რუზანა — თქვენ ისევ დაღონებული ხომ არა ხართ?..

(შემოდის ზარიფიანი და ელდნაცემივით გაჩერდება ერთ ადგილზე. რუზანა და კარსეციანი მას ვერ ამჩნევენ).

კარსეციანი — არა, ფრთები შემასხი... დაუმარცხებელი ვარ... ძალზე ბედნიერი. ახლა აღარ მეშინია ცილისმწამებლებისა და არც მათი ცნობილი და უცნობი მფარველებისა. მე ბედნიერი ვარ. დიახ, ბედნიერი! (მოხვევა რუზანას და წარმოთქვამს:)

„აი მე შენ გიბოვე ახლა,  
დიდი ხანია მე შენ გეძებდი.  
ახლა კი უკვე მშვიდად ვუყურებ  
ნათელ ვარსკვლავებს და ლამაზ ქალებს...“

ზარიფიანი — მამატიეთ. (ემზადება წასასვლელად).

(კარსეციანი და რუზანა გამოერკვევიან. უხერხულად გრძობენ თავს და ერთ-ხანს არ იციან, რა თქვან).

კარსეციანი — მე აქ გელოდით.

ზარიფიანი — მე კი უდროოდ დროს მოვედი.

კარსეციანი — პირიქით, სწორედ დროზე მოხვედით, დიახ, დროზე.

რუზანა — მე დამაგვიანდა, უნდა წავეიდე (გადის).

(პაუზა. კარსეციანი და ზარიფიანი ერთმანეთისაგან დაშორებული არიან რამდენიმე ნაბიჯით, ხმას არ ღებენ. მხრებს იჩენავენ და ბოლოს სცემენ).

ზარიფიანი — ახლა, საქმეს შევეუდგეთ. ამხანაგო კარსეციან, მითხარით, რა ზღვება აქ, თქვენს საცდელ ნაკვეთში?

კარსეციანი — სისამაჯლე.

ზარიფიანი — ეგ ცარიელი სიტყვაა. თქვენ მე გულდამშვიდებით-ამისხენით, რატომ უბრძანეთ, რომ მოსავალი არ აელოთ?

კარსეციანი — ეგ ჩემი საქმეა. ეგ მეცნიერებაა და არც ბალაბეკს და არც გარნაკერიანებს არა აქვთ უფლება, თავიანთი ცხვირი ჩარგონ მეცნიერებაში.

ზარიფიანი — ამხანაგო კარსეციან, მე თქვენ მშვიდად გესაუბრებით. გთხოვთ, თქვენც ნუ აიმაღლებთ ხმას. რატომ უპირისპირებთ თქვენს მეცნიერებას ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ გეგმებს.

კარსეციანი — თქვენ გარნაკერიანის სიმღერას აგრძელებთ, აბა ამის შემდეგ რა უნდა გელაპარაკოთ?

ზარიფიანი — დიახ, თქვენ უნდა მელაპარაკოთ, ჩემი თანამდებობა მავალდებულებს, გამოვარკვიო ეს საკითხი. საქმე დიდ თანხებს ეხება.

კარსეციანი — თქვენ მხოლოდ თანხები გაინტერესებთ, თქვენ გეგმების ფორმალური შესრულება გაინტერესებთ, რომ როგორმე „გადააჭარბოთ“ გეგმებს და სახელმწიფო მოატყუოთ. თქვენ არ გაინტერესებთ მეცნიერება. არ ფიქრობთ საბჭოთა საზოგადოების ხვალისდელ დღეზე, დიახ, ასე ეს...

ზარიფიანი — ამხანაგო კარსეციან, თქვენ რა უფლება გაქვთ, ასეთი სიტყვებით მომმართოთ, თქვენ მე მიცნობთ!

კარსეციანი — აღამიანებს თავიანთი საქმეებით იცნობენ. თქვენც იცავთ იმ... ბალაბეკებს.

ზარიფიანი — მე მათ ვეთანხმები. ისინი მოვალენი იყვნენ გამოეაშკარავენინათ თქვენი თვითნებური განკარგულებიდან გამომდინარე მძიმე შედეგები, რომლებიც მეურნეობას ძვირად დაუჯდა, მე მსურს, რომ თქვენ გულდამწვიდებით ამიხსნათ და მეცნიერულად დამისაბუთოთ, თუ რა მოტივით ებრძანეთ, არ აეღოთ საცდელ ნაკვეთზე ლობიოს მოსავალი?

კარსეციანი — ლობიო... ისევ და ისევ ლობიო? მე თქვენ საზამთროების შესახებ გელაპარაკებით.

ზარიფიანი — საზამთროების? რომელი საზამთროების?

კარსეციანი — იმ საზამთროების შესახებ, რომელთა მოკრეფა მე აეკრძალე; სანამ მოსკოვიდან ჩამოსული ექსპერტები მას არ ნახავდნენ თავიანთი თვალით და არ დარწმუნდებოდნენ იმაში, რომ მელიტოპოლის ჯიშის საზამთრო არარატის ველზე აუცილებელი სასელექციო პერიოდის განვლის შემდეგ ძალიან იზრდება, გამძლეა და გემოც საამური აქვს, დიახ, საამური...

ზარიფიანი — აი, ახალი ამბავი.

კარსეციანი — ეს თქვენთვის არის ახალი, ჩემთვის კი ძველია და დადასტურებული ფაქტია. მაგ საზამთროებს მე ვინახავდი, აგრეთვე, სათესლეებად. თესლი უნდა დამერიგებინა არარატის ველის ყველა კოლმეურნობისათვის.

ზარიფიანი — და ასეთი საზამთროები დაუკრეფიათ?

კარსეციანი — სანამოდროდ ერთიკ კი არ დაუტოვიათ. სულ დაუკრეფიათ, რათა თავიანთი გეგმები „გადააჭარბებით“ შეესრულებინათ და ანტონ ანტონიანმა სოფელ გინევეტიდან გამოგდებული ავაზაკი ბალაბეკი ჯილდოზე წარადგინოს.

ზარიფიანი — თქვენ ნამდვილად იცით, რომ ბალაბეკი მართლა გამოგდებულია?..

კარსეციანი — მე ახლახან გავიგე... მოსკოვიდან დეპეშით ექსპერტი გამოვიწვიე. მაგრამ რა ვუჩვენო ექსპერტს, რა პასუხი გავციე? მაგ ბალაბეკს მე პასუხისგებაში მიეცემ დიახ, პასუხისგებაში. გადავასახლებინებ შორს, კუროვანთა კუნძულზე. ესათუოდ გადავასახლებინებ.

(პაუზა).

ზარიფიანი — ესეც საცდელი ნაკვეთი...

კარსეციანი — საცდელ ნაკვეთზე არა მარტო მეცნარეთა გამოცდა ხდება, აქ აღამიანების გამოცდასაც აწარმოებენ.

(შემოდის მაქარუპი, მერუჟანი, ქნაროკი, არტაშესი — საშუალო ტანის მხარბუკიანი ახალგაზრდა, ჟორა — დაბალი ტანის, სქელი, შავკერემანი, მარტი ახალგაზრდა. შემოდის აგრეთვე მუშები, მუშაქალები).

არტაშესი — ამხანაგო ზარიფიან, შეიძლება?

ზარიფიანი — გთხოვთ.

არტაშესი — ამხანაგო ზარიფიან, მე მეურნეობის გამწვანების ბრიგადირი ვარ. ამხანაგმა კარსეციანმა მე ჩამაბარა აგრეთვე ვარდის ნაკვეთი, რომ ასეა, ამხანაგო კარსეციან?

ხმეზო — სწორია.

არტაშესი — ახლა, ამხანაგ ჟორას ტრაქტორი მიუყენებია იმ ნაკვეთზე, სადაც ვარდია გაშენებული და ამბობს, უნდა გადავხნაო. ხომ ასეა, ჟორა? ხმეზო — სწორია.

(შემოდის გარნაკერიანი, თან მოყვება ბალაბეკი).

არტაშესი — ამბობს. მე მიბრძანესო. მაგრამ ვინ უბრძანა?

გარნაკერიანი — მე ეუბრძანე.

ჟორა — გაიგე, არტაშე?

არტაშესი — გაეიგე, მაგრამ მე მაგ განკარგულებას არ ვიზიარებ, თანახმა არა ვარ.

გარნაკერიანი — თანახმა არა ხარ? ეგ შენი პირადი საქმეა. მე კი განკარგულება გავეცი, გადახან ვარდის ნაკვეთები. ჟორა, ახლავე წადი და გადახანი.

ჟორა — როგორ წავიდე, ამხანაგო გარნაკერიან, როცა არტაშე თანახმა არ არის?

გარნაკერიანი — აქ დირექტორი მე ვარ, თუ არტაშესი?.. შეასრულე განკარგულება.

ჟორა — ამხანაგო დირექტორო... რა ექნა, თქვენი განკარგულება არც მე მომწონს... და თანახმა არა ვარ.

გარნაკერიანი — რას ნიშნავს ეს?.. რა ამბავია?.. რა არის, აჯანყებას აწყობთ?

მერუჯანი — რის აჯანყებას, ამხანაგო გარნაკერიან. ვარდის გეგმა ხომ ტრესტმა დაამტკიცა.

გარნაკერიანი — არა, არ დაუმტკიცებია. ანტონ მინაიხს დავურგე და მითხრა, არ ვამტკიცებო. არ მიყვარს, როდესაც ადამიანები საკითხს არ იცნობენ და ზეპირად ლაპარაკობენ.

მერუჯანი — მაშ ვარდის გეგმას ფუშავთ?

გარნაკერიანი — ამხანაგო ბერბერიან, თქვენ გსურთ, ვარდებით დაფაროთ ჩვენი მეურნეობის ნაკლი. მე კი არ მიყვარს თვალთმაჯობა. ვარდების ნაცვლად, იმ ნაკვეთზე ლობიოს დავეთესავ, რომ ორმაგად ავანაზლაურო სახელმწიფოს ის ზარალი, რომელიც ამხანაგ კარსეციანის დანაშაულით ჩვენმა მეურნეობამ მიაყენა.

კარსეციანი — მოითმინეთ... კი, მაგრამ მე ხომ თქვენთან შეთანხმებით ვიმოქმედე.

გარნაკერიანი — არა, თქვენ ისარგებლეთ ჩემი ავადმყოფობით და პარტიის ყოფილი მდივნის სისუსტით. ყველაფერი გააკეთეთ თვინებურად.

კარსეციანი — მე თქვენ ტელეფონით გესაუბრეთ სავადმყოფოში და თქვენ თანხმობა განაცხადეთ.

მაჭრუპი — ამხანაგი კარსეციანი მართალს ამბობს.

ბალაბეკი — შენ კი, ამხანაგო დეიდა მაჭრუპი, უტარო კოვზივით ქოთანში რატომ ვარდები?

მაჭრუპი — შენ კი კუდს ტყუილად ნუ აქნევ. ცრუ მოწმეობას თავი გაანებე, გაიგე?



ა რ ტ ა შ ე ს ი — (თავისთვის) მაგრად მოხედა კაკალ გულში.

ხ მ ე ბ ი — ძალიან კარგია. მოუხდება.

(საერთო სიცილი).

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — ტელეფონით ჩემს საუბარს ესწრებოდნენ სწორედ მაქრუპი და ბალაბეკი.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე არ ვიცი, ვინ ესწრებოდა. თქვენ ცდებით. მე თქვენთვის არავითარი თანხმობა არ მომიცია. დიდ პატივსა გცემთ, მაგრამ საბელმწიფოს ინტერესებს თქვენზე მაღლა ვაყენებ.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — თქვენ მაგას სეროზულად ამბობთ?

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე ხუმრობა არ მიყვარს.

ხ მ ე ბ ი — გესმით? გესმით?..

(შემოდის ჯ უ ლ ი ე ტ ა. იგი გარნაკერიანს გადასცემს დაღუპულ პაეტს).

ჯ უ ლ ი ე ტ ა — მითხრეს, სასწრაფოა...

(გარნაკერიანი ხსნის პაეტს, კითხულობს და გაკვირვებული გადასცემს ზ ა რ ი ფ ი ა ნ ს. რომელიც სწრაფად გადაიკითხავს მოწერილობას).

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — აბა, ამხანაგებო, დაიშაღეთ. მიხედეთ თქვენს საქმეს. პარტიული ორგანიზაცია მაგ საქმით დაინტერესდება. თქვენ ყველანი მიიღებთ მონაწილეობას.

(ყველანი გადიან. რჩებიან კარსეციანი, გარნაკერიანი და ზარიფიანი, უკანასკნელი მომართავს გადასცემს კარსეციანს, რომელიც თავისთვის კითხულობს).

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — პროკურორი მიბარებს, რომ მასთან გამოვეცხადდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღუძრავთ. ეს კომედიია... ნამდვილი კომედიია... დიახ...

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — მაგრამ ვინ ჩქარობს ასე? (გადახედავს გარნაკერიანს) მე კი დამავალეს საქმის შემოწმება, რატომ არ იცდიან, რად ჩქარობენ ასე. რაშია საქმე?

(გარნაკერიანი მხრებს აიხეჩავს. ზარიფიანი აღელვებული გადის, მას მიაყვება გარნაკერიანი. პუზა. კარსეციანი დაბნეულია).

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — სასამართლო... რა ჩავიღინე ასეთი? შეიძლება შევცდი. მაგრამ ამის შესახებ ხომ შეიძლებოდა მინისტრის კაბინეტში მოლაპარაკება და არა სასამართლოში. მაშ იმარჯვებს. ტყუილი? მე მუშაობა მსურს. მუშაობა, რატომ არ მაძლევენ ამის საშუალებას. ძნელია... ძნელი...

(შემოდის გარნაკერიანი).

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მესროპ, გაკვირვებული ვარ და ძალზე აღელვებული. როგორც ჩანს, მღუშების იმ წერილს ვიღაცა ბოროტად იყენებს შენს წინააღმდეგ. არ მიყვარს, როდესაც საქმეს ზელოვნურად ბერავენ, აზვიადებენ.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — საქმეს არ გაბერავენდენ, რომ სიმართლე გეთქვა იმ დაწყვეტილი ლობიოს შესახებ.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მესროპ, მე შენთვის ასეთი თანხმობა არ მომიცია. შენ ვერ გაგიგია ჩემი ნათქვამი. მე როგორ შემეძლო ასეთი თანხმობის მოცემა. მაგის უფლება მე არა მაქვს, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ შენს წინააღმდეგ საქმე აღძრან სასამართლოში. მე სულით და გულით აღშფოთებული ვარ. შენ არ იცი, თუ როგორ მიყვარხარ და რა რიგ გაფასებ. ეჰ, ადამიანს ხომ არ შეუძლია ყველას გადაუხსნას გული და ყველაფერი უთხრას. შენ ის არ იცი, სხდომის შემდეგ რამდენი ვეჩხუბე შენ გამო ანტონ მინაიჩს. კარსეციანი ჩვენი

მურწობის სიამაყეა-მეტეი, ვარწმუნებდი მას. შენ იქნებ გგონია, რომ შენზე ნაწყენი ვარ, ჩემი დისერტაცია რომ გააკრიტიკე? არასოდეს. მე პირადი კრიტიკებს ყურადღებას არ ვაქცევ. მართალია, შენ ჩემი დისერტაცია დიდწილად არასწორად შეაფასე, მაგრამ პატიოსანი ადამიანი ყოველთვის შეძლებს გამოასწოროს თავის შეცდომა. არა, არა, მე ნებას არავის მივცემ, რომ საქმე სასამართლომდე მივიდეს. პროკურორი დილანიანი ზოგჯერ უკიდურესობაში ვარდება ხოლმე. ერთიც ვნაზოთ, ოცი წელი მოითხოვა. იმან რა იცის მეცნიერის ფასი? შენ განცხადებით მიმართე ანტონ მინაიჩს, გულწრფელად აღიარე და მიიღე ყველა შენი შეცდომა. მე კი მოვახერხებ, რომ სასამართლოში საქმე მოსპონ. მე სხვა გეგმა მაქვს, მესროპ... მე მინდა შენი შრომა — „სომხეთის ყურძნები“ სტალინურ პრემიაზე წარვადგინო. და შიშ პრემიას მიიღებ კიდევ. მაშასადამე, შენ განცხადება მიეცი ანტონიანს. ყველა შეცდომა აღიარე. გესმის?

კარსეციანი — მესმის, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მე ჩემს წიგნს ღირსად არა ვთვლი, რომ ის წარდგენილი იქნეს სტალინურ პრემიაზე. ამის ნებას არ მოგცემთ და საჭიროც არ არის ამაზე ლაპარაკი. მეორეც, მე განცხადებას მიეციმ მურწობაში დაბუღებული ვირთაგვების შესახებ, მაგრამ, არა შენს ანტონიანს, მესამეც, და ყველაზე მთავარი ის არის, რომ შენი დისერტაცია მაინც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, წუნია, წუნი.

გარნაკერიანი — მართლა?..

კარსეციანი — დიახ.

(მოუახლოვდებიან და აღმაცერად უყურებენ ერთმანეთს.)

(ტარდა.)

## მოქმედება მესამე

### სურათი მეოთხე

დიდი სასტუმრო ოთახი. ფანჯრიდან მოჩანს ბაღი, შორს — ქარხნის საკვამურები. მარცხენა კარები ვაღის სხვა ოთახებში, პირდაპირ კარები — გერანდაზე. ოთახი მორთულია ძვირფასი ავეჯით. დღას დღი საწერი მაგიდა, ზედ ტყავის დიდი პორტფელია. კედელზე ჩამოკიდებულია გარნაკერიანისა და მარგოს ვალიდებული სურათები. გარნაკერიანს პიჯამო აცვია და დივანზეა წამოწოლილი. წიგნს კითხულობს; მარგოს ხალათი აცვია. სარკეში იხედება და ომებს იხვევს.

გარნაკერიანი — ოჰ, როგორ მეძინება! ამ უბადრუკ წიგნში ერთი შეცდომაც კი ვერ ვნახე (ტელეფონით რეკავს) გამარჯობა, სენო, მე ვარ. როგორ არის საქმე? ბიჟო, იპოვე შეცდომა თუ არა? ჰო, აი ყოჩაღ. რომელ გვერდზეა? მოიცა, მოიცა (გადაშლის წიგნს). ესეც ასმეათე გვერდი. (კითხულობს თავისთვის). მერე შენ ამას შეცდომად თვლი? ბიჟო, იქნებ შეცდომა არ არის და ხომ მოგვეჭრა თავი. ჰო. მაშ წითელი ფანქრით გავუსვა ხაზი? აჰა, გავუსვი. (გაუსვამს ხაზს).

მარგო — ნშანჩიკ, ეგ ვისი წიგნია?

გარნაკერიანი — კარსეციანის წიგნია — „სომხეთის ყურძნები“.

მარგო — ნშან... თავი გაანებე კარსეციანს. ის სერიოზული მეცნიერია.

გარნაკერიანი — მე მაგ ცოფიან მეცნიერს სათითაოდ დავაძრობ კბილებს. ისე უნდა ავაწითლო წითელი ფანქრით მისი წიგნი, რომ ინსტიტუტში ლექციების კითხვა აეკრძალოს. მე გარნაკერიანი ვარ. ჩემთან ხუმრობა, ხომ იცი, კოტა ძნელი საქმეა...

მარგო — ეგ გადაჭარბებული სიმკაცრე და უპატიოსნობა იქნება კარსე-  
ციანის მიმართ.

(გარნაკერიანი ტელეფონით რეკავს).

გარნაკერიანი — მომეცით — ორი, ორმოცდაშვიდი, ოცი. სედრაკ მიხაილიჩი ხართ? გამარჯობათ. გარნაკერიანი გაწუხებთ. დიახ, დისერტაციის ავტორი. იცით, რაშია საქმე? ჩემი დისერტაცია გთხოვთ ჩამოართვათ კარსე-ციანს. დიახ, სამწუხაროდ, მის საცდელ ნაკვეთზე ისეთი უმსგავსოებანი იქნა აღმოჩენილი, რომ მას ოპონენტობა აღარ შეუძლია. საქმე სასამართლოშია. კარგი იქნება, თუ ჩემს დისერტაციას გადასცემთ საბჭოთა მეურნეობა „პრაზდანი-ნის“ მთავარ აგრონომს კორიუნ ზარიფიანს. ის ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან მოსკოვშივე დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია. დიახ, დიახ უეჭველად. კარსეციანის საქმე კი ძალზე მაწუხებს, მაგრამ არაფრით არ შემიძლია დავეხ-მარო (სდებს ყურმილს).

მარგო — ნშან... რას სჩადიხარ?

გარნაკერიანი — უკეთესია, მალე მოშორდეს აქაურობას... ის არ იქმარა, რომ ბალაბეკი სასამართლოს გადასცა, ახლა ჩემს შესახებაც ცილისმწა-მებლური საჩივარი შეუტანია პირადად ცენტრალური კომიტეტის მდივნის სა-ხელზე.

მარგო — რას ამბობ? შენ იმას უყურე... მერე, რა პასუხი მიიღო ცენ-რალური კომიტეტიდან?

გარნაკერიანი — მისი საჩივარი ზარიფიანმა უნდა შეამოწმოს და მოახსენოს ცენტრალურ კომიტეტს.

მარგო — ჩვენმა კორიუნმა? (იციანის) მაშ, შეგიძლია არხეინად გადა-გორდ-გადმოგორდე შენს დივანზე.

გარნაკერიანი — ვინ იცის!..

მარგო — როგორ, ვანა ეჭვი გეპარება კორიუნის პატიოსნებაში?

გარნაკერიანი — ისე თავჩაქინდრული დადის და მუდამ მიწას დაწყურებს, თითქოს ათასი წლის წინათ რალაც დაეკარგოს და ახლა ეძებდეს.

მარგო — რუზანაა დამნაშავე. ის ტანჯავს მას. შენ მისი ნუ გეშინია. ის ზომ შენი ბავშვობის ამხანაგია, ნამდვილი ამხანაგი.

გარნაკერიანი — არ მიყვარს ლამაზი სიტყვები. ქვეყანა ცხვრის დუმბა, ვისაც კარგი დანა აქვს, ის ბლომად მოითლის და მიირთმევს.

მარგო — ნშანიკ... შე შენ დღეს ველარ გცნობ...

გარნაკერიანი — გეხუმრები, მარგოშა. მოდი აქ, ჩემთან!

(მარგო მიუახლოვდება და ჩამოჯდება სავარძელზე).

მარგო — ნშანიკი...

გარნაკერიანი — რა იყო, მარგო?

მარგო — როდის გახდები მოადგილე?

გარნაკერიანი — მოადგილე? მოადგილეობა რა არის, დიდი არაფე-რია! მარგო. შე მინდა ლექტორი გავხდე, ლექტორი. ერთი-ორი წლის შემდეგ სადოქტორო დისერტაციასაც დავიცავ და შერე ნახავ, რა პერსპექტივები გა-დაიშლება ჩემ წინ.

მარგო — ო, წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორი კარგი იქნება კათედრა-ზე... ყველა სტუდენტ ჭალს შეუყვარდება. არა, შენ ის მითხარი, როდის გახ-დები ანტონიანის მოადგილე?

გარნაკერიანი — ანტონ მინაჩმა მითხრა, „დისერტაციას დაიკავ  
თუ არა, მაშინვე შენს ანკეტას მოსკოვში გადაგზავნიო“.

მარგო — მერე, დისერტაციას, როდის იკავ?

გარნაკერიანი — აქამდე დავიცავდი, რომ მაგ ცოფიან კარსეციანს  
საქმე არ ჩავშალა.

მარგო — ო, ეგ კარსეციანი! ჩვენი კორიუნი! რას ამბობს მინც, წაუ-  
კითხავს დისერტაცია?

გარნაკერიანი — არა, ამბობს ჯერ არ წამიკითხავსო.

მარგო — კორიუნი უთუოდ მოიწონებს.

გარნაკერიანი — ვინ იცის...

მარგო — პატიოსანი კაცი პატიოსან კაცს არასოდეს არ ავენებს. მგელ:  
მგელს შექვამს, ხოლო ბატკანი ბატკანს არაფერს დააკლებს, — ასე ამბობდა  
ხოლმე ცხოვებული მამაჩემი.

(გარნაკერიანი მოხევევა ცოლს).

გარნაკერიანი — მარგო... შენ საღვთო ბატკანივით გულებრყვი-  
ლო ხარ.

მარგო — და ამიტომაც შენს კლანჭებში მოვხვდი.

გარნაკერიანი — მერე, შენ ნანობ, მარგუშა?

მარგო — ნშან.

გარნაკერიანი — რა იყო, მარგო?

მარგო — მინდა ერთი რამ შეგეკითხო.

გარნაკერიანი — შეითხე!

მარგო — რატომ არ მოიწონა კარსეციანმა შენი დისერტაცია?

გარნაკერიანი — შური, შურია დამნაშავე და სხვა არაფერი.

მარგო — შური? მერე ის ხომ დიდი კაცია.

გარნაკერიანი — დიდი კაცის შურიც უფრო დიდია.

მარგო — არა, ნშან. უფრო გულახდილად ამიხსენი, რა მოხდა შენსა და  
კარსეციანს შორის?

გარნაკერიანი — მარგო, შენ ჩემი რატომ არა გჯერა?

მარგო — მე შენი მჯერა და მსურს დაგეხმარო კიდევ, მაგრამ რატომ-  
ღაც არ გინდა შენს საქმეში ჩავერიო. ივლისის ამ სიცხე-პაპანაქებაში ბავშვს  
ზღვაზე არ გავყევი, სახლში დავრჩი, რომ მოგიარო, დისერტაციაზე მუშაობი-  
სათვის შეგიქმნა ყველა პირობა, მაგრამ მე მაგაზე არც ვნაღვლობ. ყოველი  
ქალის ვალია, დაეხმაროს ქმარს. შენ კი შენი დისერტაციაც კი არ წამაკითხე.  
თუმცა სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ცოტა რამეს მინც გავიგებდი (გარნაკე-  
რიანი აწყვეტინებს). ნება მომეცი, დავამთავრო სიტყვა. მე ვიცი, რომ შენ  
ნიჭიერი და პატიოსანი კაცი ხარ, რითაც ვამაყობ. მე შენს ჩრდილქვეშ ვცოცხ-  
ლობ. ამიტომაც მოვალე ვარ. თვალის ჩინივით გაგიფრთხილდე, მზრუნველობა  
არ მოგაკლო... ამ უკანასკნელ ხანს მე ძალზე მოუსვენრად ვგრძნობ თავს. მტან-  
ჯავს და გულს მიღრღნის რაღაც საშინელი წინასწარი გრძნობა. მსურს შე-  
ვიტყო, რა მოხდა შენსა და კარსეციანს შორის.

გარნაკერიანი — დაამთავრე?

მარგო — დიახ.

გარნაკერიანი — ეხ, მარგუშა, მარგუშა! შენთვის მრავალჯერ მი-  
თქვამს, ახლაც მინდა გითხრა და მომისმინე...

(ისმის ვარების კაცუნი. მარგო გაუღებს კარებს. შემოდის ჯულიეტა, მარცხენა თვალი ახვეული აქვს. ხელში რაღაც შეხვეული უჭირავს).

მარცხენა  
მარცხენა  
მარცხენა

ჯულიეტა — ნშან სეირანიჩი, პანბარხატი მოვიტანე.

მარგო — თვალი რატომ აგიხვევია, ჯულიეტა?

ჯულიეტა — (ტირილით) ბალაბეკმა მცემია.

მარგო — რისთვის?

ჯულიეტა — მეუბნება, „სეროქა რატომ მე არა მგავსო, მილალატეო?“ (ხმამალა ტირის).

მარგო — ნშან, რამდენჯერ მოთქვამს, გაადგე-მეთქი ეგ მხეცი ბალაბეკი.

გარნაკერიანი — აბა, რას ამბობ, ის ჩემი მარჯვენა ხელია, ყველაზე სანდო ადამიანი. ნუ ტირი, ჯულიეტა, მე მას ჰკუას ვასწავლი.

ჯულიეტა — თვითონ დასდევს თქვენს ნექტარს, მოდის და მეც ყოველდღე სიცოცხლეს მიმწარებს.

მარგო — დავმარხე ნექტარი, იმის სახელის გაგონებაც კი არ მინდა. ჩვენგან გაიქცა და საცდელ ნაკვეთზე მუშაობს. ჯულიეტა, მოდი, შენ იმუშავე ჩვენთან. ბალაბეკს კი ნშან სეირანიჩი ჰკუაზე მოიყვანს. თანახმა ხარ?

ჯულიეტა — რატომაც არ ვიქნები თანახმა. არ მეყო განა საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე პაპანაქება სიცხეში მუშაობა?

გარნაკერიანი — კარგი, წადი სამზარეულოში.

(ჯულიეტა გადის).

მარგო — ეს რა პანბარხატია?

გარნაკერიანი — რეპატრირებული ქალი ყიდის. ნახე, თუ მოგეწონა, გიყიდი.

მარგო — ვა, რა კარგია, ნშანჩიკ... კარგია, ამას ჩაეცივამ შენი დისერტაციის დაცვის დღეს... თეთრია... ძალიან კარგია... დიდი ხანია ვოცნებობდი თეთრ პანბარხატზე.

(გაშლის ნაჭერს, შოიფარებს და იყვრება სარკეში).

გარნაკერიანი — შეიკერე, მარგოჯან. შენ წითელი, ყვითელი, შავი... ქვეყანაზე რაც კარგი ნაჭრებია ყველა გექნება.

მარგო მოეხვევა გარნაკერიანს).

მარგო — დიახ, ჩაეცივამ... შენ მალე მეცნიერებათა კანდიდატი გახდები. შენი ცოლი რით არის ნაკლები ანტონიანის ცოლზე?

გარნაკერიანი — არაფრით. ჩაიცვი, მარგუშა. გაიხარე, მხიარულად იყავი, მე კი მომეცი საშუალება, ვიფიქრო ხვალინდელ დღეზე.

მარგო — ჩვენი ხვალინდელი დღე დღევანდელ დღეზე უკეთესი იქნება.

გარნაკერიანი — სწორია. მარგუშა (პაუზა), სად არის რუზანა?

მარგო — აივანზეა. (ემახის) რუზანა!

(შემოდის რუზანა, ხელში წიგნი უჭირავს).

გარნაკერიანი — მისმინე, შენ ეი, ორ დათვს შორის გზაბანეულო ნუკრო.

რუზანა — უკეთესია ორ დათვს შუა ვიყო, ვიდრე მგლის სოროში.

გარნაკერიანი — ყოჩალი ხარ, — პასუხი ენაზე გაკრავს. როგორ არის შენი სანუკვარი პამიდორები?

რუზანა — საკონსერვო ქარხანამ მალალი შეფასება მისცა ჩვენს პამიდორს.



გარნაკერიანი

გარნაკერიანი — რას ნიშნავს სიტყვა „ჩვენს“?

რუზანა — დიახ, ის ჩემი და კარსეციანისაა.

გარნაკერიანი — კარსეციანის საქმე პროკურორთანაა პარჩხივას ბრალად ედება მავნებლობა და ხულიგნობა.

მარგო — ხულიგნობა?

გარნაკერიანი — დიახ, მას მუშაობის დროს ბალაბეკისათვის უცემია.

რუზანა — და შენც გჯერა გინევეტიდან გამოგდებულ იმ მელიასი?

გარნაკერიანი — როგორ შემიძლია არ დაეუჯერო, როცა მე თვითონ გამოვვლიჯე გადარეულ დათვს ხელიდან. ყელში წაეჭირა ხელი და აღრჩობდა.

რუზანა — საცოდავი მესრობ ტიგრანიჩ... მე მესმის მისი მდგომარეობა.

გარნაკერიანი — მეც შევდივარ მის მდგომარეობაში, მაგრამ რა ექნა, — შემდგომი ორგანოები მის შეცდომას მავნებლობად თვლიან.

რუზანა — არა, ის მავნებელი არ არის.

გარნაკერიანი — შენი შეხედულების წინააღმდეგნი არიან ანტონიანი, კორიუნი, პროკურორი და შემდგომი ორგანოები. შენც თანამონაწილე ხარ მის დანაშაულში. შენც დაისჯებოდი, რომ გარნაკერიანის ცოლის და არ ყოფილიყავი.

რუზანა — გარნაკერიანის ცოლისდა რომ ვარ, ეგ ისედაც სასჯელია ჩემთვის.

მარგო — რუზან... რას ამბობ, გესმის?

გარნაკერიანი — ქალების ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევ. ასეთია ჩემი ხასიათი. (პაუზა). პირიქით მე ერთი სტატია დავაწერინე, რომელიც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს მოგანიჭებს. სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ ეს ჰიბრიდი მხოლოდდამხოლოდ შენ გეკუთვნის. აბა, წაიკითხე!

(წინიდან ამოიღებს სტატიას და გადასცემს რუზანას. რუზანა თავისთვის კითხულობს).

მარგო — ხედავ, შენი სიძე შენს დაწინაურებაზე ფიქრობს, შენ კი რა მკვახედ უპასუხებ. თავმდაბლობა გაკლია, რუზან? თითქოს ჩემი და არ იყო?

რუზანა — მერე, რა მიზანს ისახავს ეს თუთიყუში. შენ რატომ განსენებს?

გარნაკერიანი — პამიდორის აღნიშნული ჯიში მიღებული იქნა ჩემი მეურნეობის საცდელ ნაკვეთზე ჩემი უშუალო დახმარებით...

რუზანა — ერთი მითხარი, შენ სად ცხოვრობ, საბჭოთა კავშირში, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში?

გარნაკერიანი — რუზან, გირჩევ, აჯობებს, ენას კბილი დააჭირო და თვალები გაახილო. მე ძალიან მეცოდება კარსეციანი, მაგრამ დახმარება ჩემს ძალას აღემატება...

რუზანა — სტყუი, შენ კარგად იცი, რომ ლობიოს მოსაკრეფად მუშახელი არა გყავდა. კარგად იცი ისიც, რომ პამიდორის მოსავალმა სამმაგად დაფარა ლობიოს ზარალი. საცდელ ნაკვეთზე მთავარი პამიდორია. მთავარს გადარჩენისათვის დაიღუპა მეორეხარისხოვანი კულტურა. შენ ეს ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცი და იმის ნაცვლად, რომ დაეხმარო შენს თანამშრომელს, ცდილობ, მიითვისო მისი მეცნიერული შრომა...

გარნაკერიანი — შენ ცილსა მწამებ, ჩემო უძვირფასესო ცოლისდავ, გაიგე, რომ შემდგომი ორგანოები აღმუთმებული არიან კარსეციანის მოქ-

მედებით. ახლა შეუძლებელია მისი დაცვა... იცოდე, რაც უფრო ნაკლებად ახსენებ ან აქებ კარსეციანს, იმდენად უკეთესია მისთვის. თვითონაც ვაჩუქმდეს. სანამ მის გარშემო ამოვარდნილი ქარიშხალი ჩადგებოდეს. შემდეგ მე მას ძხვე დაეპირუნებ საცდელ ნაკვეთზე.

რ უ ზ ა ნ ა — მე არაფერი მჯერა შენი.

მ ა რ გ ო — ნშან... დაიცავი თავი.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ფრთხილად იყავი რუზან. ასეთი ენით შენ შეიძლება დაკარგო საცდელი ნაკვეთი და კორიუნ ზარიფიანიც.

რ უ ზ ა ნ ა — კორიუნ ზარიფიანმა თვითონ დამკარგა მე სამუდამოდ.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ჰო?... ეგეც გასაგებია.

(ისმის ტელეფონის ზარის ხმა. მ ა რ გ ო აიღებს ყურმილს).

მ ა რ გ ო — გისმენთ. დიახ, მე ვარ. გამარჯობათ. ელა რუბენოვნა, დიახ სახლში ვართ. მუდამ მზადა ვართ თქვენთვის. დიდი სიამოვნებით, დიდი სიამოვნებით, ელა რუბენოვნა, თქვენ არასოდეს არ გვივიწყებთ, დიდი მადლობელი ვარ. ძალიან კარგი.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — რა უნდოდა ელა რუბენოვნას?

მ ა რ გ ო — კარგი, შეწყვიტეთ ეს თქვენი კამათი. ელა რუბენოვნა და ანტონ მინაიჩი ოპერაში მიდიან. ჩვენთვისაც უყვიდათ ბილეთები. ნშან, წავიდეთ. ტანსაცმელ გამოვიცვალოთ. (პაუზა). ოხ, ოპერის შესაფერისი კაბაც კი არა მაქვს.

(გარნაკერიანი და მარგო გადიან. რუზანა გაშტერებული შეკურებს მათ. ვაისის ზარის ხმა, რუზანა გააღებს კარებს. შემოდის ზარიფიანი. რუზანა ცივად მიესალმება).

რ უ ზ ა ნ ა — პროკურორი კარსეციანს მავნებლობაში სდებს ბრალს.

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — შემპირდნენ, რომ სასამართლოში საქმეს ჯერჯერობით შეიჩერებენ.

(რუზანას სურს მოეხვიოს კორიუნს).

რ უ ზ ა ნ ა. — კორიუნ... რა კარგი ხარ.

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — ნუთუ? რუზან... (პაუზა) მაგრამ კარსეციანის წინააღმდეგ გაცხოველებული ბრძოლაა გაჩაღებული... მისი წინააღმდეგნი არიან ანტონიანი, გარნაკერიანი, პროკურორი. (პაუზა). ის უკვე იმუქრება. მიმართოს მოსკოვს, თუ აქ კარსეციანის გამართლების ცდებს დაინახავს.

რ უ ზ ა ნ ა — მერე?

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — კარსეციანს მხარს უჭერენ მეურნეობის მუშები, კომუნისტები, უმრავლესობა.

რ უ ზ ა ნ ა — შენ?

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — მე მინდა ერთხელ კიდევ ველაპარაკო გარნაკერიანს.

რ უ ზ ა ნ ა — მერე, დარწმუნებული ხარ, რომ მისგან სიმართლეს გაიგებ?

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — ეშმაკმა დაწყევლოს, ჩემი ბავშვობის ამხანაგია და...

რ უ ზ ა ნ ა — მართლა?

(შემოდის მაქრუპი).

მ ა ქ რ უ ჰ ი — ოჰო?

რ უ ზ ა ნ ა — რა ამბავია, დეიდა მაქრუპი, მოხვედი, რომ ეთაყვანო გაშარჯებულს?

მ ა ქ რ უ ჰ ი — არა, რუზან. მე ნაზი მოღვმის ქალიშვილი როდი ვარ, რომ ადღეს ერთს ვეთაყვანო. ხვალ კი მეორეს.

რ უზანა — მაშ რისთვის მოხველი აქ?..

მაქრუპი — შენ თვითონ რატომ მოსულხარ? შეგროვილხარ. დღე-ღალამ ერთმანეთს ენურჩულებით, აწყობთ გეგმებს, თუ როგორ გაანადგუროთ ის პარტიოსანი კაცი... ერთი მითხარი, რა გინდათ მისგან?

ზარიფიანი — თქვენ ვის შესახებ ლაპარაკობთ?

მაქრუპი — საცდელ ნაკვეთზე მე მასთან სამი წელი ვიმუშავე, შენც ზომ იმუშავე, რუზან? მაშ შენ განა არ იცი, რომ ის უღანაშაულოა, რომ არავითარი ბრალი მას არ მიუძღვის? მაშ რატომ არ იცავ?..

რ უზანა — დეილა მაქრუპი...

მაქრუპი — მაშ როგორ იქნება, თუ ადამიანს ადამიანი გაჭირვებაში არ დაეხმარება? მაშ რა ფასი აქვს ჩვენს კოლექტივს?

ზარიფიანი — აი რაში ყოფილა საქმე...

მაქრუპი — ჩვენ, საბჭოთა მეურნეობის მუშები, დავიცავთ მას. მე თვითონ წავალ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, მოსკოვში წავალ, ყველაფერს ვუამბობ, გავაცნობ, თუ ვინ არის კარსეციანი და ვინ ბრძანდებიან გარნაკერიანი და ბალაბეკი.

რ უზანა — დეილა მაქრუპი, მაინც რისთვის მოხვედი გარნაკერიანთან?

მაქრუპი — მე მასთან კი არა, შენთან მოვედი, რუზანა, თქვენსა ვიყავი, სახლში, დედაშენმა მითხრა, რომ აქა ხარ. მოვედი რომ გადმოგცე... მაგრამ აბა რაღა მეთქმის.

(დაეჭვებულ ფერებს ორთვეს).

ზარიფიანი — მაშ მე არ მენდობით, არა! ამხანაგო ბერბერიანი?

მაქრუპი — როგორ არ გენდობით... სოფელ გინევეტიდან ჩემთან სტუმრად არის მოსული ბრიგადირი ბურასტან შავარშიანი, იგი ახლოს იცნობს. თქვენს საუკეთესო „მებრძოლ მუშა“ ბალაბეკს და მის მიერ ჩადენილ ოიენებს...

ზარიფიანი — თორგომის შესახებ რას იტყვით. ბალაბეკის მასალებს იმანაც ხომ მოაწერა ხელი?

მაქრუპი — თორგომი?.. მას ერთი ჭიქა ლენო ჩააცეხლუ და თავის ჩამოხრჩობის განჩინებდაც კი მოაწერს ხელს...

ზარიფიანი — სამწუხარო ნაწილის გამგე რაღას ამბობს? იმასაც შემოუტანია, მგონი, საჩივარი კარსეციანის წინააღმდეგ, ბრალსა სდებს სახელმწიფოსაფინანსო დისციპლინის დარღვევაში.

მაქრუპი — რაო?

ზარიფიანი — კარსეციანს საცდელი ნაკვეთის საჭიროებისათვის დიდ ფასში შეუძენია სასწორი კერძო ბაზარზე.

რ უზანა — მერე; მაგის შესახებ ჩივის? აბა იმას სასწორის შეძენა როგორ ესამოვნებოდა, როცა პამიდორი ბაზარში აუწონავად მიჰქონდა და ნახევარზე მეტს თავის სასარგებლოდ ჰყიდდა. კარსეციანმა კი თავის სასწორის საშუალებით აღუკვეთა მგ ავანჯას გახსნილი მადა...

ზარიფიანი — ასეა თუ ისე, მას მაინც დაურღვევია საფინანსო დისციპლინა.

მაქრუპი — არ არის მართალი, ამხანაგ კარსეციანს სახელმწიფოსათვის აპიკის ზარალიც კი არ მიუყენებია. მან სასწორი თავისი საკუთარი ფულით შეიძინა. ყველგან დაეზოწმები...

(შემოდის გარნაკერიანი და მარგო სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი. მაქრუპი გადის).



გარნაკერიანი — კორიუნს! ისეთ დროს მოხვედი, როცა ჩვენ თეატრში მიგვეჩქარება.

ზარიფიანი — მე მინდა სერიოზულ საქმეზე მოგელაპარაკო.  
მარგო — იქნებ საჭიროა რომ მართო დაგტოვოთ?..

ზარიფიანი — არა, შენთან და რუზანასთან დასამალი არაფერი მაქვს.

გარნაკერიანი — დასაწყისი საუცხოვოა.

(დაჯდება სავარძელზე. მარგო კი სარკის წინ ჩამოჯდება).

ზარიფიანი — წაგიკითხე შენი დისერტაცია და გავეცანი ლობიოს ისტორიასაც. ესე იგი გავეცანი ორივე შენს შრომას....

გარნაკერიანი — მაგით რისი თქმა ვსურს?

ზარიფიანი — ორივე შრომამ ჩემზე ძძიმე და უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვა.

მარგო — ეგ რაღაც ახალი ამბავია?

ზარიფიანი — შენი დისერტაციის შესახებ სავსებით ვიზიარებ კარსეციანის აზრს.

გარნაკერიანი — გრცხვენოდეს.

ზარიფიანი — რატომ, რისთვის?

მარგო — იმისათვის, რომ ნშანის დისერტაცია ძალზე მოეწონა ცნობილ პროფესორს დადუმთანს. „მარგარიტა არშაკოვანა, — მითხრა მან, — ეს თქვენი გამარჯვებაა“.

ზარიფიანი — მარგო, მერე შენ იცი, პროფესორმა დადუმთანმა რა თქვა? გარნაკერიანებმა სადილად დამპატიეს, მოსვენება აღარ მომცეს და ხათრით მეც ცუდი ველაზაფერი ვერა ვთქვიო და მეც ვაქეო, მაგრამ, როდესაც გაუგია კარსეციანის შეხედულება დისერტაციის შესახებ, თავისი აზრის დაწერაზე უარი უთქვამს.

მარგო — ყეყეჩი, გამოჩერჩეტებული!..

გარნაკერიანი — ორპირი, ფლიდი...

ზარიფიანი — არ გეკამათებით. ახლა ვილაპარაკოთ შენი მეორე საქმის შესახებ.

გარნაკერიანი — შენი პოზიცია ჩემთვის უკვე ნათელია.

ზარიფიანი — შენ კარსეციანის წინააღმდეგ ყალბი ბრალდება შეითხუე იმ მიზეზით, რომ მან დისერტაცია დაგიწუნა.

(პაუზა).

მარგო — ნშან... რატომ არ გინდა თავი გაიმართლო?!

გარნაკერიანი — კარსეციანის საწინააღმდეგოდ მე არაფერი დამიწერია, მაგრამ ახლაც ვიმეორებ, რომ მისი მოქმედება მავნებლობაა.

ზარიფიანი — არა, ტყუილია, მავნებლობას შენ თვით სჩადიხარ.

მარგო — ეს რა სიტყვებია? ეს რა შესძის?

ზარიფიანი — შენ ვსურს მეცნიერთა რიგებს ჩამოაშორო ერთ-ერთი საუკეთესო, ნიჭიერი მეცნიერი, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრივთვის ძვირფასია.

რუზანა — კორიუნს!

გარნაკერიანი — კიდევ გაქვს სხვა ბრალდება?

ზარიფიანი — დიახ, შენ უარყოფ ლობიოს შესახებ კარსეციანისათვის მიცემულ თანხმობას.

გარნაკერიანი — მე თანხმობა არ გამომიცხადებია. მაქრუპი ბერბერიანი ცრუ მოწმეა, ტყუის.

ზარიფიანი — ბერბერიანს შეუძლია იცრუოს. მაგრამ ტყუილს ხომ არ იტყვის მთელი პარტიული კოლექტივი, ყველა კომუნისტი და მუშა იტყვენ კარსეციანს და მრავალი განცხადებაც შემოიტანეს შენ შესახებ. აი ინებე! (ჯიბიდან ამოიღებს ქაღალდებს).

გარნაკერიანი — მასხადაძემ, გამოდის, რომ შენ გადაწყვეტილი გაქვს, დამლუპო მეც, მარგოც და რუზანაც, არა?

ზარიფიანი — მარგოს და რუზანას თავი გაანებე, შენ თავი იმართლე მათ წინაშე, ჩემს წინაშე და პარტიის წინაშე.

მარგო — ნშან, დამნაშავე არ არის, შენ მას ცილს სწამებ.

ზარიფიანი — მარგარიტა... შენ ცხოვრებას მოწყუდი, ჩამოშორდი, ჩაიკეტე ამ ოთხ კედელში და აესა და კარგს ერთმანეთისაგან ველარ არჩეე. შენ ხომ უნივერსიტეტში იურისპრუდენციას სწავლობდი. რაც ისწავლე, ალბათ გაიხსენებ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარნაკერიანს დასჯიან და შენც მაშინ იძულებული გახდები, ნაკლები დრო მოახმარო შენს სამკაულებს.

მარგო — ნშან, ჩვენ იქ გველოდებიან.

გარნაკერიანი — მაშ, შენ გადაწყვეტილი გაქვს თავს დამეხსა, არა?

ზარიფიანი — შენ თავს გესხმიან შენი საქმეები.

შემოღის ბალაბეკი, ხელში ჩაიღო შვარული უპირაკის.

ბალაბეკი — კეთილი საღამო და გამარჯვება ყველას... (პაუზა). მითხარით, სად დაედო ეს ხორცი, მარგარიტა არშაკოვმა?

გარნაკერიანი — ბალაბეკ, სამზარეულოში წაიღე და იქ დამელოდე. (ბალაბეკი გადის).

ზარიფიანი — აი, ეს ბალაბეკი, რომელიც შენს სამზარეულოში თავისუფლად დანაჯარდობს... იცი, ვინ არის?

გარნაკერიანი — ის მეურნეობის ყველაზე საუკეთესო მუშაა.

ზარიფიანი — ის სოფელ გინევეტის კოლმეურნეობიდან გამოგდებულია და პასუხისგებაში მიცემული... ყალთაბანდი და გაიჭვრაა. თუ როგორ დაიძვრინა თავი სასამართლოდან, მე მაგას გამოვარკვევ, და თუ როგორ მოეწყო საბჭოთა მეურნეობაში, ეს ხომ მხოლოდმხოლოდ შენ იცი.

მარგო — ნშან, რამდენჯერ გითხარი, გააგდე-მეთქი ეგ ოხერი.

გარნაკერიანი — ბალაბეკი მე აღეზარდე...

ზარიფიანი — არა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბალაბეკმა შენ; აღეზარდა.

(ისმის ტელეფონის ზარის ხმა. გარნაკერიანი აღებს ყურმილს).

გარნაკერიანი — გისმენთ! მე ვარ, ანტონ მინაიჩ. ახლავე, მოვდივართ. ჩვენთან მოვიდნენ და დაგვაყოვნეს. ჩვენი ამხანაგი ზარიფიანია. იგი ბრალსა მდებს მავნებლობაში. დიახ, არა, არ მეშინია, ან რისა უნდა მეშინოდეს?! (იციანის) გმადლობთ, ძალიან კარგი. მალე მოვალთ.

მარგო — ნშან, დავიგვიანეთ.

გარნაკერიანი — მაშ გადაგიწყვეტია ჩემი შეკმა, არა? მაგრამ ფრთხილად, კბილები არ დაიმტვრიო.

ზარიფიანი — როგორ, მემუქრები კიდეც?

გარნაკერიანი — მაშ, როგორ გგონია? ნებას მოგცემ, რომ შენი საგაჭრო დუქნის მარკის ამღლებსითვის ცოცხლად გადაყლაპო? მე გარნაკერიანი ვარ და შენისთანა მგლები ბევრი ჩამიყლაპავს.

მ არ გო — ნშან... ის ხომ შენი ამხანაგია.

ზ არ ი ფ ი ა ნ ი — მე ერთი რამ კარგად ვიცი, რითაც თავს ვემართლებ. სახელდობრ ის, რომ იმ წლებში, როდესაც შენ ჩამოყალიბდი, მგონი — მე შენგან შორს ვიყავი.

გ არ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მეც ერთი რამ კარგად ვიცი... აბა გაბედე ერთი თავდასხმა და ნახავ სერიუს. ჩვენც ბალახს ხომ არა ვძოვთ? აბა მითხარი, რა ფაქტები გაქვს ხელთ, რომ ასე გაშმაგებით მებრძვი? ჩემი სიტყვიერი თანხმობა? სიცრუეა, არ მიმიცია ასეთი თანხმობა. ცილსა შწამებენ. ფაქტი მე ხელთა მაქვს. აი, საექსპერტო კომისიის დასკვნა. (ჯიბიდან ამოიღებს ქაღალდს). ხედავ? ლობიო რომ არ მოკრიფა შენმა „ნიჭიერმა“ კარსეციანმა, სახელმწიფოს ამით ოცი ათასი მანეთის ზარალი მიაყენა. მერე-და, ვინ გამოამჟღავნა კარსეციანის ეს დანაშაული, მე თუ შენ? შენც პირველ ხანებში მემხრობოდი, ბრალსაც კი მღებდი, ვითომ მას კულში მიეჩანაჩალებდი. შენ გგონია, არ ვიცი, რისთვის გამოიცვალე პოზიცია? შენ გგონია, ზემდგომი ორგანოები ვერ ჩაწვდებიან საქმის შინაარსს?... შენ იმიტომ მესხმი თავს, რომ ჩემმა ცოლისდამ ცოლობაზე უარი გითხრა. დიახ, შენ სთხოვდი ცოლობას რუზანას, ის კი არ დაგთანხმდა.

რ უ ზ ა ნ ა — შენ მე თავი დამანებე. მე არ მითქვამს უარი კორიუნისათვის, პირიქით, მან მითხრა უარი.

(მუზა).

ზ არ ი ფ ი ა ნ ი — რუზან!

რ უ ზ ა ნ ა — დიახ, ეს ასეა.

გ არ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ნათელია... თქვენ ერთმანეთს მფარველობთ. მე კი ასე თქვენსავით ვერ მოვიქცეოდი. ჩემი სახელმწიფოს ინტერესების გამო არ ვაპატიებ დანაშაულს ჩემს ახლობელ ამხანაგსაც კი, მათ შორის, არც სიძეს და არც ცოლისდას. უმაღლესი ორგანოები ყველაფერში გაერკვევიან...

რ უ ზ ა ნ ა — ოჰ... რა საშინელი აღამიანია. შენ დამპირდი, რომ კარსეციანს დააბრუნებდი საცდელ ნაკვეთში, როდესაც მის გარშემო შეგროვილი ღრუბლები გაიფანტებოდა, — ახლა კი სულ სხვანაირად მღერი. თურმე მთავარი შენა ყოფილხარ...

გ არ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — არა, მე არაფერ შუაში ვარ, მთავარია მეტურნეობის მუშები. მე კი მგონია, რომ მუშები მართალნი არიან, მათ სამართლიანად შესტიციათ გული...

რ უ ზ ა ნ ა — შენ ძალიან კარგად იცი, რომ ისინი მართალნი არ არიან. კარსეციანს თავის საცდელი ნაკვეთზე უფლება ჰქონდა ჩეტარებინა ექსპერიმენტები. მას შეეძლო ყოველგვარი ნებართვის გარეშე გაეთქმებინა ლობიოს უსარგებლო ნათესი, მით უმეტეს, რომ ნათესი საცდელ ნაკვეთის ტერიტორიაზე იყო და მას ეკუთვნის.

გ არ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — არა, არ ეკუთვნის.

რ უ ზ ა ნ ა — ეკუთვნის. ეს შენც კარგად იცი, მაგრამ რატომღაც სასამართლოს საქმეებში ეს ნაკვეთი მეტურნეობის მიწის ნაკვეთში შეგიტანია.

გ არ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მოიბოვება რაიმე დოკუმენტი, რომ მიწის ეგ ნაკვეთი ნამდვილად საცდელ ნაკვეთში შედის?

რ უ ზ ა ნ ა — დოკუმენტი შენ უნდა მოგენახა, შენ ვალდებული იყავი, თავის დროზე ეგ ყველაფერი სათანადო აქტით გააფეთქებინა. მაგრამ შენ ეს არ გააკეთე, მაშასადამე, შენ უნდა დაისაჯო და არა კარსეციანი.

გარნაკერიანი — კარგია, გეყოფა ქმრის დაცვა.

მარგო — ნშანი!

რუზანა — უსირცხვილო!

გარნაკერიანი — დიახ, შენ კარსეციანზე გათხოვდი უფრო ადრე, ვინემ ჩვენ ვფიქრობდით. ჩანს მანებლობაც ერთად ჩაგიდენიათ. ამიტომ ერთად უნდა აგოთ პასუხი სასამართლოს წინაშე.

(ისმის ზარის ხმა, მარგო გააღებს კარებს. შემოდის მერუქანი.)

მერუქანი — გამარჯობათ!.. მაპატიეთ... მოსკოვის კომისია მოვიდა საცდელ ნაკვეთზე. სურთ ნახონ კარსეციანის საზამთროები.

(საერთო მღელვარება, ზარიფიანი აღმაცერად უფერებს გარნაკერიანს.)

გარნაკერიანი — შენ წადი და ისინი აქ მოიწვიე ჩვენთან, სახლში.

მერუქანი — ისინი მე მივიპატიე ჩემთან. მაგრამ პროფესორი ბობროვა ამბობს: „სანამ კარსეციანის საზამთროებს ადგილზე არ ენახავ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო“.

ზარიფიანი — აი თურმე რაშია საქმე! მერე რას აკეთებს კარსეციანი, რატომ არ აცნობე?

მერუქანი — კარსეციანს ისევე პროკურორმა გამოუძახა.

(რუზანა შეერთება და გამტერებული შეჭურებს ზარიფიანს. ეს უყანასწელი იჭრულად მხრებს იჩჩავს.)

ზარიფიანი — ჩანს, მათ არავინ არ შეხვდა. ხომ შევრცხვით, თავი მოგვექრა... მერე-და, როგორ მონახეს საცდელი ნაკვეთი?

მერუქანი — ეგ უკვე ამოცანაა. მე უხერხულად ჩავთვალე, მეკითხა, რადგან ბობროვა ძალზე აღელვებულია.

(გაისმის ტელეფონის ზარის ხმა. ყურმილს აიღებს გარნაკერიანი.)

გარნაკერიანი — გისმენთ. გამარჯობათ, გარეგინ ვაჰანიჩ, ო, ძალიან სასიამოვნოა, ძალიან. ზარიფიანი ჩემთან არის. კარგი. ანტონიანი გაფრთხილებულია? ის სადღაც ეშვადებოდა წასასვლელად... ძალიან მიხარია. ამხანაგი ბობროვა... საცდელ ნაკვეთზეა. კარგი. ახლავე ყველას შევატყობინებ. (დასდებს ყურმილს). დღეს მეურნეობის საკითხს იხილავენ. აი იქ გამოარკვევენ. ვინ არის მართალი (სიცილით). წავიდეთ.

მერუქანი — მეცა ვარ დაბარებული?

გარნაკერიანი — არა. რა საჭირო ზარ?

მერუქანი — დაურეკეთ, მეც დამართონ ნება, დავესწრო სხდომას. აუცილებლად მინდა მივიღო მონაწილეობა.

გარნაკერიანი — რატომ არის ეს აუცილებელი?

მერუქანი — მე მსურს იქ აფუხსნა ყველას, თუ რისთვის სურდა მიჩურინსკში ჩემი მივლინება ამხანაგ გარნაკერიანს და რატომ ვთქვი მე ამაზე უარი.

გარნაკერიანი — მაგით ვითომ რისი თქმა გსურს?

მერუქანი — რისი თქმაც მსურს, იქ გაიგებთ.

გარნაკერიანი — აქა თქვი, სულ ერთი არ არის? ჩვენ გვითხარია.

მერუქანი — არა, მე იქ უნდა ვთქვა ყველაფერი.

ზარიფიანი — წავიდეთ, მერუქან. მე ვთხოვ, რომ ნება დაგართონ მონაწილეობა მიიღო სხდომაზე.

ეროვნული  
გინჯიერთა

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — წავიდეთ (იციანის).  
(შემოდის ძალზე აღფრთხილებული კარსეციანი).  
კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — ნუან... თუ შენ ცნობას მომცემ, რომ მიწა, რომელზე-  
დაც ლობიო ეთესა, საცდელ ნაკვეთს ეკუთვნოდა, სასამართლო საქმეს მოს-  
პობს, წინააღმდეგ შემთხვევაში მე დამაპატიმრებენ.

(პაუზა).

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე ასეთ ცნობას ვერ მოგცემ.

მ ა რ გ ო — ნუან, მიეცი ასეთი ცნობა.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — შენ ნუ ერევი ჩვენს საქმეში, მარგო.

მ ა რ გ ო — არა, მე მოთმინება აღარ მყოფნის. მიეცი ცნობა. დარწმუნე-  
ბული ვარ, რომ ეს კანონიერი და სამართლიანი საქმე იქნება. ამით ვიხსნით  
წვენი ოჯახს დაღუპვისაგან... მიეცი-მეთქი ცნობა, გესმის?

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — წავიდეთ.

(რუზანა მიუახლოვდება კარსეციანს და მკლავზე ხელს მოკიდებს).

რ უ ზ ა ნ ა — წავიდეთ!

(ყველანი მიდის. კარსეციანი ერთ ხანს დაბნეული შეპყრობებს მარგოს. შემდეგ  
შიშიმ ნაბიჯებით გაყვება რუზანას. მარგო ჩაფიქრებული გაყურებს მათ. მერე  
მაგიდიდან აიღებს პანხარხატს, ვაშლის სარკის წინ, გაისინჯავს ტანზე, უცებ სწრაფად  
დაკეცავს. შეახვევს ქალაღში და დაუძახებს ჯ უ ლ ი ე ტ ა ს).

მ ა რ გ ო — ჯულიეტა. (შემოდის ჯულიეტა). ეს ნაჭერი დაუბრუნე პატ-  
რონს. მე აღარ მჭირდება. წაუღე.

(ფ ა რ დ ა).

## მოქმედება მეოთხე.

### სურათი მეხუთე

კარსეციანის ბინა. კაბინეტი. წიგნებით სავსე კარადა. კედელზე ჰკიდია შერბინის სურათი — „ჩვენი სამშობლოს დილა“ და სახალხო მხატვარ სარიანის ერთი პეიზაჟი. დიდ საწერ მაგი-  
დაზე აწყვია სქელტანიანი წიგნები, ეურნალები, გაზეთები, თავმოყრული დიდი და პატარა  
პარკები. ფანჯრიდან მოჩანს ერევნის შენობების ხედი, შორს „სტალინის მონუმენტი“, რუ-  
ზანა, საწერ მაგიდაზე დგას და ასწორებს ფანჯარაზე ჩამოკიდებულ ახალ ფარდას.  
კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი ვილიცას ტელეფონით ელაპარაკება.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში, სედ-  
რაკ მიხაილიჩ. მაგ საქმისათვის მე მზად არა ვარ...

რ უ ზ ა ნ ა — მესროპ. ცოტა წყნარად ილაპარაკე.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — არ შემიძლია. წამართმევს მთელ იმ დროს, რომელსაც  
მე ვანდომებ საცდელ ნაკვეთზე მუშაობას-მეთქი... დიახ, საცდელ ნაკვეთზე...

რ უ ზ ა ნ ა — მესროპ, ნუ ყვირი.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — დიახ, ცოლსაც, მამ თქვენ მართალი ბრძანდებით.  
შეუღლებაც გამოცდაა, მე კი ამ გამოცდისათვის სრულიად მოუშაზადებელი  
ვარ (იციანის) დამწყები.

(რუზანა ჩამოდის მაგიდიდან, მოიხსნის წინსაფარს და სავარძელზე გადაადგებს).

რ უ ზ ა ნ ა — მესროპ, რატომ ღრიალებ ასე, მეზობლებს ეგონებათ, რომ  
მეჩხუბები?



კარსეციანი — მართლა, რუზან? (იციან).

რუზანა — ნუ იციან, აივანზე ზენობიანის ცოლმა ხმა ჩვენ უკვე ვჩუბობთ.

კარსეციანი — ქალაქის საბჭოა დამნაშავე, შენობებს ისეთ კედლებს უკეთებენ, ცოლს რომ აკოცო, მეზობელ ოთახში გაიგებენ.

რუზანა — მესრობ...  
 კარსეციანი — მაშ რა. მე ხომ არ შემიძლია, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე რომ არ წაგეჩუბო იმის შიშით, რომ მეზობლები გაიგებენ. გაგონილა განა, რომ მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა არ წაიჩუბოს. ჩვენი არქიტექტორები შენობების გარეგან გაფორმებაზე რომ ბევრს ფიქრობენ, ეს კარგი საქმეა, მაგრამ ცოლ-ქმარს რატომ უსპობენ ჩხუბის ბედნიერი შემთხვევის პირობებს?

რუზანა — და ჩხუბის ირგვლივ მთელი ეს შენი ფილოსოფია იმიტომ გაშალე, რომ გთხოვე, ხმადაბლა გელაპარაკა?

კარსეციანი — მიყვარს ხმაური, რუზან. როდესაც ჩვენთან სტუმრად მოდიან კოლმეურნეები, ეს ჩემთვის ნამდვილი დღესასწაულია. მიყვარს, როდესაც სახლში ბავშვები და ხანში შესული ქალები არიან. მისწერე დედაშენს, ჩამოვიდეს. ხმაური მე ხელს არ მიშლის. ხმაურის დროს უფრო ღრმად ვიძირები შრომში. დაე, ბავშვებმა ჯგუფ-ჯგუფად იტირონ და იცირონ, დაე, მეზობელი ქალები აივანზე ხმამაღლა ეკამათონ დანებონ მლესაეს, ქუჩაში დარბოდნენ სატვირთო ავტომანქანები, დაე, ჩემს ფანჯარასთან, ჩემს გარშემო ისმოდეს ყოველნაირი ხმები. ლამაზი ცხოვრებიდან მომავალი ეს ხმაური მე აღმაფრთოვანებს და ენერჯიას მმატებს... ყოველივე ეს ჩემთვის სიმფონიაა, რომელიც გულსა და სულს ატკბობს.

რუზანა — რა კარგი ხართ! რამდენი სიხარულია თქვენში, მესრობ?

კარსეციანი — ისევ „თქვენ“. რუზან, თქვენ გავიწყდებათ; რომ ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ.

რუზანა — რა ექნა, ვერ შევეჩვიე.

(მოიხვევა ქმარს).

კარსეციანი — მაგრამ ჩემში სევედაც არის, რუზან, რომელიც გულსა მღრღნის და მოსვენებას არ მიაძლევს. გარნაკერიანი... რომ ჩემი თანასოფელია?

რუზანა — მართლა? არ გითქვამს.

კარსეციანი — ან რა საჭირო იყო ამის თქმა... აქ საამაყო არაფერია... მცდარი გზით წავიდა და დაიღუპა კიდეც.

რუზანა — და თან ჩემი საცოდავი დაე წაიყოლა.

კარსეციანი — შენ ხშირად ინახულე მარგო, მარტო ნუ დატოვებ.

რუზანა — ძალზე მოწყენილია. დღეს ბაზრიდან მომავალი ქუჩაში შემხვდა. პირისახე დანაოკებია. არ მოისურვა ჩემთან ლაპარაკი. უცნობივით შემომხვდა და გამშორდა (ცხვირისახოცს მიიტანს თვალებთან).

კარსეციანი — რუზან... შენ დამნაშავე არა ხარ შენი დის წინაშე... ჩვენ მხოლოდ ჩვენი მოვალეობა მოვიხადეთ.

(ისმის კარებზე ზარის ხმა. რუზანა გააღებს კარებს, შემოაქვს კონვერტი, რომელსაც გადასცემს კარსეციანს).

რუზანა — ვიდაც ბიჭმა მოიტანა, გარნაკერიანს გამოუგზავნია.

(კარსეციანი ხსნის კონვერტს და კითხულობს წერილს).

კარსეციანი — „საყვარელო მესრობ და რუზანა. მოგშართავს ორივეს, რადგან დარწმუნებული ვარ, ორივეს თანაბრად გაინტერესებთ: ჩემი და მარგოს ბედ-იღბალი. ანტონიანმა ჩემგან პირი იბრუნა. მარგოსგან განაგრძობს ჩემს დევნას. სურს პარტიიდან გამრიცხოს. დაბეჯითებით ვთხოვ, მესრობ, ამაცლინო ამ უბედურებას. ხელმძღვანელი ორგანოები შენ პატივს გცემენ. დაარწმუნე ადამიანები, რომ მე ჩემს შეცდომას გამოვასწორებ, თუ ამჯერად მამატიებენ და მოსკოვში გამგზავნიან სასწავლებლად. შენ მართალს ამბობდი, რომ მე ცოდნის მარაგი არა მაქვს. ათასჯერ ბოდიშს ვიზღი შენს წინააღმდეგ ჩადენილი შეცდომებისათვის. მე გზა-კვალი ამიზნია ბალაბეკმა. თქვენი უბედური გარნაკერიანი“.

(მუზა).

რუზანა — „თქვენი უბედური გარნაკერიანი“... შენ გჯერა მისი მოხანების?

კარსეციანი — უნდა გამოვცადოთ. მას ცხოვრება დაეგრა და ყველაფერი აერ-დაერია. თუ ახლა ის გადაჩა და თავის მდგომარეობა გამოასწორა, ეფიქრობ, ძველ ამბებს აღარ გაიმეორებს.

რუზანა — შენ როგორ გგონია, პარტიაში დატოვებენ?

კარსეციანი — ის მართლაც რომ დააბნია იმ გინევეტელმა ავაზაკმა.

რუზანა — შენ დიდი ოპტიმისტი ხარ. მე მისი მიანიც არა მჯერა.

კარსეციანი — ძვირფასო, ის ხომ ადამიანია, დიახ. ადამიანი.

რუზანა — მაგრამ ხომ სურდა სხვისი დაღუპვა? უფრო ძვირფასი ადამიანისა!..

კარსეციანი — ეგ არ დამტკიცდა. ის სამუშაოდან მოხსნეს არა იმი-სათვის, რომ ცდილობდა ადამიანის დაღუპვას, არამედ სათესლე საზამთროების დაკრეფისათვის და გეგმების ყალბად გადაქარბებით შესრულებისათვის.

რუზანა — მერე ეგ განა ცოტაა?

კარსეციანი — ცოტა როდია. სწორედ ეგ იყო გარნაკერიანის უდიდესი შეცდომა. ის ცხოვრობდა და ხარობდა გუშინდელი დღის წარმატებებით და სრულიად არ ფიქრობდა ზვალინდელ დღეზე.

რუზანა — ფიქრობს, როგორ არ ფიქრობს თავის პირად ცხოვრებაზე, წუნზე უკეთესად ფიქრობს.

კარსეციანი — მაგრამ მას არ აინტერესებს ხალხის მომავალი.

რუზანა — ყოველივე ამის შემდეგ ერთი მითხარი, რაღა დარჩა შენი გარნაკერიანისაგან?

კარსეციანი — დარჩა ადამიანი, რომელიც მცდარად აზროვნებს.

რუზანა — მესრობ, შენ ისეთი ლაპარაკი იცი, რომ ადამიანს გულს გაუხუთქავ. ნუთუ გარნაკერიანი „მცდარად აზროვნებდა“, როდესაც შენ დაგაბრალა, თითქოს ბალაბეკისათვის გეცემოს?

კარსეციანი — იცი, რა? მე მაშინ ისე ვიყავი აღელვებული, რომ შეიძლება ვცადე კიდევ, რომ მეცემა...

რუზანა — მესრობ, რატომ ხარ ასე გამოსტერებული?

კარსეციანი — ვინ არის გამოსტერებული?

რუზანა — იმდენ ხანს იმუშავე საცდელ ნაკვეთზე და ირგვლივ არ მიმოგიხედილა არ გაგიცენია ადამიანები.

ქარსეციანი — მე გართული ვიყავი ჩემი საზამთროვებით და შენი პამილორებით.

რუზანა — აღამიანები კი არ გაინტერესებდა, არა? შენმა ტუტისქვეშა-ვით გადაგყლაპავდნენ, ზარიფიანი რომ არ ყოფილიყო, ვერ გაუშკლავდებოდი შენს გარშემო შექმნილ ინტრიგებს.

ქარსეციანი — მე საამისო დრო არ მქონდა, არ მეხერხება ინტრიგებთან ბრძოლა. — მასალები დაწერე, მასალები უარპყავი, ფაქტები შეაგროვე, მოწმეები გამოიწახე... დრო არ მაქვს, დრო, ეგ საზიზღარი საქმიანობაა. მაგას დრო არა მაქვს. დრო ძვირფასია, დიახ.

რუზანა — ცილისმწამებელთა პარტიებისათვის და დასახმარებლად ხომ მაქვს დრო.

ქარსეციანი — დიახ, იმ აღამიანის დახმარებისათვის, რომელიც თავის შეცდომას შეიგნებს, დროს ვიშოვი და მუდამ გამოვინახავ.

რუზანა — შენ გულუბრყვილო ხარ და მეტი არაფერი.

ქარსეციანი — შენ კი მკაცრი ხარ.

რუზანა — ვინ არის მკაცრი?

ქარსეციანი — შენ... აღამიანი ცდილობს გამოასწოროს თავისი ცხოვრება, შენ კი გაიძახი: „არა მჯერა, არა მჯერა, არა მჯერა“.

რუზანა — შენ კი დაუჯერე, დაუჯერე, დაუჯერე და დაჰკარგე პარტიული სიფიზლე!

ქარსეციანი — რა თქვი?

რუზანა — არაფერი.

ქარსეციანი — არა, მაინც? მგონი შენ რაღაც საშინელი რამ თქვი.

რუზანა — რას მიყვირო! ახლა მე შენი მხოლოდ თანამშრომელი კი არა ვარ, არამედ ცოლიცა ვარ.

ქარსეციანი — „არა მჯერა, არა მჯერა, არა მჯერა“...

რუზანა — მეზობლები არ შიშობდნენ. შენ უკვე მეჩხუბები.

ქარსეციანი — ვინ გეჩხუბება?

რუზანა — შენ.

ქარსეციანი — შენ თვითონ ჩხუბობ.

რუზანა — მე ასეთი რა გითხარი განა?

ქარსეციანი — მეც არაფერი არ მოთქვამს ისეთი.

რუზანა — შენ პირველმა აიმაღლე ხმა.

ქარსეციანი — შენ მე გამოშტერებული მიწოდე.

რუზანა — შენ კი მკაცრი მიწოდე.

ქარსეციანი — არა ღირს შენთან კამათი.

რუზანა — არც შენთან...

(დაუბრუნდნენ ერთმანეთისაგან შორიშორს სხდებიან).

ქარსეციანი — რუზან...

რუზანა — ხმას ნუ მცემ!

(დაუბრუნდა).

ქარსეციანი უცებ წამოდგება და მიდის კარებისაკენ).

ქარსეციანი — მე კი გარანაკრიანთან წაველ. მარგო უნდა ვნახო.

რუზანა — მესროპ... მოიცა, მეც მოვდივარ...

ქარსეციანი — მოდიხარ? გმადლობთ.

რუზანა — პიჯაკი ჩაიცვი (მოეხვევა ქმარს).



კარსეციანი — მე დამნაშავე ვარ, მამაბე, ძვირფასო. (ხელზე კრცნის). ძვირფასო, ჩემო ძვირფასო...

რუზანა — მესრობ... დამნაშავე მე ვარ.

კარსეციანი — არა, მე ვარ... ისინი შორს ცხოვრობენ, მოიცა, მანქანას დაეუძახებ.

რუზანა — არა, მესრობ, ქვეითად წავიდეთ. გავესიერნოთ.

(ისმის კარებზე ზარის ხმა, რუზანა აღებს კარებს, შემოდის ბალაბეკი.)

ბალაბეკი — კეთილი საღამო და გამარჯვება, ამხანაგო კარსეციან და თქვენც, ამხანაგო ჰალაბიან.

კარსეციანი — რაშია საქმე?

ბალაბეკი — და აგრეთვე ბოდიშს ვიხდი მე, როგორც შეუგნებელი ადამიანი, შევეცი.

კარსეციანი — მართლა?..

ბალაბეკი — დიახ, ამხანაგო მესრობ ტიგრანიჩ, მე შეცდომაში შემიყვანა იმ წყეულმა გარნაკერიანმა.

კარსეციანი — აი რაში ყოფილა საქმე!

ბალაბეკი — მაგრამ, ვხედავ რა შენს პატიოსან საქციელს, შენგან მაგალითი ავიღე და გამოვსწორდი, აღვიზარდე...

კარსეციანი — ნუთუ? (იციინის).

ბალაბეკი — გარნაკერიანმა ქორი გაავრცელა, ვითომ მე დამეკრიფოს შენი სათესლე საზამთროები.

კარსეციანი — როგორ, შენ თვითონ არ აღიარე, რომ შენ დაკრიფე?

ბალაბეკი — არა, ამხანაგო მესრობ ტიგრანიჩ. ეს ცილისწამება გარნაკერიანმა გაავრცელა. მე მაგის ჩამდენი კაცი ვარ?

რუზანა — ბალაბეკ, ყველამ იცის, რომ შენ დაკრიფე...

ბალაბეკი — ტყუილია, გარნაკერიანმა გაავრცელა.

რუზანა — ბალაბეკ, შენ მეტად თავისებური კაცი ხარ, ფენომენი ხარ, ნამდვილი ფენომენი!..

ბალაბეკი — დიახ. მაგრამ... გარნაკერიანმა არ დამაფასა.

კარსეციანი — ახლა რა გინდა, ბალაბეკ?

ბალაბეკი — (თითქმის ტირილით) ამხანაგო მესრობ ტიგრანიჩ... მე... მომენატრა ჩვენი სოფელი გინევეტი.

კარსეციანი — მოგენატრა?

ბალაბეკი — დიახ, ამხანაგო მესრობ ტიგრანიჩ, მომენატრა.

კარსეციანი — მერე ჩემთან რისთვის მოხვედი?

ბალაბეკი — მოვედი იმისთვის, რომ შენი სამართლიანი მარჯვენით ხელმოწერილი მოწმობა მომცე, რომ...

კარსეციანი — მოწმობა?.. რა მოწმობა?

ბალაბეკი — მოწმობა იმის შესახებ, რომ მე შენს ხელქვეშ აღვიზარდე, გამოვსწორდი მოვინანიე და აგრეთვე...

კარსეციანი — გახდი პატიოსანი, შრომისმოყვარე, სტახანოველი მუშა, არა?

ბალაბეკი — დიახ!

კარსეციანი — ბალაბეკ, ასეთი მოწმობა შეუძლია მოგცეს შენ მხოლოდ გარნაკერიანმა.

ბალაბეკი — არა, იმის მოცემული მოწმობა ჩვენს სოფელში არ გა-

მოდგება. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყრუ სუმიბათა... ესე იგი, ამხანაგი სუმიბათ არზუმანიანი სიყალბეს მაშინვე შენიშნავს და გამოაქვეყნებს. მე მსურს ჩვენს სოფელში დავებრუნდე შენ მიერ მოცემულ პატიოსნობის მოწმობით.

(ისმის კარებზე ზარის ხმა. რუზანა გააღებს კარებს. შემოდის მერუქანი, არტაშესი, ქნარიკი, ხელში უპირაეთ საუკეთესო თაიგულები, მაქრუპის კხელში უპირაეს თაემოკრული დიდი პარკი).

ჯგუფი — გამარჯობათ თქვენი! გაუმარჯოს რუზანა არშაკოვანს... მესრობ ტიგრანიჩს... კეთილი იყოს ჩვენი აქ მოსვლა...

ქარსეციანი — გამარჯობათ, ძვირფასო მეგობრებო, გამარჯობათ.

ქნარიკი — რუზანა არშაკოვანა... რა ვქნა... მრცხვენია.

არტაშესი — ქალო, რა მოგივიდა... ორ სიტყვას ვერ იტყვი? თქვი და მორჩი.

ქნარიკი — არა, არ შემიძლია დავიბნევი...

რუზანა — რაშია საქმე?

მერუქანი — ქნარიკას სურს მოგილოცოთ თქვენ და ამხანაგ ქარსეციანს შეუღლება, ახალი საბჭოთა სოციალისტური ოჯახის შექმნა.

(გადასცემს თაიგულს, დანარჩენებიც აძლევენ თაიგულებს. რუზანა გამოართმევს თაიგულებს და ალაგებს ოთახის სხვადასხვა კუთხეში).

რუზანა — გმადლობთ, მეგობრებო. უზომო მადლობელი ვარ მეც და მესრობ ტიგრანიჩიც ამ ძვირფასი საჩუქრებისათვის.

მაქრუპი — ჩემი საჩუქარი ყველაზე ძვირფასია.

(მაგიდაზე ღებს თავშესნილ პარკს).

ქარსეციანი — ეგ რა არის, მაქრუპი?

მაქრუპი — საზამთროს თესლია.

ქარსეციანი — საზამთროს თესლი? (ხელში აიღებს პარკს და მარცვლებს სინჯავს).

მაქრუპი — ამ გინევეტელმა ეშმაკის ფეხმა (ანიშნებს ბალაბეკზე) სათესლე საზამთროების ნახევარი ჯიბეში იკრა, ნახევარი კი დასასვენებელ საზღს გაუგზავნა. იმ დღესვე გაეფრინდი წალკაძორს, შევაგროვე თესლები და წამოვიღე. შევინახე და ახლა სწორედ ამ საჩუქრით გილოცავთ შეუღლებას.

ქარსეციანი — მადლობელი ვარ, საყვარელო მაქრუპი. შენი საჩუქარი მართლაც რომ ძვირფასია, აბა, დასხედით, გვიამბეთ, რა ხდება ან რა კეთდება მეურნეობაში, როგორ არის თქვენი დირექტორი?

მერუქანი — ზარიდიანმა მოღვაწეობა გზების შეკეთებით დაიწყო. ასუფთაებინებს და ასწორებინებს მეურნეობის ყველა ოღროხოლო გზებს.

ქნარიკი — ზარიდიანსაც თქვენსავეით უყვარს ხეები. ბავშვები შეკრიბა, თვითთულს თითო ხე ჩააბარა „დაიცავი, — ეს შენი ხე იქნებაო, ესეც შენიო“, უთხრა მათ.

არტაშესი — ბუნხალტერს კი მაგრად სწურავს... ეუბნება, „რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მონახე ან გაიგე, სად გაქრა საცდელ ნაკვეთზე მოკრეფილი ღობიო“.

ქარსეციანი — მეგობრებო, დასხედით.

მერუქანი — თქვენ მგონი წასასვლელად ემზადებოდით?

რუზანა — არაფერია. ცოტა მოგვიანებით წაველთ.

(სამებს შესთავაზებს. ყველანი სხდებიან. ბალაბეკი დედას, არ იცის, როგორ მოიქცეს: ხან ჯდება და ხან დგება, ბოლოს კარებთან ახლოს სკამზე ჩამოჯდება).



ა რ ტ ა შ ე ს ი — ბალაბეკ, შენ აქ რას აკეთებ?  
 მ ა ქ რ უ ჰ ი — რისთვის მოსულხარ?  
 ქ ნ ა რ ი კ ი — ალბათ საფანელი შემოაკლდა?... ამ პატივეცემულ ადამიანზე  
 ზისა მერიდება, თორემ... (შიიწვეს ბალაბეკისაკენ).  
 ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ამხანაგო ქნარიკ, ჩემი სეროფას ჯავრს ჩემზე ნუ იყრი.  
 მ ე რ უ ე ა ნ ი — ბალაბეკ!  
 ბ ა ლ ა ბ ე კ ი — მითხარი, რა გნებავს.  
 მ ე რ უ ე ა ნ ი — ეს როგორ მოხდა, რომ ციხეში არა ხარ?  
 კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — ბალაბეკი ციხეში წასვლას თავის სოფელში წასვლას  
 ამჯობინებს. მოსულა და პატიოსნების მოწმობასა მთხოვს.  
 ჯ გ უ ფ ი — პატიოსნობის მოწმობა?  
 (ხანგრძლივი სიცილი. ბ ა ლ ა ბ ე კ ი ღელავს, გაქცევას აპირებს).

(ფ ა რ დ ა).

**მეექვსე სურათი**

აგივე სასტუმრო ოთახი გარნაკერიანების სახლში. გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი ტელეფონით ლაპარაკობს.  
 გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მხოლოდ ხუთი წუთით, ანტონ მინაიჩ... გთხოვთ  
 მიმილოთ მხოლოდ ორი წუთით... როგორ?... როდის გექნებათ დრო?... ანტონ  
 მინაიჩ... ამხანაგო ანტონიან... არ მღებულობს. ტელეფონი დამიკიდა. (დას-  
 დებს ყურმილს).  
 (შემოდის ჯ უ ლ ი ე ტ ა შინამოსამსახურის წინსაფარით).  
 ჯ უ ლ ი ე ტ ა — ნმან სეირანიჩ, ბოტები გამიყვდა. როგორ წავიდე ბა-  
 ზარში?  
 გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ხელს ნუ მიშლი.  
 ჯ უ ლ ი ე ტ ა — მაშ, რა ვქნა!  
 (ჯ უ ლ ი ე ტ ა გაღის. გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი ხელახლად რეკავს ტელეფონით).  
 გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — პროკურატურაა?... ამხანაგო დილანიან... თქვენ  
 ისევ ის უბედური გარნაკერიანი გაწუხებთ. გთხოვთ ხუთი წუთით მიმილოთ...  
 მხოლოდ ორი წუთით კარსეციანის შესახებ მსურს გადმოგცეთ ფრიალ მნიშვნე-  
 ლოვანი ცნობა... მე... ამხანაგო დილანიანო... ამხანაგო...  
 (შემოდის ჯ უ ლ ი ე ტ ა.)  
 ჯ უ ლ ი ე ტ ა — ნმან სეირანიჩ, გთხოვთ ნება დამართო კინოში წავიდე.  
 გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — წადი.  
 ჯ უ ლ ი ე ტ ა — (თავისთვის). ნეტავ რას მიყვირის.  
 (გაღის. გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი ისევ რეკავს ტელეფონით).  
 გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ცენტრალური კომიტეტია? გთხოვთ შემაერთოთ  
 ამხანაგ კარახანიანთან. გამარჯობათ, გარეგინ ვაპანიჩ, თქვენ ისევ დაჩაგრული  
 გარნაკერიანი გაწუხებთ. ჩემს საკითხს იხილავენ. გთხოვთ ხუთი წუთით მიმი-  
 ლოთ... (შემოდის მარგო, მძიმედ სუნთქავს, უხმოდ მიუახლოვდება და დადგება  
 ქმრის გვერდით. ქმარი მას ვერ შენიშნავს).  
 გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე მინდა ავიხსნათ, რომ ზარიფიანს პირადი ინტე-  
 რესები აქვს ჩემთან... როგორ?... მე მას ცილს არა ვწამებ... მე მხოლოდ გთხოვთ,  
 რომ ხუთი წუთით... ერთი წუთით მაინც... მე... ამხანაგო კარახანიან... ალო...



მ ა რ გ ო — (თავისთვის), ოხ...

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ჯალათივით თავზე დამდგომისარ ეფეკტულოდ შენი ოხერა და ვაების შეტრი არაფერი მესმის ამ სახლში, ხელს წყნებაში ვმუშაობ, დრო არა მაქვს.

მ ა რ გ ო — გარნაკერიან, რისთვის მომატყუე?

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე არ მომიტყუებია.

მ ა რ გ ო — რატომ, შენ ნიჭიერი არა ხარ?

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე ნიჭიერი ვარ, მაგრამ ზარიანივით ძირი გამო-  
მითხარა.

მ ა რ გ ო — რატომ, შენ კეთილშობილი არა ხარ?

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — მე კეთილშობილი ვარ, მაგრამ ბალაბეკმა და-  
მაბნია.

მ ა რ გ ო — მაშ ბალაბეკს რატომ არ გააგდებ? ის შეურნეობიდან გამო-  
უგდიათ, შენ მას რატომ მფარველობ? შენ ბალაბეკის გეშინია... შენ მან ჩა-  
გითრია თავის ბინძურ საქმეებში...

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ეგ შენი საქმე როდია, ცხვირს რატომ ჰყოფ მამა-  
კაცთა საქმეებში?! წადი საწოლ ოთახში, მარტო დამტოვე, სამუშაო მაქვს.

მ ა რ გ ო — არა. შენ ახსნა-განმარტება უნდა მომცე, უნდა გამაგებინო,  
რაშია საქმე?

(მუხა).

(გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი თავს ხელებში ჩაიფლავს, მ ა რ გ ო ვაღის, გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი  
ისევ რევავს ტელეფონით).

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — უმაღლესი საბჭოა? გამარჯობა, ასია-ჯან. გარ-  
ნაკერიანი გელაპარაკება. მომენატრე, ჩემო ასია. შენს უფროსს მინდა ველა-  
პარაკო, შეგიძლია შემაერთო? რაიონშია წასული?.. მერე როდის დაბრუნდება,  
აფსუს... როგორ, შენ უკვე იცი? არაფერია, უბრალო ამბავია, ძირი გამომითხა-  
რეს, მაგრამ ნუ გეშინია... მე ისევ ის გარნაკერიანი ვარ და ვიქნები... რა? ჩემი  
სახელი ისევ ძველებურად იქნება... (იციხის).

(შემოდის ბ ა ლ ა ბ ე კ ი).

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — სამეურნეო ნაწილის გამგე დააპატიმრეს.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — რაო?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — თუ რამე გაქვს დასამალი, მალე გადაამალე.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — როგორ გგონია, სამეურნეო ნაწილის გამგე გვი-  
ლაღატებს?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — განა ეგ საკითხავია? მყისვე გვილაღატებს. ლობიოს საქმე  
სათითოდ ჩაუტენჯავს იმ არამზადს.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — როგორ?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — დიახ, მას უთქვამს, რომ საცდელი ნაკვეთის ლობიოს მო-  
სავალი ჩვენ ავიღეთ, კერძო ბაზარზე გავყიდეთ და ფულიც ჩავეჯიბეთო.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ტყუის ის არამზადა! თავის დანაშაულს ჩვენ გვახ-  
ვევს თავზე, ამით უნდა თავი დაიძვრინოს. ხომ ასეა, ბალაბეკ?

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ცხადია, სინამდვილეა.

გ ა რ ნ ა კ ე რ ი ა ნ ი — ახლა წადი ეზოში. შეშა მოუტანიათ. დაკერი და  
სარდაფში დაალაგე. გესმის? წადი.

ბ ა ლ ა ბ ე კ ი — ხო, კარგი... მაგრამ, ჩემო მეგობარო, ჩემი წილი... მალე  
ჩემი წილი მომეცი... მინდა აქაურობას მოვშორდე.

გარნაკერიანი — მე რა შენი მეგობარი ვარ, შე ყაჩაღო, წაღი-მეთქი. ბალაბეკი — იფ, იფ! კარგი საქმეა? როგორ, მე მარტო შენთვის... მფ-ვიპარე? მე განა გასამრჯელო არ მინდა? გიგლიძის

გარნაკერიანი — მოგცემ, ავაზაკო, ფულს მოგცემ, წაღი, შეშა და-პერი. წაღი-მეთქი.

ბალაბეკი — ახლავე, ბატონი ბრძანდები.

(გაღის. გარნაკერიანი შეშინებული აქეთ-იქით იხედება და კარებს ჩაქეტავს. გააღებს საწერი მაგიდის უჯრას, საიდანაც ამოიღებს ოქროული საცე პარკს, შეამოწმებს და გაღის მარჯვენა კარებიდან. ისმის კარებზე ზარის ხმა. შემოდის ძალზე აღელვებული მარგო. უაზროდ მოძრაობს. ზარის ხმა მეორდება. მარგო გააღებს კარებს. შემოდის კარსეციანი და რუზანა.)

კარსეციანი — გამარჯობა, მარგო, სად არის ნშანი?

რუზანა — მარგო, რატომ არ პასუხობ?

(მარგო გაქანება და მოხევევა დას.)

კარსეციანი — დამშვიდდი, მარგო, შეცდომა მუდამ შეიძლება გამოასწოროს აღამიანმა. დიახ, აგერ ნშანიც...

(შემოდის გარნაკერიანი.)

გარნაკერიანი — მესროლ, მერწმუნე, შენს მიმართ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად მე მზად ვიყავი, მაგრამ ზარიფიანმა საშუალება არ მომცა, არ მადროვა. ძირი გამომითხარა და ახლა, ხედავ, ჩემი ადგილიც დაიკავა!

რუზანა — გარნაკერიან, სირცხვილია, ჩვენ სწორედ ახლახან წავიკითხეთ შენი მონანიების ბარათი.

გარნაკერიანი — იმ წერილში ის დავწერე, რასაც ამჟამად ვამბობ. მე ვუჯერებდი ბალაბეკსა და ზარიფიანს... მათ შემიყვანეს შეცდომაში...

კარსეციანი — ზარიფიანს?

გარნაკერიანი — დიახ, ზარიფიანმა მაიძულა, რათა მსვლელობა მიმეცა ბალაბეკის მასალებისათვის, დიახ, ზარიფიანმა...

(ისმის კარებზე რახენი. კარებს რუზანა გააღებს. შემოდის ზარიფიანი, მატირუპი, მერუჟანი, არტაშესი და ქნარაკი.)

ზარიფიანი — მარგო, მივიღე შენი წერილი და მოვედი. გზაში გავიგე, რომ მესროლ ტიგრანიჩი და რუზანა აქ არიან. ეს ამხანაგებიც თან წამოვიყვანე. მსურს შენთან საუბარი ჩვენი კოლექტივის წევრთა თანადასწრებით. შენ მე მომწერე, რომ გარნაკერიანი შემცდარა და ვითომც მე არ მივეცი საშუალება, რომ თავისი შეცდომა გამოესწორებინა. ხომ მართალია?

მარგო — დიახ, მართალია.

ზარიფიანი — მე კი მსურს გითხრა, რომ გარნაკერიანს შეცდომა არ ჩაუღენია. იგი შეგნებულად მოქმედებდა, რათა სახელი გაეტეხა ამხანაგ კარსეციანისათვის გზიდან ჩამოშორების მიზნით.

მარგო — ამხანაგ კარსეციანის წინააღმდეგ ბალაბეკს დაუწერიბ და არა გარნაკერიანს.

ზარიფიანი — არა, გარნაკერიანმა დაწერა.

გარნაკერიანი — ბალაბეკმა დაწერა, ზარიფიან. დამამტკიცებელი საბუთი გინდათ? მასალებშია. ის ხომ მეც მიჩივის.

ზარიფიანი — შენ თვითონ დაწერე, გარნაკერიან. შენ თავს თვითონვე იმიტომ უჩივლე, რომ ამით ექვი გინდოდა გაგეფანტა.

გარნაკერიანი — თქვენ განაგრძობთ ცილისწამებას. კორიუნ ზარიფიან, ბალაბეკი აქ არის.

ზარიფიანი — აქ არის, ის ჯერ არ დაუბატიმრებიათ?

გარნაკერიანი — აქ არის. მას პირისპირ წაუღლები და დავადასტურებინებ კიდევ, რომ მასალები კარსეციანის წინააღმდეგ თვითონ მან დაწერა, ამისთვის შენ მას უწოდებ პატიოსანი, კეთილშობილი მოქალაქე, კარსეციანს კი გაიძვრა. ბალაბეკ, მოდი აქ.

(მეგობის ბალაბეკი).

ბალაბეკი — სალამი და გამარჯვება!

ზარიფიანი — აბა, ერთი მითხარი, როგორ გაბედე და ცილისმწამებლური მასალები შეთხზე ჩვენი პატიოსანი მეცნიერის წინააღმდეგ?

ბალაბეკი — მე?

რუზანა — დიახ, შენ.

ბალაბეკი — აბა რას ამბობთ! მე ერთი შეუგნებელი და უსწავლელი კაცი ვარ. მე, როგორ გაბედავდი რაიმე დამეწერა ამხანაგ კარსეციანის წინააღმდეგ.

ზარიფიანი — მაშ, ორი თვის წინ რატომ ამბობდი, რომ შენი დაწერილია?

ბალაბეკი — ამხანაგო ზარიფიან, მე, როგორც უცოდინარი ადამიანი, დამაშინეს. მეც ავდექი და მთელი ცოდვა ჩემს თავზე ავიღე.

გარნაკერიანი — რას ამბობ, ეგ როგორ?... ბალაბეკ... მაშ ლობიოს შესახებ შენ არ დაწერე?

ბალაბეკი — მე წერა-კითხვა არ ვიცი, ამხანაგო ნშან სეირანიჩი. დილიდან სალამოდის ჩემს სახელსა და გვარს ძლივძლივობით ვაწერ.

გარნაკერიანი — მაშ შენ უარყოფ, შე ავაზაკო, შენა?

ბალაბეკი — ამხანაგო ნშან სეირანიჩი, შენ რა უფლებით შეურაცხყოფ ამ პატიოსანი ხალხის წინაშე. შენ თვითონ დაწერე ყველაფერი... მე მიბრძანე, მაგრამ მე არ დაწერე და შემდეგ შენ თვითონ დაწერე...

გარნაკერიანი — მე დაწერე?... მე დაწერე?..

ბალაბეკი — ჰო, დიახ.

(გარნაკერიანი შექარით მიუახლოვდება ბალაბეკს. ბალაბეკი უკან დაიხრება).

გარნაკერიანი — მაშ მე დაწერე, არა?...

ბალაბეკი — დიახ. შენ დაწერე და ქვეშ ჩემი სახელი და გვარიც შენ თვითონ მოაწერე. ჩემისთანა პატიოსანი, კეთილშობილი და აღზრდილი ამხანაგი გასურდა შენს ბინძურ საქმეებში ჩაგეთრიე.

გარნაკერიანი — ჰო?...

(ბალაბეკი მიუახლოვდება ბუფეტს, საიდანაც გადმოვარდება და დამტყვევებ ბროლის ლამაზი ღარსაყი).

ბალაბეკი — მე დამნაშავე არა ვარ...

გარნაკერიანი — მაგ მოლაღატე და ტარტალა ენას ძირფესვიანად ამოგგლეჯე, გაიგე, პირუტყვო?...

ბალაბეკი — მიშველეთ...

(გარნაკერიანი ბალაბეკს უღმის წაუჭერს ხელს).

გარნაკერიანი — აა, შენ დამნაშავე არა ხარ, ხომ, დამნაშავე არა ხარ...

ბალაბეკი — მიშველეთ... მომკლა.

(კარსეციანი და ზარიფიანი ბალაბეკს გამოგლეჯენ გარნაკერიანს ხელიდან).

მარგო — რუზან... ეს რა ამბები ხდება?

რუზანა — მგელი მგელსა ჭამს... როგორც იტყოდა ხოლმე მამაჩვენა...

კარსიციანი — დამშვიდდი, გარნაკერიან, გონს მოდი. ეს შენი დამკვირვებელი მუშაა...

მერუტიანი — მაგის საშუალებით დევნიდი პატიოსან ადამიანებს, არა?

გარნაკერიანი — ამხანაგებო, დამერწმუნეთ, რომ მასალები მაგ ავაზაკმა დაწერა.

ზარიფიანი — არა, შენი დაწერილია, გარნაკერიან. ერთხელ მიინც იყავი გულწრფელი და პატიოსანი.

ბალაბეკი — შენი ხელნაწერი შენახული მაქვს, ახლავე ვუჩვენებ ჩემს მსაჯულებს. აჰა, გამომართვი, „ტავარიშჩ“ ზარიფიან.

(ჯიბიდან ამოიღებს და ზარიფიანს გადასცემს დავეცილ ქალაღს. ზარიფიანი გამოართმევს და ინტერესით კითხულობს).

ზარიფიანი — აი რაში ყოფილა საქმე!.. მე ამ ხელნაწერის შესახებ არაფერი ვიცოდი. მე მხოლოდ ვგულისხმობდი, რომ მასალები გარნაკერიანის პიერ იყო დაწერილი. ამ დასკვნამდე მიმიყვანა წერილმა, რომელიც ამასწინათ საცდელი ნაკვეთის მუშამ თორგომ წატურიანმა გადმოშტა. (ამოიღებს ჯიბიდან სხვა წერილს და კითხულობს). „მე არ მსურდა ბალაბეკთან ურთიერთობა. გამომიძახა გარნაკერიანმა და მითხრა: „კარსიციანს შინი მოშორება სურს მეურნეობიდან, თუ იმის წინააღმდეგ განცხადებას დაწერ, — მითხრა მან, — მაშინ ვეღარ მოგხსნის, იტყვიან, რომ კრიტიკას ახშობსო“. ეს რომ გვითხრა მე და ჩემს ცოლს შეგვეშინდა და ხელი მოვაწერეთ ბალაბეკის წერილს...

რუზანა — გესმის, მისრობ...

ზარიფიანი — გესმის, მარგო, ჩანს, წერილის ტექსტი გარნაკერიანს თავისი საკუთარი ხელით დაუწერია.

გარნაკერიანი — ეგ ჩემი ხელი არ არის.

მარგო — მომეცი, მე ვიცნობ მის ხელს.

ზარიფიანი — აჰა-და იცანი,

(მარგო გამოართმევს ქალაღს და აღმოფთვებული, დაქიმული ყურადღებით კითხულობს, ყველა მას შესტერის, უცებ სუსტად შეკავლებს და დავეცმა საეარძელზე. რუზანა და ქარია მიეშველებიან).

გარნაკერიანი — ამხანაგებო, ბალაბეკმა მე მომატყუა, შემაცდინა. ბალაბეკმა ჩემი ნღობა ბოროტად გამოიყენა. ბალაბეკმა მე მომიძარა...

არტაშესი — უი! მომიკვდი, ბალაბეკ, აჰა. კოლმეურნეობაში ვოგრა მოიპარე, აჰ, საბჭოთა მეურნეობაში კი დირექტორი.

ზარიფიანი — არა, ამხანაგებო, დირექტორმა სასამართლოს მოპარა სასჯელს გადაარჩინა ბალაბეკი.

მაჭრუპი — ნათქვამია, ქურდის ქურდი ცხონებულიაო.

გარნაკერიანი — მე ქურდი არ ვარ... შენ მაგ სიტყვისათვის პასუხს აგებ.

ზარიფიანი — გესმის, მარგო, გარნაკერიანი ამბობს, „ქურდი არა ვარო“. მე ჩემი საუბარი მასთან დავამთავრე. გაგრძელებას სასამართლოში მოვისმინეთ. ახლა მე შენ გელაპარაკები, უკვე დარწმუნდი თუ არა იმაში, რომ გარნაკერიანი ცილისმწამებელია. მერე რას ნიშნავს ცილისმწამებელი, თუ არა იმავე ქურდს, ამორალიზებულ ავაზაკს, იგი ჰპარავს ადამიანებს ყველაზე სანუკვარს და ყველაზე ძვირფას ქონებას, კეთილ სახელს. იგი ხალხს სტაცებს საუ-

კეთესო მოღვაწეებს ასეთი უსინდისო ცდა მოახდინა ჩვენ ყველას წინაშე შენ-  
მა გარნაკერიანმა. რაშიც შენ დარწმუნდი და ცოტა დარჩა, გულიც გრწავიდიდა-  
რას იზამ, რომ გაიგო, კიდევ რომ მარტო ეს არ არის შენი გარნაკერიანობა,  
შენი საგმიროთ. და მართლაც რატომ არ უნდა იცოდე ყველაფერი? ერთხელ  
რატომ არ შეეკითხე შენს „ნაწილს“, თუ საიდან არის ეს ფუფუნება, საიდან  
არის ეს შენი ძვირფასი ტანსაცმელი, იმ ხელფასით, რომელსაც ის ღებულობს,  
განა შესაძლებელია ასე ხელგაშლილად ცხოვრება? შენ ამის შესახებ ერთხე-  
ლაც არ შეკითხებიხარ შენს ქმარს. შენ ალბათ არც ის იცი თუ რა საშუალებე-  
ბით ააშენა მან ეს სახლი? ჰა, იცი, შეკითხებიხარ?

მ ა რ გ ო — დიახ, ვიცი. მან მითხრა, რომ სესხში ორმოცდაათიათასი მა-  
ნეთი მოიგო.

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — ვთქვით, რომ მართლა მოიგო. მაგრამ ეს სახლი ხომ,  
სულ ცოტა, ორასი ათასი მანეთი მაინც ღირს. ეს ჩვენ უკვე გამოვარკვეით. მე-  
ურნეობის მუშებს თავიანთი გასამრჯელო მიუღიათ სახელმწიფოს საღაროდან,  
და თქვენთვის უმუშევრათ მშენებლობაზე. შენ ამის შესახებ არ იცოდი? ჩვენ  
კი ყველაფერი ვიცით და ამისათვის გარნაკერიანი მიეცემა პასუხისგებაში. შენ  
კი, მარგო, ნუთუ ფიქრობ, რომ ქმრის დანაშაულში წელილი არ მიგიძღვის?  
დიახ, შენ ამ ბოროტმოქმედების ფაქტიური მონაწილე ხარ. მე რომ პროკურორი  
ვყოფილიყავი, შენც მიგცემდი პასუხისგებაში. მაგრამ მე, როგორც ზარბანო,  
რომელიც ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე ახლო გავეცანი თქვენი ოჯახის  
აე-კარგს, ვიტყვოდი, რომ თქვენთვის შეემცირებინათ სასჯელი, ვინაიდან ქმარი  
თქვენ არასოდეს არ გრვედათ თავის საქმეებში. ვიტყვოდი: „თავბრუდახვეული  
იყო თავისი ქმრის ნიჭისა და კეთილშობილების ცრუ რწმენით“. (პაუზა).

მ ა რ გ ო — მოსამართლე თუ შემეკითხა: „თქვენ თავს დამნაშავედ  
სცნობთ?“ მე მაშინვე ეუბასუხებ. „დიახ“.

(გაღი. რ უ ზ ა ნ ა თ ა ნ გაყვება. პაუზა).

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — მე კი დასახმარებლად ვეშაადებოდი.

მ ე რ უ ე ა ნ ი — ვის დასახმარებლად? მესრობ ტიგრანის... თქვენს გულ-  
კეთილობას როგორღაც მისამართი არეგია.

მ ა ქ რ უ შ ი — ბატკანს მგლის განკურნება სურდა.

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — თქვენ იცინით... მაგრამ მეც მსურდა დავხმარებოდი. .  
ეს ხომ ჩემი ბავშვობის ამხანაგია...

(დაღონებული თავს ჩაქინდრავს. შემოდის რ უ ზ ა ნ ა).

რ უ ზ ა ნ ა — კორიუნ... მე მესრობს ყველაფერი ვუამბე... რამდენიმე წლის  
წინ შენ წახვედი... წლებმა განვლეს და ისევ დაბრუნდი, როგორც ნამდილი  
ამხანაგი. შენ პატიოსნად უძღვები შენს საქმეს. ნება მომეცი მაგრად ჩამო-  
გართვა ხელი.

(რ უ ზ ა ნ ა და ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი ხელს ართმევენ ერთმანეთს).

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — კორიუნ... შენ მე მაპატიებ?

ზ ა რ ი ფ ი ა ნ ი — მესრობ ტიგრანის... მომილოცავს შენი გამარჯვება.

კ ა რ ს ე ც ი ა ნ ი — გმადლობთ, კორიუნ. შენ თვალები ამიხილე. დიახ,  
ჩვენ მაგალითს უნდა ვაძღვედეთ ხალხს. უღმობლად ვანადგურებდეთ სარე-  
ველა ბალახს და ამით ვაკეთილშობილებდეთ ადამიანების მოდგმას. ამიტომაც  
ჩვენ კეთილშობილნი ვართ. დიახ, კეთილშობილნი.



## ქ რ ე ვ ა ნ ი



რიერაეზე, როდესაც მუქი ლურჯი ფერი უხვად გადაეფრქვევა ქალაქს და დამე დღეს თანდათანობით ეყრება, თქვენ წინ აღიმართებიან ახალი შენობებია, რომლებიც შედიდურად გარშემორტყმიან ქალაქის გულს — ლენინის სახელობის მოედანს. მოედნის თავში გამოჩნდება ვ. ი. ლენინის დიადი ძეგლი, თითქოს ბელადი ახალი დღის ბედნიერ განთიადს ესალმებოდ.

ლენინის ძეგლის პირდაპირ, კულტურის სახლის ულამაზესი ფასადის წინ უზარმაზარი მადრევენები ჩქედს, წყალი ჰაერში მტვრად იფრქვევა, იჭაურობას სიგრილეს ჰფენს და ისევე ეშვება აუზში.

დილაადრიან ლენინის მოედნიდან აეროდრომისაკენ მიემართება ავტობუსი. ინჟინრები, მეცნიერი მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მუშები და კოლმეურნეები მიფრინავენ მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინგრადში, რიგაში, თბილისში და სხვ. ისინი მიემგზავრებიან არქიტექტურის დარგში ახალი მიღწევების გასაცნობად, ახალი მშენებლობის პროექტების დასამტკიცებლად, სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად; მიემგზავრებიან სადოქტორო დისერტაციების დასაცავად, ასპირანტურაში შესასვლელად, დასასვენებლად, სამკურნალოდ, სამშვიდობო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

გაისმა ქარზნის საყვირის ხმა. იღვიძებს მთელი ქალაქი.

იწყება მოძრაობა ფართო, მოასფალტებულ ქუჩებში. დაქრიან ტრამვაები, ასფალტზე მისრიალებენ ტროლეიბუსები, ავტობუსები, ავტომანქანები...

მჩქეფარე შემოქმედებითს ცხოვრებას ეწევა ერევანი; დღითი დღე მატულობს ქალაქში ახალი მშენებლობანი. ეთდება ახალ-ახალი მოედნები, პროსპექტები, ქუჩები, სკვერები, მუშაობას იწყებენ ახლად აგებული ქარხნები და ფაბრიკები, ტანს იყრიან ვარდისფერი ტუფით აგებული ახალი შენობები. ქალაქი მწვანე სამოსელში ეხვევა.

რევოლუციამდელი ერევანი წარმოადგენდა აღიზით აგებულ პატარა ქობ-მახების ქალაქს ვიწრო და მრუდე, კუჭყიანი ქუჩებით. ქალაქის მთელი სამრეწველო ძლიერება იყო ტყავისა და საპნის რამდენიმე პატარა სახელოსნო და შუსტოვის ლენისა და კონიაკის ქარხანა.

სომხეთში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველი დღიდანვე ერევანი გადაიქცა სომხეთის მძლავრ კულტურულ-ინდუსტრიულ ცენტრად. მართალია, თებულის იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ერევანმა რეკონსტრუქციის გზაზე არა, ერევანი საბჭოთა ხელისუფლების დროს ახლად აშენდა. ერევანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 25.000 მცხოვრები იყო. ახლა იგი თავისი მოსახლეობის ოდენობით და ქალაქის ტერიტორიის ზრდის მიხედვით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დიდი, ლამაზი და კულტურული სოციალისტური ქალაქია.

ერევანი დღით-დღე ფართოვდება, საათობით იზრდება. მას სრულიად ახალი რაიონები ემატება, მისი ქუჩები ახლა ქანაქერის მთის ფერდობისაკენ მიემართებიან, იპყრობენ ნორჟის სიმაღლეებს და არარატის ველზე ეშვებიან.

ქალაქის მშენებელთა გეგმები, მათი წინასწარი გაანგარიშებანი მცდარი აღმოჩნდა. დედაქალაქი სწრაფად იზრდება და ისინი იძულებული გახდნენ გადაესინჯათ გეგმები. პირველად აკადემიკოსმა ალექსანდრე თამანიანი და აპროექტა ერევანი, 1924 წელს, 150 ათასი მცხოვრებისათვის. შემდეგ ქალაქი დაპროექტებული იქნა 400 ათასი მცხოვრებისათვის, მაგრამ ეს ახალი გეგმაც არ შეესაბამებოდა ქალაქის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს და ამიტომ შესაძლევდა დაპროექტეს ქალაქი.

ერევნის ერთ-ერთი მშენებელი ამოვიანის პროსპექტი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნიდან ქანაქერის მთისაკენ მიემართება. იქ ის ლენინის ქუჩას უერთდება. ამოვიანის პროსპექტის მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულან ლურჯი ბაზალტით და ვარდისფერი ტუფით აგებული მრავალსართულიანი ლამაზი შენობები.

ყოველდღე 16 ინსტიტუტის ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი გაცხოველებული კამათით მიემართებიან ამ პროსპექტით ინსტიტუტებისაკენ. აქ მიაბიჯებენ მეცნიერები, ახალგაზრდა პროფესორები, დოქტორები. ამ პროსპექტზეა მოთავსებული სომხეთის მეცნიერებათა აკადემია.

იქ, სადაც ამოვიანის პროსპექტი ერთვის ლენინის მოედანს, ამჟამად დიდი და გაცხოველებული მშენებლობა მიმდინარეობს. გათლილი ქვით უკვე აგებულია კვების მრეწველობის სამინისტროს ახალი შენობა. აგერ, მოედანზე, შადრევანის აუზთან ახლოს დგას ორი მოხუცი. ისინი გასცქერიან მოედანს და აღფრთოვანებული არიან მისი სილამაზით და სიდიადით. მათ პირდაპირ აღმართულია ლენინის ძეგლი, რომელიც მშვენიერ კვარცხლბეკზე დგას, ლურჯი გრანიტის ფართო დაფაზე ოსტატურად გამოკვეთილია წითელი მარმარილოს გამწილი დროშა...

სახალხო პოეტი ავეტიქ ისაკიანი და სახალხო მხატვარი მარტროს სარიანი დიდხანს ათვალიერებენ მთავრობის სახლს, გეგონებთ, პირველად ხედავენ აკადემიკოს ალექსანდრე თამანიანის გამოცდილი მარჯვენის ამ მონუმენტურ ხუროთმოძღვრებას. აბულ-ალა-მაჰარის ავტორმა, ისაკიანმა, რომელმაც კაპიტალისტურ სამყაროში თავისი გზა დაკარგა, დაწყევლა უსამართლო ქვეყანა, ადამიანებს გაექცა და თავის ქარავანთან ერთად უდაბნოს მიაშურა. ახლა მან სომეხ ხალხთან ერთად იპოვა ნამდვილი სამშობლო, გახიზნულმა მოაშურა სამშობლოს, დაბრუნდა თავის ქარავანთან ერთად უდაბნოს მიაშურა. ახლა მან სომეხ ხალხთან ერთად იპოვა ნამდვილი სამშობლო, გახიზნულმა მოაშურა სამშობლოს, დაბრუნდა თავის სომხეთში და აღფრთოვანებული გასცქერის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანს, იმ ადამიანის მოედანს, რომელმაც სომეხი ხალხი იხსნა განადგურებისაგან. იქ, მთავრობის სახლის თავზე, ლაღად ფრიალებს სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო

დროშა. სიხარულს ჰყენს ადამიანის გულს, როდესაც უყურებ ამ დროშას, რომელიც სიმბოლოა იმისა, რომ სომეხმა ხალხმა, საბოლოოდ დაიბრუნა საუკუნოებით დაკარგული სახელმწიფოებრივი უფლებანი, ახლა კი იგი სრულყოფილებიანი წევრია იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეწოდება.

ვარდისფერი, ფაქიზად გათლილი ქვისაგან არის აგებული მთავრობის სახლი. იგი ლამაზი სვეტებით და კოშკებით განუმეორებელ სილამაზეს წარმოადგენს. აქ აკადემიკოს თამანიანს გამოუმტყაფებია მთელი თავისი ძალა და უნარი და ოსტატურად გამოუყენებია სომხური ნაციონალური ხუროთმოძღვრების დიადი სტილი. ერთი წლის წინათ ერევანში იყო ქართველ არქიტექტორთა ჯგუფი, ქართველი სპეციალისტები გაეცნენ ქალაქის არქიტექტურულ გაფორმებას, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსახლეობის გაზრდილი ესთეტიკურ და ყოფა-ცხოვრებით მოთხოვნათა დაკმაყოფილების ამოცანა.

ერევნის არქიტექტურული გაფორმებით განცვიფრებაში მოსულმა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. მ. ნ. ქოჩაკიძემ განაცხადა: „...ჩვენი დელეგაციის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით მშენებლობათა არქიტექტურულმა მთლიანმა ანსამბლურობამ“.

ერევანი საბჭოთა არქიტექტურის მიღწევების დიდი გამოფენაა, სადაც თვითნაირი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინებით ბრწყინავენ ჩვენი ქალაქის არქიტექტორები და მშენებელი მუშები.

დედაქალაქის ახალ ნაგებობათა შორის თავისი არქიტექტურული ღრმა ჩანაფიქრით მაღალი შეფასების ღირსია სტალინური პრემიის ლაურეატის რაფაელ ისრაელიანის პროექტით აგებული ი. ბ. სტალინის მონუმენტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის მარკ გრიგორიანის პროექტით აგებული სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შენობა, ხელოვნების მუშაკთა სახლი, სსრკ არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის სამეფო საფარიანის პროექტით აშენებული სომხეთის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შენობა. სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების შენობები, სსრკ არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის ჰოვიკ მარქარიანის პროექტით აგებული უნივერსალის, სომხეთის ელექტროენერჯის სამმართველოს და კონიაკის ქარხნის შენობები და სხვ.

ამ მშენებლობებში დიდი სიძლიერითაა გამოვლინებული კლასიკური არქიტექტურის მდიდარი გამოცდილების მქონე საბჭოთა სომხეთის არქიტექტურის ხალხური ხასიათი და სული.

1951 წელს საბჭოთა სომხეთში ჩამოსული „იტალია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების დელეგაციის ხელმძღვანელმა სენატორმა ფელიჩე პლატონენმა განაცხადა: „... წარუშლელ და ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე სომხეთის სსრ დედაქალაქი ერევანი. ეს სრულიად ახალი, საკვირველი სისწრაფით მზარდი, ქალაქია. ხარაჩოებზე შემდგარი შენობები შეგიძლიათ დაინახოთ თითქმის ყველა ქუჩაზე. მშვენიერი სამშენებლო მასალა — ართიკის ტუფი ქალაქს საზეიმო და განსაკუთრებულ მხიარულ სახეს აძლევს...“ აკადემიკოსი ალექსანდრე თამანიანი ქალაქის დაგეგმარების დროს წერდა: „...ცდილობდი მომენახა ისეთი ფორმები, რომლებიც შეეხამებოდნენ ჩვენი ქვეყნის კლიმატურ პირობებს, ხალხის ბუნებას და ხასიათს, ამავე დროს, ფართოდ გამოვლინებულყოფილი სომხური ხალხის შემოქმედებითი ნიჭუშები. ამ სამუშაოების

შესრულებისას ვცდილობდი ისეთი ხერხი მომენახა, რომელიც მოგვეყვანა ნაციონალური არქიტექტურის სტილის შერწყმას სოციალისტური შენაარსის არქიტექტურის ფორმებთან. და სწორედ ამ გზითაც წავიდა ქალაქის არქიტექტურა ახალი მშენებლობა და მისი რეკონსტრუქცია“.

• • •

ახლო წარსულში ქალაქის სამხრეთ ნაწილში იყო გაუვალი ქაობი, რომელიც მალარიის გავრცელების ბუდეც წარმოადგენდა. ზაფხულში ამ მიდამოებში გავლაც კი საშიშვლება იყო. სიცხე-პაპანაქება სულს უხუთავდა ადამიანს. პირველ ხუთწლეულში დაიწყო ამ მიდამოების გამოყენება. ქალაქის ეს პირქელში ადგილები მალე ხარაჩოებით დაშმვენდა. აქ აღიმართნენ ფაბრიკა-ქარხნები. მძლავრი კომბინატები და ეს მიდამო ინდუსტრიულ მძლავრ ცენტრად გადაიქცა.

საბჭოთა წყობილების წლებში აგებული და ამუშავებული იქნა 200-მდე ფაბრიკა-ქარხანა, ყველა ფაბრიკა და ქარხანა აგებულია მოწინავე საბჭოთა ტექნიკის უყანასკნელი სიტყვის საფუძველზე. დიდი მასშტაბით განვითარდა ერევანში მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობის წარმოება. ეს დარგები შეიქმნა ერევნის მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად წამყვან დარგებად. შეიქმნა საწარმოო საშუალებათა გამომშვეები ქარხნები. ამან საშუალება მისცა პარალელურად განვითარებულყო აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა.

ერევნის სამხრეთით, სტალინის სახელობის რაიონში, ს. მ. კირკოვის სახელობის სინთეტური კაუჩუკის უზარმაზარი ქარხანაა თავისი უზარმაზარი ღებელებით. აქვე იქნა აგებული ელექტრომანქანათმშენებლობის ქარხანა. დიდი ხანია მუშაობენ და საუკეთესო პროდუქციას უშვებენ ავტომანქანის სალტეების, კაბელის, ელექტრომოწყობილობის, კომპარესორების, ფართო მოხმარების ლითონის საგნების გამომშვეები ქარხნები და მსუბუქი მრეწველობისა და კვების სამინისტროს მრავალი სხვა ქარხანა, ფაბრიკები და კომბინატები, რომლებიც 400-ზე მეტი სახელწოდების პროდუქციას უშვებენ. აქვე ამუშავდა პლასტმასის ქარხანა, რომელიც წლიურად რამდენიმე ათეულმილიონ მანეთის პროდუქციას უშვებს.

იმ ქვეყანაში, სადაც ახლო წარსულში ჩითის წარმოებაც კი არ იყო, ახლა ყოველწლიურად რამდენიმე ათი ათას მეტრ უძვირფასეს ქსოვილებს უშვებს მადლის უზარმაზარი კომბინატი. აქ ქსოვენ ყველაზე ძვირფას ქსოვილებს: ბოსტონს, შვეიცოტს, ინდიგოს, ტრიკოს და სხვ.

მთელი სომხეთის მრეწველობის გამომშვეებული პროდუქციის თითქმის ნახევარზე მეტს იძლევა ერევნის სტალინის სახელობის რაიონი.

ერევანში განვითარდა მრეწველობის ისეთი უდიდესი დარგი, როგორცაა ქიმიური მრეწველობა. მას ამჟამად შეუძლია შეეჯიბროს მსოფლიოში ქიმიური მრეწველობის ცენტრებს და გაუსწროს კიდევ მათ.

შრომის ფერხულში ჩაბმულებს, ჩვენ ხშირად არ გვაგონდება ერევნის წარსული; ამ 33 წლის წინათ მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილ ამ აზიურ დედაქალაქში დღეს ისეთი მანქანები კეთდება და ისეთ ძვირფას საქონელს უშვებს ერევნის ფაბრიკა-ქარხნები, რომ ამგვარი პროდუქციის გამომშვეებაზე ვერ იოცნებებენ ათენში, ბელგრადში, რომში, მადრიდში, ლისაბონში, ანკარაში, თეირანში...

ახლა ჩვენი დედაქალაქის ქარხნები უშვებენ მაღალხარისხიან სინთე-

ტურ კაუჩუკს, ალიუმინს, სუპერფოსფატს, კარბიტ-კალციუმს, ბარიტს, პლასტმასს, ჰიდროტურბინებს, ტრანსფორმატორებს, გენერატორებს და კონტროლერების ნაწილებს. ერევანი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ ქალაქად მსხრინაწარმე იგზავნება არა მარტო სომხეთის და ამიერკავკასიის მოძვე რესპუბლიკებში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც — უკრაინაში, ბელორუსიაში, უზბეკისტანში, ელადივოსტოკამდე აღწევს... საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეში შეხვედებით ერევნის ქარხნების მარკის ნაწარმს.

• • •

ერთ დროს ერევნის ცნობილი ადამიანები იყვნენ: სამი მელიქი, ერთი ბეკი, ერთი მირზა და 13 მღვდელი. ახლა ერევანს სულ სხვა მოსახლეობა ჰყავს. აქ ცხოვრობენ სტალინური პრემიის ლაურეატები, აკადემიკოსები, საბჭოთა კავშირის გმირები და შრომის სოციალისტური გმირები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწენი. ასტრონომები და გეოლოგები, არქიტექტორები და კინორეჟისორები, ქიმიკოსები და ექიმები, წარმოებისა და კულტურის ნოვატორები, მუშები და მოსამსახურეები, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ კომუნისმის მშენებლობის დიად ეპოქაში და ამ მშენებლობის აქტიური მონაწილენი არიან.

სომხეთში სტუმრად ჩამოსულ შევედ მოღვაწეთა დელეგაციის წევრს — ევა პალმირს გაკვირვებით გამოუთქვამს აზრი სომხეთის მეცნიერების, ხელოვნების მუშაეთა და, განსაკუთრებით, ქალების შესახებ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. „ჩვენ განსაკუთრებით გავაცვიფრა მეცნიერ ქალთა რიცხვმა, — უთქვამს მას, — შედეგების მთელ ისტორიაში ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ სამ პროფესორ ქალს“.

დღეს კი, როდესაც გადაშლით გაზეთს ყოველდღე კითხვლობთ განცხადებებს დისერტაციის დაცვის შესახებ. ახალგაზრდა ქალ-ვაენი ღებულობენ ფილოლოგიურ, ისტორიულ, ხელოვნების, ეკონომიკურ, პედაგოგიურ, ტექნიკურ, ფიზიკურ, მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის თუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხს, და სხვ.

უნაასკნელი წლის მანძილზე დაახლოებით 100 კაცს დაუცავს საკანდიდატო დისერტაცია მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

ყოველდღიურად მრავლდება მრეწველობის სტახანოველთა და ნოვატორთა რიცხვი. ისინი ღრმად ეუფლებიან თავიანთ პროფესიას და ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას. მრავალი მათგანი ერთი ხუთწლიანი უკვე წინ წასულა და ახლა უკვე მიიქცევი ხუთწლიდის ანგარიშში მუშაობს. მაგალითად, ელექტროტექნიკური ქარხნის ცნობილი სტახანოველები — სირაზნიკ და ჰრანნიკ ჩობანიანები რამდენიმე ხუთწლიანი წინ წავიდნენ. ისინი უკვე 1975 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ცხოველმყოფლად ჩქეფს ერევანში სამეცნიერო მუშაობა. დიდი მონდომებით და ხალისით მუშაობენ მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანები. ისინი ახალაახალი მეცნიერული მონაპოვარით ამდიდრებენ მშობლიურ მეცნიერებას და ამით ამტკიცებენ დედასამშობლოს ძლიერებას. მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა ეკუთვნის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ვიქტორ ჰამბარცუმიანს ვარსკვლავების წარმოშობის თეორიაზე. მან გააბათილა ბურჟუაზიულ მეცნიერთა მტკიცებანი ვარსკვლავთა წარმოშობის საკითხში და

დაამტკიცა, რომ ყოველთვის იბადებიან ახალი ვარსკვლავები და კვდებიან ძველი ვარსკვლავები. ამ აღმოჩენამ თავდაყირა დააყენა კოსმოგონიური შეხედულებანი და თანამედროვე დიდ მეცნიერს ვიქტორ ჰამბარცუმიანს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა.

1949 წელს ერევნიდან მოსკოვს წავიდა 20 წლის ჯაბუკი სერგეი მერგელიანი, რომელსაც დისერტაცია უნდა დაეცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია. სამეცნიერო საბჭომ მერგელიანის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა და შუამდგომლობა აღძრა უმაღლესი საატესტაციო კომისიის წინაშე, რომ მას მიენიჭოს არა კანდიდატის, არამედ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამრიგად, 20 წლის ახალგაზრდა მეცნიერი ს. მერგელიანი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ყველაზე ახალგაზრდა დოქტორია მთელ მსოფლიოში.

ერევნის შუშის ტურქულს ქარხნის დირექტორი ინჟინერი მარიამ ბაბაჯანიანი ბევრს მუშაობდა იმისათვის, რომ შუშის დნობის უფრო იოლი ხერხისათვის მიეღწია. მრავალი ცდის შემდეგ, რამდენიმე ახალგაზრდა ინჟინერთან ერთად, მან შექმნა აღმოჩენა ელექტროდუმელის საშუალებით შუშის დნობის ახალი წესი — ელექტროდნობა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდა ერევანში და რომელიც დიდი ეკონომიური მნიშვნელობის მოვლენად იქცა. გამომგონებელ მ. ბაბაჯანიანს თავის ამხანაგებთან ერთად მიენიჭა სტალინური პრემია. დედაქალაქის ხელოვნების დაწესებულებებში, ფილარმონიაში, რადიოკომიტეტში, კონსერვატორიაში სშირად შეხვდებით სტალინური პრემიის ლაურეატებს — ახალგაზრდა კომპოზიტორებს ალექსანდრე არუთინიანს და არმო ბაბაჯანიანს. მათი მუსიკალური ნიჭი ახლა იფურჩქნება, მაგრამ ისინი უკვე ცნობილი კომპოზიტორები არიან არა მარტო ჩვენთან, არამედ სომხეთის ფარგლებს გარეთაც. მათ იცნობს ხალხი, იცნობს მათ ნიქს, ცხოველმყოფელი ოპტიმიზმით აღსავსე მათს მუსიკალურ ნაწარმოებს.

სახელმწიფო ოპერაში სშირად გამოდის გოპარ გასპარიანი; იგი სულ ხუთი წელია, რაც დაუბრუნდა სამშობლოს. უცხოეთში დუბჭირ ცხოვრებაში მყოფი, თავისი შესანიშნავი ხმით დალუბვის ყარამდე მისული, ერევანში ჩამოსვლისთანავე დააფასეს, მის ნიქს განვითარების ფართო ასპარეზი გადაეშალა და მომღერალიც მთელი გულით და სულით ჩაება თავისი სამშობლოს ხელოვნების აყვავების საქმეში. გოპარ გასპარიანი ამჟამად ცნობილი მომღერალი ქალია, მას მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს, იგი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტია, სტალინური პრემიის ლაურეატია.

ერევანში მრავალი ახალგაზრდა მეცნიერია. აქ დავასახელებთ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს მ. მანველიანს. არაორგანული ქიმიის დარგში მას დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენა ეკუთვნის. ასეთივე დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენა აქვს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ნ. არუთინიანს მექანიკის დარგში.

მრავალი მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და მრეწველობის ნოვატორთა კადრები, რომლებიც თავიანთი აღმოჩენებით დიდად უწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ძლიერების განმტკიცების საქმეს.

ასეთია ახალი ერევის ახალი მოსახლეობა.

რევოლუციამდელ ერევანში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. 1921 წელს ერევანში დაარსდა ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორი ფაკულტეტით. ეს უნივერსიტეტი თანდათან გადაიქცა საბჭოთა სომხეთის კულტურის აყვავების, შემოქმედებითი აზრის განვითარების ნამდვილ კერად. შემდგომ წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყვინენ როგორც ცალკე ერთეულები პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ინსტიტუტები. მეცნიერების ამ მძლავრ კერაში აღზრდილა და დავაჯკაცებულა ამჟამად ცნობილი ბევრი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ათ ფაკულტეტზე ამჟამად 2500-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მრავალი საუკუნის მანძილზე სომეხი ხალხი ოცნებობდა იმაზე, რომ მეცნიერების ტაძარი ჰქონოდა, მაგრამ ეს ოცნება ყოველთვის განუხორციელებელი რჩებოდა. მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს გახდა შესაძლებელი სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება, აკადემიისა, რომელიც აჯამებს სომეხი ხალხის კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების სხვადასხვა დარგში წარმოებულ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას.

აკადემიის ირგვლივ შემოკრებილია უფროსი და ახალგაზრდა თაობის ძალები. 1935 წელს აკადემიის ფილიალში მუშაობდა 58 მეცნიერი თანამშრომელი, ახლა კი აკადემიაში მუშაობს 715 მეცნიერი, ამათგან 198 მეცნიერების კანდიდატია და 78 დოქტორი.

აკადემიის ინსტიტუტის ასპირანტურაში 100-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. აკადემიას აქვს 35-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სექტორი. ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტები დიდ მუშაობას აწარმოებენ სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის, ლიტერატურის და სომეხი ხალხის ისტორიის შესწავლის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზიკის დარგში ჩატარებული კვლევითი მუშაობა. ერევანში დაარსებული ობსერვატორია მრავალ შესანიშნავ გამოკვლევას აწარმოებს ვარსკვლავთა აღრიცხვის დარგში. ამჟამად ბიურაკანში, სადაც აგებულია მეცნიერებათა აკადემიის ახალი ობსერვატორია, დადგმულია ახალი სისტემის ათდღეშიანი რეფლექტორი, რომელიც ყველაზე დიდია მთელ კავშირში მოქმედ რეფლექტორებთან შედარებით. ამჟამად ამ ობსერვატორიაში დიდი მეცნიერული მუშაობაა გაჩაღებული.

საყოველთაო მუშაობას ეწევა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებს ერევის მახლობლად კარმირბლურზე და ციხე არინში. ამ გათხრებმა ბევრი ახალი ფურცელი შემატეს არა მარტო ურარტუს, არამედ ამიერკავკასიის სხვა ძველი ერების ისტორიასაც.

• • •

ერევანი მდიდარია თავისი მუზეუმებითაც, რომლებიც გვეჩვენებენ სომეხ ხალხის წარსულსა და აწმყოს. მუზეუმების უმეტესი ნაწილი მოთავსებულია კულტურის სახლში.

ისტორიული მუზეუმი თავისი მდიდარი და ძვირფასი ექსპონატებით გვაცნობს, თუ განვითარების როგორი გზები გაუვლია სომხურ კულტურას და როგორ მოუღწევია მას ჩვენამდე.

ლიტერატურის მუზეუმში თავმოყრილია მდიდარი მასალები ახალი სომხური ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. აქ ინახება საიათნოვას, ხაჩატურ აბოვიანის, რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლის მიქაელ ნალბანდიანის, რაფის, გაბრიელ სუნდუკიანის, აკოფ აკოფიანის, ოვანეს თუმანიანის, შირვანზადეს, ვაჰან ტერიანის, აკოფ პარონიანის, და სხვების ლიტერატურულ ნაწარმოებთა ხელნაწერები, წერილები და მასალები.

მდიდარი და საინტერესოა საუცხოო სომეხი ლირიკოსის, საქართველოში ბოგდანოვიკის რაიონში, სოფელ განძაში დაბადებული ვაჰან ტერიანის არქივი. პოეტის ხელნაწერებთან ერთად არქივში მოთავსებულია მისივე თარგმანები შოთა რუსთაველის უკვდავი პოემიდან — „ვეფხისტყაოსნიდან“, თარგმანები ჰაინედიან, ჟალტიდან, გ. სუნდუკიანის ცნობილი პიესის „პეპოს“ რუსული თარგმანი მ. გორკის შესწორებებით, ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციის“ წიგნის თარგმანის დედანი და სხვ.

ერევნის მატენადარანი (ხელნაწერთსაცავი) ძველთაძველი სომხური კულტურის საგანძურია. ის საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში უქველესი მატენადარანია. აქ ამჟამად ინახება ათი ათასი სომხური ხელნაწერი (მთელ მსოფლიოში დაცულია სულ 27 ათასი სომხური ხელნაწერი). აქვეა დაცული 500-ზე მეტი არაბული, ბერძნული, ლათინური, სპარსული, ქართული, აისორული, უზბეკური ხელნაწერი. მატენადარანში აგრეთვე მოიპოვება 500 ათასი საარქივო დოკუმენტი.

მატენადარანში ინახება ძველი სომხური ხელნაწერები, შესრულებული არა მარტო ძველ სომხეთში და მის ტერიტორიაზე, არამედ რუსეთში, ყირიმში, ბესარაბიაში, ირანში, თურქეთში, სირიაში, პალესტინაში, ერაყში, ეგვიპტეში, იტალიაში, პოლონეთში და ფილიპინის კუნძულებზედაც კი. ყველაზე ძველი ხელნაწერია პერგამენტზე დაწერილი სახარება (887 წ.). მატენადარანში მოიპოვება აგრეთვე მეხუთე საუკუნეში დაწერილი ხელნაწერები. ქალაქზე შესრულებული ყველაზე ძველი ხელნაწერია (927 წ.) ისტორიულ-ფილოსოფიური მასალების კრებული, რომელიც უძველესია მთელ საბჭოთა კავშირში და ევროპაში. მატენადარანში საინტერესო სიძველეს წარმოადგენს მუშში პერგამენტზე დაწერილი სიტყვა, რომელიც უდიდესი წიგნია (იქონის 36 კილოგრამს). ეს უზარმაზარი წიგნი შედგება 607 პერგამენტის ფურცლისაგან. იგი მრავალჯერ გაუტაცია მტერს, მაგრამ ხალხი თან გაჰყოლია მას და ისევ უკან დაუბრუნებია. 1918 წელს სომეხმა ლტოლვილებმა თურქებს ხელიდან გამოსტაცეს ამ წიგნის ნახევარი და თან წამოიღეს ერევანში. მეორე ნახევარი მიწაში დაუმარხავთ, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში. შემდეგ ერთ რუს ჯარისკაცის სცოდნით, სად იყო დამარხული, ამოუღია მიწიდან და მოუტანია ერევანში. დიდი მოგზაურობის შემდეგ ეს წიგნი დღეს მთლიანი სახითაა შემონახული.

მატენადარანის ყველაზე პატარა წიგნია ხელნაწერი ასანთის ყუთის ზომი-



სა (იწონის 19 გრამს). ეს წიგნი დაწერილია პერგამენტზე 1443 წელს თეოდოსიაში.

წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე სომეხებს წარსულში ბევრი მსჯელობა-სომხეთში 30-ზე მეტი პატარა და დიდი სკოლა ყოფილა დაარსებული წიგნის კულტურის განვითარებისათვის. წიგნს წმინდა საგნად თვლიდნენ და ამიტომაც სომეხი ხალხი ყოველთვის ცდილობდა მტრისაგან დაეცვა იგი. ამით უნდა აიხსნას სომხურ ხელნაწერთა ასეთი დიდი ფონდის არსებობა.

მატენადარანში მოიპოვება მდიდარი მასალა საქართველოს ისტორიის, მისი კულტურის და ეკონომიკის შესახებ. აქ ინახება გვიანშირის „საქართველოს ისტორიის“ თარგმანი, რომელიც შესრულებულია მე-13 საუკუნეში. თავმოყრილია პერგამენტზე დაწერილი 50 ქართული ხელნაწერი IX — XIV საუკუნეებისა. მატენადარანში ინახება რამდენიმე ასეული ქართული დოკუმენტი, რომლებიც ძვირფას და მდიდარ მასალას იძლევა XVII — XVIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მატენადარანშია, აგრეთვე, X — XIII საუკუნეების მასალები, რომლებიც ეხება სომეხი და ქართველი ხალხების ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობას. აქვე დატყობილია ქართულიდან სომხურად თარგმნილი სააქიმო წიგნი, რომელიც დაწერილია უცნობი ქართველი ავტორის მიერ XVII საუკუნეში. მატენადარანში თავმოყრილი მასალები შექსა ჰენენ ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნეობრივ მეგობრობას, მათს მკვიდრო კავშირს ლიტერატურისა და კულტურის დარგში.

მატენადარანი ნაყოფიერ მოუპოვებს იწივს ამირკავკასიის ხალხთა ისტორიული მეგობრობის პოპულარიზაციის საქმეში. სომხეთის რუსეთთან შეერთების 125 წლის თავის აღსანიშნავად მატენადარანმა ამ უკანასკნელად მოაწყო სამეცნიერო სესია. სესიის მონაწილეებმა სხვა მოხსენებებთან ერთად მოისმინეს საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგის პროფ. ილ. აბულაძის მოხსენება: „ახალი ლიტერატურული ძეგლები და სომეხთა და ქართველთა ურთიერთობა წარსულში“. პროფ. ილ. აბულაძემ მოხსენება სომხურად წაიკითხა და დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელებში. ამავე სესიაზე პროფ. გ. სევაკმა წაიკითხა მოხსენება სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი ლექსიკონის შესახებ.

მატენადარანის ძვირფასი მასალებით სარგებლობენ არა მარტო სომეხი მეცნიერები, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა მეცნიერებიც.

ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ანრი ბარბიუსმა 1927 წელს დაათვალიერა მატენადარანი და მნახველთა წიგნში შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „მე ბედნიერად ვთვლი თაქს, რომ მშვენიერი ხელნაწერების ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ გამომდიდრდა გონება“.

განთქმული ჩინელი პოეტი მთა დუნი 1946 წლის დამლევს დაწერილებით გაეცნო მატენადარანის მასალებს და წიგნში ჩაწერა: „ბედნიერები ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა, გვენახა დიდი ღირსების მქონე ხელნაწერები, რომლებიც ადასტურებენ სომხეთის ძველ კულტურას... ასეთი ძველი ხელნაწერები ჩინეთში იშვიათია“.

აკადემიკოსმა ტარლემ კი წიგნში შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „სომხეთის მატენადარანმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. რა მშვენიერი და

სასიხარულოა, რომ თანამედროვე სომეხი თაობა ასე სიყვარულით და მზრუნველობით ეკიდება თავის დიად წარსულს...“

ახლა სტალინის პროსპექტის ბოლოს, მთის კალთაზე, ბაზალტისაგან შენდება მატენადარანის ახალი მონუმენტური შენობა. შენობას 130 მეტრი ხეივანი ექნება და სტალინის სახელობის პროსპექტს შეუერთდება კიბეებით. შენობაში ზამთარ-ზაფხულ დაცული იქნება ნორმალური ტემპერატურა, რომ ხელნაწერები არ დაზიანდეს. შენობა დამთავრდება 1955 წელს. მას ექნება გამოფენისა და სასესიო დარბაზები, მეცნიერთა კაბინეტები და სხვა მოწყობილობა. შენობის გაფორმების დროს ფართოდ იქნება გამოყენებული სომხური კლასიკური არქიტექტურის საუკეთესო ტრადიციები. მატენადარანის შესასვლელთან კიბეებზე დადგმული იქნება შეიდი ძველი სომეხი მოღვაწის და მეცნიერის ძეგლები. ამაზე დაიხარჯება 4 მილიონი მანეთი. მთლიანად შენობა დაჯდება 50 მილიონ მანეთზე მეტი.

ასეთია ახალი ერევანი, რომელიც ქოხებიდან გადაიქცა მშვენიერ და ლამაზ სოციალისტურ დიდ ქალაქად.

## ს. პაპაპიანი

### სომხური საბჭოთა ლიტერატურა ომისუამდგომ პერიოდში



მდიდარი და ნაყოფიერია სომხური საბჭოთა ლიტერატურის მიერ განვლილი გზა.

მე-19 საუკუნის ახალი სომხური ლიტერატურა უმთავრესად ვითარდებოდა დიდი რუსული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ცხოველყოფილი ზეგავლენით, და ამასთანავე რეალისტური, ხალხური ხელოვნების ნიშნით. დაწყებული დიდი სომეხი განმანათლებლით ხაჩატურ აბოვიანით, რევოლუციონერ-დემოკრატით მ. ნალბანდიანით და გათავებული ოვ. თუმანიანით, ალ. შირვანზადით, ავ. ისაკიანით, ვ. ტერიანით, ყოველი დიდი სომეხი მწერალი იმყოფებოდა პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის პოეზიის გავლენის ქვეშ, ხელმძღვანელობდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკით, მაქსიმ გორკის მიერ შექმნილი ტრადიციებით და ითვისებდა რუსული კულტურის მოწინავე იდეებს. ასევე სომხური საბჭოთა ლიტერატურა მჭიდროდ დაუკავშირდა ახალ, რევოლუციურ სინამდვილეს და გადაიტყა საბჭოთა კულტურის ერთ-ერთ მოწინავე რგოლად. დაეყრდნო რა მრავალსაუკუნო სომხური ლიტერატურის საუკეთესო რეალისტურ ტრადიციებს, აითვისა რა რუსული კულტურის მიღწევები, დაამყარა რა ურთიერთკავშირი მეზობელ ხალხთა ლიტერატურასთან, სომხურმა საბჭოთა პროზამ, პოეზიამ და დრამატურგიამ თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს.

მოყოლებული აკობ აკობიანის შრომისა და ბრძოლის სიმღერებიდან, რომლებშიც სამხრეველი ჩაუყარა სომხურ საბჭოთა ლიტერატურას, ჩვენმა მწერლობამ გაიარა მხატვრული განვითარებისა და იდეური მომწიფების ნაყოფიერი გზა, ემსახურა ახლად დაბადებულ სომეხ ხალხს სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე, დიდი სამამულო ომის წლებში, წარმატებით ემსახურა მის დღევანდელ ცხოვრებას.

#### 1

დიდი სამამულო ომის დღეებში სომეხმა მწერლებმა მახვილითა და კალმით გარკვეული წვლილი შეიტანეს საშრობლოს დაცვის საქმეში. სომხური პოეზიის დიდმა ოსტატმა ავეტოქ ისაკიანმა, უფროსი თაობის მწერლებმა: დ. დემირკიანმა, სტ. ზორიანმა, მ. არაზიმ, უფრო ახალგაზრდა მწერლებმა ნ. ზარიანმა, გ. სარიანმა, ჰმ. სირასმა, ჰრ. ქოჩარმა, სარმენმა, პ. შირაზმა, გ. ბორიანმა, თ. ჰურიანმა და სხვებმა გამამხნეველები შემოქმედებითი სიტყვით მოუწოდეს ხალხს საგმირო საქმისაკენ, ჩაუქრობლად შეინახეს საბჭოთა პატრიოტიზმის მაცოცხლებელი ცეცხლი.

მაგრამ ომის დასასრულს მდგომარეობა რამდენიმედ შეიცვალა. — ლიტერატურაში წამოიჭრა საბჭოთა ხალხის კომუნისტურად აღზრდის საკითხების თვალსაზრისით უცხო და მანკიერი ტრადიციები.

მწერლების ერთი ნაწილი გაიტაცა ცალმხრივობამ, ისტორიულმა თემატიკამ და ისტორიის გმირებმა. ამ გატაცებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ თანამედროვეობის გმირების მხატვრულმა გამოვლინებამ ნაკლები ადგილი დაიკარა ლიტერატურაში.

ისტორიულ თემატიკაზე აგებულ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით პოეზიაში, იგრძნობოდა ძველი ცხოვრების ნაშთების ხოტბა, შესამჩნევი იყო აგრეთვე წარსულის, ძველი ფორმების, განსაკუთრებით ფოლკლორულ თქმულებათა მექანიკურად გამოყენების ფაქტები.

ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ს. ა. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებათა გაშუქებით სომხურმა საბჭოთა ლიტერატურულმა საზოგადოებამ განვლილი წლების მანძილზე დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა უიდეობის, ფორმალიზმის, ისტორიული წარსულის გაიდევლების ცდების გამოაშკარავებისათვის. ამ მანკიერი ტრადიციების აღმოფხვრით ჯანსაღი პირობები შეიქმნა სომხური საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობისათვის, მალახარისხოვან ნაწარმოებთა შექმნისათვის.

ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა საბჭოთა სომხურმა პროზამ და პოეზიამ.

სომხური საბჭოთა პროზის ზრდისა და იდეურად გამდიდრების დამადასტურებელ მოვლენათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თემატიკის საგრძნობლად გაფართოება.

პროზაიკოსები უფრო დიდი მასშტაბით შეეხნენ ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის საკითხებს. მწერლობაში გამოჩნდნენ ახალი გმირები ახალი იდეური და ფსიქოლოგიური შტრიხებით.

გამოიცა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობის ასახველი ნაწარმოებები.

სომიქმა პროზაიკოსებმა თემებად ამოირჩიეს აგრეთვე სომეხი ხალხის ახლო წარსულის ისტორიულ-რევოლუციური აზმები და გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრება.

ახალ სომხურ პროზას მკიდრო კავშირი აქვს როგორც წინა ეტაპის, ისე რუსული ბრწყინვალე პროზის რეალისტურ ტრადიციებთან; იგი ვითარდება მისი ქუშუალო ზეგავლენით.

მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ პერიოდში წინა პლანზე იქნა წამოწეული საბჭოთა აღამიანების მშვიდობიანი, შემოქმედებითი მუშაობის ასახვა, მაინც საგრძნობი ხედრითი წონა შეინარჩუნა დიდი სამამულო ომის თემატიკამ.

თუ ომის პირველ დღეებში სომხური საბჭოთა პროზა ამ თემას ასახავდა პატარა ტილოებით, ნარკვევებითა და მოთხრობებით, იფარგლებოდა ბრძოლის ცალკეული ეპიზოდების აღწერით, ამჟამად იწერება უფრო ფართო ხასიათის რომანები. რომლებიც ასახვენ ბრძოლაში გამოვლილ გზებს, ცხადპყოფენ სომეხი ხალხის გმირულ, აქტიურ მონაწილეობას დიდ სამამულო ომში.

ამ თემაზე დაწერილი საუკეთესო ნაწარმოებია პრ. ქოჩარის რომანი „დიდი ოჯახის შვილები“, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა. ამ ნაწარმოებში ავტორი მოგვითხრობს დივიზიის ჩამოყალიბებაზე, მის განვლილ გზა-

ზე, სტალინგრადის ცნობილ ეპოპეამდე, რომელიც უკვე შემდეგში შეიცავს რომანის მეორე ტომის შინაარსს.

ჰრ. ქოჩარის რომანში ყველა მოქმედი პირა თანაბარი მხატვრული სივრცით არ არის მოხაზული, მაგრამ გამოკვეთილია მრავალი ცოცხალი და მტკიცე ხასიათის სახე.

ქოჩარი თავის რომანში მხატვრულად გადმოგვიშლის ჩვენი გმირების ცხოვრების ისტორიას, გვიჩვენებს გზებს, რომლებითაც შეიძლება ადამიანმა მიიღწიოს გმირობას. ქოჩარმა ამ რომანით შექმნა ომის გმირული ატმოსფეროს სურათი, დაგვანახვა ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა. ეს ნაწარმოები უთუოდ სომხური პროზის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

დიდი სამამულო ომის შესახებ დაწერილ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის აგრეთვე ჰმ. სირასის რომანი „მამა და შვილი“, რომელიც ასევე გამოხატავს ხალხთა მეგობრობის იდეას.

რომანის ავტორი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს იმას, რომ საბჭოთა ადამიანები უძლეველნი და ძლიერნი არიან, რადგან მათ მუდამ ამოძრავებდა და ამოძრავებს ხალხთა მეგობრობის იდეა.

თავისი ლიტერატურული ბიოგრაფია ვრცელი ტილოთი — რომანით და იწყო დიდი სამამულო ომის მონაწილემ სერო ზანზადიანმა, რომლის რომანი „ჩვენი პოლკის ადამიანები“ მიძღვნილია ბლოკადაში მყოფი ლენინგრადისადმი, ლენინგრადის სამხედრო ერთეულებისა და პარტიზანელთა რაზმების მოქმედებებისადმი. ახალგაზრდა ავტორმა დაგვანახვა ლენინგრადის დამცველ სხვადასხვა ხალხის შვილთა მეგობრობა, რაც ნაწარმოების ძირითად თემას წარმოადგენს.

სამამულო ომის ამებთან დაკავშირებულ პროზაულ ნაწარმოებებს საგრძნობი ნაკლოვანებებიც გააჩნია. ჰმ. სირასის „არარატს“ და ჰრ. თაფალციანის „ომს“, მიუხედავად ცალკეული მხატვრული ადგილებისა, არ გააჩნიათ თემის შესაფერისი მხატვრული ღირსება.

დღეს მწერლების ყურადღება მიიპყრეს ცხოვრებაში ღრმად ფესვ-გადგმულმა და მასიურად გაერთილებულმა ისეთმა მოვლენებმა, როგორც არის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ნოვატორობა და შემოქმედებითი გამბედაობა, ბრძოლა უმრავლესობისა და ტექნიკური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი.

საბჭოთა ადამიანების დღევანდელი სულიერი სამყარო, უწინარეს ყოვლისა, მელანდებდა თავიანთი შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებაში, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე წმიდა მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

სომხური საბჭოთა ლიტერატურის განვითარების წინა საფეხურებზე ქარზნისა და მალაროს მშრომელთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები თითქმის არ მოგვეპოვება. ამჟამად შეიქმნა საკმაო რაოდენობის რომანები და მოთხრობები (ბ. სტაფი — „ცოტუნება“, მ. დავთიანი — „ჩვენს ქალაქში“, ნორა-იჩი „სინათლეები“ და სხვა) რომლებშიც სამწუხაროდ საგრძნობლად სუსტი ადგილები გვხვდება. აქ არ არის მოცემული მაგარი ნებისყოფის, გამკრიანი გონების მოწინავე მუშების, ინჟინრების, ნოვატორების სახეები, რომლებიც ორგანულად ათავსებენ ერთმანეთში შემოქმედებასა და საზოგადოებრივ აქტიობას. შეგხენ რა მრავალგვარ საკითხს და პრობლემას, მუშათა კლასის ცხოვრების

ამსახველი ეს პროზაიკოსები უმეცარნი აღმოჩნდნენ პრობლემების ძირითადი შინაარსის გაგებაში და თავი ვერ დააღწიეს სქემატიზმსა და ტექნიციზმს.

საკოლმეურნეო სოფლის სინამდვილის ამსახველი ნაწარმოებები ყველაფერს განსხვავდებიან სამრეწველო დარგში მომუშავე ადამიანებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთაგან.

სოფლის თემატიკამ პირველი ადგილი დაიკავა პროზაში. თუ წინათ სოფელი წარმოდგენილი იყო სოციალური უთანასწორობისაგან, ადამიანთა შემოკლებული ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლების პროცესში, ამჟამად ლიტერატურის მასალად იქცნენ სოციალისტურად ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ მომწიფებული, გამოზრდილი, ახალი ცხოვრებით აღზარდილი გმირები. დაიბეჭდა და ცალკე წიგნებად გამოვიდა ს. პაიხატიის, ვ. ანანიანის, მ. დავითიანის, ზ. დარაიანის, პ. მკრტიანიანის, ბ. სეირანიანის, სტ. კურტიკიანის, გ. არევიანის და სხვა მწერლების რომანები და მოთხრობები, რომლებიც ეხებიან მრავალფეროვან საკითხებს. ახალგაზრდა პროზაიკოსი ქალის ა. სეკოიანის „ოქროს ვაზებში“ მოცემულია სოფლის ინტელიგენციის მოღვაწეობა.

დასრულდა ნაირი ზარბაზნის დიდი რეალისტური რომანი „ჰაცავანი“. მარათალი, „ჰაცავანი“ უფრო ადრინდელ ამბებს ეხება, მაგრამ ის თავისა ძირითადი იდეურა მიზანდასახულებით, გმირების განვითარების პერსპექტივებით მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს დღეებს, ეხმაურება თანამედროვე საკითხებს.

„ჰაცავანი“ სომხურ ლიტერატურაში პირველი ღირსშესანიშნავი რომანია, აგებული საკოლმეურნეო მშენებლობის თემაზე.

პრობლემების მრავალფეროვნებით, ცხოვრების მოვლენათა გადმოცემის სიღრმით და ზღ.ღ.ღ.მზატერულობით ეს რომანი საგრძნობლად განსხვავდება სომხურ საბჭოთა ლიტერატურაში არსებულ საკოლმეურნეო თემაზე დაწერილ სხვა ნაწარმოებთაგან. ავტორი მხატვრული ოსტატობით, ტიპური სახეების სამუქალეობით მოგვითხრობს კოლმეურნეობათა წარმოშობის, სომხურ სოფელში ახალი სოციალისტური ურთიერთობის, ცხოვრების ახალი ფორმების დამყარებისათვის ბრძოლის შესახებ. „ჰაცავანში“ ცხოვრების წინსვლის პროცესები გამოხატულია ძველისა და ახლის გამწვავებული ბრძოლის სამუქალეობით. ასე, მაგალითად, ავტორი თავმჯდომარეს ბრალს სდებს ყოფაცხოვრებითს ამბებში, ამ დახლართულ ბადეში ხევის, აგრეთვე, უჯრედის მდივანს ვართან ღაზარბაზნს და ამხვეილებს კონფლიქტს ვართანსა და ღამბარბაზნს შორის.

ჰაცავანის კოლმეურნეობის პოლიტიკურად და ეკონომიურად განმტკიცებისათვის ბრძოლის სიძნელები აიხსნება იმითაც, რომ მრავალ გლახს ჯერ კიდევ არა სჯეროდა საკოლმეურნეო წყობისა. ერთი ნაწილი გლახობისა მთლიანად კულაკობის გავლენის ქვეშ იყო, ხოლო ერთი ნაწილსაც ჯერ კიდევ კარგად და მთელი სიღრმით არ ჰქონდა შეგნებული ის ახალი ურთიერთობა, რომელიც დამყარდა კოლმეურნეობაში კერძო და კოლექტიურ საქუთრებათა შორის.

რომანში გლახობის კონსერვატორული ტენდენციების, საუკუნეობით ძვალბილში გამჯდარი ჩვევების და კერძო მესაკუთრეობის ელემენტების დაძლევის პროცესი დიდი მხატვრული სიმართლით არის მოცემული.

ჰაცავანის ბოლშევიკები დიდ საქმეს აკეთებენ წვრილი მიწათმოქმედების სულისკვეთებისა და ფსიქოლოგიის გასაჯანსაღებლად.

აღწერს რა სომხური სოფლის 30-ანი წლების ყოველდღიურ ცხოვრებას, ავტორი საზოგადოებრივი და ყოფა-ცხოვრებითი პრობლემების ფონზე იძლევა

დადებითი გმირების ძლიერ სახეებს, მძაფრ, დიდ ხასიათებს და ყოველივე ეს გადმოშლილია ისტორიულ კონკრეტულ ვითარებაში.

მასალითა და თემატიკით სულ სხვა სინამდვილეს გვხვავს ნიქიტური მწერალი მკრტიმ არმენი, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს გამოაქვეყნა ლირიკული შთაგონებით დაწერილი რომანი „იასვა“. ავტორი აქ აგვიწერს ლრალის ცხოვრებას.

ავტორმა დაგვანახა, რომ ჩრდილოეთის ამ მკაცრ ადგილებშიც ომიანობის წლებში ცხოვრება და შემოქმედება წყაროსავით ჩქეფდა, ადამიანები დიდი სულიერი სიმბნევითა და გამძლეობით იტანდნენ ომის სიძნელეებს.

ომის შემდგომი პერიოდის სომხურ პროზაში სიახლეს წარმოადგენენ საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ საზღვარგარეთის ქვეყნების, განსაკუთრებით ირანისა და მახლობელი აღმოსავლეთის დემოკრატიული ძალების ბრძოლის ასახველი ნაწარმოებები.

მწერლები ოვანეს ლუკასიანი და აბიგ ავაგიანი აშიშვლებენ ამერიკელ-კოლონიზატორთა მოღვაწეობას ირანში, გვიჩვენებენ ამერიკელი ყოფა-ცხოვრების გამბრწყინელ ზეგავლენას ირანის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში, გვიხატავენ ხალხის ეროვნული უფლებების ფეხქვეშ გათელვას.

ამ ნაწარმოებთა ძირითადი ნაკლი ის არის, რომ მათში მკრთალადაა მოხაზული ირანის დემოკრატიული ძალების სურათი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნიქიტური პროზაიკოსის გ. სევეუნცის რომანი „თეირანი“, რომლის ორი ტომი ერთად გამოვიდა და მიიპყრო მკითხველთა ფართო მასების ყურადღება.

„თეირანი“ თავისი ხასიათით სოციალურ-პოლიტიკური რომანია. ის აგვიწერს ირანის საზოგადოებრივი ცხოვრების მომენტებს. რზა შაჰ-ფეჰლევის სისხლიანი მფლობელობის დროს, მეორე მსოფლიო ომის წინაღობებიდან დაწყებული სამი სახელმწიფოს თეირანის კონფერენციამდე.

ავტორი ოსტატურად ააშკარავებს და ცხადყოფს პოლიტიკურ მიმართულებათა კლასობრივ რაობას და მათი განვითარების ტენდენციებს.

რომანის მთავარი გმირია მოწინავე მეცნიერი, რევოლუციონერი შამს აზადი. მიუხედავად იმ მკაცრი დევნისა, რომელიც მიმართულია აზადის წინააღმდეგ, იგი მაინც ახერხებს თავის ირგვლივ შემოიკრიბოს ხალხის განთავისუფლების საქმისათვის თავგანწირული, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კეთილშობილი ადამიანები.

აზადი ხდება რევოლუციური მუშაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მეთაური. იგი ფართო ქსელს აბამს ირანის სხვადასხვა მახრასა და რაიონში. რომანის მრავალი ეპიზოდი გვიჩვენებს, თუ როგორ ჯგუფდებიან, როგორ ირანელებიან რევოლუციური ძალები, როგორ აშიშვლებენ საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან ბრძოლაში ჩაბმული ადამიანები ირანული მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას.

დიდ ღირსებასთან ერთად „თეირანს“ გააჩნია საგრძნობი ნაკლოვანებებიც. რომანში საკმაო საღებავებით არ არის აღწერილი და ნაჩვენები რელიგიური ურჯულება და ფანატიზმის გამოვლინებანი ისეთ ქვეყანაში, როგორც ირანია. ფსიქოლოგიური სიღრმით არ არის მოცემული სულიერი პროცესები იმ ადამიანების, რომლებიც უერთდებიან რევოლუციონერთა ბანაკს.

წელს გამოვიდა ახალგაზრდა პროზაიკოსის სტეფან ალაჯაჯიანის გრძელი მოთხრობა „უდაბნოში“, რომელიც სომხური პროზის თვალსაჩინო შენამენია.

მოთხოვნაში ასახულია ის დღეები, როცა ომის მძიმე პერიოდში „მოკავშირეებმა“ მეორე ფრონტის გახსნის ნაცვლად თაღლითურად გადასცეს მტერს ტობრუკის ციხე-სიმაგრე, დაქსაქსულობა შეიტანეს იმ ჯარისკაცთა ირგვლივ, რომელთათვის გაუფებარი დარჩა ღალატის აზრი.

ახალი სომხური პროზის სურათს თემატიკურად აესებენ ის ვრცელი ტილოები, რომლებიც გადმოგვცემენ შორეული ისტორიული წარსულის საგმირო ამბებს, სომეხი ხალხის ცნობილ რევოლუციონერ მოღვაწეთა ცხოვრებას.

მხატვრული სიძლიერით გამოირჩევა სომხური პროზის დიდი ოსტატის დ. დემირჩიანის „ვართანანქი“ (ვართანანი), რომელიც დაწერილია სამამულო ომის დღეებში და რომელმაც სიძირკველი ჩაუყარა საბჭოთა ისტორიული რომანის ეანრს სომხურ ლიტერატურაში. ამ უკანასკნელ წლებში გამოვიდა ამ რომანის ახალი, გადამუშავებული ვარიანტი.

ავტორის იდეური ჩანაფიჭრი იყო არა მექანიკური პარალელების გატარება ჩვენს დღეებსა და შორეულ წარსულს შორის, არამედ ჩვენი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების პოზიციიდან სომეხი ხალხის ისტორიული წარსულის პატრიოტული ტენდენციების გამოვლინება.

რომანს გააჩნია თვალსაჩინო ნაკლიც. ავტორი აფეტიშებდა ხალხის რელიგიურ მსოფლმხედველობას, გადაჭარბებით აფასებდა მე-5 საუკუნეში სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში თავგანწირვის ფაქტორს.

დერენიკ დემირჩიანის რომანი „ვართანანქი“ სწორად გადმოგვცემს ვართანანთ ომის ისტორიულ შინაარსს და ვასაკების ორიენტაციის პოლიტიკურ-სოციალური მოტივების შინაარსს: ამ რომანით დემირჩიანი წარმოგიდგა როგორც ნიჭიერი ხელოვანი, რომელმაც შექმნა წარსულის ჭეშმარიტი მხატვრული სურათი, აგვიწერა ხალხთა მასების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

რომანის ენას აქა-იქ დაჰკრავს არქაიზმის ელფერი და ეტყობა გრამატიკის (ძველი საეკლესიო სომხური) სტილის ტენდენცია.

სომეხი ხალხის წიაღიდან გამოსულ ცნობილ რევოლუციონერ მებრძოლთა შესახებ დაიწერა რამდენიმე წიგნი.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბ. სტაფის „სტეფან შაუმიანი“ და მ. კორიუნის „კამო“.

მართალია, ამ ნაწარმოებებს აქვთ ღირსებები, მაგრამ ისინი სრულად და მხატვრული სიღრმით ვერ ასახავენ კომუნისტური პარტიის ამ თვალსაჩინო მოღვაწეთა ცხოვრებას.

დიდი სომეხი რევოლუციონერ-დემოკრატის, გასული საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე რუსი ადამიანების იდეური თანამებრძოლის მ. ნალბანდიანის ცხოვრების მხატვრული აღწერის ცდა მოცემულია ა. არაქსიანის რომანში „გზა კამიშინისაკენ“.

რომანის პირველ ნაწილში კარგად არის ნაჩვენები ნალბანდიანის ხალხოსნობა და დემოკრატიზმი, მაგრამ მთლიანად რომანი მაინც ვერ იძლევა ნალბანდიანის სახეს.

შევხვით სომხურ საბავშვო მწერლობას.

უკანასკნელი წლების სომხური საბავშვო ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებია ვ. ანანიანის „სევანის ნაბიზი“, რომელიც ითარგმნა მრავალ ენაზე. გამოიყენა რა საბჭოთა სათავგადასავლო რომანის მდიდარი ტრადიციები, ავტორმა საუცხოო ენით დაახასიათა ერთ-ერთი სომხური სოფლის ჰაბუჯი ნატუ-



რალისტების ერთი ჯგუფის ექსპედიციები, მათი მამაცობა, ინიციატივა და სხვა. კარგადაა გამოძერწილი ახალგაზრდობის — კამოს, გრიგორის, არმენის, ქას-მიკის სახეები, ნაჩვენებია მათი ექსპედიციების რომანტიკა, სიმწველეთა და ძლიერის პროცესები.

საყურადღებოა სტეფან ზორიანის მოთხრობა „სარაშენის ბიჭები“. იგი მშვენიერი ამსახველია სოფლის ახალგაზრდობის ბრძოლისა და ცხოვრების სურათებისა.

თუ ომისწინამდგომ პერიოდში ნარკვევმა დაიმკვიდრა განსაკუთრებული ტრადიცია, სამაგიეროდ, შედარებით ნაკლები რაოდენობით დაიწერა მოთხრობები. დაიწერა მონადირეობის ამსახველი ნაწარმოებებიც. ამ ჟანრის გამოცდილება წარმომადგენელმა ვ. ანანიანმა წარმატებები მოიპოვა საკავშირო მასშტაბით.

თითქმის სულ არ დაწერილა იუმორისტული ხასიათის თხზულებები.

ომისწინამდგომ პერიოდში სომხურ პროზაში ჩვენ ვხედავთ მწერლების გაბედულ ცდებს — ფართოდ აგვიწერონ ახალის ბრძოლა ძველის წინააღმდეგ, დადებითი გმირის ორიგინალური სახე.

სომეხ პროზაიკოსებს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მართებთ ამ მიმართულებით, რათა შეიქმნეს ეპოქის შესაფერისი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი.

სომხური საბჭოთა პროზის წინაშე დასმული საკითხების შესრულების პირველი პირობაა ოსტატობის ამაღლება. ოსტატობისათვის წარმოებული ბრძოლა — ბრძოლაა მხატვრული ტექნიკებისათვის, ჩვენი სინამდვილის ღრმად გამოვლინებისათვის, ლიტერატურის ზემთავონებითი ძალისათვის.

სომხური საბჭოთა პოეზიას, ისევე როგორც პროზას, თვალსაჩინო მიღწევები მოეპოვება. დაიწერა მრავალი პოემა, ბალადა, გალექსილი ნარკვევი, ლირიკული ლექსი, იგავ-არაკი და სხვ.

პოემები დაწერეს ცნობილმა პოეტებმა ნაირი ზარიანმა, გელამ სარიანმა, ოვანეს შირაზმა, აღაენიმ და ახალგაზრდა პოეტებმა ვ. დავითიანმა, პ. სევაკმა, გ. ემინმა. ეპიკური ჟანრის ეს ტენდენცია სავესებით ბუნებრივი და გამართლებულია. ჩვენი პოეზია ეხმაურება თანამედროვე ცხოვრების დიდ საკითხებს, გამოხატავს საბჭოთა ეპოქის ისტორიულ შინაარსს. პოემის გამოცოცხლების ეს ტენდენცია გამომდინარეობს საზოგადო ცხოვრების მიერ დასმული საკითხების სიდიადისაგან. როგორც ძველი ლიტერატურის, ისე თანამედროვე ლიტერატურის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოეზიაში ცხოვრება უფრო ღრმად და მრავალფეროვნად შეიძლება აისახოს სწორედ ეპიკურ ჟანრში.

მართალია, პოეტები თანამედროვე რეალისტური პოემის შექმნის გზაზე წააწყდნენ შემოქმედებით სიძნელეებს, მაგრამ ამ პოემებმა გამოავლინეს მთელი რიგი საინტერესო მხარეები და განვითარების მდიდარი საშუალებანი.

პოემების უმრავლესობა მიძღვნილია სოფლის სინამდვილის აღწერისადმი. ჯერჯერობით ყურადღების გარეშე რჩება სომეხი მუშისა და ინტელიგენციის თემა.

აღაენის „ჩუგლუგიანი საქო“ პირველი პოემაა, რომელიც ასახავს სამამულო ომში გამარჯვებული ჯარისკაცის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პროცესს.

ამის შემდეგ, თითქმის ერთსადაიმავე დროს გამოვიდა ნ. ზარიანის „არმენუში“ და გ. სარიანის „მშვენიერი თაობა“.

საინტერესოა ცნობილი ლირიკოსი პოეტის გელამ სარიანის პოემა „მშვე-

ნიერი თაობა“ თემატიკურად და მხატვრული დამუშავებით. ნ. ზარიანისა და გ. სარიანის პოემები ეხებიან სოფლისათვის დამახასიათებელ ტესტთა მოვლენებს, როგორცაა სოფლის ინტელიგენციის მზარდი როლი ჩვენი სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ორივე პოემა მხატვრული მთლიანობის მხრივ ვერ აკმაყოფილებს ლიტერატურის წინაშე დასმულ მაღალ მოთხოვნილებებს. არც ერთ მათგანს არ გააჩნია მწვევე, მთლიანი და ბუნებრივი კონფლიქტი, რომელსაც შეეძლო შეგავლენა მოვლენის სიუჟეტზე და ხასიათებზე. ეს შემოქმედებითი მარცხი გამოწვეულია ცხოვრების არასაკმაო შესწავლით.

ამ პერიოდის დიდ პოეტურ ტილოებიდან თავისი ხასიათით განსხვავდება სომხური საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი უნიკერესი, თავისებური პოეტის ოვანეს შირაზის პოემა „ჩვენი სოფლების სახელები“. პოემაში მასალის კარგი ცოდნით, უშუალო შთაბეჭდილებათა მხატვრულ ფქტად გადაქცევის უნარით ასახულია საკოლმეურნეო წყობის შედეგად სომხურ სოფელში მომხდარი დიდი ცვლილებები.

პოემის „ტურუნანის ქვეყანაში“ შემდეგ ახალგაზრდა პოეტმა ვ. დავთიანმა გამოაქვეყნა ლექსთა კრებულ „ქვეყნის დილა“, სადაც მოთავსებულია ერთი ახალი პოემა „ხრახნილები“. ავტორი აქ შეეცადა მოეცა წარმოების რიგითი მუშაკის, რაციონალიზატორი მუშის შემოქმედებითი მოწიფების პროცესი. პოემაში არის პათოსითა და შთაგონებით დაწერილი ცალკეული თავები, მაგრამ ამ ღირსებებმა მაინც ვერ იხსნეს პოემა ჩაყარდნებისაგან.

პოემის გმირები თავიანთი ფსიქოლოგიური სამყაროთი და მისწრაფებებით ვერ აღწევენ სინამდვილის დონეს, საგრძნობლად ჩამორჩებიან ცხოვრების გმირებს.

ვ. დავთიანის შემოქმედებითს ცხოვრებაში სერიოზული წინსვლა იყო სომეხი ხალხის მამაცი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ჭუნან ავეტისიანის გაქცეობის ამსახველი პოემა „გზა გულში გავლით“.

გარდა შემოაღნიშნულ პოემებისა, ამ პერიოდის სომხური პოეზია ხასიათდება იდეური და მხატვრული თვალსაზრისით კარგი ლექსებით, პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი საუკუთესო ნაწარმოებებით, რომლებიც ეკუთვნიან უფროსი და ახალგაზრდა თაობის პოეტების კალამს.

ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტების ახალი თაობის, ლიტერატურაში სამამულო ომის შემდეგ შემოსულ თაობის — ს. კაპუტიკიანის, ვ. ემინის, ვ. დავთიანის, ჰრ. ჰოვანესიანის, ს. ჰარუთიუნიანის, ა. აივაზიანის, პ. სევაკის შემოქმედებითი გამარჯვებები.

ცნობილი პოეტები — ნ. ზარიანი, გ. სარიანი, გ. ბორიანი, ო. შირაზი, ს. ვაჰუნი, ა. გრაში, ს. ტარონცი, ჰრ. პოლოსიანი, ვ. გრიგორიანი, ადენი მოგვევლინენ ახალი ლექსებით, რომლებიც უდავოდ ამდიდრებენ სომხური საბჭოთა პოეზიის საგანძურს.

მათ შემოქმედებაში დიდი გამოძახილი ჰპოვა მშვიდობისათვის წარმოებული ბრძოლის თემა. მიჰყვენენ რა ვლ. მაიაკოვსკის საბრძოლო, პოლიტიკური პოეზიის მდიდარ ტრადიციებს, სომეხმა პოეტებმა მხატვრული ფერებით დაგვიხატეს ჩვენი ადამიანების ეროვნული სიამაყე, მათი თავგანწირვა სოციალისტური, აყვავებული სამშობლოსათვის, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლის იმედი და საყრდენია.

ნ. ზარიანმა დაწერა „წერილი ქანის ზუიმალისადმი“, „მშვიდობის მტრედი“, „ნაზიმ ჰქემესი“, „სიტყვა ქვეყანას“, ლექსების მთელი ციკლი, რომელ-

მაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ნ. ზარიანმა ამ ახალ ლექსებში გამოამჟღავნა მაიაკოვსკის პოეტური ტრადიციების ძალა, თემები აამეტყველა თავისებური სიმბაფრით და შთაგონებით, ცხადყო ახალი ეპოქის, საბჭოთა წამნიანების წილამაზე.

მშვიდობის თემაზე კარგი ლექსები დაწერეს გ. სარიანმა, ო. შირაზმა, სარმენმა, ა. გრაშიმ. შედარებით ნაკლები პროდუქცია მოგვეცეს გ. ბორიანმა და ს. ვაჰენიმ, რომლებიც სომხური პოეზიის მოწინავე წარმომადგენლები არიან.

ს. ვაჰენის „თეთრი სახლი“ და „თავისუფლების ძეგლი“ პოლიტიკური პოეზიის ნამდვილი ნიმუშია. გ. ბორიანის წიგნი „ერევნის განთიადი“ პოლიტიკური აქტუალობით და გულწრფელობით შთაგონებული სიმღერების კრებულია. ესაა ნამდვილი სიმღერები ჩვენი დღეების, ჩვენი დროის გმირების შესახებ.

ახალგაზრდა ნიჟიერმა პოეტებმა გევორგ ემინმა, სილვა კაპუტციანმა და მარო მარგარიანმა უკუაგდეს ვიწრო, ბირადი მოტივები. გ. ემინის ნაწარმოებმა „ახალი გზა“ (1950 წ.) და ს. კაპუტციანის პოემამ „ჩემი ახლობლები“ (1951 წ.) უმაღლესი ჯილდო, სტალინური პრემია დაიმსახურეს.

ვეცნობით გ. ემინის, ს. კაპუტციანის, მ. მარგარიანის, პრ. ჰოვანესიანის, ვ. დავთიანის, ჰ. საჰიანის და სხვა სომეხი პოეტების ლექსებს და უფრო და უფრო ვგრძნობთ რუსული ლიტერატურის დიდსა და აქტიურ როლს სომხური ლიტერატურის, კეძლ პოეზიის, განვითარების დარგში.

მარო მარგარიანის კრებული „დედის ხმა“ გამოირჩევა შემოქმედებითი ორიგინალობითა და გულწრფელობით.

ამ ახალ წიგნში გმირი ქალი ფართო ინტერესებით მოქმედი მოქალაქეა, საბჭოთა დედაა, რომელიც ცხოვრობს დიდი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებით. წიგნში პოეტი გამოდის საბჭოთა დედების სახელით, მათთვის დამახასიათებელი და ბუნებრივი ძლიერი გრძნობებით, რისხვით მშვიდობის მტრების წინააღმდეგ.

პრ. ჰოვანესიანი თავის ორ კრებულში („ჩემი ცხოვრების სიმღერა“ და „მეორე შეხვედრა“) მხატვრული, ორიგინალური სურათების ასახვით გვიჩვენებს საბჭოთა პატრიოტიზმის მაცოცხლებელ ძალას. ამ წიგნების ძირითადი იდეა და თემაა ჯარისკაცის გმირობა, მისი სულიერი სილამაზე და სამშობლოსათვის თავდადება.

საბჭოთა ადამიანის ლირიკული განცდები ღრმა პოეტური მგზნებარებითაა გაღმოსული პარტიკ სევაკისა და ჰ. საჰიანის მიერ. ამ უკანასკნელის პირველი წიგნი — „ვოროტანის ნაპირზე“ დაიბეჭდა 1947 წელს. აქ მოთავსებულია უბრაწყინეაღესი ლექსი „ნაირის ამწვანებული ვერხვი“, რომელმაც ავტორს სახელი გაუთქვა. ავტორმა შორეული ვოროტანის ნაპირზე ამართული მწვანე ვერხვის პოეტური სახით გვიჩვენა სამშობლოს ნახვის სურვილით აღქურვილი მეომრის მჩქეფარე პატრიოტული გრძნობები. ჰამო საჰიანის ლირიკაში საგრძნობია ხალხური ინტონაციები. მისი შემოქმედების ეს განსაკუთრებული თვისებები გამოვლინდა აგრეთვე უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ იმ ლექსებში, რომლებიც მოგვითხრობენ თურქმენი ხალხის შრომასა და ცხოვრებას.

სომხური საბჭოთა პოეზია, მიუხედავად მისი თვალსაჩინო წარმატებებისა, ჯერ კიდევ ვალშია ხალხის წინაშე, პოეტებს ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება ჰპართებს მკითხველის სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საქმე ის არის, რომ ხშირად იბეჭდება ლფერული, ტლანქი, ემოციურობას მოკ-

ლებული, მკითხველის სულისა და გულისთვის არაფრისმთქმელი ლექსები, რომელთაც აკლიათ შინაგანი წვა, ზემოქმედების ძალა, საბრძოლო მტრმჭრამუნტი. ვერ კიდევ ქვეყნდება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ვერ სტატუსშია შიშველი ფაქტების აღწერას, რომლებშიც პოეტები შესაფერისი ოსტატობით ვერ აზოგადებენ ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს.

\*\*\*

დრამატული თეატრების რეპერტუარის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 26 აგვისტოს დადგენილების შემდეგ სომხურ საბჭოთა დრამატურგიას ცოტა რამ არ გაუყეოებია. გამოჩნდა მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია თანამედროვეობის თემებზე. ეს პიესები შევიდნენ თეატრების რეპერტუარში.

სომხურ დრამატურგიაში ასახულია დიდი სამამულო ომის ეპიზოდები (გ. ბორიანის „მწვერვალზე“), საკოლმეურნეო სოფლის ყოფაცხოვრება, (ნ. ზარიანის „წყაროსთან“) მუშათა კლასის რეზერვების მომზადება საქარხნოსა და ბრიკო სკოლებში (ა. შაიბონის „მშენიერი თაობა“), ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად (მ. ქოჩორიანის „ძველი ავადმყოფობა“, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მეცნიერების კავშირი (მ. ოგნინიკოვის „სიმამაცე“), სტუდენტთა ცხოვრება და ბრძოლა დასავლეთის წინაშე ქედმობრის წინააღმდეგ (გ. ტერ-გრიგორიანისა და ლ. ლარაიკიანის „ეს ვარსკვლავები ჩვენი“) და სხვ. დაიწერა აგრეთვე პიესები სომეხი განმანათლებლის, ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის ხ. აბოვიანის და რევოლუციონერ-დემოკრატის მ. ნალბანდიანის შესახებ. ყველაზე დროს საგრძნობლად განვითარდა სომხური საბჭოთა კომედია.

გ. ბორიანის პიესა „მწვერვალზე“ მოგვითხრობს კავკასიის დაცვის შესახებ.

თუმცა პიესის სიუჟეტი ალაგ-ალაგ მოისუსტებს, მაგრამ იგი მაყურებელს იზიდავს პატრიოტული გრძნობების სიმძაფრით და ცალკეული ადგილების დრამატული ძალით.

გამარჯვება ზედა წილად აგრეთვე პიესას „ეს ვარსკვლავები ჩვენი“.

ნ. ზარიანის კომედიას — „წყაროსთან“ აქვს მწვავე სატირის ძალა, იგი მიმართულია კოლმეურნეობის მტრის ბალაბეკის წინააღმდეგ. ეს უარყოფითი სახე მოხაზულია ძლიერი კალმით. ნ. ზარიანის ბალაბეკა და მ. ქოჩორიანის პიესის „ძველი ავადმყოფობა“ გმირი არშაკ ბეგლარი იმდენად ცოცხლად არიან დახატულნი, რომ უკვე გავრცელებულ სახელებად იქცნენ.

ა. არაქსიანიანის და ზ. ვართანიანის დრამა „მიქილ ნალბანდიანი“ გვიჩვენებს რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ზეგავლენას მ. ნალბანდიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

სომხური საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის მე-19 ყრილობის გადაწყვეტილებებს. სომეხი საბჭოთა მწერლები, ხელმძღვანელები რა მე-19 ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებით, შექმნიან ჩვენი ეპოქის შესაფერის, მაღალხარისხოვან ნაწარმოებებს.

# სომხურ-ქართული ლიტერატურული მითიკრიტიკა



სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას დიდი ისტორია აქვს.

ცნობილია, რომ ძველ დროში საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა, მაგრამ უკერძო ენაზე ვერცხვან არ იციან, რომ ქართველებსაც იცოდნენ სომხური ენა. ირანის იმპერიის შემსახურებელი ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ალექსანდრე იერიკიანი: „ნაყამ პოენათანის სიმღერებიდან ჩანს, რომ მან იცოდა აგრეთვე აზერბაიჯანული ენა, მაგრამ იცოდა თუ არა ქართული, ეს არა ჩანს. მისი სომხური სიმღერების მსმენელმა და ამ სიმღერებით მომღებულმა მეფემ და მისმა მთელმა ოჯახმა უთუოდ იცოდა სომხური“. ნაყამ პოენათანი იყო ქართველი მეფის — ვახტანგ VI-ის კახის შვილი.

ბრძევი, რომ თვითონ II და ერეკლე II ლაპარაკობდნენ სომხურად. პართიონ არაბთაგან, რომელიც ახალი მოსული იყო ელარ-შაპატთან და არც ერთი ქართული სიტყვა არ იცოდა, მეფისწულს — გიორგის სიღნაღში ელაპარაკებოდა სომხურად. გიორგის შვილი — დავითი, რომელმაც აბაშელისა და ქალი შვირთი ოვლი, ემპიაწინელებს წერილებს უგზავნიდა სომხურად და მათ წერილებსაც კითხულობდა თარგმანის დახმარებლად. ანტონ I კათალიკოსი არა მარტო კითხულობდა სომხურად, არამედ ამ ენაზე თარგმნიდა ფილოსოფიურ ნაწარმებს<sup>1</sup>. სომხური იცოდა აგრეთვე პლატონ იოსელიანი.

ცნობილია, რომ ძველად სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად თარგმნილობდა სასულიერო, საეკლესიო, ისტორიული და გეოგრაფიული ლიტერატურა.

მე-19 საუკუნეში ქართულიდან სომხურად თარგმნიდა და დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ლექსები, ალექსანდრე ყაზბეგის, ვენატე ნინო-შვილის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა მოთხრობები და რომანები.

სომხურიდან ქართულად თარგმნიდა გვერდ დოლოზიანის ცნობილი ლექსი „წიწერნაე“ („მერცხალი“), რაფის ვანთქელი რომანი „ხენთი“, ვაზირელ სუნდუკიანის უკვდავი კომედიები — „პეპო“, „სათაბლა“, „დაქვეული ოჯახი“, „სალამის ერთი ცხვირი ზვირია“, „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“, და სხვ.

ამ დიდი საქმის შესრულება იუვენეს ბუღდანი, იუვენეს კოსტანიანი, იუვენეს თემანიანი, დავით ტერ-დავითანი, ტერან ფირუზიანი, ვაზირელ სუნდუკიანი, იოსებ ბაქაძე, ვასო აბაშიძე, იოსებ იმედაშვილი და სხვები.

900-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხურ-ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა მრავალი ლექსი, მოთხრობა, რომანი, წერილი და ნარკვევი, თარგმნილი რაგორც ქართულიდან სომხურად, ისე სომხურიდან ქართულად.

თარგმანების ცალკე წიგნად გამოცემა მიანიშნავთ შემთხვევა იყო; ამ ფრიად სასარგებლო საქმეს არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. მდგომარეობა შეიცვალა სომხეთში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. გამოჩნდნენ ახალი კადრები, რომლებიც დიდი მონაღმბებით და გულისხმიერებით შეუდგნენ ქართულ-სომხური ნაწარმოებების თარგმნის საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სომხურ-ქართული ლიტერატურის თარგმნის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მწერლებმა, პოეტებმა და მცენარეებმა. ესენია: გვერდ ახატური, იოსებ ვაჩიშვილი, ლ. მელიქიანი-ბეგია, არუთიონ შირიშანიანი, არშაკ მერაბიანი, არუთიონ თემანიანი, ტერან ფირუზიანი, ლაზარე კარაპეტანი, არტემ დავითიანი, ანტონ ანტონიანი, ილია აბულაძე, ლეო ასტეციატური, ივანე შილაკაძე, არმენაკ მერვალიანი, იუვენეს კარაიანი, სურენ ავნიანი და სხვები.

არ შეიძლება დავივიწყოთ აგრეთვე განსვენებული დოცენტი ივანე ბეგლარიანი, რომელიც წარმოადგენდა ამ დარგში.

განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი ქართული პოეტების — გიორგი ლეონიძის, ილია მირცხულავას, სიმონ ჩიჭოვანის, ირაკლი აბა-

<sup>1</sup> იხ. სომხური ვახუთი „არსაგანქ“ (ვაშლიანი), 1892 წ. № 63, 65.

შობის, ილო მისაშვილის, კარლო კალაძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის და სხვათა მემკვიდრისა, რაც რამდენიმე წლის წინათ ჩატარდა სომხური ხალხური ეპოსის „დავით სასუნციის“ თარგმნისა და ცალკე წიგნად გამოცემის დროს.

ქართული პოეტების ნაწარმოებთა სომხურად თარგმნის საქმეში ყოველთვის მსურველად მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი სომეხი პოეტები: — ავეტოქ ისაკიანი, ნაირი ზარიანი, გუდამ სარიანი, გურგენ ბორიანი, პრიფსიმე პოლოსიანი, ოვანეს შირაზი, სოლომონ ტარონცი, ამოტ გრამი და სხვები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე განსვენებული გევორჯ ასატურის დიდი შრომა, რაც გასწია მან შოთა რუსთაველის „ეფესისტეაონის“ თარგმანზე.

სომეხი მწერლების ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის საქმეში, პირველად ყოვლისა, აღსანიშნავია იოსებ გრიშაშვილის მიერ გაწეული ღვაწლი. ი. გრიშაშვილმა თავის შესანიშნავი წიგნის — „სიათ-ნოვას“ გამოცემის შემდეგ განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ვანთქმულ სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის ნაწარმოებებს თარგმნას.

ი. გრიშაშვილმა თარგმნა ოვ. თუმანიანის თითქმის ყველა საუკეთესო ლექსი, პოემა და მოთხრობა. ეს თარგმანები რამდენიმეჯერ გამოცემისა სახელგანმა, საბლიტგამა და გამოცემულა „საბჭოთა მწერალმა“. გარდა კრებულებისა, თუმანიანის პოემები, ზღაპრები და ცნობილი მოთხრობა „ეიქორი“ რამდენიმეჯერ გამოვიდა ცალკე წიგნებად. ი. გრიშაშვილის თარგმნისა და კარგი თარგმანის წყალობით ოვ. თუმანიანის ნაწარმოებები შევიდა ქართულ სახელმძღვანელოებში და ქართველი მოზარდი თაობის სავერდელი სათვისთავი მასალა გახდა. ამ უკანასკნელად, 1948 წელს, ოვ. თუმანიანის ნაწარმოებების ქართული, თარგმანების კრებული გამოცემა „საბჭოთა მწერალმა“. ამ წიგნში მოთავსებულია ოვ. თუმანიანის თერთმეტი ლექსი, რუბაიები, სამი ლექსი, ერთი პოემა და რვა პროზაული ნაწარმოები (მოთხრობა, ზღაპარი და სხვ.).

ი. გრიშაშვილი თავისებური ოსტატობით გადმოგვცემს თუმანიანის ლექსების სულსა და აღნაგობას, მის მდიდარ მუსიკალურ რითმებს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მთარგმნელი არღვევს თუმანიანის ლექსის მეტრიკას, ოდნავ სცილდება კიდევაც ავტორის ლექსთაწყობას. მაგალითად, ცნობილი ლექსების — „ერთი წვეთი თაფლი“ დასაწყისი, პირველი ოთხსტრიქონიანი ტაბეი, გრიშაშვილთან გაზრდილა და ქვეულა რვა სტრიქონად; ან კიდევ: ცნობილ რუბაიათში — „საზრად ვიხილე ცხოვართა ფაჩა“... თუმანიანის შვიდმარცვლოვანი სტრიქონი

(4 + 3 = 7) გრიშაშვილის თარგმანში წარმოდგენილია თმარცვლიანად (5 + 5 = 10), ხოლო რუბაიათის წესის მიხედვით, თუმანიანთან იგივე რუბაიათის პირველი, მეორე და მესამე სტრიქონია ვართმული, ხოლო მესამე თავისუფალია, გრიშაშვილის მიერ კი ეს რუბაია თარგმნილია გვარდენი რითმით (პირველი — მესამე, მეორე — მეოთხე, მესამე, რაც მათვარია, ნაწარმოების დედაზე, იდეა, შინაარსი თარგმანში მშვენივრად აბის დაცული.

ი. გრიშაშვილის თარგმანებიდან საუკეთესოდ უნდა ჩათვალოს ოვ. თუმანიანის შემდეგი ნაწარმოებები: „მეღებური დალოცვა“, „აიგა-ზოცესის სურათის წინ“, „სომხეთის მთებზე“, „ძალი და კატა“, „ერთი წვეთი თაფლი“, „ეიქორი“ და სხვ.

ი. გრიშაშვილმა დიდი ამაგი დასდო აგრეთვე სხვა სომეხი ავტორების ნაწარმოებთა თარგმნას. ამ უნდა აღინიშნოს გამოჩენილი სომეხი ბელეტრისტის ალ. შირვანზადეს რომანი „ნაშუსი“, რომელიც სახელგანმა გამოცემა პირველად 1931 წ. და მეორედ 1948 წ.

„ნაშუსი“ ასახავს შემასში მცხოვრები სომეხი ხელისნებისა და წერილი ეპიკების ყოფი-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას ვასული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. რომანში ოსტატურად აბის გამოკეთილი განსაკუთრებით ბარსელდარის, პირაპეტის, რუსტაძის, სულანის და სეირანის სახეები. ი. გრიშაშვილის თარგმანში მშვენივრადაა გადმოცემული ამ ნაწარმოების ზოგიერთი სპეციფიკური მხარეც კი.

1950 წელს გამოცემულია „საბჭოთა მწერალმა“ ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით გამოცემა დიდი სომეხი დრამატურის გამრიელ სუნდუკიანის პიესები. ამ წიგნში მოთავსებულია სუნდუკიანის შვიდი პიესა („პეპო“, „სათაბალა“, „დაქვეული ოჯახი“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“, „აბანოს ბოღა“, „საღამოს ერთი ცხვირი ზვირია“ და „ოსკან პეტროვიჩი სიქიოს“).

თარგმანები გვეთვინოთ: თვით გ. სუნდუკიანის („პეპო“), ი. ბაქრაძის („სათაბალა“), „დაქვეული ოჯახი“), ე. აბაშიძის („კიდევ ერთი მსხვერპლი“), „აბანოს ბაღი“, „საღამოს ერთი ცხვირი ზვირია“), დ. ტერ-დავთიანის („ოსკან პეტროვიჩი სიქიოს“).

თარგმანები საერთოდ კარგად აბის შესრულებული. მგვრამ ზოგიერთი იდეალი გვარ კიდევ დაზუსტებას მოითხოვს. სამწუხაროა, რომ ამ კრებულში არ შესულა გ. სუნდუკიანის მშვენივრადი პიესა „სიყვარული და თავისუფლება“, რომელიც თარგმნილია იოსებ იმედაშვილში. ქნარკმა გაიგო, რომ მისი მეგობარი, ლეილის მიერ.

1948 წელს საბლიტგამა ერთ პატარა წიგ-

ნად გამოცემა „ორი ზღაპარი“ — ოც. თემანია-  
ნის „ოქროს ქალაქი“ და ავ. ისაკიანის „ყვე-  
ლაზე სასარგებლო რამ“ არტემ დავითიანის  
თარგმანით. თემანიაანის ზღაპარი აგებულია  
ინფორმაციის ცხოვრების მასალაზე და მოკვით-  
ხრობის კეთილსა და ბოროტის ჭიდილზე, კე-  
თილის გამარჯვებულზე, შრომასა და სიყვარულზე.  
ავ. ისაკიანის ზღაპარი კი ეხება გონებამახვი-  
ლობას და ქვეყნის ბედნიერებას. ამ ზღაპრებს  
ახასიათებთ ალუგორია, მათ აღმზრდელითი  
მნიშვნელობა აქვთ და დაწერილია ოსტატურ  
აქტორების მიერ დიდი სიყვარულით. თარგმანი  
შესრულებულია კარგად და ბავშვებისათვის გა-  
საგები ენით. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ არ-  
ტემ დავითიანის სისტემატური და მუყაითი მუ-  
შოისა სომხურ-ქართული ლიტერატურის თარგ-  
მნის საქმეში. არტემ დავითიანმა როგორც  
ქართულად, ისე სომხურად თარგმნა და გამოა-  
ქვეყნა კლასიკური და თანამედროვე ლიტერა-  
ტურის საუცხოო ნიმუშები — რომანები, მო-  
თხრობები, ნოველები, ზღაპრები, პიესები.

წიგნი — „ორი ზღაპარი“ დასურათებულია.  
საკვირველია, რომ არ არის აღნიშნული, ვის  
ეკუთვნის ეს ილუსტრაციები.

1948 წელს სახელგამმა გამოცემა თბილისში  
მცხოვრები თანამედროვე მწერლის წერტენ  
თორგოშიანის „ჩრეული მოთხრობები“ ივ. ში-  
ლაკაძის თარგმანით.

წ. თორგოშიანის წიგნი მოთავსებულია ათა  
მოთხრობა, რომელთა შორის ძველი მოთხრო-  
ბებიდან აღსანიშნავია: „მანდილი დაიხრე“,  
„გეი ეოსკო“, ზოლო ახალი მოთხრობებიდან  
„ლიტენანტი“, „ახალი ცხოვრება“, „ბრძოლა“  
და სხვ. შედარებით სუსტია „დედა“ და „ბედ-  
ნიერა ყარამანი“.

ალ. შირვანზადეს „ნამუსის“ და წ. თორგო-  
შიანის წიგნის რედაქტორია პროფესორი ლეონ  
მელიქსეთ-ბეგი, რომლის შესავალი წერილები  
ერთვის ამ გამოცემებს. დიდა ლ. მელიქსეთ-  
ბეგის დამსახურება სომხურ-ქართული ლიტერა-  
ტურული ურთიერთობის მეცნიერული შესწავ-  
ლის დარკში. ათეული წლების მანძილზე მან  
აღზარდა და მოამზადა ახალგაზრდა კადრები,  
რომლებიც დღეს ნაყოფიერად ემსახურებიან ამ  
დიდ საქმეს.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ავტორი, რედაქ-  
ტორი და მთარგმნელია მრავალი მხატვრული  
და ისტორიული წიგნისა და კრებულისა ქართ-  
ულ და სომხურ ენებზე.

ასევე ცნობილია ის დიდი ამაგი, რომელიც  
დასრულ ქართულ-სომხური ლიტერატურული  
ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას პროფ.  
ილ. აბულაძემ.

1952 წელს სახელგამმა ცალკე წიგნად გა-

მოსცა ალ. შირვანზადეს დიდი რომანი „ქაოსი“  
იოსებ ტატიშვილისა და სურენ ივანიანის თარგ-  
მანით.

ა. შირვანზადეს ეს ცნობილი რომანი შეეხება  
რევოლუციამდელ ბაქოს ცხოვრებას და გვიხა-  
ტავს როგორც სომეხი კაპიტალისტის მარკოს  
აღა-ალიშინის სახეს, ისე მთელი რიგი უარ-  
ყოფითი ხასიათებს, ავჯიწებს მათს ყოფა-ცხოვ-  
რებას, გარყვნილებას, ვადგავარებასა და „შავ  
ქალაქს“ ნავთის სარეწაოების მუშების გოგო-  
ხეთერ ტანჯვას, ექსპლოატაციას, კაპიტალის-  
ტური წყობის და ყოფის რღვევასა და დაქვეი-  
ობას. დიდი რეალისტი მწერლის მიერ სა-  
ხეები გამოკვეთილია მშაფრი ფერებით, ცხოვ-  
რების ჭეშმარიტი ცოდნით და მხატვრული ოს-  
ტატობით.

ვანვენებულმა მწერალმა იოსებ ტატიშვილმა  
ჩემთან ერთად დიდი ენერგია შიანდომა ამ რომ-  
ანის თარგმნის და ჩატარა ხანგრძლივი, და-  
კვირვებელი მუშაობა.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ წიგ-  
ნის გამოქვეყნების შემდეგ მთარგმნელმა  
მეცნიერულ ზოგადრითი ნაკლი, რომლის გამოსას-  
წორებლად დაუახსტეო და დაეამზადა „ქაო-  
სის“ ქართული თარგმანი მეორე გამოცემისა-  
თვის.

1952 წელს საბლიტგამმა გამოცემა ახალგაზრ-  
და სომეხი მწერლის ოვანეს ლუკასიანის დიდი  
მოთხრობა „პატარა შერისმამიებლები“, რომ-  
ლის თარგმანი ეკუთვნის ლეონ ასტეცატუროვის.

ეს მოთხრობა გადმოგვცემს ირანელი ხალხის,  
ვანსაკუთრებით ირანელი ბავშვების, აუტანელ  
მდგომარეობას, მათს ტანჯვასა და ექსპლოატა-  
ციის იმპერიალისტთა მიერ ფაბრიკა-ქარხნებში.  
ირანში მოთარგმე ამერიკელები და ინგლისელები  
არაადამიანურად ეპყრობიან არათუ უფრო-  
სი, არამედ უმცროსი ასაკის ბავშვებსაც კი. აუ-  
ტორი მშაფრი ფერებით გვიხატავს ამ აუტანელი  
ცხოვრების შემამრწუნებელ სურათებს. დამაჯერ-  
ებლად არის მოცემული მოთხრობის მთავარი  
გმირის — პატარა პასანის სახე.

ლ. ასტეცატუროვის მიერ შესრულებული  
თარგმანი კარგია, წიგნი დიდი ინტერესით  
იკითხება.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ქართველ და სო-  
მეხ მწერლებსა და მეცნიერებს გარკვეული მუ-  
შაობა ჩატარებით მხატვრული ლიტერატუ-  
რის ძველთა თარგმნის საქმეში. მგარამ ეს არ  
არის საქმარისი; მომავალში გაცილებით მეტი  
უნდა გაკეთდეს, რათა ქართველმა მკითხველმა  
შიილის სომხური მწერლობის საყოფიერო ნი-  
მუშების თარგმანები და სომეხმა მკითხველ-  
მა — ქართული ლიტერატურის მაღალმხატ-  
ვრული თარგმანები.





## მოთხრობა ირანელი ხალხის დუხური ცხოვრებაზე



ირანელი ხალხი დიდი ხანი გმინავს ინგლის-ამერიკის სისხლიანი იმპერიალიზმის უღელქვეშ. არ იქნა და ეერ მოიშორა ირანელმა ხალხმა მათი ბატონობა. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისადმი მძულვარებასა და მტრობაში მათ როლი ჩამოუყვარდებიან შაჰები, მემაფლეები, ბურჟუები და მოღები. საერთაშორისო იმპერიალიზმის ეს პირწავარდნილი აფენტები თავის ხალხს დოლარებსა და სტერლინგებზე ყიდიან. ამის გამო ირანელი ხალხი სიღუბნითა და სიღატაკეში დაფარს სულს. მონობის უღელი კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი ხდება. შიმშილი, სიღარიბე, უკულტურობა, — აი ბედური ირანელი ხალხისა უცხოეთის კაპიტალისა და ბნელეთის მოციქულთა ხელში.

ირანელთა ამ დუხური ცხოვრებაზე გვიამბობს ნიჟიერი სოფელი შერალი, ო. ლუქასიანი თავის მოთხრობაში „პატარა შურისმაძიებლები“. ავტორი ამბუღებულად მოგვითხრობს ირანელი მშრომელი ხალხის უწყობაზე. კითხვობით ამ ნაწარმოებს და გულს ვაკლავთ ის სივალაღე, რომელსაც ირანელი მშრომელი ხალხი დაღუბვის კარამდე მიჰყავს. რამ უნდა ააღუღევოს ადამიანის გული ისე ძლიერად და ისე ღრმად, როგორც ეს შეუძლია მართალ მხატვრულ სიტყვას? და, აი, რამდენი წუბილიც აქვს ირანელ მშრომელ ადამიანს გულში ჩაღვრილი, იმდენი სიმართლა ჩაქსოვილი ამ ნაწარმოებში.

ავტორი შეუწევლებელი ინტერესით გვაცნობს ირანელი ბავშვების ცხოვრების მძიმე პირობებს. მოთხრობის მთავარი გმირი, ჰასანი, ზორი-შესხმული და ცოცხლად გამოკვეთილი ტიპია. ჰასანის თავგადასავალი ამ მოთხრობის სიუჟეტის მთავარი ძარღვია. ჰასანის ცხოვრებისა და ბრძოლის რეალისტურად ასახვის ფონზე შერალი მუშანინიშნავდ დავეჩაბა თანამედროვე ირანის ახალგაზრდობის ცხოვრება. ჰასანი ირანელი ახალგაზრდობის განუყოფელი მხატვრული სახეა. მასში ტიპიურად არის გამოხატული ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელი და

თავისებურია ამ გაუხარებელ ახალგაზრდობაში. ვინ არის ჰასანი? რატომ გახდა ის საყვარელი გმირი? ჰასანი ღარიბი მტვრითავე მუშის, აბდულას, შვილი იყო. ათი წლის ჰასანს მამა ვარდაცუალა. დედა ლოგინად ჩავარდა. ნესტიანსა და ბნელ სარდაფში სული ეხუთებოდათ, მაგრამ რა ექნათ, ვინ გამოიყვანდა მათ ამ მდგომარეობიდან? ცხადია, არავინ.

შერალი ჰასანის მამის გარდაცვალებისა და დასაფლავების სურათში მძაფრად და ღრმად გამოგვიჩაბა იმ სოციალ-პოლიტიკური მოვლენის ძირითადი არსი, რომელშიც მთელი სისაფსით განსაზღვრა ირანელი მშრომელი ხალხის ტანჯული ცხოვრების გზა. ეს შებნეული სურათი შეაფიქრდ არის გადმოცემული ჰასანის სიტყვებში: „მამაჩემი ისე არ მომკვდარა, როგორც ჩვეულებრივად იხოებიან ადამიანები. ის სიციცხლეს გამოესალმა მდიდარი ვაჭრის, თეიმურ-ხანის საწყობის კიბეზე, სადაც ზერზემალი გადაემტერა ტილოს მძიმე ბარდანის გადატანისას... მე თითქმის არ მესმოდა, რა მოხდა. მეგონა, რომ მამას ჩვეულებრივად ისევე ტვირთი უნდა ეზიდა და დამლაშობით ეყენესა ზოლზე წელისა და ფეხების ტკივილისაგან.“

მაგრამ მამა სულარაში გახვევს და ჯაგლაგი ცხენებით სახლიდან წაიღეს. იმისათვის რომ მიცვალებულის გასახვევი ტილო შეგვეძინა და მოლასათვის გასამრჯელო მიგვეცა, დედამ ძველმანებით მოვაჭრე ჩვენს შორეულ ნათესავს მიჰყიდა სპილენძის ქვაბი, სამი თუნუქის თასი და ჩვენი სახლის ერთადერთი მორათულობა — მწვანე ხალიჩა.“

ამ მძაფრ სურათს კიდევ უფრო აძლიერებს შემდეგი ფაქტები. ბაყალმა ბაშირა ვალში წაიღო ჰასანის დედის ნაწილითი სკივრი და ერთადერთი საბანი. მსუნავი ბაშირა ქვაბის წაგლეჯასაც ლამობდა, მაგრამ ძველმანებით მოვაჭრემ ჰასანის მამის გამოტოლი გვამზე მიუთითა და უთხრა: „— ნამუსი აღარა გაქვს, კაცი უნდა დამარხოს თუ არა?“



თუ ამ ფაქტში ერთი მხრივ, სავსებით არის გამოვლენილი ირანელი წერილი ბურჯუას ბუნება, მეორე მხრივ, ღრმად არის გახსნილი ირანელი მოღვების დაუწდობელი, მსუნავი ხასიათი შემდეგ სიტყვებში: „მამას რომ სულაჰში ახვედდნენ, — ამბობს პასანი, — ტილო ცოტა გრძელი აღმოჩნდა ფეხებთან. მოვლამ უცებ შეწყვიტა თავისი სვედიანი ლოცვა. მიცვალუბულისაყენ დაიხარა, მოახია ზედმეტ ნაჭერი, მოკეცა და გიბეში ჩაიდო, „კარგი ცხვირსაბოცი გამოვა“, — წაიბუტბუტა და ჩაბლუწილი ხმით განავრძო ერთფეროვანი ლოცვები“.

ასეთი დამახასიათებელი დეტალები და ფაქტები უხვად არის გაბნეული ამ მოთხრობაში, რაც, ცხადია, კიდევ უფრო ამძაფრებს მოთხრობის სიუჟეტის განვითარებას. ამ ფაქტებიდან და დეტალებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დაუზოგავად დევნიდა პასანს მდიდარი თემურ-ხანის ნოღარი, მირ ფარუბი. რამდენი სიუალებე, რამდენი მტრობა, რამდენი უსინდისობა ჩაიდინეს ამ ვარჯიშმა ადამიანებში იმისათვის, რომ პასანი გაემწარებინათ და გავნადგურებინათ, მაგრამ სოციალური უკულმართობისაგან განაწილები და გატანჯული ახალგაზრდა ადამიანის შურისძიების განწყობამ უმებრასისავით იფეთქა. და ეს უსახლოარო, უსახლოარო, უფლდამო ახალგაზრდა ბრძოლის გზას დაადგა. ბრძოლის ამ დიდ გზაზე პასანის გონებას არასოდეს მოსცილებია სიკვდილის წინ დედის მიერ ნათქვამი: „პასანი, შეილო... პასანი, მე... მე მამაშენთან მივდივარ... გვაპატიე, შეილო, რომ სკოლაში ვერ მივგაბრეთ... ასე მოხდა, ჩემო ბრძოლა. როცა ვაიზრდები, მისვლენი რომ ჩვენი ბრძოლი არ იყო... მამაშენი ისე მოკვდა, რომ უკანასკნელად ვერ ვნახა... მაგრამ, რა თქმა უნდა, შენ არ დაივიწყებ უბედურ მამას. მას შენ უსახლოაროდ უყვარდი... ვაიზრდები, კარგი კაცი გამოდი, ღარიბებს შეგარეგლობა გაუწიე... პირთბა მომეცი, რომ ისეთივე იქნები, როგორც მამაშენი იყო; ნუ ილოთებ, ბანქის ნუ თამაშებ, ნუ დაზავრავ კეთილ ადამიანებს, შრომისმოყვარე იყავი... და კიდევ ამას გეტყვო შური იძიე, პასანი, შური იძიე ჩვენს მტრებზე!“

დედის ანდერძი ღრმად ჩაენერგა გულში პასანს. მის გულს ციებლს უკიდებდა მოხუცი მეზობლის ამოქანხი: „დაიქეცე, დაიქეცე ბოროტმოქმედობა და ხალხის მყველთა ეს ქვეყანა, დაიქეცეს!“ ამ მართალი სიტყვების აზრების ღრმად გაგებაში პასანს დიდად შეუწყობ ხელი პატოსანმა მშრომელმა ხარაზმა, სულეიმანმა, რომელთანაც მშობლების სიკვდილის შემდეგ შევირდა დაღვა ის. სულეიმანი ხშირად უამბობდა პასანს ცხოვრების უკულმართობის შესახებ. ოსტატი თავის შევირდს შთავა-

ნებდა: „ქვეყანა მეჩეთებით აწყობილი... კაცი არ არის, რომ ხალხისათვის იზრუნოს... მხარლოდ მოსკოვი ფიქრობს მათზე“. **მარტინოვი**

ახალგაზრდა შევირდის გულში: **სტეფანოვი** „მოსკოვი“ ბედნიერების ვარსკვლავით აკიაფდა, მაგრამ მირ ფარუბი და მისი ბატონი მას სიციცხლეს უმწარებენ, მოსვენებას არ აძლევენ. საწყალმა აბდულამ მირ ფარუბის ბარდანების ქვეშ დალია სული, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მის ობოლს დახმარებოდნენ, პირიქით, მას უკლები თამასუქი წარმოუდგინეს, მამაშენის ვალია და უნდა ვაღიხადო. რამდენი სისამაგლე ჩაიდინეს მათ პასანის წინააღმდეგ. ყოველივე ამან მძლავრი ბიძგი მისცა პასანს, გავარდნილიყო ქუჩაზე უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მირ ფარუბი არაფერს არ დეერბოდა, გლობთ კინაღამ ნეყნები ჩაუბტვრია პასანს, ბავშვი საშინლად გააწირა და სადღაც გაიქცა. მას კარგად ესმოდა გულგეთილი ოსტატის მშობლიური ხმა, — დაბრუნდო, მაგრამ პასანს უკან არ მოუხედავს, „იმ დამეს, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ღია ცისქვეშ მეძინა. დილით, როდესაც შეშვილმა მძლია და ქალაქში დავბრუნდი, არც ჩემს მფარველთან მივედი და არც ოსტატთან. მე უსახლოარო გავხდი. ბედმა შეგნებედა ჩემსავით ვარჯიშული ბიჭები: მათთან გაეატარე ჩემი ბავშვობა, შეგნენი დღეები, რომლებმაც მთელ ჩემს ცხოვრებას თავისი დიდი დაასვა“, — ამბობს პასანი თავისათავე.

შეწარალს კარგად აქვს აღწერილი პასანის გატყუება და „შურისმაძიებელთა“ რაზმში მისი მიღება ყულის მიერ. ამ ამბავში ბევრი რამ არის საუბრისსაო. მთავარი კი ის არის, რომ დედის ხეყნამ — „შეილო, შური იძიე ჩვენს მტრებზეო“, პასანი ამ რაზმის ნამდვილი მებრძოლი გახდა და მასავით უსახლოარო ბავშვებს დაამეგობრა.

ეს მოთხრობა არსებითად პასანის თავდადასავალს წარმოადგენს. როგორც ზემოთ ვღვინშენო, პასანი მშობლების გარდაცვალების შემდეგ ვეღარ ურიგდება თემურ-ხანის ნოქარის, მირ ფარუბის უსამართლო დევნას, ამიტომ ქუჩაში ვარბის, უერთდება მასავით უპატრონო, მშვიერ ბავშვთა ბრბოს, რომელიც მდიდრებს ებრძვის, რათა უკეთეს ცხოვრება დაამყაროს. ამიტომ უწოდებს ამ ბრბოს „პატარა შურისმაძიებელთა რაზმი“.

პასანის მთელი თავდადასავალი, რაზმის თვითელი წევრისა და, განსაკუთრებით, მათი მეთაურის ყულის სახე ცოცხლად, დამაჯერებლად, წარმტაცად და ღრმად არის გამოკვეთილი.

რაზმის ცხოვრებაში პირველი აქტი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე იყო

მემახველებსათვის სამაგიეროს გადახდა იმის გამო, რომ ღარიბებს წყალი წაართვეს, რაზემე-ლებმა მემახველებს არხი გაუფუძვეს, მემახვე-ლებს ეს ამბავი ღარიბებს გადააბრალა, მაგრამ ყუღიშ, როგორც რაზმის მეთაურმა, მრისხანედ შეუთვალა მას: „ჯალათო მემახველე, უბრძანე გაანთავისუფლონ გლეხები... შენი წყევლი არ-ხი დაეანგრით ჩვენ, „პატარა შურისმაძიებელ-თა“ რაზმმა! შენი მოსისხლე მტერი ყული“.

მაგრამ რაზემელები მაინც შეიპყრეს და სას-ტრკად აწამეს. შემდეგ კი ერთ ხალხაში მიპ-ყიდეს ხალხიზნის ფაბრიკის მუხატარონეს, აღა-ბრაძამ ანარაფიშს. ამის შესახებ ყულიმ უთხრა თავის ამხანაგებს: „როგორც ირკვევა, ბიჭებო, ჩვენ ერთ ისპაანის ხალიხად გაუყიდვიართ. ახ თურმე რად ვღირვართ ჩვენი ბატონების თვალ-ში. ჩვენ იქ სიქას გაგვაცლიან, გაზეთებში კი დაწერავენ: „უთავსესაფარი ბავშვებს ვზრდით, სამუშაოს ვაძლევთ, ცხოვრებას ვასწავლიათ...“

ხალიხების ფაბრიკა მოთავსებულ იყო მიწის-ქვეშ, იგი საპყრობილეზე კიდევ უარესი აღმოჩნ-და უბედური ბავშვებისათვის. ამ ჯოჯოხეთურ სარდაფში მოქცეულ ბავშვებს სული ეხუთუ-ბოდათ, იტანჯებოდნენ, მაგრამ მშველელი არა-ცინ იყო. მრისხანე ხედამხედველი, სატანა ისაკი, საწვალ ბავშვებს სიკვდილს ანატრებდა. შიშ-შილი, ცუმატყუბა მათი ყოველდღიური ხვედრი იყო. ამ ყოფაში ჩაეარდნილი პასანი მასავით დაბეჩაებულ, მასწავლებლის შეიღს, კაბატე ქერამს, დაუმეგობრდა. მან წყარა-კითხვის სწავ-ლება დაწყებინა, მაშისაგან ნაჩუქარი წიგნიც გადასცა, მაგრამ ფაბრიკის მუხატარონემ ეს რომ შეუტყო, ორივე და ყული ცემით კინადნ მონ-კოლა. ამის შემდეგ ყულიმ რაზმის წევრების თათბირი მოიწვია და გადაწყდა გაქცეულიყვნენ ამ ჯოჯოხეთური სარდაფიდან.

გარდა ამისა აღწერილია ამერიკელი ვაჭრე-ბის ირანში ჩამოსვლა. კარგადაა გადმოცემული მათი ვერაგული მისია ირანელი ხალხის დამო-რების საქმეში. საინტერესოადაა გახსნილი ამე-რიკელების ქიშპობა გერმანელებსა და ინგლი-სელებთან.

პატარა შურისმაძიებლებმა წადილი შეისრუ-ლეს. ფაბრიკა ხანძარში გახსოეს, კედელზე კი ასეთი წარწერა დატოვეს: „ასევე წაეკიდება ცეცხლი ხალხის მჩაგვრელთა ყველა ბუნავს“.

„პატარა შურისმაძიებელთა რაზმი“.

რაზემელები შალე შეიპყრეს და ცხემში ჩა-ყარეს. ამ მომენტთან მთელი რაზმის ცხოვრე-ბაში ახალი ცხოვრება იწყება. რაზემელებზე უდიდესი გავლენა მოახდინეს რევოლუციონერ-მა რედაქტორმა, ფედეკარმა და მისმა მე-გობრებმა. ფედეკარი უყვებოდა მათ საბჭოთა კავშირის, მოსკოვისა და სტალინის შესახებ. საბჭოთა ქვეყნის შესახებ ვუბნებოდა: „იქ შაპი

არ არის. იქ ხელისუფლების სათავეში ხალხია— მეშებისა და გლეხების წრიდან გათხრული საუ-კეთესო აღამიანები. ამ ქვეყანაში ხელშეწყინე-ლობის ხალხის საყვარელი, სხადასხვა წინაღინა გე-მოსული, ხალხის მიერვე არჩეული ხელისუფ-ლი სტალინი. იქ ყველგან გახსნილია სკოლები და უნივერსიტეტები. იქ მეშები ბედნიერნი და მაძიარნი არიან. იქ გლეხები თავისუფლები არიან და ფლობენ მიწას, რომელიც მთელი ხალხის კუთვნილებაა. მაგრამ გულხედღაგრე-ფილნი კი არ უნდა ვუტყუდოთ თავისუფლებას, ჩვენი თათთან უნდა ვებრძოლოთ უსამართლო-ბას... ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს, თუ შედგრად იბრძოლებს“.

პასანი ხედავდა, თუ როგორ რევილუციურ მუშაობას ეწეოდა ფედეკარი ციხეში. ფედეკარი მათი მასწავლებელი და მეთაური გახდა. როცა ციხეში შეიტყვეს საბჭოთა კავშირზე გერმანე-ლების თავდასხმის ამბავი, ფედეკარმა განაცხა-და: „გერმანელებმა ფეხი მოიკიდეს ირანში... მაგრამ ჩვენი ძლიერი შეგობარი საბჭოთა რუსე-თი დაიცავს თავის საზღვრებს და საშუალებას არ მისცემს მტერს, რომ ზურგიდან დაარტყან მას“.

ფედეკარმა ამ დამეს რაზემელებს ბევრი რამ უამბო გერმანელების, ინგლისელებისა და ამე-რიკელების ვერაგობის შესახებ. აღსნა მათ, რას ნიშნავდა ფაშიზმი.

დიდი ინტერესით იყითხება ბოლო თავები, სადაც ნიჭიერ მწერალს დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ომის პირველ წელს— ხელშეკ-რულების საფუძველზე— ირანში საბჭოთა ჯე-რების შესვლა, ციხეებიდან ყველა პოლიტიკურ პატიარის და, მათ შორის ფედეკარის, მისი მე-გობრებისა და პატარა რაზემელების განთავისუ-ფლება.

ფედეკარი გაზეთ „დღის“ რედაქტორია. პატარა „შურისმაძიებელთა“ რაზმის წევრები მასთან მუშაობენ სტამბაში. პასანი ფედეკარის საშუალებით ისე გათვითცობიერდა პოლიტიკე-რად, რომ ახლა იგი ფედეკარის თანამშრომელი გახდა.

ომი დამთავრდა. ფედეკარმა და მისმა თან-მშრომლებმა, ისე როგორც მთელმა ირანელმა მშრომელმა ხალხმა, ეს ისტორიული თარიღი ზეიმიით აღნიშნეს.

მწერალმა ეს ღრმა შინაარსიანი, პოლიტიკე-რად მახვილი და მხატვრულად უნაკლო ნაწარ-მოები ასე დამთავრა: „აქ წყდება პასანის ნაამ-ბობი. უკვე მესამე წელია, რაც ის აღირა შემ-ხედრია. ამბობენ, კვლავ ციხეში ზისო“.

ხელშეკრულების ერთგულმა საბჭოთა მთა-ვრობამ გაიუყვანა თავისი ჯარები ირანდან. ახლა იქ ბატონობენ ამერიკელები და ინგლისელები, თუმცა, ხელშეკრულების თანახმად, ომის დამ-

თავრების შემდეგ ისინიც ვალდებული იყვნენ გაეყვანათ თავიანთი ჯარები. ირანელმა ფაშის ტემმა კვლავ თავი წამოსწიეს. გახეთი „დილა“ დახურულია, ხოლო მისი თანამშრომლები და ბევრი გულმოდგინე მკითხველი ციხეში ზის.

ამ წიგნით ჩვენ ვაგეგვინით ამ ჩაგრულ ქვეყნის ცხოვრებას, მის პატრიოტებსა და გმირებს. ისინი სასოწარკვეთას არ მიუცემიან; „მე არასოდეს არ ვეცემი სულთ ყველაზე მძიმე დღეებშიაც კი“ — ამბობდა მასანი. ის იმედს არ ჰკარგავდა. მეც დაწმუნებული ვარ, რომ ერთ მშვენიერ ნათელ დილას იგი კვლავ გამოვა ამ შავბნელ ციხიდან.

ასე ოპტიმისტურად ამთავრებს ო. ლუკასიან თავის წარმტაც ნაწარმოებს.

ო. ლუკასიანი ბავშვობიდანვე ცხოვრობდა ირანში. მისი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ის თავის სამშობლო სომხეთში დაბრუნდა. ავტორი ირანში დიდ გაქირვებას განიცდი-

და. მას უფროსი ძმა ჯარში რაზმისკვეთს მოუკლეს, თვითონ რკინიგზაზე მუშაობდა შავ/მუშად, ამავე დროს, თანამშრომლობდა ვახუშტის ში, წერდა ლექსებს და ხატავდა. მწერა უმა პირველი წიგნი თავისი სახსრებით გამოცემა, შემდეგ მას ნაწარმოებთა გამოცემაში ხელს უწყობდა მოხერხების საზოგადოება. ო. ლუკასიანი იარაღით ხელში იბრძოდა ირანის აზერბაიჯანის განთავისუფლებასათვის. სომხეთში დაბრუნებამდე მან დაწერა პოემა ზოია კოსმოდმანისკაიას შესახებ. ოცდაათობმეტე წლის ოპანესი ამჟამად დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა სომხეთში.

„საბოლტგამის“ მიერ გამოცემული ო. ლუკასიანის „პატარა შერისმამებლები“ ლ. ასტეცატუროვის მიერ თარგმნილია კარგი ქართულით, გულისხმიერებითა და სიყვარულით.

სომხე ვეზირაზა

წარსუნი თორგომიანის ჩახული მოთხრობები



თანამედროვე სომხური ლიტერატურის განვითარებაში პროზაიკოსი წერტუნ თორგომიანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მის კალამს ვეუთენის მრავალი მოთხრობა; დღემდე მას გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი.

ამ წიგნებიდან ყურადღებას იქცევს ქართულ ენაზე გამოცემული „ჩრდილი მოთხრობები“. ავტორს ამ წიგნში შეუტანია ცხრა მოთხრობა. მწერლის თემატიკა მრავალფეროვანია. აღსანიშნავია, რომ მწერალი თავისი განსაკუთრებული ბიოგრაფიის გამო ორგანულ კავშირში იმ თემატიკურ მასალასთან, რომელიც მას თავის შესანიშნავ მოთხრობებში გამოუყენებია. პირველი მოთხრობა, რომლითაც იხსენება წიგნი, შეეხება სამამულო ომის თემას. მოთხრობა „ლეიტენანტი“ ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოებია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ წი. თორგომიანს ადამიანთა ხასიათები, განცდები და მათი სულიერი სამყარო თავისებური კეთილი აქვს გააზრებული და დანახული.

ამ ნაწარმოებთა ძირითადი იდეა საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველყოფელ ძალაში მდგომარეობს. მოთხრობის პერსონაჟები სამამულო ომის მონაწილე ადამიანებია. თითოეული მათგანი, რუსია იგი, უკრაინელი, სომეხი თუ ქართველი, ინტერნაციონალური სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

ასეთებია სომეხი ლეიტენანტი ლევონიანი,

უკრაინელი მანდილი, მანუკიანი, და სხვები.

სამამულო ომმა მრავალ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, ზოგი სამუდამოდ დაამახინჯა, ზოგს თვალში სინათლე წაართვა. მწერალი ღრმად და დამაჯერებლად გვაგრძობინებს ტრილოების გამო დაბრმავებული მეტროპოლების განცდებს. აქ შესანიშნავადაა დახასიათებული საბჭოთა მედიცინის განმკურნებელი ძალა. ჩვენი ექიმები სასწაულებს ასდენენ. მეტროპოლებს თვალის ტრილოებს უშუშებენ და სინათლეს უბრუნებენ. მაგრამ მხოლოდ ეს როდია ამ მოთხრობის არსი, პატრიოტიზმის ძლიერი გრძნობა დივიის სომეხი ქალიშვილის, ქნარიკ მანუკიანის, გულში. ქნარიკმა გაიგო, რომ მისი მეგობარი, ლეიტენანტი ლევონიანი, სამამულო ომის აქტიური მონაწილე, რომელიდაც ჰოსპიტალში წევს თვალში დაჭრილი, უსინათლო იგი კავშირს აბამს თავის მეგობართან. ლევონიანს დაჭრილს, უსინათლოს ზოგჯერ მეღანქოლოური განწყობილებები ეუფლება. განა ის ვინმეს ახსოვს? განა ვინმე შეიყვარებს მას და ოჯახსაც შექმნის? ფიზიკურ ტკივილებზე უფრო მწვავე აღმოჩნდა მისივე სულიერი ტკივილები. მაგრამ საბჭოთა ადამიანი ხომ სულ სხვა თვისებების შემცველია? როდესაც ლევონიანს თავისი თავი განმარტებული ეგონა, იგი დებულობს ბარათს, სადაც ამოიკითხავს საბჭოთა ადამიანის სიყვარულით სავსე პატრიოტულ სიტყვებს.

ძლიერია საბჭოთა ადამიანის სიყვარული. ამ სიყვარულის ძალამ ჩამოიყვანა ქნარიც ოდესაში ლეონიანის წასაყვანად. მწერალს ამაღლებულად აქვს გადმოცემული მათი შეხვედრა და სომხეთში გამგზავრება.

ხშირად მწერალი სათურნში გვამცნობს ნაწარმოების იდეას. ასეთია მოთხრობა „ახალი ცხოვრება“. ამ მოთხრობაში კონტრასტების სერხით არის გახსნილი ბრძოლა ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის.

ყველაზე უფრო მეტად ადამიანის ყოფაცხოვრებაში, სიყვარულსა და ოჯახში ვლინდება მწვევე კონფლიქტი ძველსა და ახალ მორალს შორის. კორუნი, ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, გრანიტის ქარხნის მუშაა. მას გულწრფელად უყვარს გლეხის ქალიშვილი მარო, მაგრამ, რაკი მაროს მშობლები ძველ ადამიანებს მისდევენ, რაკი კორუნი შეძლებული კაცი არ არის, ისინი წინააღმდეგი არიან მათი შეუღლებიან. მაგრამ გულწრფელი და ღრმა სიყვარულის ჩახშობა განა შესაძლებელია ასეთი მონასრებებთ? ბევრი იუარის მაროს მშობლებმა, მაგრამ სიყვარულის ძალამ მართ ოჯახიდან გააპარა, კორუნთან მიიყვანა და შესანიშნავი ოჯახი შეაქმნევინა. ოთხი წელი იჯიუტეს მაროს მშობლებმა, მაგრამ შემდეგ მივიდნენ სიძის ოჯახში შესარჩევლად.

წ. თორგოშიანის დაიბადა ქ. ვანში. სწავლავანათლებაც იქ მიიღო: მისი მშობლები გადმოსახლდნენ თბილისში. მან საკუთარ თავზე განიცადა ოსმალეთიდან სომეხთა გადმოსახლების სიმწვევე, თავისი თვლით ნახა სომეხთა ელტვის შემამარწყუნებელი სურათები, იგრძნო სამშობლო მიწაშვილიდან აყრის შედეგად გამოწვეული ტრაგედია. ყოველივე ეს მან დაგვიხატა მოთხრობაში ადამიანი დაიხურვა. ამ მოთხრობის თითოეული სტრიქონი სისხლით დაწერილს ჰგავს. მასში აღდენი სევდა, იმდენი წუხილი და ტრაგიკული გრძნობის განცდაა ჩაღვრილი, რომ, გვერანებათ, მშობლიური მიწა იდუღებულა და ცრემლი ზღვად ქცეულა. მწერარების ამ ზღვაში უმწეოდ იხრჩობა უამრავი ოჯახი და, მათ შორის, გმირული სულიკეთების მქონე სომეხი ქალი, — რუპანი, რომელმაც თავის ქმარზე — არუთიზე — უფრო მეტი ვაყვაცობა გამოიჩინა შვილის გადსარჩენად, მტრის ტყუამ კი მას შუბლი გაუხვრატა და იგი მდინარე ბანდიშაპის ნაპირს მიადგა: „რუპანი მდინარის

ნაპირას დაეარდნილიყო, თმები უწყნაროდ გასწეწოდა, ნახევრად დაღე დაჩრენილ... დვალეში თავგანწირული დედის უდიდესი ნებისყოფა იხატებოდა“.

ასეთი იყო სომეხ ლტოლვილთა ბედი პირველი მსოფლიო ომის დროს.

წ. თორგოშიანის უბრალო ადამიანის ფსიქოლოგიის კარგი მცოდნეა. ამავე დროს, იგი შესანიშნავად გეხატავს, რაგორ მარცხდებოდნენ ადამიანები ოჯახის შექმნის მიმე საქმეში, თუ მათ ქარბად არ ჰქონდათ მატერიალური საშუალებები. რა გაგივებით უყვარდა მოთხრობა „ზეთის გამყიდველის“ გმირს — აკოს ქვრივი ქალი ლუსიანა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ქალი ღარიბი იყო, აყო სიყვარულში დამარცხებული აღმოჩნდა.

მეტად საინტერესო მოთხრობაა „ხარაზი მინასი“. ეს ნაწარმოები, მართალია, ყოფაცხოვრებითს მასალაზეა აგებული, მაგრამ თავისი შინაარსით ამ თემის ფარგლებს სცილდება. ოსმალეთიდან სომეხების აყრის დროს მინასის ცოლი, გულნაზი, სადღაც დაეკარგა. მინასი სომხეთში ჩამოვლდა თავისი შვილით და დასახლდა. შვირთო ერთი ანჩხლი დედაკაცი. რომელთანაც შვილი გაუჩნდა. რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა ასეთი უცნაური ამბავი: გულნაზი ცოცხალი გადარჩენილა და ჩამოვიდა თავის ოჯახში. მინასის მეორე ცოლმა კი იგი სახლში არ შემოუშვა და ცემატყებით გააგდო ქუჩაში. მინასიმ ორივენი დატოვა და სადღაც გადაეკარგა.

ამ მოთხრობაში მკვეთრად არის ნაჩვენები ომის შემამარწყუნებელი შედეგები.

სარეცენზიო წიგნში შეტანილია საკმაოდ დიდი მოთხრობა „გივი ვოსკო“. ეს მოთხრობა ისე როგორც „ზეთის გამყიდველი“ და „ხარაზი მინასი“ რეკლუციამდელი დროის უბრალო ადამიანის ცხოვრების სურათებს გვიხატავს. აქ მწვევედ იგრძნობა ძველი, უკულმართი დროისათვის დამახასიათებელი, ჩამორჩენილობა, უკულტურობა, ცრუმორწმუნეობა, ავბორცობა, ოჯახური სინდისის ფეხქვეშ გათელვა და პატროსანი ადამიანის დანაგვრა.

წერტნ თორგოშიანის „რჩეული მოთხრობები“ მაღალმატერული ნაწარმოებებია. ამიტომაცაა, რომ ქართველი მკითხველი ამ მოთხრობებს ხარბად უწაფება.

შინაარსი



ხალხთა ლენინურ-სტალინური მემკობრობის დროშით, მოწინავე . . . 3

გვაბავსული ლიტერატურა

- ✓ **ავებტიმ ისააკიანი** — ჩემს პატარა ბიჭობაში (თარგმანი გ. კალანდოძისა); გამარჯვების დღე (თარგმ. ირაკლი აბაშიძისა); შენს ველზე სხედან მარგალიტები (თარგმანი ნიკოლოზ ჭაჩავასი) . . . . . 7
- ✓ **ბელას სარინი** — მონღუმენტი ბელადს (თარგმ. გ. კალანდოძისა) . . . . . 9
- ✓ **ოვანეს შირაზი** — იყინიან ჩვენი მთები (თარგმ. ალექსანდრე აბაშიძისა); ვხოვე (თარგმ. თეიმურაზ ჯანაფთაძისა) *გ. ზვ. მ.* . . . . . 14
- ✓ **ბურბან ბორინი** — საბჭოთა საქართველოს (თარგმ. გრიგოლ აბაშიძისა); სიმღერა ქმობაზე (თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა) . . . . . 14
- **დირინიკ დომირკიანი** — სახლი (მოთხრობა, თარგმ. ელიზბარ ზედგინიძისა) და საპაქ მანველიანისა) . . . . . 19
- ✓ **სნილვა კავუტიანი** — საათი (თარგმ. რევაზ მარგოიანისა); მამ რატომ არის? (თარგმ. ნ. ჩაჩავასი) . . . . . 40
- ✓ **ბემორტ იმინი** — ორი ლექსი: ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი (თარგმ. რ. მარგოიანისა); შეთევვე (თარგმ. ზუტა ბერუღაევისა) . . . . . 42
- ✓ **პრანია მოჩბარი** — ორი მოთხრობა (თარგმ. არტემ დავითიანისა) . . . . . 45
- ✓ **მარო მარტარიანი** — სამი ლექსი: მოსკოვში წავალ ფიქრები ჯარისკაცზე; პატარა გოგო ვიყავი (თარგმ. შაყვალა მრეველიშვილისა) . . . . . 53
- ✓ **პრანია ოვანესიანი** — ბარათი სახალხო მასწავლებლისადმი (თარგმ. რ. მარგოიანისა); ზრახნი (თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა) მუხარაღი (თარგმ. ალიო ადამიანის) . . . . . 56
- **ზარზანდ ღარიანი** — ბენიამინ კარაგინი (მოთხრობა, თარგმ. ა. დავითიანისა) . . . . . 62
- ✓ **სარმინი** — მოთხრობის სახლი; ჩემო ურმობავ (თარგმ. ვახტანგ ბეწუქელისა); ძეგლი-წუართ (თარგმ. ვასილ ლაფერაშვილისა) . . . . . 75
- ✓ **ვაჰაგნ დავითიანი** — სადღეგრძელო (თარგმ. ვახტანგ ბეწუქელისა); გამო-სალმება (თარგმ. კალე ბობოხიძისა) . . . . . 78
- ✓ **კამო სპინანი** — მაგზოლეუმთან (თარგმ. ა. ადამიანის); ამ გუმბათოვან გალანის ძირას (თარგმ. შალვა ფორჩხიძისა) . . . . . 81
- **ნაირი ზარინი** — მესრობ კარსეკიანი (პიესა, თარგმ. ა. დავითიანისა) . . . . . 85
- ✓ **სტეპანე კურტიანი** — ერევანი (ნარკვევი) . . . . . 133

ლიტერატურული კრიტიკა

- ✓ **ს. ალაბაზიანი** — სომხური საბჭოთა ლიტერატურა ომისშემდგომ პერიოდში, წერტილი . . . . . 149
- ✓ **სურინ აგინიანი** — სომხურ-ქართულ ლიტერატურული ურთიერთობანი (წერტილი) . . . . . 159

ბიბლიოგრაფია

- ✓ **სიმონ წმირაძე** — მოთხრობა ირანელი ხალხის დუხვირ ცხოვრებაზე . . . . . 161
- ✓ **ს. მინაღორაშვილი** — წერტენ თორგომიანის რჩეული მოთხრობები . . . . . 165

რედაქტორი

ალეო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუხისმგებელი მდივანი), ლიმიტარი ბენაშვილი,  
ნიკო კვიციანი, სანდრო უანუაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი შილაია.

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10<sup>1/2</sup>.  
შ0 11055. შვკვ. № 572. ტირაჟი 6.000.

---

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამოცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.  
Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры  
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ., 5. ტელეფ. 3-23-42.

ფან 8 8.

29 მნ 12  
ГОСКИННАЯ САЛТА  
1  
საქართველოს  
საბჭოთა მთავრობის



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ